

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Georgian Academy of Sciences  
Arn. Chikobava Institute of Linguistics  
ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება  
Besarion Jorbenadze Society

# საენათმეცნიერო ძ ი ე ბ ა ნ ი

## XIV

# Linguistic P a p e r s



გამომცემლობა „ქართული ენა“  
"KARTULI ENA" Publications  
თბილისი 2003 Tbilisi

81.2  
800  
ს 157

### „საენათმეცნიერო ძიებანის“

XIV წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

"Linguistic Papers" volume 14 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეჯია; EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, გ. ბურჭულაძე, კ. გაბუნია, M. Beridze, G. Burchuladze, K. Gabunia,  
**გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **G. Gogolashvili** (editor-in-chief),  
**ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, **L. Goksadze** (editor of the English part),  
**ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), N. Daraselia, **Ts. Kvantaliani** (scientific secretary),  
მ. კიკონიშვილი, მ. კობიაშვილი, M. Kikonishvili, M. Kobiashvili,  
რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), ჭ. ქირია, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief),  
ჩ. კურდაძე, მ. კურდიანი N. Chumburidze, N. Jorbenadze  
ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

ISBN 99928-820-6-9

ნატო სურგულაძე

**ზინაგანი ფორმა, როგორც ემოციურობის მოდუსისა და  
მასკარისიულობის გამოხატვის ეფექტური საშუალება**

იდიომების შინაგანი ფორმის ექსპრესიულობა განპირობებულია მასში არსებული ძლიერი მეტაფორული ხატოვანებით. გარემომცველი სინამდვილის ელემენტები (ცხოველთა და მცენარეთა სამყარო, სოციალური გარემო და სხვა) შეფასების თვალსაზრისით გაიაზრება ხალხის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილების საფუძველზე, ყალიბდება წარმოდგენების — კვაზისტერეოტიპების კომპლექსში, ანუ გემტალტებში, რომლებიც აერთიანებენ ამა თუ იმ ენის საშუალებით ობიექტური რეალობის მოვლენებისადმი მიწერილ ნიშან-თვისებებს (ცბიერი მელა, ჭიუტი ვირი, ტლანქი დათვი და სხვ.). ასეთი გემტალტები წარმოადგენენ „მეტაფორებს, რომლებითაც ჩვენ ვსულდგმულობთ“ (ლაკოფი, 1987).

ისინი გამოიხატებიან შინაგან ფორმაში, ფოლკლორულ ტრადიციებში, რწმენებში, რიტუალებში. გემტალ-ტის წარმოქმნის ძირითადი ხერხია საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გადატანა დანარჩენ სამყაროზე (ანთროპომორფიზმი). ამგვარად, მიღებული ცოდნა გარემოს შესახებ გადაეცემა ადამიანთა ურთიერთობების სამყაროს: „ადამიანი ცბიერია, თითქოს ის იყო მელა და თითქოს მელას შეეძლოს იყოს ცბიერი“ „**A** თითქოს **B**“ ტიპის წარმომქმნელი მეტაფორების ელემენტებად წარმოგვიდგება ადამიანის (**A**) სოციალურ-ბიოლოგიური გამოვლინება და ანთროპომორფული წარმოდგენა ობიექტურ რეალობაზე (**B**), შეკავშირებული ლოგიკური მაერთებლით „თითქოს“, რომელსაც ი. კანტმა უწოდა ფიქტიურობის მოდუსი (ჟოლი, 1984).

ხატოვანება, რომელსაც შეიცავს გემტალტი, მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მოსაუბრის ემოციურობის გამოხატვას და უზრუნველყოფს ოპტიმალურ გაგებას მსმენელის მხრიდან მათ ცნობიერებაში არსებული გემტალტების ერთიანობის საფუძველზე.

სიტყვის შინაგანი ფორმა სამყაროს ირაციონალური, ინტუი-

ციურ-გრძობადი, მეტაფორული, ანთროპომორფული ასახვა. ენაში იდიომების არსებობა, რომელთა მნიშვნელობა სხვა ერთეულების მსგავსია, არ მოწმობს ენის საშუალებების სიჭარბეს. იდიომების სხვაობა სიტყვებისაგან, პირველ ყოვლისა, მათ ექსპრესიულობაში მდგომარეობს.

საინტერესოდ გვესახება იდიომების ფორმირების პროცესები — აღსანიშნი სინამდვილის კონცეპტუალიზაციისა და ვერბალიზაციის განხილვა, რომლის დროსაც შესიტყვებათა „პირდაპირი“ მნიშვნელობა იქცევა იდიომის შინაგან ფორმად. ამ პროცესების განხილვისას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ფრაზეოლოგიზმ-იდიომთა სემანტიკის ხატოვან-ასოციაციური ზონის როლის, არამედ თვით ლინგოკრეაციული აზროვნების ფუნქციის გახსნისათვის იდიომების შინაგანი ფორმის შექმნას (შახნაზაროვიჩი, 1991, გვ. 136).

იდიომი ავსებს სინამდვილის ასახვის დეფიციტს. ინფორმაციის გადმოცემა იდიომით ხორციელდება ეკონომიური „შეკუმშული“ საშუალებებით და გამოხატავს შინაგან ფორმაში რომელიღაც სიტუაციის დამახასიათებელ ნიშნებს, დამკვიდრებულს მოცემული ენის მატარებლის ენობრივ ცნობიერებაში ხატის ფორმით იდიომის წარმოქმნისას. ხატი ცნობიერებაში წარმოგვიდგება რომელიღაც „გემტალტის“ წაშლილი ფორმით, რომელიც რედუცირებულია ნომინაციის მიზნების შესატყვისად. ამასთან, სხვადასხვა იდიომის რედუცირების ხარისხი სხვადასხვაგვარია, რაც დამოკიდებულია ენის განსაზღვრულ ეტაპზე ენის მატარებლისათვის იდიომის შინაგანი ფორმის შეცნობაზე „ცოცხალი“ ან „წაშლილი“ სახით. „ცოცხალი“ ხატის დროს ჩვენ წინაშეა მეტად თუ ნაკლებად „გადაშლილი პატარა სურათი“; სამყაროს ენობრივი ფრაგმენტის რომელიღაც ვარიანტი. იდიომი „წაშლილი“ ხატი კი მხოლოდ „მიანიშნებს“ ნომინაციის მიზნებისათვის არსებით კავშირებზე და ახდენს არაარსებითი კავშირების აბსტრაქტიზაციას.

როდესაც იდიომი პირველად წარმოჩნდება ცნობიერებაში, ხატის აღქმა მკაფიო და ზედმიწევნით დაწვრილებითია, რამაც შეუძლია ხელი შეუშალოს გამონათქვამის აზრის გაგებას, მაგრამ უმეტესწილად სწორედ შინაგანი ფორმით გამოიცნობა ის, რაზეც არის საუბარი... ის ფაქტი, რომ იდიომის პირველადი ხმარება, ასევე ხალხური ენის იდიომების გამოყენება წარმოსახავს მოსაუბრის ცნობიერებაში „ცოცხალ სახეს“, ბადებს აზრს, რომ „სახის“ მთელი სიზუს-

ტით აღქმა დაკავშირებულია მოსაუბრის მიერ იდიომის ხმარების გამოცდილებასთან, ასევე ენობრივი კოლექტივის მიერ მისი გამოყენების ხანგრძლივობასა და სიხშირესთან: რაც უფრო ხშირად ხმარობენ მას, მით უფრო ადვილად ხდება მისი ხატის „წაშლა“.

სინამდვილის კონცეპტუალიზაციის დროს გამოყენებული საშუალებები ენაში ფ. ჰუმბოლდტს დაყოფილი აქვს როგორც ფონეტიკური და ინტელექტუალური. ფონეტიკური ტექნიკა მიმართულია სიტყვების ან ფრაზეოლოგიური ერთეულების ბგერითი კომპლექსის შექმნისაკენ. ინტელექტუალური ტექნიკის როლი ენაში იმაში მდგომარეობს, რომ განასხვავოს და აღნიშნოს აუცილებელი (ჰუმბოლდტი, 1984).

„ენის შინაგანი და წმინდა ინტელექტუალური მხარე შეადგენს სწორედ ენას; ეს ის ასპექტია, რომლის გამო ენობრივი შემოქმედება სარგებლობს ბგერითი ფორმით და ენის ამ მხარეს ემყარება მისი უნარი, მიანიჭოს გამოხატვის შესაძლებლობა ყველაფერ იმას, რისი მინდობაც სურთ მისთვის ... შემდგომ თაობათა დიდ მოაზროვნებს“ (ჰუმბოლდტი, 1984, გვ. 100): ენის კანონები, წერდა ვ. ფონ ჰუმბოლდტი, რომელსაც ემორჩილება ენათშემოქმედების სულიერი მოღვაწეობა, სხვა არაფერია, თუ არა ფორმები, რომლებშიც ენათშემოქმედების ძალა „ჭედავს“ ბგერებს (ჰუმბოლდტი, 1984, გვ. 101).

ფრაზეოლოგიური ერთეულები, ისევე როგორც სიტყვები, წარმოადგენს ენობრივი ცნობიერების პროდუქტს, რომელიც ასახავს სინამდვილის გააზრების ხერხს მეტყველებით-შემოქმედებითი აქტის პროცესში მათი შექმნის მომენტში. ეს ხერხი დაფიქსირებულია იდიომებში მათი შინაგანი ფორმის სახით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იდიომების შინაგანი ფორმა არის ასოციაციურ-ხატოვანი მოტივირებული კომპლექსი, რომელიც აყალიბებს შინაარსს ენაში.

ხშირად იდიომის ეტიმოლოგია არ არის ცნობილი. მისი „ფაქტუალური პლანი“ თუმცა კი გასაგებია, მაგრამ მის მიერ შექმნილი „სახე“ (ხატი) არ არის გამჭვირვალე, ახლებურად გააზრების მოტივი ბუნდოვანია. ძნელია თქმა, როგორ იქნა გააზრებული იდიომებში „კიპი აქვს მოჭრილი“ და „il a vu le loup“ ქართულ და ფრანგულ სინამდვილეში ასახული სიტუაცია. ორივე შემთხვევაში ლაპარაკია ადამიანზე, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება, ჩვევა. ამ იდიომების მნიშვნელობა სწორად არის გაგებული როგორც ქართული, ასევე ფრანგული ენის მატარებლისათვის. ეს კი იმის სასარგებლოდ მი-

უთითებს, რომ შინაგანი ფორმა (თუმცა კი მნიშვნელოვანია ენის მატარებლისათვის აზრის გასაგებად მისი „გამჭვირვალობის“ შემთხვევაში) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „ფაქტუალური პლანისაგან“ დამოუკიდებლად და ასრულებს „კვაზისიტუაციის“ სიმბოლოს როლს, რომელიც დამკვიდრებულია იდიომის შინაგან ფორმაში. ამგვარად, იდიომი აღნიშნავს არამართო იმას, რაც უშუალოდაა დამკვიდრებული მის ფორმაში, არამედ გარკვეულ სუბსტანციასაც, მის გარეთ ხატოვან-სიმბოლურ ფუნქციასაც (შანხაზაროვიჩი, 1991, 140).

სინამდვილის კონცეპტუალიზაცია და ვერბალიზაცია იდიომების მეშვეობით სხვადასხვა გზით ხდება. იდიომების შინაგანი ფორმა, რაც მეტაფორიზაციის შედეგია, ცნობიერებაში ხატოვნად წარმოგვიდგენს სინამდვილეს, როგორც ენობრივ სურათში დამკვიდრებულ შესაძლო სამყაროს „რეალიას“. იგი აიგება საგნობრივი სამყაროს მიხედვით, რაც იმას ნიშნავს, რომ ლინგვოკრეაციული აზროვნება ითვალისწინებს საგნობრივი სამყაროს რეალურ კავშირებსა და დამოკიდებულებებს, სამყაროს სურათის „ფრაგმენტების“ შექმნაში აისახება სინამდვილის გააზრება „ფანტაზიის აღმადგენით“, რაც ადასტურებს ენობრივი ცნობიერების შემოქმედებით ხასიათს.

პირველადი ნომინაციისაგან განსხვავებით, რომელიც დაკავშირებულია სინამდვილის „გაენობრიობასთან“, იდიომების შექმნა წარმოადგენს მეორად ნომინაციას, რომლის დროსაც ენობრივი ცნობიერების მოქმედება უკვე დაკავშირებულია არსებულ ენობრივ ერთეულებთან. ამასთანავე მნიშვნელოვანია ენობრივი ნიშნების შერჩევა, რომლის პრიზმაშიც მიმდინარეობს მეორადი აღნიშვნა.

გრძნობადი აღქმის, ფანტაზიის, ემოციების როლზე სინამდვილის კონცეპტუალიზაციისას და მისი გამოხატვის შესახებ ენობრივი ნიშნების ფორმით ჯერ კიდევ ვ. ფონ ჰუმბოლდტი წერდა: „შინაგანი და გარე სამყაროს ცალკეული საგნების აღნიშვნა ღრმად იჭრება გრძნობად აღქმაში, ფანტაზიასა და ემოციებში, მათი ურთიერთქმედების წყალობით კი — ხალხურ ხასიათში, რადგან ჰუმბოლტიად სწორედ აქ შეერწყმის ბუნება ადამიანს, საგნობრიობა — შემოქმედ სულს. საგნებში წვდომით ხდება ადამიანის დაახლოება გარემომცველ ბუნებასთან და იგი თვითშემოქმედებითად შლის თავის შინაგან შეგრძნებებს იმ ზომით, როგორითაც ხდება მისი სულიერი ძალების დიფერენცირება, რაც აისახება ენათშემოქმედებაში, რამდენადაც მას

თავის სიღრმეში შინაგანად შეუძლია სიტყვას შეაგებოს ცნებები“ (ჰუმბოლდტი, 1984).

იდიომები ცხოველთა სამყაროდან ყველაზე ნათლად ხსნიან ექსპრესიულობის წარმოქმნის მექანიზმს შინაგანი ფორმის მეშვეობით. ანთროპომორფული წარმოდგენა ცხოველებზე თავისი ბუნებით ემოციურია, შეიცავს შეფასების რიგ სპეციალურ მოდუსებს. შინაგანი ფორმა ამდიდრებს შეფასებით სტრუქტურას ემოციური შეფასების ახალი ტიპით, რომლის არსი მდგომარეობს ყოველგვარი სახის „მხეცილებრი“, არაადამიანური საწყისის გამოვლენის აღკვეთაში.

ცხოველთა სამყაროს ენობრივი სურათის კვლევისას ყურადღება შევაჩერეთ „ანიმალისტურ სომატიზმებზე“, კერძოდ კი, „რეალიებზე“, როგორიცაა queue (კუდი), patte (თათი), aile (ფრთა), bec (ნისკარტი), gueule (ხახა), peau (ტყავი), poil (ბეწვი), plume (ფრთა, ბუმბული).

ფანტაზიის შედეგად იდიომების წარმოქმნისას ლინგვოკრეაციული აზროვნება „კუდის“, „ფრთის“, „ტყავის“, „ბეწვის“, „ნისკარტის“, „ხახის“, „თათის“ არსებობას მიაწერს ადამიანსაც. ამასთან, ის მანიპულაციები, რომლებიც შეიძლება ჩატარდეს მათ, პირდაპირ ანალოგიას პოულობს რეალურ საგნობრივ სამყაროში. „ფანტაზიის აღმადგენის“ ელემენტი გამოიკვეთება ისეთ იდიომებში, როგორიცაა **bailler le chat par les pattes** (კატის თათებით გადაცემა) **საქმის წარმოდგენა ყველაზე რთული მხრიდან, რაც უკავშირდება ამა თუ იმ სირთულესა და დაბრკოლებას**; **montrer a qn son bec jaune** (აჩვენო ვინმეს მისი ყვითელი ნისკარტი) — **ამხილო ვინმე უმეცრებაში**; **rester le bec dans l'eau** (ნისკარტით წყალში დარჩენა) — **ამაო ლოდინი, რაც იმედგაცრუებაზე** მეტყველებს; **avoir le bec sale** (მლაშე ნისკარტის ქონა) — უძირო ქვევრია, უკანასკნელ წვეთსაც კი ჩაისხამს, **ლოთობაზე** მიაწინებს; **bridier l'ane (son cheval) par la queue** — (ვირის, ცხენის კუდით აღვირის ამოღება) — საქმის ბოლოდან **დაწყებას ნიშნავს**, ხოლო საოჯახო საქმეების წარმოების აღსანიშნავად აქაც გამოიყენება „queue“ (კუდი): **tenir la queue de la poele** — (ტაფის კუდით დაჭერა) — ტაფის სახელურით ჭერას აღნიშნავს.

ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული იდიომები თავიანთი ცოცხალი შინაგანი ფორმით მიუთითებს როგორც სამყაროსადმი ირეალურ დამოკიდებულებაზე, მაგ.: **chercher un mouton a cinq pattes** (ეძებო ხუთფეხიანი ცხვარი) — თეთრი ყვავის ძებნა, ანუ **ეძებო შეუძლებელი, არ არსებული**, ან კიდევ, **voiloir un pet d'un ane mort**

(მკვდარი ვირის ნაწლავებიდან გამოსული ხმიანი გაზების ამოვლევა) — გქონდეს შეუძლებლის გაკეთების სურვილი, **ფუჭ ოცნებებსა და შესასრულებლად შეუძლებლის დაპირებებზე**; მაგ.: vendre la peau de l'ours (დათვის ტყავის გაყიდვა) — ცოცხალი დათვის ტყავის განაწილებაზე მიანიშნებს; ან კიდევ: donner un canard a moitie (იხვის ნახევრად გაყიდვა) — ოქროს კოშკების აგება, ასევე ადამიანის უნარზე — შეუძლებლის გაკეთებაზე მიანიშნებს: mettre un grain de sel sur la queue d'un moineau (ბელურის კუდზე მარილის მოყრა) — რწყილის გაწრთვნას, გაწაფვას, განსწავლას ნიშნავს).

ანიმალისტური სომატიზმები თავისი შინაგანი ფორმით თითქოსდა აფიქსირებს „სცენებს“ ცხოველთა ცხოვრებიდან, რომლებშიც გარკვეული შინაგანი მდგომარეობა გამოიხატება **ცხოველის** პოზით. ამასთან, თითქოსდა იქმნება ანალოგია ადამიანის შინაგან მდგომარეობასთან. ეს უკანასკნელი გადმოიცემა ისეთი ენობრივი ერთეულებით, რომლებიც გამოიყენებოდა ცხოველების ცხოვრების „სცენების“ ან მათი მსგავსი ქცევის აღწერისას.

ამრიგად, იდიომებისათვის პროტოტიპული სიტუაციის შემადგენლობაში რეალიების queue (კუდი), patte (თათი), aile (ფრთა), bec (ნისკარტი), gueule (ხახა), peau (ტყავი), poil (ბეწვი), გააზრებისას ენობრივი ცნობიერება ითვალისწინებს აგრეთვე მათ **ონტოლოგიურ** მახასიათებელთა რიგს, ცხოველის სხეულის ნაწილების (კუდი, თათი, ფრთა, ნისკარტი, ხახა, ტყავი, ბეწვი) მდგომარეობა განსაზღვრავს ცხოველთა პოზას, როგორც სიმბოლური ხატოვანების წყაროს. ასე, მაგალითად, „la queue entre les pattes“ (კუდი თითებს შუა) — შეშინებული, კუდამოძუებული, ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ფრთხილი, თვითდაჯერებული გახდა, თავისი მოქმედების შედეგების შეშინდა (ასოციაციები, ალბათ, დაკავშირებულია ძაღლთან, რომელსაც ეშინია პატრონის და დამორჩილების პოზას იღებს, „კუდს იძუებს“).

იდიომა „avoir un fil a la patte“ (თათზე ბაწარგამობმული) 1. ხელფეხშეკრული; 2. გამიჯნურებული; პირველ შემთხვევაში **მოქმედების თავისუფლების შეზღუდვას** გულისხმობს, მეორე შემთხვევაში კი, **ემოციურ, სულიერ მდგომარეობაზე მიუთითებს**. პოზა, გამოხატული იდიომით „etre sur ses pattes de derriere“, პირველ ყოვლისა, **ერთგულ მსახურებაზე** მიანიშნებს, ხოლო მისი დიფერენციალური სემა — პრანჭვა-გრეხვაზე.

„Queue“ en trompe“ (ხორთუმისებრი კუდი) — ადამიანის ქამე-

ლეონური თვისების სიმბოლოდ წარმოგვიდგება და ნიშნავს: საიდანაც ქარი დაუბერავს, იქეთ იხრება.

იმედგაცრუებასა და გადაწყვეტილებას დუმილი ამჯობინოს უკავშირდება იდიომები: „rester le bec dans l'eau“ (ნისკარტით წყალში დარჩენა) — ამაო ლოდინი და „le bec cousu“ (ამოკერილი ნისკარტით) — პირმოკუმული, პირში წყალი ჩაივლება, ენაზე კლიტე დაიდო.

საინტერესოდ გამოიყურება ანიმალისტური სომატიზმები patte (თათი), და aile (ფრთა), რომლებშიც ცხოველის პოზა „avoir un fil a la patte“ (თათზე ბაწარგამობმული) და „avoir du plomb dans l'aile“ (ფრთაში ტყვიის ქონა) ასოცირდება როგორც: ა) მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ, ასევე ბ) შეყვარებულ ადამიანთან. „avoir du plomb dans l'aile“ — ნიშნავს: 1. ჩამოგდებულს, დაშავებულსა და 2. შეყვარებულ, გულგანგმიერულ ადამიანს.

ემოციური, სულიერი მდგომარეობა „შეყვარება“, „გამიჯნურება“ ასოცირდება აგრეთვე ცხოველის **ტყავთან**: „avoir qn dans la peau“ (ვინმეს ყოლა ტყავში) — ვინმეს ყოლა სულსა და გულში; ვინმეს შეყვარება.

სიმულირებასა და ფარისევლობასთან ასოცირდება ანიმალისტური სომატიზმები „peau“ (ტყავი) და „patte“: chausser la peau de... (სხვისი ტყავის გადაკვრა, გადაცმა) — თავის მოჩვენება; „la patte du chat“ (კატის თათი) — ორბირი, ფარისეველი ადამიანი, თეთრი კბილი — შავი გული.

**დასჯისა და აგრესიის** სიმბოლოებად წარმოგვიდგება იგივე ანიმალისტური სომატიზმები იდიომებში „mettre la patte sur qn“ (ვინმეზე თათის დადება) 1. დაბატმრება; 2. რტყმევა; „Vouloir la peau de qn“ (ვინმეს ტყავის ნდომა) — ვინმეს დალუპვის სურვილი; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმავე სომატიზმებმა გამოავლინეს საპირისპიროც: არა აგრესია, არამედ ა) **კეთილგანწყობა** და **დახმარება** „mettre sur patte“ (თათებზე დაყენება) — ფეხზე დაყენება, შემზადება; ბ) **თავგანწირვა**: „se faire trouer la peau“ (საკუთარი ტყავის გახვრეტილება) — საკუთარი ტყავის გაწირვა; გ) **ძველი წესების, ზნეჩვეულებების გადაადება, ხასიათისა და ცხოვრების წესების შეცვლა**; დ) საქმისადმი სიყვარული: „avoir qch dans la peau“ — რისიმე ძლიერ შეყვარება; „aile“ (ფრთა) თავისი შინაგანი ფორმით გაიაზრება, როგორც ა) **მზრუნველობის**, ბ) **საფრთხისაგან თავ-**

**დაცვის, გ) განწყობილებისა და თავდაჯერებულობის** სიმბოლო: „etre (se refugier) sous l'aile de qn“ — (ვინმეს ფრთებქვეშ თავის შეფარება) — კალთაგადაფარებული, ვინმეს მზრუნველობის ქვეშ ყოფნა: „mettre la tete sous l'aile“ (თავის დადება ფრთის ქვეშ) — ფრთის ქვეშ დამალვა; „donner des ailes a ფრთების მიცემა) — ფრთების შესხმა, აღფრთოვანება; „essayer ses ailes“ (საკუთარი ფრთების გამოცდა) — თავისი ძალ-ღონის, უნარის გამოცდა.

ცხოველთა სამყაროს ენობრივი სურათის ვერბალური მოქმედების აღნიშვნისას ფიგურირებს ენის გააზრების ორი ტიპი: ენა, როგორც არასულიერი, მეტყველების ინსტრუმენტი და ენა, როგორც გასულიერებული არსება.

ენა ცნობიერებაში აღიქმება როგორც ბასრი, მას შეუძლია დაგესლოს ადამიანი, ატკინოს მას გული, ამასთან რეალია „ენა“ გასულიერებული არსებისათვის დამახასიათებელ სხვა თვისებებსაც დაეუფლა. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ისევ და ისევ ანიმალისტური სომათიზმები „bec“ და „gueule“ (ნისკარტი და ხახა), რომელთა არქისემებსა და დიფერენციალურ სემებს მეტაფორული გადააზრების საფუძველზე შეენაცვლება სხვა არქისემები და დიფერენციალური სემები, რასაც მოყვება დენოტატის შეცვლა და იდიომთა სიგნიფიკატიური მნიშვნელობის სრული განახლება:

„Bec“ (თავისუფალ შესიტყვებაში — „ნისკარტი“)

არქისემა — ფრინველის პირის წინ წამოგრძელებული რქოვანი ნაწილი;

დიფერენციალური სემა — განსაზღვრული დანიშნულება (კვება).

„Bec“ (ფრაზეოლოგიზმი „avoir le bec bien affile“ — მჭრელი ნისკარტის ქონა) — ენაგესლიანი, ენამწარე.

არქისემა — ენა.

დიფერენციალური სემა — პიროვნების თვისება.

„Bec“ (ფრაზეოლოგიზმი „se refaire le bec“ (ნისკარტის გაკეთება) — მუცლის ამოდღობა, გატყვრომა.

არქისემა — პირი.

დიფერენციალური სემა — მუცელი.

„Bec“ (ფრაზეოლოგიზმი „fermer (boucler, clore) le bec“ — ხმის გაკმედილება, ხმის ჩაწყვეტინება, ენა მუცელში ჩაადებინა;

არქისემა — ენა.

დიფერენციალური სემა — ხმა.

„Bec“ (ფრაზეოლოგიზმი „tenir le bec hors de l'eau“ (ნისკარტით წყლის ზევით) — სულის სიძლიერე, სულით არდაცემა;

არქისემა — სული.

დიფერენციალური სემა — პიროვნების თვისება.

„Gueule“ (თავისუფალ შესიტყვებაში — „ხახა“)

არქისემა — პირის ღრუს უკანა ნაწილი

დიფერენციალური სემა — განსაზღვრული დანიშნულება (ყლაპვა).

„Gueule“ (ფრაზეოლოგიზმი „Gueule ferree“ — რკინით მოჭედილი ხახა) — მოკალული კუჭის ან პირის ქონა;

არქისემა — ხახა.

დიფერენციალური სემა — კუჭი, პირი.

„Gueule“ (ფრაზეოლოგიზმი „etre porte sur la gueule“) პირის პატივის მოყვარული) — აგმუცელა, ღორმუცელა;

არქისემა — პირი.

დიფერენციალური სემა — მუცელი.

„Gueule“ (ფრაზეოლოგიზმი „gueule d'amour“) საყვარელი დინგი, დრუნჩი) — პირმშვენიერი.

არქისემა — დინგი, დრუნჩი.

დიფერენციალური სემა — გარეგნული პორტრეტი.

სამყაროს ენობრივ სურათში ლინგვოკრეაციული აზროვნება თითქოსდა ერთ სიბრტყეზე აყენებს ადამიანს და ცხოველს, ამასთან იყენებს ერთსა და იმავე ლექსიკურ საშუალებებს ცხოველის ქცევისა და ადამიანის შინაგანი სამყაროს ან მისი ქცევის ემოციური მახასიათებლის აღწერისათვის. ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ არის, იგი ორ მიზანს ისახავს: ენობრივი საშუალებებით ეკონომიასა და ექსპრესიული ფუნქციის შესრულებას ენის საშუალებით.

ლინგვოკრეაციული აზროვნების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა მეორადი ნომინაცია, მათ შორის იდიომათწარმოქმნა, როგორც ხატოვანებით და „ფანტაზიის აღმაფრენით“ ენათშემოქმედების ყველაზე უფრო ნათელი ხერხი.

ლინგვოკრეაციულ აზროვნებას, რომლის დასაყრდენი ეროვნული ენაა, შეაქვს ენის ინვენტარში კულტურულ-ეროვნული მსოფლმხედველობა და სწორედ მისი „შეუზღუდველობის“ წყალობით იქმნება „ჭეშმარიტი სემანტიკის“ ემოციური სემანტიკისაკენ გადასვლის წინაპირობა. ეს უკანასკნელი მიუთითებს შეფასებით-ემოციურ დამოკიდებულებაზე, რომელიც ემყარება აღსანიშნის გამოხატვას მის

ასოციაციურ-ხატოვან აღქმასთან ურთიერთქმედებაში.

არანაკლებ პროდუქტიული აღმოჩნდა ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული იდიომებისა და „ანიმალისტური სომატიზმების“ კვლევა ქართულ ენაში, სადაც ნათლად გამოიკვეთა მათი ექსპრესიულობა და ემოციური მოდუსი. რეალიამ „კუდი“ წარმოგვიდგინა იდიომთა მთელი სპექტრი როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ენაში.

იდიომის „**კუდის ამოძუება**“ პირდაპირი მნიშვნელობაა კუდის მოკუმშვა მუცლისაკენ; ცხოველის პოზა ამ შემთხვევაში ასოცირდება შერცხვნილ, გაწბილებულ, დამარცხებულ გაქცევასთან, „კუდი ყავარზე აქვს გადებული“ — მედიდურობასა და კუდაბზიკობასთან, „კუდი ეწვის“ — ადამიანთან, რომელიც დანაშაულის გამომჟღავნების შიშმა შეიპყრო, „კუდამდე ტყავის გაძრობა“ შავი დღის დაყრასა და გაყვლეფაზე მიანიშნებს.

იდიომით „**კუდით ქვა ასროლინა**“, შინაგანი ფორმის მიხედვით თუ ვიშკვლეობთ, იგულისხმება, რომ როცა ცხოველი ჩქარა მირბის, კუდს ისე ძლიერად აქნევს, რომ, ქვევს იქით-აქეთ ისვრის ხოლმე, რაც ვინმეს სასტიკად დამარცხების შემთხვევაში გამოიყენება და ნიშნავს: გააქცია, თავიდან მოიშორა, გამოეკიდა, აჯობა, დაამარცხა; „**კუდის გამობმა**“ — კუდი აქ ნახმარია მიმსგავსებით, ანალოგიით. როგორც ვიცით, კუდი ოთხფეხის სხეულს მობმული აქვს, გამოშვერილია უკან ისე, რომ ძალაუღებურად იქცევეს ადამიანის ყურადღებას. მეტიჩარა, შარიანი, აბეზარი კაცი თხილის ნაჭუჭის საღირაალ საქმეს თუ სიტყვას გაბერავს, გააზვიადებს, რწყილს დააწვენს და აქლემს ამობინებს, უკუდოს — კუდს გამოაბამს (სახოკია, 1965, გვ. 220). როგორც ვხედავთ, „**კუდის გამობმა**“ ვინმეს ნათქვამის ან ნამოქმედარის ცუდად და განზრახ მიმატება-გაზვიადებად მოიაზრება, „**კუდით გარეთ დარჩენა**“ კი — ხიფათისათვის თავის დაუღწევლობაზე; „**კუდი კუდსა აქვთ გადაბმული**“ ერთმანეთის მხარდაჭერისა და შეკავშირების სიმბოლოდ აღიქმება, ოღონდ უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობით.

თუ რაელია „ფრთა“ იდიომებში „ფრთების გამოსხმა“, „ფრთების გაშლა“ აღტაცებისა და გაძლიერების მიმანიშნებელია, „ფრთების მოკვეცა“, „ფრთების შეკვეცა“ პირიქით შეზღუდვას, შეწყვეტასა და ბოლოს მოღებას გულისხმობს.

იდიომში „ჭიანჭველას ფრთები გამოუვიდა“ — „ფრთა, სავალალო შედეგზე მიანიშნებს: დაიღუპა, ვერაფერი უშველეს, ხოლო

იდიომში „სანამ ყვავსა და ყორანს ფრთებზე არ დაეკიდებით“, ფრთა დასამალავი ამბის გახმაურების სიმბოლოდ წარმოგვიდგება.

რეალია „გველი“ ქართულ ენაში ასოცირდება როგორც ბოროტებასთან („გველის ყურება“ — ბოროტი, მოღალატე, დაუნდობელი ადამიანის ცქერა), ასევე ჯადოს შემცველ ქვასთან, ნატურის თვალთან. „გველის თვალი“ როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი კონოტაციური შეფერილობითა და „ცოცხალი შინაგანი ფორმით“ წარმოგვიდგება იდიომებში: „უბეში ჩიტი უზის“ — სიმბოლო სიხარულისა და ბედნიერების და მისი ფრაზეოლოგიური ანტონიმი „უბეში გველი უზის“ — მოღალატე ადამიანთან ურთიერთობის სიმბოლო.

საინტერესოდ გამოიყურება ქართული ისეთი „ანიმალისტური სომატიზმები“, როგორიცაა „**მგლის მუხლი გამოიბა**“; ცნობილია, რომ მგელმა ძალზე სწრაფი სირბილი იცის. ამიტომაცაა რომ ვინმეს ჩქარ სიარულს უტოლებენ ხოლმე მგლის სირბილს. ამდენად, ზემოხსენებული იდიომი სწორედ **სისწრაფეზე** მიანიშნებს. როგორც ცნობილია, მგელმა ყურის მიყრუება იცის. აქედან გამომდინარე „**მგლის ყურის გამობმა**“ — სწორედ ისეთ ადამიანზე ითქმება („მგლის ყური გამოიბა“), რომელიც თავს ისე აჩვენებს, თითქოს არაფერი ესმოდეს. „ძაღლის ყბა გამოიბა“ — ყბედი, ენაგატლეკილი ადამიანის სიმბოლოდ მოიაზრება.

მაშასადამე, ანიმალისტური სომატიზმების გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ ცხოველთა სამყაროს ენობრივ სურათში ვერბალური მოქმედების აღნიშვნისას ფიგურირებს „ენის“ გააზრების ორი ტიპი: ენა, როგორც არასულიერი, მეტყველების ინსტრუმენტი და ენა, როგორც გასულიერებული არსება. შინაგანი ფორმა ამდიდრებს ფრაზეოლოგიური ერთეულების შეფასებით სტრუქტურას ემოციური შეფასების ახალი ტიპით.

ლიტერატურა

**სახოკია, 1965** — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1965.

**ჰუმბოლდტი, 1984** — Áóíáíēäò Á. öíí. Í ðàçèè÷èè ñòðíáíēÿ ÷áéíáá÷áñēèð ÿçúéíá è ááí áēèÿíēè íà áóðíáíá ðàçáèðèá ÷áéíáá÷áñòáà; Èçáðáííá òðóáí ñ ÿçúéíáíēð. Ì., 1984.

**ლაკოფი, 1987** — Èäéíðò Äæ., Äæíñíí Ì., Ìáðáòíðú, éíðòñúè ìú æèááí; Ñçúé è ñááèèðíáíēá ñíðèàéííáí áçàèíááñòáèÿ. Ì., 1987.

**ეოლი, 1984** — Äéü È. È. Ìññü. Ñéíáí. Ìáðáòíðú; Ìðíáéáà ñáíáíòèèè á òèéííòñéíí ñáááíáíēè. Èèáá, 1984.

**შახნაზაროვიჩი... 1991** — Øàðíàçáðíáè÷ Ä. Ì., Äðáòíáà Õ. Ä., ×áéíáá÷áñēèè òáèòíð á ÿçúéá; Ñçúéíáíá ìáðáíēçú ÿéñíðáññēáññòè. Ì., 1991.

Òðáíóóçñéí-ðñññèè òðàçáíēíáè÷áñēèè ñéíááðú. Ì., 1963.

NATO SURGULADZE

### The Inner Form as an Effective Means of Conveying Emotive Mode and Expressiveness in French and Georgian

#### Summary

As is known, the expressiveness of the inner form in idioms is conditioned by their strong metaphoric images. The paper argues that animalistic idioms show most clearly the mechanism of creating expressiveness by means of the inner form. The study is based on animalistic somatisms (like: tail, paw, wing, beak, skin, fur, feather etc.). Animal somatisms seem to present scenes from animal life. Linguistic creativity and the principle of analogy make it possible to ascribe animal features to human beings and convey their emotional state.

The study has proved that in French as well as in Georgian animal somatisms are productive means for conveying expressiveness and emotive mode. In both languages the motivation of idioms is based not only on the figurative use of language but also on symbolization which is not directly connected with metaphoric perception of the world.

მანია ღარასელია

### მეტაფორის კოგნიტიური თეორიის თანამედროვე მდგომარეობა

მეტაფორის შესწავლაში კოგნიტიური პარადიგმა ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული სფეროების სპეციალისტების — კოგნიტიური ლინგვისტების, ფსიქოლოგების, ლოგიკოსების, ხელოვნური ინტელექტის თეორეტიკოსების — გამოკვლევათა კონსოლიდაციის შედეგად. ამჟამად ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ ისეთი რთული და მრავალსპექტრული ფენომენის შეცნობა და ადეკვატური გაგება, როგორცაა მეტაფორა, შეიძლება მხოლოდ დისციპლინათა გზავსასყარზე.

მეტაფორის ყველა კოგნიტიური თეორიის საფუძველს შეადგენს მეტაფორის, როგორც ენობრივი მოვლენის წარმოდგენა, რომელიც ასახავს მის საფუძვლად არსებულ ანალოგიის კოგნიტიურ პროცესს. კოგნიტიური მიდგომის თვალსაზრისით მეტაფორა განიხილება, როგორც ანალოგიური პროცესების ენობრივი რეპრეზენტაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება ცოდნის ერთი სფეროდან მეორეში გადატანის დროს.

„ბოლო წლების გამოკვლევათა შედეგები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მეტაფორა აქტიურად მონაწილეობს სამყაროს პიროვნული მოდელის შექმნაში, თამაშობს უკიდურესად მნიშვნელოვან როლს ადამიანის ვერბალური და მგრძნობელობით-ხატოვანი სისტემების ინტეგრაციაში და წარმოადგენს ძირითად ელემენტს ენის, აზროვნებისა და აღქმის კატეგორიზაციაში“ (პეტროვი, 1990, გვ. 135).

მაშინ, როცა აარტი და კალბერტი (აარტი, კალბერტი, 1979) თავიანთ ნაშრომებში ამტკიცებდნენ მეტაფორისადმი სემანტიკური მიდგომის არასრულყოფილებას, ჯ. ლეიკოფი თანაავტორებთან ერთად (იხ. ლეიკოფი, 1977, 1986 a, b, 1987 a, b, c; ლეიკოფი, ჯონსონი, 1980, 1981; ბრუემანი, ლეიკოფი, 1988; ლეიკოფი, ტერნერი, 1989) — წარმოადგენენ მეტაფორის ლინგვისტური თეორიების კონცეპტუალურ ანტითეზას, აკეთებენ რა აქცენტს მეტაფორის, როგორც ასეთის, კოგნიტიური როლის შესახებ. ჯ. ლეიკოფი აკრიტი-



კებს გენერატივისტების ლინგვისტური გამოკვლევების მიმართულებას, რომლებიც ნ. ხომსკის მსგავსად ენის ტრანსფორმაციული მოდელის ფარგლებში განასხვავებენ ცოდნას (competence) და ენობრივ ქმედებას (performance) და მიიჩნევენ მეტაფორას სტერილიზებულად და უნაყოფოდ. ლეიკოფს მეტაფორიზაციის პროცესში შემოჰყავს სუბიექტი, რომელიც მიეკუთვნება განსაზღვრულ ლინგვოკულტურულ საზოგადოებას, ფლობს ცოდნას იმ სამყაროს შესახებ, რომლის ნაწილსაც თვითონ წარმოადგენს და ყოველდღიურ შეხამებაში ამ კულტურასთან და გარემომცველ რეალობასთან. (ლეიკოფი, 1987ა, გვ. 215-217, 464, 487-488, 492-493, 537-540, 556, 564). იწყებდა რა გამოკვლევებს გენერატიული სემანტიკის ფარგლებში, მან ეჭვის ქვეშ დააყენა ენის ფორმალურ მოდელში სიღრმისეული სინტაქსური სტრუქტურების პრიორიტეტულობა და ამით უარყო ნ. ხომსკის თავდაპირველი იდეა იმის შესახებ, რომ სემანტიკა წარმოიშობა, როგორც სინტაქსური კონსტრუქციების ინტერპრეტაციის შედეგი, და არა პირიქით (იხ. ლიჩი, 1990). მეორე თაობის გენერატივისტები (1960-იანი წლების ბოლო — 1970-იანი წლების შუა პერიოდი) კი ამტკიცებდნენ, რომ სიღრმისეული სინტაქსური სტრუქტურები ამაღროულად წარმოადგენენ სემანტიკურ სტრუქტურებს. მათ ჩამოაყალიბეს წესთა ერთიანი სისტემა, რომლის მიხედვითაც სემანტიკური სტრუქტურა შეფარდებული იყო ზედაპირულ სტრუქტურასთან შუალედური ეტაპების გავლით. ეს ეტაპები წარმოადგენენ სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურების განუყოფელ ერთიანობას, რაც იმას ნიშნავდა, რომ სიღრმისეული სტრუქტურების აღნიშნული ორი ტიპი ეფექტურად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, მაგრამ „გენერატიული პოტენციალი“ მოთავსებულია სემანტიკურ და არა სინტაქსურ კომპონენტში (ჩეიფი, 1967; ლეიკოფი, 1968; მაქკოლი, 1968, 1977).

ფორმალისტებისათვის, რომლებიც თავიანთ ძირითად ამოცანად განიხილავენ აბსტრაქტული ენობრივი საქმიანობის გამოკვლევას თვით მოქმედებისაგან (ადამიანი, ენობრივი ინდივიდი) განყენებულად, პოზიციის ამგვარ ცვლილებას არ მოჰყოლია სერიოზული ემპირიული შედეგები. თუმცა უნდა ითქვას, რომ სწორედ გენერატივიზმს უკავშირებენ ლინგვისტიკაში მეტაფორიზაციის მექანიზმების შეცნობის ახალი გზებისა და პერსპექტივების აღმოჩენას: ენობრივი მნიშვნელობა უკვე აღარ განიხილებოდა სინტაქსზე დამოკიდებულებაში, მეტაფორა კი აღარ განიხილებოდა როგორც ენის ზედაპირული სფეროსადმი მიკუთვნებული ფენომენი. .... ორი ათასწლეულის

განმავლობაში არსებობდა დოგმა, რომელიც ეჭვს არ იწვევდა, — მეტაფორა განიხილებოდა, როგორც მეტყველების ფიგურალურობა...“ (ლეიკოფი, 1986, გვ. 215).

მეტაფორის სტატუსის ცვლილებას ასევე მოჰყვა მასზე, როგორც რიტორიკულ ხერხზე, ტრადიციული შეხედულების უარყოფა, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა მოწოდებას ლინგვისტებისადმი განეხილათ მეტაფორა, როგორც სინამდვილის შეცნობისა და კონცეპტუალიზაციის, ჩვენი აზრების ორგანიზაციის სიღრმისეული კოგნიტიური წვდომის რეალიზებადი საშუალების, ჩვენი მტკიცებულებებისა და ენის სტრუქტურირების ფუნდამენტური ხერხი.

მეტაფორისადმი ინტერესი ახალი კოგნიტიური პარადიგმის ჭრილში გადაიქცა ლინგვისტური გამოკვლევების ახალ მიმართულებად. კოგნიტიური შემობრუნება მეტაფოროლოგიაში დასრულდა 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში ისეთი მონოგრაფიებისა და კოლექტიური ნაშრომების გამოქვეყნებით, როგორცაა: „მეტაფორა და აზროვნება“ (ორტონი, 1979), „შემეცნება და ფიგურალური ენა“ (ჰონეკი, ჰოფმანი, 1980), „მეტაფორები, რომლითაც ჩვენ ვცხოვრობთ“ (ლეიკოფი, ჯონსონი, 1980), „მეტაფორის ყოვლისმომცველობა“ (პაპროტი, დირვენი, 1985), „მეტაფორის კოგნიტიური თეორია“ (მაკკორმაკი, 1985) და სპეციალური ჟურნალის დაარსებით „მეტაფორა და აქტივობა“. ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომებს შორის უნდა აღინიშნოს კიტეი, 1987; ლევინი, 1988; სოსკიჩი, 1988; ვინერი, 1988; ლეიკოფი, 1987; ტერნერი, 1987; ჯონსონი, 1988; კოცესი, 1988; ლეიკოფი, ტერნერი, 1989; ინდურხია, 1995; ასევე „მეტაფორისა და აზროვნების“ მეორე გამოცემა (ორტონი, 1993).

ამ ნაშრომებში წამოყენებულ მეტაფორის მეტად განსხვავებულ კოგნიტიურ თეორიებში ძირითადია დებულება ენის „სიღრმისეული“ და „ზედაპირული“ სტრუქტურების შესახებ, ანუ მეტაფორის, როგორც ენობრივი მოვლენის წარმოდგენის შესახებ, რომელიც ასახავს ბაზისურ კოგნიტიურ პროცესს. მაგალითად: ჯ. ლეიკოფი და მ. ჯონსონი (1980) იძლევიან კონცეპტუალური და ენობრივი მეტაფორის ურთიერთდაპირისპირებას (metaphor as a mode of thought vs metaphor as a mode of speech); ჯ. მარტინისა და რ. ჰარის (1980) ნაშრომში ლაპარაკია მეტაფორისა და აზროვნების შინაარსის ურთიერთკავშირის მექანიზმის ამხსნელ არაენობრივ ანალოგზე. ე. მაკკორმაკი (1985) მეტაფორის წარმომქმნელი კოგნიტიური პროცესის სამ დონეს გამოყოფს, ესენია — (ა) ზედაპირული ენა, (ბ) სემანტიკა და სინტაქსი,

(გ) შემეცნება; ე. კიტეი (1987) მეტაფორულ გადატანას განიხილავს როგორც მეტაფორის გამოხატულებისა და შინაარსის დონეს და ხსნის სამი ტიპის — ლოგიკური, სემანტიკური და შინაარსობრივი ველის არსებობით.

ლიტერატურა

**პეტროვი, 1990** — *Íáððíá, Íáðáðíððá: ðð ñáíàððè÷-áñèèð ððááñðàáèáíéé ê êíáíðèðèáíñð áíáèèçó // Áíðíñú ýçúêíçáíéý. 1990, 13.*

**ბრუგმანი, ლეიკოვი, 1988** — Brugman C., Lakoff G., Cognitive topology and lexical networks // Lexical ambiguity revolution/ Small S., Correl G., Tannenhaus (eds). Morgan Kaufman, Palo Alto, CA, 1988.

**კიტეი, 1987** — Kittay E. F., Metaphor: Its Cognitive Force and Linguistic Structure. Oxford: Clarendon Press, 1987. 235 p.

**ლეიკოვი, 1986ა** — Lakoff G., A figure of thought// Metaphor and Symbolic Activity. 1986a No.1.

**ლეიკოვი, 1987ბ** — Lakoff G., The death of dead metaphor // Metaphor and Symbolic Activity. 1987b. No.2.

**ლეიკოვი, 1987ა** — Lakoff G., Image metaphors. // Metaphor and Symbolic Activity. 1987a. No.2.

**ლეიკოვი, ჯონსონი, 1980** — Lakoff G., Johnson M., Metaphors We Live By. Chicago: University of Chicago Press, 1980.

**ლეიკოვი, ჯონსონი, 1981** — Lakoff G., Johnson M., The metaphorical structure of the human conceptual system // Perspectives on cognitive science / Ed-d by Norman D. 1981.

**ლეიკოვი, ტერნერი, 1989** — Lakoff G., Turner M., More than cool reason: A field guide to poetic metaphor. Chicago: University of Chicago Press, 1989.

**ლეიკოვი, 1987ა** — Lakoff G., Woman, Fire, and Dangerous things. What Categories Reveal about the Mind. Chicago and London: University of Chicago Press, 1987a.

**ლეიკოვი, 1992** — Lakoff G., Metaphor and Thought / Ed-d by A. Ortony Cambr. univ. Press, 1979, 1992.

MAYA DARASELIA

## Theoretical Aspects of Studying Metaphors

### Summary

The paper discusses the cognitive theory of metaphor. The cognitive approach considers the metaphor an essential means for the verbal representation of the process of analogy which makes it possible to transfer one sphere of knowledge to another.

## ნათალა ფიჭვიშვილი

## სომატურ ფრაზეოლოგიზმთა დიფერენციაციის საკითხი

(იტალიური, რუსული და ქართული ენების მასალაზე)

ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც შეიცავენ სომატიზმებს ანუ ადამიანის ტანის ნაწილებს (ბერძნული სიტყვიდან — „soma“ — „ტანი“) იტალიურ, რუსულ და ქართულ ენებში საკმაოდ დიდ ჯგუფს წარმოადგენენ და გამოირჩევიან გამოყენების სიხშირით საყოფაცხოვრებო-სასაუბრო ლექსიკაში. ფრაზეოლოგიზმების ეს ტიპი დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ, საკვებ-გადაამუშავებელ, ფსიქიურ და გონებრივ მოქმედებებთან. ნაშრომის ბაზას წარმოადგენს ჩვენ მიერ იტალიური, რუსული და ქართული ენების სომატურ ფრაზეოლოგიზმთა მასალაზე შექმნილი უზარმაზარი კარტოთეკა.

მაგალითად: (იტალიურ ენაში) — „**avere la bocca chiusa** (ან **cucita, tappata**)“ — გაჩუმებამდე, არაფერი თქვა; (ქართულ ენაში) — „**ენაზე კბილს დაადგამს, ენას კბილს დააჭერს**“ — გაჩუმდება, არაფერს იტყვის; (რუსულ ენაში) „**âáðæàðü ÿçüê çà çóáâüê**“ — გაჩუმდება, არაფერს იტყვის; „**chiudere gli occhi su q. c.**“ — განგებ არ დაინახავს, არ შეამჩნევს, წაიყრუებს; უგულვებელყოფს; „**თვალებს იბრძავებს**“ — განგებ არ დაინახავს, არ შეამჩნევს, წაიყრუებს; უგულვებელყოფს; „**çàêðüââüü äëçà íà ÷ðí, çàêðüüü äëçà íà ÷ðí**“ — განგებ არ დაინახავს, არ შეამჩნევს, წაიყრუებს; უგულვებელყოფს; „**sulle labre di tutti**“ — ყველას ენაზე ეკეროს, ხშირად იმეორებენ ერთსა და იმავეს; „**ენაზე აკერია, არ სცილდება**“ — წარამარა ახსენდება, ხშირად იმეორებს ერთსა და იმავეს; „**îâ öñðâö**“ — 1. წარამარა ახსენდება, ხშირად იმეორებს ერთსა და იმავეს; 2. ვიღაცას ენაზე ადგას, მზად არის წარმოსათქმელად; „**montarsi la testa**“ — განუყრელად თან სდევს რაიმე აზრი, იღვას; „**ტვიზის უღრღის**“ — რაიმე ფიქრი აწუხებს, ადარდებს, მოსვენებას არა აძლევს; „**ñëââüü ââíçââü â âíçââ**“ — განუყრელად თან სდევს რაიმე აზრი, იღვას; „**mettere** (ან **cacciare, ficcare**) **il naso in** — ერევა (სხვის საქმეში); „ცხვირს ჰყოფს“

— ერევა (სხვის საქმეში); „**ññââüü <ññâê> ññ êóââ, âí ÷ðí**“ — ერევა (სხვის საქმეში);

აღნიშნული ფრაზეოლოგიზმები ძალზედ ღრმად, მრავალფეროვნად და ზუსტად ასახვენ ადამიანის როგორც დათრგუნულ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას, ასევე გამოხატავენ მის დადებით ემოციებს. სომატური ფრაზეოლოგიზმები უხვად გვხვდება ლიტერატურულ ნაწარმოებებში. მაგალითად: „**fare una faccia lunga come la quaresima**“ — იყო ძალიან დაღვრემილი, დაღონებული, დადარდინებული. „**ma e' chiaro che anche tu sei un malcontento, altrimenti non faresti quella faccia lunga come la quaresima**“ (A. Moravia, "Gli indifferenti"); „**თავ-პირი, ცხვირ-პირი ჩამოსტირის**“ — ძალიან დაღვრემილია, დაღონებულია, დამწუხრებულია, სულიერადაა დაცემული. „კაცო თავ-პირი რას ჩამოგტირის? ხმა ამოიღე, — შესძახა ვანომ ზალიკასა“ (ი. ელფერიძე, „ნაწყვეტები“, ივერია, 1903, № 1). „**ñââèâüü ññññâ ìèèí**“ — ძალიან დაღვრემილია, დაღონებულია, დამწუხრებულია, სულიერადაა დაცემული. „**Avere il cuore leggero**“ — შვებას იგრძნობს, შვებით ამოისუნთქავს. „**Il Foschieri entro e si sentì il cuore leggero come se ritrovasse la sua casa**“ (V. Brocchi, "I tempi del grande amore"). „**გულზე მოეშვება**“ — შვებას იგრძნობს, შვებით ამოისუნთქავს. „მაგრამ მაინც რაღაც გულზე მოეშვა, როცა ტასიას სიტყვები გაიგონა“ (ლ. ქიჩელი, „გვადი ბიგვა“). „**Èlàîáü ñ äóøè (ñ ñâðâö) ñââèèèñý ó èíâí**“ — შვებას იგრძნობს, შვებით ამოისუნთქავს. „**B ðâñîððâ ñâðâèè, êðññ Çâââðâ, ñóíðóâè Êâððîèèí, Óââèí è Ñâîâñââðîðè. Ó âñâò èâîâüü ñââèèèñý ñ äóøè, - Àâíèüö Çâââð âúè óâè, ââñâè è ñèí áóðñüò ðèâññ (À. Í. Ôíèüñðîè, "xâðñâý ÿðèèöâ).**“ "Non muovere un dito" — უსაქმურად არის; არაფერს აკეთებს, არ მუშაობს, ზარმაცობს. "Ogni tanto guardavo la macchina da scrivere e mi dicevo che dovevo riprendere il lavoro, ma non ci riuscivo e non muovevo un dito". (A. Moravia, "Il disprezzo"). „ხელს(აც), თითსაც არ გაანძრევს, გაძრავს, გაიჭნევს“. — უსაქმურად არის; არაფერს აკეთებს, არ მუშაობს, ზარმაცობს. „ბაბაღეს ამ საქმისათვის თითიც არ გაუძრევია“ (ი. გელვეანიშვილი). „**Ïâèâö î ñâèâö íâ öââðèöü**“ — უსაქმურად არის; არაფერს აკეთებს, არ მუშაობს, ზარმაცობს. „(Îâððâ:) **Âñþ íâââèþ ïè÷ââí íâ ââèâè, ñâèâö î ñâèâö íâ öââðèè, ñâèí ðíèüèí ââçñâðâçèâì çâèèâèñý.**“ (Îñððñâèèè, „Ïââîèèèö“).

„**Avere la bocca chiusa**“ — გაჩუმდება, არაფერს იტყვის. "Oggi devo dire al babbo che sei stato molto maleducato! Eh si, ha ben ragione il

babbo quando dice che le donne non sono capace **di tenere la bocca chiusa!**" (M. Moglia, "La 1500 piu' belle barzellette"). **„ენაზე კბილს დაადგამს, ენას კბილს დააჭერს“** — გაჩუმდება, არაფერს იტყვის“.

„— ოჰ, შენი რჯული, კაი კაცი არც შენ ყოფილხარ.“

— აა, ეგენი არ იყოს, **ენას კბილი დააჭირე**“ (შ. დადიანი, „გვირგვინოვანი ოჯახი“). **„Ääðæðü ýçüé çà çóááìé“** — გაჩუმდება, არაფერს იტყვის; „Äðñððð Òääðíáé÷ ýññí óáéääé, ÷ðí éóíóü, ñáðý÷-ééé è íðèòèáíðè, éíðíðü ñððíáí ñáíèñáí áúéí äáðæðü ýçüé çà çóááìé, íá ñääðæéääé ñáíááí íááüáíéý è ìðíððóáéèè í ááí ááéá ñí áñáò ×áðñðýæñéó“ (Äðæíðíáé÷, "Íðñáéí÷-íá äíðíáé"). "Fare il labbro" — იუკადრისებს რაიმეს, უკმაყოფილო გახდება ვისიმე; **„ტუჩებს აპრუწავს, აბრიცავს, აიბზუებს, აიბზიკავს“** — იუკადრისებს რასმე, უკადრისობა გამოეხატება სახეზე; არ მოეწონება, უკმაყოფილო გახდება ვისიმე, უკმაყოფილებას უჩვენებს ვისმე, აუხირდება. „ესენიც იშვიათად დალიოდნენ ოქროსთან, რადგანაც ერიდებოდნენ მაკინეს, რომელიც **ტუჩს უბზუებდა** მათ“ (ა. ერისთავ-ხომტარია, „მოლიბუღ გზაზე“).

**„Íááóü áóáú“** — გაბრაზდეს, გქონდეს უკმაყოფილო სახე, გეწყინოს რაიმე, „(Íáðàð) Òü çíááøü éóçéíá, ó íáñ áúé á÷áðà Ááééíñéé... Íðáéñðü, éáè òíðíð, óíáí è èðááçáí. Áíð óæ íá íááóáð áóáú! Éàè áíñéðáí, òí÷-ñí áóáòí áñþ æéçíü ìðíááé ìðè ááíðá!“ (Í. Ð. Èáðñíóíá, "Ñððáííúé ÷-áéíááé“).

**"Far rizzare i capelli"** — გაცეცების, გაოვნების, შიშის განცდა; "Mandolia .... ha detto le cose da **far rizzare I capelli**" (L. Sciascia, "Il giorno della civetta").

**"Áíéíñü ñðáñáýòüñý (áñðáþð, ñáíéíáþðñý) áñáñí ó éíáí“** — მეტისმეტად შეეშინდება, შეძრწუნდება, შიშის განცდა.

"- Óðò ó íáðááí áíéíàðáéüíñáí ñéóðáðáéý áíéíñü ñáíýéèñü áúáñí, ñí ñððáðñí íáíðíðéèñý ñí íáçáá è óáéääé, ÷ðí áí÷-éà ááí è íáððáíé ñííéíéí ñòíýéè, íáíýáðéñü è íáíáááý áððá áððáó éàééá-òí èðáíáíñá ñéáçéè“ (Áíáíéü, "Ñíðí÷-éíñéáý ýðíáððéá"). **„თმა ყალყზე უდგება, აებურძღვება“** — მეტისმეტად შეეშინდება, შეძრწუნდება. **„თმა ყალყზე უდგება** კაცს, როდესაც სურათებზედ ჰხედავს: თუ როგორის თავგანწირულობის იერიშით მიდიან შიშველ ტანზე ფარაფარებული სუდანელები ინგლისელების თოფების წინააღმდეგ“ (ვ. ჭელიძე, „ცხოვრება ივ. მაჩაბლისა“).

**"A bocca aperta"** — მეტისმეტად გაუკვირდება რაიმე, გაოცდება, განცვიფრდება. "Le mie sorelle stavano a guardare **a bocca aperta**, non senza invidia, mentre io mi preparavo al giorno della nozze" (C. de la Mora,

"Una donna di Madrid"). **„პირლია დარჩება“** — მეტისმეტად გაუკვირდება რაიმე, გაოცდება, განცვიფრდება. „მახარე განცვიფრებისაგან **პირლია დარჩა**, როდესაც ვერხვს შეხედა“

(შ. არაგვისპირელი). **"Íððáçááàòü (ñðáñéðñü) ðèü ñððáçéíóðü (ñðáñéðñü) ðèü“** — მეტისმეტად გაუკვირდება რაიმე, გაოცდება, განცვიფრდება. "Íáíáíñéé è èíáíéíáí òáéóþ ðáòáþ ññððáéèè, ÷ðí ñü òéíüéí **ðèü ðáçéíóéè**: è èç ìèðéíáéè òàí ó íááí è íóçü éáðáþ" (Áíñòíááñéé, "Ñáéí Ñðáíáí÷-áíéíáí è ááí íáéòáðáéè"). "Non levare gli occhi di dosso" „თვალევი ვინმეზე (რამეზე) რჩება“ — თვალს არ აშორებს, თვალს ვერ აშორებს, ძალიან მოსწონს; „— In tutto il tempo di questo colloquio io non lo ho mai **levato un momento gli occhi da dosso**" (P. Fanfani, "Cecco d'Ascoli"). — თვალს ვერ აშორებს, ძალიან მოსწონს. „თემში რომ გამოვიდოდა, მანდილოსნებს მასზედ **რჩებოდათ თვალი**“

(გ. წერეთელი, „მამიდა ასმათი“). **"Íá ìððñááòü (íá ìðáíáèòü) áéèç, íá ñáíáèòü áéèç“** — თვალს ვერ აშორებს, ძალიან მოსწონს. "Íñáíééíáíéé **íá ìððéááé áéèç ìò éàððü**. Çáííá íðíððáíñóáá áñ ñí íáíáíáíñü íá íéð ñíéíáíéè ÷-áñðáé àèáéçéè áúáéýááéè ñ÷-áñü ñððáíñ“ (Ý. Èàçáéááé÷, "Çááçáá“).

მოცემულ სომატურ ფრაზეოლოგიზმებზე მუშაობისას მოგახერხეთ მათი დაყოფა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ჯგუფებად:

1. სომატური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც შეიცავენ ორ ერთნაირ სომატიზმს, ანდა უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვა სომატიზმებს:

"gomito a gomito" — ახლოს, გვერდიგვერდ. "Cara, noi lavoriamo **gomito a gomito** e, da anni, ci diamo del tu" (G. Marotta, "Le milanesi“).

**„მკერდი-მკერდ“** — ძალიან ახლოს. **„მკერდი-მკერდ“** მებრძოლი ორი ჯგუფი ძალღონეს არ ზოგავდა“ (ი. ევლოშვილი, „საწყალი ბიჭიკო“).

**"Èèòí á èèòí“** — ახლოს, გვერდიგვერდ. "Íá çááóááí èð, **Èèòí á èèòí** Àéáááðèè è æéçíü, È ñáððü, È ñéááó, íá çááóááí Íáðèð ìáððááóíá, Ìñ ìá ýòí Íá èíááí ìðááá!“ (Í. Ñááðéíá "Íýòíááóáòü éáð ñíóñðý“).

**"(tutto) Pelle e ossa“** — ძალიან გამხდარი. "Anche costei, al vedere la sua creatura che diveniva **pelle e ossa**, era diventata come una gatta che le si vogliono rubare i figlioli: (G. Verga, "Mostro - don Gesualdo“).

**„გაძვალტყავებული“** — ძალიან გამხდარი. „ერთი ახმახი და იმდენად **გაძვალტყავებული**, რომ სული სად ედგა, არ იცოდა“ (დ. შენგელია „წითელი ყაყაჩოები“).

**"Íáíá éíæà áà éíñòè“** — ძალიან გამხდარი. "Èáéíé ðü òíáíé? Íñáéýáè ìá ñááý; **éíæà áà éíñòè**. Óíðááü áððá“ (Á. Í. ×áóíá "Íá÷-ðá“).

2. სომატური ფრაზეოლოგიზმები რომელთა წყაროს წარმოადგენენ ნივთიერებები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირებასა და განვითარებას:

"Il sangue fece (ან diede) un tufo, il sangue gli montò nella testa" — მეტისმეტად გაბრაზდება, გაშმაგდება; გაოცდება. "E infatti, come la scorsi di lontano, il sangue mi diede un tufo" (A. Moravia, "Racconti romani"). „სისხლი თავში აუვარდა“ — მეტისმეტად გაბრაზდება, გაშმაგდება; გაოცდება. „უზმას სისხლი თავში აუვარდა ამ სანახაობაზე“ (შ. დადიანი, „გიორგი რუსი“). "Èdîâu áðîñèèàñü (èìíóèàñü, óääðèèà) â âîîíáó" — "Èdîâu èèíóèàñü Àààèò à âîîíáó, íí ðâîîðîñ ïîðîðèèè ðîîíáóð èèèèò è íáäîñüàè èñîîíáíèà; íí âîîíá áñè æääòü" (I. P. Èðîîñîîâ, "Àààè").

3. სომატური ფრაზეოლოგიზმები, რომელთა წყაროს წარმოადგენენ ადამიანის ნერვული და გულსისხლძარღვთა სისტემის ელემენტები. მაგალითად: "Farsi (del ან il) cattivo sangue (farsi il sangue amaro) — აღელდება, გრძნობა მოერევა, გაბრაზდება. "De Angelis disse, conciliante: basta, mettiti a sedere, non facciamo cattivo sangue". (A. Moravia, "Racconti romani"). „სისხლი (მაჭარივით) აუღუღდება“ — აღელდება, გრძნობა მოერევა, გაბრაზდება, „— რა ვუყოთ, შენს წლებში სისხლი მაჭარივით დულს“ (კ. ლორთქიფანიძე, „იმერეთი“) "Íððèòü ñááá èðîíü, Èñîððèòü ñááá èðîíü" — "Áÿâóðèà! Áü ñáðèèðîñü,? \_ ñèàçàè Àèàèñáíáð... \_ ... Ñ ÷âîî ðü ýòí áçýè? Èç ÷âîî ÿ ñòàòò ñááá ïððèòü èðîíü? è íá äòíàè ñáðèòüñý" (Áîñ-àðîâ, "Íáüèñááííáÿ èñòîðèè").

4. სომატურ ფრაზეოლოგიზმთა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ქცევის მანერასთან (ქცევასთან): "a testa alta" — ამაყად. «— Sai che io potrei dargli il mio nome. \_ Gli daremo il mio, e ne faremo un uomo che sappia portarlo a testa alta" (R. Bacchelli, "La città degli amanti"). „თავი მაღლა უჭირავს“ — ამაყად იქცევა. „გაქერბებული მოხუცი იხტიბარს არ იტყვია. სულ მაღლა ეჭირა მთლად თეთრად შებუმბულთა თავი“ (თ. გოგოლაძე, „ტირიფონაზე“). "Çààèðòü (áðòü, ñáíèòü) ïñ" ამაყად იქცევა, ამატყვანობს. — "B íâ ïñîðòð íá èàèíáí-íèáóü äîîíáó. ðòí íí äòíáð, ÷òí íí äîîíáà, ÷òí íí íáèèááð èðááè íá íðòçá òîîíáíð äîîíóð, ðàè è ïñ ñáíÿè (Áíáíèü, "Íàèñèàÿ ï÷-ü, èèè Óòîñáííèèà"). "Leccarsi i piedi" — მლიქვნელობას დაუწყებს, მლიქვნელობით ფეხქვეშ ეგება. "Ma sì, ma sì: anche servire, anche piegarsi, anche leccare i piedi se era necessario" (M. Puccini, "Ebrei"). „ფეხს, ფეხ-

ებს აულოკავს“ — მლიქვნელობას დაუწყებს, მლიქვნელობით ფეხქვეშ ეგება. „— ეს რა გამაგონე, კაცო. ჩემს მიცვალებულ მამას და ბაბუას მივაფუტხო და ტარასიას ულოკო ფეხები?!“ (კ. ლორთქიფანიძე, „იმერეთი“). "Èèçàòü ññàè (ÿðèè, ðèèè) èñò, ó èñáí" — მლიქვნელობას დაუწყებს, მლიქვნელობით ფეხქვეშ ეგება. " (Íàðèððà) áñè äòîñáñ ïñáèáí ïñ áðòòð. Íí ýòí èñáí èñîîñüçíáàè äîîñèááñòàèè, äñáíáÿ ñááÿ çâ "áðòà" ïðòðèà íáíóáá è äòíáíá, èíðòü ïí äñá á÷ðà èèçàè ÿðèè" (I. Íòðîñáíèèè, "Díæááííèà áóðáè").

5. ძალზედ საინტერესოა სომატურ ფრაზეოლოგიზმთა ჯგუფი, რომელთა წყაროს წარმოადგენენ წამონაზარდები ან ამონაზარდები ადამიანის სხეულზე (მაგ.: წვერ-ულვაში, ბალანი). მაგალითად: "Strapparsi i capelli" — ძალიან გამწარდება, მეტისმეტად შეწუხდება, სანანებელი გაუხდება. "Ntoni, poveretto, finche' c'era stato bisogno, era corso di qua' e di la' senza fiato, e s'era strappati i capelli anche lui" (G. Verga, "I Malavoglia"). „თმას, თმებს, წვერს (და) იგლეჯს“ — ძალიან გამწარდება, მეტისმეტად შეწუხდება, სანანებელი გაუხდება. „შენი გაყიდული სიმონა ცხოვრებაზე ახლა აქ არ არის... ამბობს, მალე ვნახავ და ისეთი სიყვარულით მოვიკითხავ ცოლ-შვილით, რომ თმას იგლეჯდნენ“ (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“). "Dâàòü íâ (ñááá) äîîñü" — ძალიან გამწარდება, მეტისმეტად შეწუხდება, სანანებელი გაუხდება. "Áááííèè àÿäÿ í÷âñü ñèíðò óááðîíáèè à äèóáèíó ñáíáñ ïñááèè, äòíá áñè ðáàòü íâ ñááá äîîñü, ïðîñèòü ïðîñáíèè" (Áîñòíáíèèè, "Ñáèñ Ñòáíáí-èèíáí è äîî íáèðàðèèè").

მოცემულ სომატურ ფრაზეოლოგიზმთა ჯგუფების განხილვის შედეგად ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. უმრავლესობა ზემოთ მოყვანილი სომატური ფრაზეოლოგიზმებისა (აგრეთვე კატალოგი არსებული სხვა სომატური ფრაზეოლოგიზმებისა) გამოიყენება როგორც სალაპარაკო-საყოფაცხოვრებო ლექსიკაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში. მაგალითად: "Mettere (ან cacciare, ficcare) íf naso íñ" — ერევა (სხვის საქმეში). „ცხვირს ჰყოფს“ — ერევა (სხვის საქმეში). "Ñíáàòü (ñáíè) ïñ èóää, äí ÷òí, Ñóíóòü (ñáíè) ïñ èóää, äí ÷òí" — ერევა (სხვის საქმეში).

2. მცირე რაოდენობა სომატური ფრაზეოლოგიზმებისა გვხვდება რელიგიურ ლიტერატურაში. მაგალითად: "Occhio per occhio, dente per dente" — ბოროტებას ბოროტებითვე უპასუხო. „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“ — ბოროტებას ბოროტებითვე უპასუხო.

"Oka za iêà, çá çà çóá" — ბოროტებას ბოროტებითვე უპასუხო.

3. ბევრია სომატური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც უკვე მოძველებულთა რიცხვს განეკუთვნებიან (განსაკუთრებით ეს ტენდენცია შესამჩნევია რუსულ და იტალიურ ენებში): **"Impegnarsi gli occhi"** — ყველა ღონე იხმარო, მარჯვედ **"Áèdù ÷ àëñ"** — თაყვანისცე, გამოხატო პატივისცემა, მაღლიერების გრძნობა (ვინმეს მიმართ). **„თვალში ძმარს აწურებს“** — განუწყვეტლივ ლანძღავს, შეურაცხყოფას აყენებს.

4. სამივე ენის სომატურ ფრაზეოლოგიზმებში არსებობს ჯგუფი, რომელთა შორისაც შეიმჩნევა გარკვეული იდენტურობა, მაგალითად:

"mettere (cacciare, ficcare) il naso in" — ერევა (სხვის საქმეში);

"nîñàdù ññ á ÷ ðæèá àáèà" — ერევა (სხვის საქმეში);

„ცხვირს ჰყოფს“ — ერევა (სხვის საქმეში).

5. აღნიშნული სომატური ფრაზეოლოგიზმების შესწავლისას აღმოვაჩინეთ ძალზედ საინტერესო ფაქტი, თითქმის ყველა ენის სომატურ ფრაზეოლოგიზმებს გააჩნიათ საკმაოდ მრავალფეროვანი სინონიმური რიგი. მაგალითად: **"Con la testa sul collo"** — დინჯი, გონიერი აღამიანი (სინ. „con la testa sulle spale“, „con la testa per scomessa“). **"Giocare la testa"** — თავის დადება რაიმეზე (სინ. "mettere la testa per somessa"). **"Tenere la lingua in bocca"** — იყო ჩუმად (სინ. "con le labbre cucite", "l'aqua in bocca"). **"Öàdù á ãñíáá"** (სინ. "ñ ãñíñíé", "ãñíáá íá ñá÷àð", "ññíè ñyááè áñ éáó"). **"Áóéíay ãñíáá"** — (სინ. "øæüñay ãñíáá"), **"Éóáá ãéàçà ãëýäýò"** (სინ. "éóáá ññè ñèñòð", "éóáá áñ ãàñò") „თავზე ეგლება“, სინ. „თვალის ჩინივით მოუვლის, გაუფრთხილდება“, „თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ (ა)მოისვამს“, „თვალში შესცივინებს“); **„ცხვირწინ“** (სინ.: „ორ ნაბიჯზე“, „ორი ფეხის გადადგმაზე“, „ყურის ძირში“); **„ცხვირ-პირი ჩამოსტირის“** (სინ.: „ცხვირს ჩამოუშვებს“, „ყურებს ჩამოყრის“).

ლიტერატურა

**ნაზარაიანი, 1987** — À. Æ. Íaçàðýí, "Öðàçáñéñèý ññáðáññíñ ððáñóçñéñíñ ýçúèà", Ìñéàà, èçä. "Áññøàý øéñè", 1987.

**შანსკი, 1969** — Í. Ì. Øáññèè, "Öðàçáñéñèý ññáðáññíñ ðñññéñíñ ýçúèà", èçä. "Áññøàý øéñè", Ìñéàà, 1969.

"Èòàèüýññé-Ðñññèè èðàçáñéñè-áñèèè ññíáàðü", "Dizionario - Fraseo-

logico Italiano - Russo" - Ò. Ç. ×áðáññáá, Ò. È. Ðàòèáð, Æ. Ò. Çñðüéí, Ìñéàà, èçä. "Ðñññèè ßçúè": 1982.

"Öðàçáñéñè-áñèèè ññíáàðü ðñññéñíñ ýçúèà", È. À. Áñéñáà, Á. Ì. Æóéíá, À. È. Ìñéðéñá, À. È. Òááñðñá, Ìñéàà, èçä. "Ðñññèè ýçúè", 1986.

"Ññíáàðü ððàçáñéñè-áñèèè ññíñéñíñ ðñññéñíñ ýçúèà", Á. Ì. Æóéíá, Ì. È. Ññáñðáñéñ, Á. Ò. Øéýðñá, Ìñéàà, 1987.

**სახოკია, 1979** — თ. სახოკია, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, თბ., 1979.

**ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი** — ნ. გამრეკელი, ე. მაგლობლიშვილი, თბ., 1966.

**Áðóçéññé-ðñññèè èðàçáñéñè-áñèèè ññíáàðü** — Í. Í. Æáðáèèèè, Á. À. Ìááñíáèèèèèè, Òá., 1966.

NATIA PEIKRISHVILI

**The Problem of Differentiating Somatic Idioms**

(on the material of Italian, Russian and Georgian)

## Summary

The paper presents a contrastive study of idioms connected with man's somatic parts. As a result of the analysis, the data of the three languages has been grouped as follows:

1. Idioms consisting of two (identical or mostly different) somatisms.
2. Idioms having as their source substances that stimulate the functioning and development of human organisms.
3. Idioms having at their basis elements of man's heart and circulatory or nervous systems.
4. Idioms connected with human behaviour
5. Somatic idioms having as their source a growth on man's body.

The observation has shown that in all the three languages a) most of the somatic idioms are common for both literary and colloquial styles; b) A small group of idioms is encountered in religious texts. Almost all the somatic idioms have synonymous expressions.

მანანა რუსიშვილი

**ანლაზის ერთი სახეობის შესახებ**

პარემიოლოგიური მასალის კლასიფიკაცია, მისი მრავალფეროვნებისა და, გარკვეულწილად, ამორფულობის გამო, სიძნელეს უქმნის ამ პრობლემით დაინტერესებულ მკვლევარს. ცხადია, ამით არის გამოწვეული კლასიფიკაციათა სიმრავლე და მრავალფეროვნება, რომლებშიც ხშირად ერთსა და იმავე ერთეულს განსხვავებული ადგილი მიეჩინება.

პარემიოლოგიაში არსებობს ერთეულები, რომლებიც მეტაფორულობითა და გამოკვეთილი სტრუქტურით ხასიათდება. სპეციალურ ლიტერატურაში მათი კლასიფიკაციისა და სახელების შესახებ რამდენიმე განსხვავებული აზრი არსებობს. მათ უწოდებენ „მიკროტექსტს, ციტატას“ (ცირეზე, 1969), „ველერიზმს“ (ტეილორი, 1959) საბუთად ა. ცირეზეს მოჰყავს ის, რომ ასეთი ერთეულები შეიცავენ რაიმე პირდაპირ ან ირიბად ნათქვამ აზრს, რომელიც მიჩნეულია ზოგად ჭეშმარიტებად, ა. ტეილორი კი ველერიზმად ისეთ ერთეულს მიიჩნევს, რომელიც უხეში, ზოგჯერ უწმაწური შეფერილობით გამოირჩევა და დიდაქტიკური მიზნით მისი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

ჩვენი სტატიის თემად მოყვანილი ნიმუშები ა.ტეილორის კრიტიკურიუმებს არ აკმაყოფილებს. მაგალითად, **Disse Donno Giuanne: Il fegato non e carne. Something is better than nothing -said the wolf- when he swallowed a louse.**

მსგავსი ერთეულები არსებობს ქართულშიც: „აქლემმა თქვა: ორმოცი კოზაკი გავზარდე და ტვირთი კა არცერთმა არ ჩამომაცილაო“. ან კიდევ, „თევზმა თქვა: ბევრს ვიტყოდი, მაგრამ, რა ვქნა, პირი წყლით მაქვს სავსეო“.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მათ ძირითადად ახასიათებს შემდეგი სტრუქტურა: **NV : S**, სადაც **N** ერთეულში დაფიქსირებული აზრის წარმომთქმელ სუბიექტს აღნიშნავს, რომელიც უმეტესად ცხოველი ან ფრინველია, რაც ერთეულის ალგორითულობის ხარისხს ზრდის. ზოგჯერ ამ პოზიციაში შეიძლება ადამიანიც ფიგურირებდეს;

V-აღნიშნავს ზმნას, უფრო ხშირად გვხვდება ისეთი ზმნები, რომლებიც ირიბი მეტყველების დროს იხმარება, კერძოდ, თქვა, უთქვამს, დაიჩვილა, დაიწუწუნა, ა. შ. ხოლო ფორმულის შემდეგი წევრი S კი იმ აზრს აღნიშნავს, რომელიც კომუნიკაციის დროს იმპლიციტურად გადაეცემა მსმენელს.

ასეთი ერთეულების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ისინი თავსდება ჩვენ მიერ შემოთავაზებული ანდაზის პრაგმა-სემანტიკურ მოდელში (რუსიეშვილი, 2001) კერძოდ, ამ შემთხვევაშიც გამოიყოფა ზედაპირული, ექსპლიციტური შრე, რომელზეც დაფიქსირებულია მეტაფორული აზრი; იმპლიციტური შრე, რომელზეც ფიქსირდება ერთეულის იმპლიციტური მნიშვნელობა და მისი კონკრეტული პრაგმატული მიზანდასახულება; პრესუპოზიციის დონე, რომელზეც აქტუალიზდება სამყაროს მოდელის კონკრეტული მონაკვეთი და რომელიც მოიცავს მოსაუბრეთა ფონისეულ ცოდნასაც. შესაბამისად, ასეთი ერთეულები შეიძლება ჩაითვალოს ანდაზად.

გარდა ამისა, ანდაზის მსგავსად, ასეთი ერთეულებიც იხმარება ირიბი სამეტყველო აქტის ფუნქციით, თუმცა ამ შემთხვევაში ნართაულობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ტიპური ანდაზის აქტუალიზაციის დროს. აქ, კონტექსტური აქტუალიზაციის შემთხვევაში, მოსაუბრეს მეტყველების აქტში შემოჰყავს ის, ვის გამოცდილება-საც ეთანხმება და რომელსაც იგი საკუთარი სათქმელის დასასაბუთებლად კონკრეტული პრაგმატული მიზნით იყენებს.

რაც შეეხება ამ ერთეულთა სახელდებას, ჩვენ არ მივიჩნევთ მათ დამოუკიდებელ ციტატებად, არც მათი ველერიზმთა რიცხვისადმი მიკუთვნება მიგვაჩნია მიზანშეწონილად იმის გამო, რომ როგორც აღვნიშნეთ, ველერიზმი, ა. ტელიორის მიხედვით, უხეში კონოტაციით გამოირჩევა და სწორედ ამიტომ არ იხმარება დიდაქტიკური მიზნით. (ტელიორი, 1959) ამ ერთეულების გამოყენება კი, ამ მიზნით, როგორც დავინახეთ, სავსებით შესაძლებელია. მიგვაჩნია, რომ ამ ერთეულებს შეიძლება ვუწოდოთ ანდაზა-ციტატები, რადგანაც ეს ტერმინი მათ სპეციფიკას შედარებით სრულად ასახავს.

ლიტერატურა

**ცირეზე, 1969** — A. Cirese, Wellerismes et micro-recits, Proverbium, The Ohio State University, 1969.

**ტელიორი, 1959** — A. Taylor, The Proverb, Harvard University Press, 1959.

**რუსიეშვილი, 2001** — მ. რუსიეშვილი, მეტაფორა პრაგმატიკის ჭრილში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 2001.

**MANANA RUSIESHVILI**

### **Towards One Interesting Type of the Proverb**

#### **Summary**

There is one proverbial type which, in technical literature, is often referred to as "micro- recit" or "wellerism". The author, however, classifies this type as a proverb and proposes that it should be called a "quotation proverb".



## ცირა ბარბაქაძე

რიტორიკის, სტილისტიკისა და პრაგმატიკის  
ურთიერთმიმართებისათვის

რიტორიკის მამა კვენტილიანე რიტორიკას უწოდებდა „კარგად თქმის ხელოვნებას“ („ars bene dicendi“) და „კარგად თქმის მეცნიერებას“ („bene dicendi scientia“).

რიტორიკამ გააერთიანა შემეცნების ორი სახე: ესთეტიკური და სამეცნიერო. ასეთი საწყისი იყო ეთიკა, რომელიც განარჩევდა სამართლიანსა და უსამართლოს, პატიოსანსა და უპატიოსნოს და ა. შ. მაშასადამე, რიტორიკა გახდა „სამერთიანი“: ის იყო სიტყვით დარწმუნების ხელოვნება, მეცნიერება დარწმუნების ხელოვნების შესახებ და მორალურ პრინციპებზე დამყარებული დარწმუნების პროცესი (ხაზაგეროვი, შირინა, 1999, გვ. 4).

კონდილიაკის მიხედვით, პოეტურ სტილსა და ჩვეულებრივ ენას შორის არსებულმა სივრცემ წარმოქმნა მჭევრმეტყველება, რის გამოც მჭევრმეტყველება ხან ერთს უახლოვდება, ხან — მეორეს (კონდილიაკი, 1980, გვ. 228).

ბერძნული რიტორიკის საფუძველზეა წარმოქმნილი ზოგადი ფილოლოგიური სტილისტიკა, რომელიც ტროპების თეორიასა და პრაქტიკულ სტილისტიკას ემყარება... ფუნქციური სტილისტიკა, რომელიც თანამედროვე ეტაპზე წამყვან მიმართულებას წარმოადგენს, თავისი კვლევის ობიექტს არ შემოფარგლავს სტილურად შეფერილი ენობრივი ერთეულების აღნუსხვა-შესწავლით. მართალია, იგი ამ ერთეულებს ითვალისწინებს, მაგრამ მათ განიხილავს არა როგორც მუდმივად შეფერილ ელემენტებს, არამედ როგორც დინამიკურსა და ფუნქციური დანიშნულების მქონე ენობრივ საშუალებებს, ამასთანავე ეს ახალი მიმართულება წინ წამოსწევს ენის ბუნებრივი ფუნქციონირების ობიექტური შესწავლის ამოცანას ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში, სადაც ენობრივ ერთეულთა მიზანდასახული გამოყენება განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: გამონათქვამის შინაარსი, კომუნიკაციის მიზნები, ტიპები, სიტუაციები

და სხვა (კვარაცხელია, 1990, გვ. 9).

განახლებული რიტორიკა სტრუქტურულ-სემიოტიკური პარადიგმის დომინირების პერიოდში ჩამოყალიბდა, ნარატოლოგიის ფორმირებას სტრუქტურალისტური პარადიგმის კომუნიკაციური პარადიგმით ჩანაცვლება უძლოდა წინ, რაც ენობრივი სივრციდან ტექსტობრივ სივრცეში გადასვლას ნიშნავდა. პოსტ-მოდერნისტულმა ეპოქამ კომუნიკაციურ-ტერმინოლოგიური პარადიგმა გააბატონა, რამაც სტილისტიკის ყველაზე პრაქტიკული დარგის, ფუნქციური სტილისტიკის არსებობის საჭიროება ეჭვქვეშ დააყენა (ნაკუდაშვილი, 2000, გვ. 34).

გარკვეულწილად სტილისტიკისა და რიტორიკის პრობლემები პრაგმატიკის სფეროშიც შედის. პრაგმატიკა (ბერძნ. **pragmatis**. პრაგმატოს — საქმე, მოქმედება) ენათმეცნიერებასა და სემიოტიკაში ის მიმართულებაა, რომელიც შეისწავლის ენობრივი ნიშნების ფუნქციონირებას მეტყველებაში. ტერმინი „პრაგმატიკა“ შემოიტანა ჩ. უ. მორისმა XX საუკუნის 30-იან წლებში, როგორც სემიოტიკის ერთ-ერთი ნაწილის სახელი; პრაგმატიკის გამოყოფა და ფორმირება ლინგვისტიკის სფეროში პირის იდეებით იყო სტიმულირებული. აღნიშნულ მეცნიერებას არა აქვს მკვეთრი საზღვრები, ის მოიცავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკე სუბიექტთან, აღრესატთან, მათ ურთიერთქმედებასთან კომუნიკაციის პროცესში, სიტუაციის კონტექსტთან და სხვა.

რიტორიკის, სტილისტიკისა და პრაგმატიკის სქემატური დახასიათებიდანაც კი აშკარად ჩანს მეცნიერების ამ სამი დარგის კავშირი. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს პრაგმატიკის რამდენიმე განსაზღვრა: პრაგმატიკა არის: „მეცნიერება ენის გამოყენების შესახებ“, „მეცნიერება ენის კონტექსტუალობის შესახებ“, „გამონათქვამის ინტერპრეტაციის თეორია“ და ა. შ.

ლინგვისტური პრაგმატიკა, როგორც ნებისმიერი ჰუმანიტარული დარგი, გარკვეულ ისტორიულ ფუნდამენტს ეფუძნება.

პრაგმატიკულ იდეათა ფილიაციას რეტროსპექტივაში მივყავართ, უპირველეს ყოვლისა, რიტორიკასთან. კლასიკურ სემიოლოგიაში (პირსი, მორისი) რიტორიკისა და პრაგმატიკის გაგება იდენტურია. ერთი და მეორეც შეიწავლის ნიშნის დამოკიდებულებას მომხმარებელთან. სემიოტიკური გაგებით, პრაგმატიკა და რიტორიკა წარმოადგენენ ენის თეორიის ნაწილს, რომლებიც აღწერენ ენის ფუნქციონირების წესებს კომუნიკაციის მონაწილეებთან

მიმართებაში.

პრაგმატიკისა და რიტორიკის საერთო მახასიათებლებს ბეზემენოვა და გერასიმოვი ამგვარად წარმოგვიდგენენ:

1) წარმოდგენა ენაზე, როგორც ნიშანთა სისტემაზე, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ გარკვეული მიზნებისათვის;

2) ენის განხილვა როგორც კონკრეტული მოლაპარაკის აქტისა; ენობრივი ქცევის ზოგიერთი წესის გამომუშავება კომუნიკაციის განსაზღვრულ პირობებში;

3) „სუფთა“, დესკრიფციული გამონათქვამის უარყოფა;

4) ძირითადი კონცეპტის დადასტურება — მოლაპარაკის ინტენცია (რიტორის სახე კლასიკურ რიტორიკაში), (ბეზემენოვა, გერასიმოვი, 1984, გვ. 60).

ბ. ხანსონი პრაგმატიკულ გამოკვლევებში სამ დონეს გამოჰყოფს:

**I დონე** — ინდექსური გამონათქვამების შესწავლა (ისეთი ფორმები, როგორებიცაა: მე, შენ, აქ, ახლა...), რომელთა მნიშვნელობა განისაზღვრება გამოყენების პირობებით, ე. ი. სიტუაციის კონტექსტით;

**II დონე** — გამოთქმული პროპოზიციისა და გამონათქვამის სემანტიკური სტრუქტურის ურთიერთკავშირის შესწავლა (ისეთი გამონათქვამების შესწავლა, რომელთა ნამდვილი მნიშვნელობა არსებითად განსხვავდება მათი პირდაპირი მნიშვნელობისაგან);

**III დონე** — მეტყველების აქტების თეორიის საკითხები;

„იმისათვის, რომ გავარკვიოთ, სწორად თუ არასწორად არის წაკითხული თუ გაგებული თუნდაც ერთი სიტყვა, საჭიროა მთელი ტექსტის კარგად შესწავლა“ (გინზბურგი, 1959, გვ. 287).

ლინგვისტური პრაგმატიკის ძირითადი პოსტულატი: „ენა მოქმედებაში“. ენის ფუნქციონირების ასპექტებია: პროცესუალობა, კონკრეტული სოციალური განპირობებულობა, ზეგავლენის ფუნქცია, ადამიანის ქცევის რეგულირება.

შესაბამისად, პრაგმატიკული სემანტიკის ძირითადი კატეგორიაა — აზრის კატეგორია. ე. ი. ის დამატებითი პრაგმატული შინაარსი, რომელსაც სიტყვა იძენს ენობრივი ურთიერთობის პროცესში.

ეს შინაარსი ინტერპრეტირდება ორი ურთიერთგანპირობებული მახასიათებლით: კომუნიკაციურ-პრაგმატული სიტუაციის პარამეტრები და ურთიერთგაგების ფაქტორი.

თუ სიტყვის შინაარსის საკუთრივ ლინგვისტიკური ინტერპრე-

ტაციის საფუძველში დევს მნიშვნელობა, პრაგმატიკული განმარტების საფუძველია აზრი. აქედან გამომდინარეობს ცნობილი მეტამორფოზა: „სიტყვა წინადადებაში წყვეტს სიტყვად ყოფნას“ (აზნაუროვა, 1988, გვ. 27).

რიტორიკა, სტილისტიკა და პრაგმატიკა ერთგვარად ერთმანეთში გარდამავალი მეცნიერებებია, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული საზღვრები არ გააჩნიათ. როცადესტვენსკის თქმით, რიტორიკული ამოცანა სტილში რეალიზდება, პრაგმატიკას ორივე აინტერესებს.

ლიტერატურა

**აზნაუროვა, 1988** — Ý. Ñ. Àçíàóðíàà, Æðàíìàòèèà òóáíæáñòááííáí ñèíàà, Òàøèáíò, 1988.

**ბეზემენოვა, გერასიმოვი, 1984** — Ááçíáííàà Í. À, Æáðàñèíà Æ. È. Æçúèíáàÿ ääÿòáèüííòñ à àñíàèòà èèíàèñòè÷:áñèíè ðòàíàòèèèè, ñáíðíèè íáçíðíà, Íñèèà, 1984.

**გინზბურგი, 1959** — Æèíçáóððà È. Á., Áíà÷-àèá áúèí ñèíáí, Íñèèà, 1959.

**კვარაცხელია, 1990** — გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.

**კონდილიაი, 1980** — Êííàèèüÿè, ñí÷-èíáíèÿ, ò. I, Íñèèà, 1980.

**ხაზაგეროვი, შირინა, 1999** — Õàçàááðíà Ò. Á., Øèðèà Á. Ñ., Íáúàÿ ðèòíðèèà, Ðíñòíà-íà-Æáíó, 1999.

TSIRA BARBAKADZE

### On the Relationship between Rhetoric, Stylistics and Pragmatics

#### Summary

The boundaries between rhetoric, stylistics and pragmatics are vague — all three of them study text. Rhetorical matters are realized through a style and pragmatics includes both of them. A retrospective study of pragmatic ideas leads us to rhetoric. In classical semiology [Peirce, Morris], rhetoric and pragmatics are considered to be identical, since both of them study the relation of signs to interpreters.

გზინა ჯანაბაძე

#### მეტატექსტის ურთიერთდაკავშირების საშუალებანი

საშუალო სკოლის V-VI კლასელთათვის წერიითი მეტყველების განვითარების მიზნით ჩატარებული სამუშაოები ნიადაგს ამზადებს VII-VIII კლასებში ტექსტის ასაგებად ენობრივ საშუალებათა გამოყენების უნარ-ჩვევათა განვითარებისათვის (ბარკალაია, 1998, გვ.67).

მოსწავლეებს გზადაგზა ჯერ ვუცნობიერებთ მათთვის საჭირო ტერმინთა განმარტებებს. სახელდობრ: ტექსტი არის წერილობით გადმოცემული რაიმე ამბავი, იგი შედგება ნაწილებისაგან, ანუ კონსტიტუენტებისაგან (ამ უკანასკნელს მხოლოდ მასწავლებლისათვის ვგულისხმობთ). ტექსტის უმცირესი კონსტიტუენტია წინადადება, უდიდესი — მეტატექსტი.

ტექსტში მოთხრობილი ამბავი ერთი ან რამდენიმე მონაკვეთისა ან საკითხისაგან შედგება. მათ სხვანაირად მეტატექსტები ჰქვია. ისინი ერთმანეთს აზრობრივადაც უკავშირდებიან და გრამატიკულადაც. მეტატექსტები ერთიმეორისაგან აბზავით გამოიყოფა.

თემა არის ტექსტის დედააზრის, იდეის გამომხატველი. თემა არის ის, რაზედაც საუბარია ტექსტში. მიკროთემა არის მეტატექსტის დედააზრის გამომხატველი; ტექსტის თემა საერთოა მეტატექსტებისათვის. მეტატექსტი ტექსტის ძირითადი აზრის დაზუსტებასა და სრულყოფილად გადმოცემას ემსახურება. ტექსტის თემა მოკლედ ფორმულირებულია ტექსტის სათაურში.

ტექსტის იდეა ანუ დედააზრი წარმოადგენს იმ ძირითად დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ტექსტის შინაარსიდან;

აბზავი არის სასვენი ნიშანი, რომელიც გამოიყენება ტექსტში თემის, მიკროთემის, დიალოგის, მონოლოგის ან მიმართვის შემთხვევაში.

კოჰეზია — გადაბმა, შეერთება, შეკავშირება, ხოლო კოჰერენტულობა — გაბმულობა (მეტყველების), კოჰერენტული — გამთლიანებულია (ბარკალაია, 1998, გვ. 94-102).

აღნიშნული საკითხების ენათმეცნიერული კვლევა წარმოდგენილია ვ. სერგიას ნაშრომში (სერგია, 1989).

მეტატექსტების შეერთებით ვიღებთ მთლიან, გაბმულ ტექსტს. მეტატექსტთა ურთიერთდასაკავშირებლად ვიყენებთ იმავე საშუალებებს, რომლებიც გამოყენებულია დამოუკიდებელ წინადადებათა დასაკავშირებლად. ეს საშუალებებია: მიერთებითი ფუნქციით გამოყენებული მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, ლექსიკური განმეორება, სემანტიკური განმეორება, სინონიმური ჩანაცვლება, ზმნა-შემასმენელთა ურთიერთთანაფარდობა დროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით, სიტყვებისა და წინადადებების რიგი, ჩართული სიტყვა-გამოთქმები და ნაწილაკები, კითხვითი და ძახილის წინადადებები. ყველაზე ხშირად დამაკავშირებელ საშუალებებად გამოყენებულია ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, ლექსიკური განმეორება და სინონიმური ჩანაცვლება (ანაფორა — ინფორმაციის ელემენტების ადრე თქმულისადმი მიკუთვნების ტექსტური საშუალებები: ნაცვალსახელები, ზმნიზედები, განმეორებები).

ტექსტის ანალიზისას გასათვალისწინებელია მისი აგების ნორმები. „ტექსტი გაუგებარია მაშინ, როცა ირღვევა მისი აგების ნორმა. ვთქვათ, ტექსტში არ არის ენობრივი შეცდომები და მაინც არ მოგვწონს. რატომ? — ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს: ერთი ნიშნიდან მეორე ნიშანზე გადასვლისას ელემენტებს შორის კავშირი არ იგრძნობა, რაც ნიშანთა შორის კავშირის დარღვევას ნიშნავს, ეს უკანასკნელი კი ტექსტის გახლეჩას იწვევს. სადაც ტექსტი გახლეჩილია, იქ აზრიც არ არის თანამიმდევრული, თუ თანამიმდევრული არ არის, ლოგიკურად ვერ იქნება, თუ ლოგიკური არ არის, ბუნებრივია, აზრიც არაა ადეკვატური“ (გაბეჩავა, 1998, გვ. 132).

მეტატექსტთა თანამიმდევრობა გვაძლევს ტექსტს. თუ დაირღვა მეტატექსტთა თანამიმდევრობა, თუ მათ ადგილებს შევუცვლით, ტექსტის შინაარსიც შეიცვლება. ამის საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ ნიმუში (აღ. ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა“):

(I-ლი მეტატექსტი) „გათავდა ქორწილი. მხიარულების პირველმა დღეებმაც გაიარეს პატარძალიც სწორებმა წაიყვანეს, ჩვეულებისამებრ, წყლის მოსატანად, იქ გაუჭრეს ხაზიზგინები და უმღერეს ამ შემთხვევისათვის შემოღებული ლექსი:

„ჩემო ხელის მომკიდეო,

ტაგანაი მომკიდეო...

და ცხოვრებამ მიიღო ჩვეულებრივი სახე.

(მე-2 მეტატექსტი) ძიძია გამოდგა ჩინებული, მორჩილი ქალი, რომელიც არასოდეს არა ზარობდა და საქმესა და სახლს მუყაითად

ექცეოდა. მისგან არც ჩხუბი, არც წინააღმდეგი სიტყვა არ მოისმოდა და უფროსი რძლები, ყოველთვის უმცროსების დამჩოლფოლტებელნი, ძიძიას ნამდვილ დასავით უვლიდნენ.

(მე-3 მეტატექსტი) გუგუა, რომელიც შესტრფოდა თავის ცოლს, ისე შინ არ შემოვიდოდა, რომ ცოლისთვის ან ჩურჩხელის ნაჭერი, ან წითელი ვაშლი არ მოეტანა და გატაცებულის გრძნობით არ დაეკოცნა. მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ საზოგადოდ გაჩუმებული ძიძია, ყოველთვის მარტობას ეძებდა და მისი ფერდაკარგული, გაცრეცილი ტუჩები თავის დღეში არ გაიღიმებოდა.

(მე-4 მეტატექსტი) ყველანი ცდილობენ მის გამხიარულებას, შედარებით ხევს სხვა რძლებთან თავისუფლებას აძლევდნენ, დაკვანდათ ხატობაში და სატირალზედ, იმ ერთს თავმოსაყრელ ადგილს, სადაც მთელის წლობით დაშორებული ნათესავები და მეგობრები ერთმანეთს ხვდებიან და დიდხანს შეგუბებულს შთაბეჭდილებას სხვასთან გასანაწილებლად გზას აძლევენ. მაგრამ ძიძია მაინც ისევ ისე გულჩათხრობილი რჩებოდა, თუმცა მას ყველაფერი ჰქონდა...

(მე-5 მეტატექსტი) ამ ხანში ონისე კი ფშავს წასულიყო, სადაც დედის ძმები ჰყანდა, იქ ნადირობაში და მეცხვარობაში აპირებდა დროს გატარებას და ნაღველის გაქარვებას, როდესაც სადმე ქედზედ გასული თავის ბედს დააკვირდებოდა, მაშინვე ძიძიას სახე განმანათლებლად ჩაეშუქებოდა და სანეტარო ტკბილს მკნესავს ოხვრაში შეიყვანდა.

ცა, ღრუბელი, ვარსკვლავი, მთვარე, ბუნების მდიდარი სურათები ონისესთვის მდიდარნი და სიტკბოებით სავსენი მხოლოდ იმიტომღა იყვნენ, რომ მათთან ერთად ეხატებოდა ძიძიას სურათი, მათ სატრფოსთან დადერებით თავდავიწყებამდის ეალერსებოდა“.

მოხმობილი ტექსტი ხუთი მეტატექსტისაგან შედგება. თითოეულ მეტატექსტს აქვს თავისი მიკროთემა. პირველი მეტატექსტის წამყვანი თემაა „პატარძალი“. მეორე მეტატექსტი ავსებს პირველს და პატარძალი სახელდებულია როგორც „ძიძია“, მესამეში — „გუგუას ცოლი“, მეოთხეში — „მის“, მეხუთეში კვლავ — „ძიძია“.

თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მეტატექსტთა დამაკავშირებელია სემანტიკური ჩანაცვლება, ანაფორული ნაცვალსახელები და ლექსიკური განმეორება. „პატარძალი — ძიძია — გუგუას ცოლი“ სემანტიკური ჩანაცვლებაა, **მის** ანაფორული ნაცვალსახელია, რადგან ადრე თქმულ ინფორმაციას — „გუგუას ცოლი“ გადმოსცემს ნაცვალსახელი „მის“, ხოლო ლექსიკურად მეორე და მეხუთე მეტატექსტში მეორდება „ძიძია“.

საკმარისია, მეტატექსტებს ადგილი შევუცვალოთ, რომ ტექსტის შინაარსი დაირღვეს, რაც მთავარია, დაირღვეს მათი ლოგიკური თანამიმდევრობა.

ახლა განვიხილოთ მეტატექსტთა დაკავშირების სხვა საშუალებებიც:

ა. „რამდენიმე საათის შემდეგ ბესარიონის ფანჯატურის ქვეშ მხიარული საზოგადოება გულუხვი მასპინძლის სუფრას გარს შემოსხდომოდა და „მრავალჟამიერს“ დაათას სხვა სიმღერას ბოლო არაჰქონდა. ახალგაზრდა ნეფე-დედოფალს ულოცავდნენ ბედნიერებას და უნატრიდნენ სასურველ მომავალს.

ამ საერთო მხიარულებაში მხოლოდ სოლომანი ვერ იყო იმისთანა გუნებაზე, როგორც შეეფერებოდა ისეთს მაშვალს, რომელმაც თავისი საქმე ბოლომდის მიიყვანა“ (დ. კლდიაშვილი, „სოლომან მორბელაძე“).

აქ ორი მეტატექსტია წარმოდგენილი: პირველში მოცემულია მასპინძლის სუფრის გარშემო თავმოყრილი ხალხის მოლხენა, ხოლო მეორეში — მაშვალი სოლომანის უგუნებობა. მეორე მეტატექსტი პირველს უკავშირდება ნაცვალსახელით „ამ“ და, ამასთანავე, აზოგადებს პირველში გადმოცემულ მიკროთემას მოკლედ: „საერთო მხიარულება“, რომელიც დასკვნაცაა, სემანტიკური ჩანაცვლებით გადმოცემული, და საუკეთესო ხერხი კონტრასტისათვის — საერთო მხიარულების ფონზე სოლომანის „საქმის მოუგვარებლობით“ გამოწვეული დარდი.

დამოუკიდებელ წინადადებათა დასაკავშირებლადაც გამოიყენება ის საშუალებები, რითაც მეტატექსტები უკავშირდებიან ერთმანეთს:

„გარდასახვის პოეტური ხერხით მე მოკრძალებით ეს სტრიქონები დიდ შოთა რუსთაველს ვათქმევინე, ვინც ანდერძად დაგვიტოვა „სიყვარული ადგვამალღებს“. სწორედ ასეთი სიყვარული, რომელიც ზრდიდა და ამალღებდა ადამიანს, ასულდგმულებდა ჩვენს მრავალჭირნახულ წინაპრებს. **ასეთი სიყვარული** ამავე დროს მოითხოვს საქმეს, სამშობლოსადმი ერთგულებას, მუხლჩაუხრელ სამსახურს. სწორედ ასეთი სიყვარულის უპირველესი და უდიდესი განსახიერებაა თვით დიდი შოთა რუსთაველი (ირაკლი აბაშიძე „როგორ იწერებოდა ხმა ზეთისხილის ბაღში“).

ტექსტში დამაკავშირებელ საშუალებებად გვევლინება განმეორებული ფრაზები, რომლებიც მოიცავს ნაცვალსახელს „ასეთი“ და და-

დასტურებითი ნაწილაკის როლში გამოყენებულ სიტყვას „სწორედ“.

მოსწავლეებს ვაანალიზებინებთ შოთა ნიშნინიძის ტექსტს, რომელშიც გადმოცემულია, თუ რატომ ფიგურირებს მის მიერ დაწერილ ტექსტებში ვაზის, ხარისა და ციხე-ტაძრების პოეტური ხატები (გაბეჩავა, 1998, გვ. 142).

„მრავალი ერი, იმპერია და ცივილიზაცია აღივავა პირისაგან მიწისა, საქართველო კი გადაარჩა. იგი გადაარჩინა თავისუფლების დიდმა სიყვარულმა; ენის, მამულისა და სარწმუნოების სიყვარულმა. ენა, მამული და სარწმუნოება იყო ქართველი ერის თავისებური წმინდა სამება.

ქართველობა ყოველთვის იყო შრომისმოყვარე და შემოქმედი ერი.

მან გამოიყვანა ხუთასზე მეტი ვაზის ჯიში. ვაზის წვენის სიფიცხე დაჰყვა ქართულ ხასიათსა და ტემპერამენტს, ვაზის ფესვების გამძლეობა, — ქართველი ერის არსებობას.

საქართველოს მთა-გორები მოფენილია ციხე-ტაძრებითა და ეკლესიებით. ქართული ციხე-ტაძარი ერთდროულად იყო ღვთის სახლიც და ციხე-სიმაგრეც, მტრის შემოსევების დროს საიმედო თავშესაფარი. ასეთებია კლდეში გამოკვეთილი ქალაქები ვარძია და უფლისციხე. ციხე-ტაძრები და მონასტრები გახლდათ სულიერი კულტურის კერები. იქ იწერებოდა და სხვადასხვა ენიდან ითარგმნებოდა ფილოსოფიური და საღმრთო წიგნები. ყოფილა შემთხვევები, როცა შემოსევების დროს ბერებს ანაფორის ქვეშ ჯაჭვის პერანგი ეცვა, დღისით გუთანს ეკიდნენ ან ვენახს სხლავდნენ, ღამით კი ჭრაქის შუქზე დიდებულ წიგნებს თარგმნიდნენ.

ასევე დიდა ქართულ მეურნეობასა და ისტორიულ ყოფაში ხარის — ამ ამაგდარი შინაური ცხოველის როლი. ხარი იყო ქართველი გლეხკაცის ერთგული მეგობარი და მარჩენალი, ციხე-ტაძართა მშენებელი, ამიტომაც არსებობს ქართულ პოეზიაში ხარისა და ვაზის კულტი. „ადამიანის შენახვა მე დამაწერეთ ქედზედაო“, — ეუბნება ერთ ხალხურ ლექსში ხარი ქრისტე ღმერთსა და ანგელოზებს.

ტექსტის გასაანალიზებლად მოსწავლეებს ვთავაზობთ ისეთ გეგმა-დავალებას, რომ ისინი აქტიურად ჩაებან მუშაობაში. კრიტიკულად იაზროვნონ და შეძლონ დასაბუთება.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ: 1. ტექსტი შედგება ხუთი მეტატექსტისაგან (მეხუთე მეტატექსტი დასკვნაა, ანუ მეტატექსტთა შეჯამება); 2. მეტატექსტთა დასაკავშირებლად გამოყენებულია ნაცვალსახელი „მან“. არსებითი სახელი „საქართველო“, რომელიც „ქარ-

თველი ერის“ სემანტიკური პარალელია; მეოთხე მეტატექსტში მისაერთებლად გამოყენებულია მთელი ფრაზა: „ასევე დიდია ქართულ მეურნეობასა და ისტორიულ ყოფაში“; რომელიც აჯამებს მეორე და მესამე ტექსტში გადმოცემულ ვაზისა და ციხე-ტაძრების მნიშვნელობას. ოთხსავე მეტატექსტში გადმოცემული მიკროთემებით ავტორი ასაბუთებს (მეხუთე მეტატექსტში) პოეტური ხატების წარმოჩენის აუცილებლობას;

3. დამოუკიდებელ წინადადებათა დასაკავშირებლად გამოყენებულია პირველ მეტატექსტში ნაცვალსახელი „იგი“; ლექსიკური განმეორება „სიყვარულმა“, „ენა, მამული, სარწმუნოება“; სემანტიკური პარალელები: „ქართველი ერის“ — „ქართველობა“.

მეორე მეტატექსტში ლექსიკური განმეორება — „ვაზისა“;

მესამე მეტატექსტში — „საქართველოს ციხე-ტაძრები“, „ქართული ციხე-ტაძარი“; ნაცვალსახელი — „ასეთები“; ზმნიზედა „იქ“.

მეოთხე მეტატექსტში არსებითი სახელი „ხარი“ მეორდება.

4. ავტორი ასაბუთებს იმას, რომ ხარი არის ადამიანის მეგობარი, მარჩენალი და ციხე-ტაძართა მშენებელი. ამიტომაც იშველიებს ციტატას: „ადამიანის შენახვა მე დამაწერეთ ქედზედაო“.

5. დასათაურებამ მრავალფეროვანი სახე მიიღო: „პოეტის შთავგონების წყარო“: „ქართველი ერის ისტორიული ყოფა“; „ქართველთა სიამაყე“; „შემოქმედი ერი“; „შენ — ჩემო ნიჭო, სიამაყე, ჩემო სინდისო“; „ხარივით ამტანი ჩემი მამული“; „ჩემი პატარა ქვეყნისათვის მეც შევძლო ხარისოდენი“; „შენ გიმღერ“; „გამძლევ და მრავალტანჯულო“.

მოსწავლეთა ფანტაზია ამოუწურავია. ისინი ცდილობენ, შოთა ნიშნიანიძის ლექსებიდან სათაურებად ციტატები მოიმარჯვონ. ჩვენ მათთან ერთად ვარჩევთ მოცემული ტექსტისათვის მისადაგებულ სათაურს და ვმსჯელობთ შერჩეულთა ავ-კარგზე.

ასეთი სისტემატური მუშაობით მოსწავლეები ეჩვევიან გაბმული ტექსტის აგებას, ტექსტის ნაწილთა ურთიერთდაკავშირებას, დამოუკიდებელ წინადადებათა მიერთებას, დასკვნის გამოტანას; აკვირდებიან მწერლის წერის მანერას, უჩნდებათ მიბაძვის სურვილი; უმუშავდებთ საკუთარი ნაწერისადმი კრიტიკული თვალთ შეხედვის უნარი; ინტერესდებიან მხატვრული ტექსტის სტრუქტურით, ცდილობენ მეტატექსტთა „შემეერთებელი ხიდების“ შესწორება-აღდგენას.

ლიტერატურა

**ბარკალაია, 1998** — შ. ბარკალაია, მოსწავლეთა წერიტი მეტყველების განვითარებაზე მუშაობის სისტემა ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის V-VI კლასებში, თბ., 1998.

**გაბეჩავა, 1998** — რ. გაბეჩავა, მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 1998.

**სერგია, 1989** — ვ. სერგია, ტექსტის ლინგვისტიკა თბ., 1989.

**MZIA ZANGALADZE**

### Metatextual Linkers

#### Summary

Teaching various means of metatextual linking is essential for the development of writing skills in the 5-6 th forms of a secondary school. Students should be familiarized with the principles of building a coherent text – i. e. joining independent sentences, connecting various parts of a text, concluding, finding original ways of linking etc.

## მისივე ჟურნალი

**ქართვლურ ენათა ისტორიული ენობრივი კონტაქტები  
და სამართოქართვლური ენის დიფერენციაციის  
ქრონოლოგიური საზღვრების პრობლემა\***

## I

საერთოქართვლური ფუძე-ენა არსებობდა დროსა და სივრცეში. მისი არსებობის სივრცითი პარამეტრების დადგენა მეთოდოლოგიის თვალსაზრისით კომპარატივისტიკაზეა დაფუძნებული. რაც შეეხება საერთოქართვლური ფუძე-ენის არსებობას დროში, მისი განსაზღვრის ყველაზე სანდო მეთოდი ენობრივი კონტაქტების შედეგად საერთოქართვლური ფუძე-ენიდან სხვა ფუძე-ენებში ნასესხები სიტყვების ანალიზი და კვალიფიკაციაა.

ამ თვალსაზრისით უნდა ითქვას, საერთო-ქართვლური ფუძე-ენის თანაარსებობა უნდა ვივარაუდოთ საერთო-ინდო-ევროპული და საერთო-სემიტური ფუძე-ენების პარალელურად, რასაც მხარს უჭერს ორმხრივ ნასესხობათა პოზიციები: ერთი მხრივ, საერთო-ქართვლურსა და საერთო-ინდო-ევროპულს, მეორე მხრივ კი, საერთო-ინდო-ევროპულსა და საერთო-სემიტურს შორის (გამყრელიძე, ივანოვი, 1984).

საქართველოში არის არაერთი მცდელობა საერთო-ქართვლური ფუძე-ენის „გაახალგაზრდაებისა“ და მისი ლამის ისტორიულ ეპოქაში გადმოტანისა.

ამასთან დაკავშირებით ცალსახად უნდა ითქვას, რომ ასეთ მცდელობებს არანაირი ლინგვისტური საფუძველი არ გააჩნია. მეცნიერებაში არ არის ცნობილი, გარდა ზემოხსენებული საერთო-ინდო-ევროპული და საერთო-სემიტური ფუძე ენების არსებობის ქრონოლოგიური დონისა, არც ერთი უეჭველი ნასესხობა საერთოქართვლურ დონეზე, ანუ ნასესხობა, რომელიც საერთოქართვლური

ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად მოგვცემდა ისტორიულად დადასტურებულ ქართველურ ენებში კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათმესატყვისობებს. არც ერთი რეკონსტრუირებული ინდო-ევროპული შუალედური ფუძე-ენიდან: მით უმეტეს, ცალკეული ინდო-ევროპული ენიდან, არც ერთი სემიტური ენიდან, ან ხური-ურარტულიდან და ა. შ.

რომელიმე ამ ენიდან (რეკონსტრუირებულიდან თუ ისტორიულად დადასტურებულიდან) საერთოქართვლურ ფუძე-ენას რომ ესესხა სიტყვები, ისინი კანონზომიერ და რეგულარულ მესატყვისობებს მოგვცემდნენ ქართველურ ენებში — ასეთი არც ერთი უეჭველი მაგალითი კი, როგორც ვთქვით), არ არსებობს (შდრ. მელიქიშვილი, 1965; ანდრონიკაშვილი, 1966).

ნასესხობები ბერძნულიდან, ირანული ენებიდან, ამოუცნობი ინდო-ევროპული ენიდან, აგრეთვე სემიტური თუ ხური-ურარტული ენებიდან და ა. შ. განეკუთვნება უკვე საერთოქართვლური ენის ისტორიულად დადასტურებულ ენებად დიფერენციაციის შემდგომ პერიოდს. ნასესხებია მათ მიერ ამ ენებიდან უშუალოდ ან ერთმანეთის თუ სხვა ენათა მეშვეობით, რაზედაც ცალსახედ მეტყველებს არა მარტო ბგერათმესატყვისობათა არარსებობა, არამედ ამა თუ იმ გამსესხებელი ენის ფონოტაქტიკის კვალიც, რომლითაც ჩვენ უცთომლად შეგვიძლია დავადგინოთ, რა ენიდან და რომელი ენის მეშვეობით განხორციელდა სესხება.

ენობრივი კონტაქტები საკმაოდ ზუსტი და სანდო კრიტერიუმია, როგორც ამა თუ იმ ფუძე-ენის, ასევე ისტორიულად დადასტურებული ენების ქრონოლოგიური პარამეტრების განსაზღვრისათვის.

არსებობს სერიოზული არგუმენტები არა თუ საერთოქართვლური ფუძე-ენიდან, არამედ სწორედ ცალკეული ქართველური ენებიდან ცალკეულ სემიტურ და ინდოევროპულ-ენასა თუ შუალედურ ფუძე-ენებში ლექსიკის პოზიციების სასარგებლოდ.

წინამდებარე გამოკვლევის ავტორი ქართველური ენების კომპარატივისტული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სრული უეჭველობით დამტკიცებულად მიიჩნევს, რომ საერთოქართვლური ფუძე ენის ფონოლოგიური სისტემა უცვლელად არ გადასცემია არც ერთ ისტორიულად დადასტურებულ ქართველურ ენას და მან რადიკალური ხასიათის ტრანსფორმაციები განიცადა, რაც უპირველეს ყოვლისა სიბილანტებს შეეხო (დაწვრილებით იხ. ქურდიანი, 1996).

\* წაკითხულია მოხსენებად ბ. ჯორბენაძის საზოგადოების VIII სამეცნიერო კონფერენციაზე 2002წ. 12 თებერვალს.

საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომი პერიოდის ენობრივი კონტაქტების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე. წ. შიშინა ენების სვანურისა (შიშინა -ა ენა) და ზანურის (შიშინა -ო ენა) ჩვენებები, რადგან ტრადიციულად სწორედ ამ ენებს მიიჩნევენ შედარებით ახალწარმოქმნილად ქართულ (სისინა -ა) ენასთან შედარებით, ზოგჯერ კი სულაც მისგან წარმოქმნილად უშუალოდ (ზანურს) თუ ენათა შერევის გზით (სვანურს).

ქვემოთ ნაჩვენები იქნება ძველი აღმოსავლეთის ენებში, მათ შორის უშუალოდ ფუძე-ენებში, პოვნიერი ნასესხობების რამდენიმე მაგალითი სწორედ შიშინა ენებიდან.

### 1. უშერული

1. 1. **ხაშხურ** (შუმ.) „ვაშლი“ > **ხაშხურ** (აქად.) „id“.

ეს სიტყვა უშერულში ზანურიდან უნდა იყოს ნასესხები:

ს/ქ \***ჟაშალ**-ი : ქართ. **ჟაშალ**-ი : სვან. **ჟისგ-უ** „id“ : ზან. **უშ-ქურ**-ი „id“

ზანურ ხმოვნებს ახასიათებთ მაგარი შემართვა, რაც გრაფიკულად შეიძლება იქნეს ასახული: **h**-სან **h**-ს სხით. შესაბამისად —

**uškur** > \***huškur** > \***hwaškur** > **hašhur**

არც **haš-** > \***hwaš** > **has** და არც \***hask-** > **hašh**

პროცესებს არანაირი წინააღმდეგობა არ ახლავს უშერული ან აქადური ენების ისტორიული ფონეტიკის თვალსაზრისით.

### 2. აქადური

2. 1. **'dqu** „ცხვრის ტყავი“; „საწმისი“. ამ სიტყვას არ აქვს სემიტური ეტიმოლოგია და არც შესატყვისობები მოეპოვება სემიტურ ენებში. ის ქართველური ენებიდან, კერძოდ, ზანურიდან არის ნასესხები აქადურში.

ს/ქ. \***ტყაჟი**-ი : ქართ. **ტყავი** : სვან. \***ტყაჟ** > **ტყუფ-** „id“: ზან. \***ტყოჟ** > **ტყობ** „id“

სვან. \***ტყაჟ** > \***ტყაბ** > **ტყუფ** სიტყვაში მე-ტყუფ-ე „გადატყაული“ („სუთიფილდ მეტყუფე ხეროლეს“ : „მოედანი გადატყაული ექნებათ“) ა > უ ბაგისმიერის (ფ-ს) წინ.

ზან. \***ტყოჟ** > **ტყობ** შემორჩენილია ქართული ენის გურულ დიალექტში, რომლის სუბსტრატსაც ზანური შეადგენს. **ჟ/ვ** > აუს-ლაუტში ბუნებრივი პროცესია ამ არეალისათვის. ზან. **†qow** აქად. **'dqu**

ა) ზან. **†** > აქად. **d** სოლური დამწერლობები (როგორც აქადურ-

რი, ასევე ურარტული) მკვეთრებს ჩვეულებრივ გადმოსცემენ მყდერებით (ქურდიანი, 1999).

ბ) ზან. **ow** > აქად. **u**. სოლური დამწერლობები **o**-სა და **u**-ს თანაბრად გადმოსცემენ **უ(u)**-თი, თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ **-u** აქადურში სახელობითი ბრუნვის ნიშანია, აქადელთა მიერ სწორედ ასეთად იქნებოდა გაგებული ზანური სიტყვის აუსლაუტიც.

გ) ზან. **Ø** > აქად. ანლაუტში -ს სახით წარმოდგენილია პროტეთული ხმოვანი, რომლის დანიშნულებაა ორ მარცვლად გაყოს ქართველური ენებისათვის კანონიკური დეცესიური თანხმოვანთკომპლექსი (**ტყ**), რომელიც აქადურისთვის მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაშია დასაშვები.

2. 2. **gurpis-u, gursip** — „სამხედრო აღჭურვილობის რაღაც ნაწილი (მეომრებისა და ცხენებისათვის) სპილენძისაგან (**crū**)“ (ლიპინი, 1957).

არც ამ სიტყვას აქვს აქადურში სემიტური ეტიმოლოგია და მისი ახსნის მცდელობა ხურიტული ენის საფუძველზე წარუმატებლად მესახება (დიაკონოვი, სტაროსტინი, 1986).

ეს სიტყვა ქართველური კომპოზიცია და იგი ზანურიდან უნდა იყოს ნასესხები აქადურში.

ს/ქ. \***გულ-ის პირი** : ქართ. **გულის-პირი** : სვან. **გუიბილ** < **გუ-იშ ბილ** : ზან. **გურბიჯი** < **გურ-იშ ბიჯი**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მეორე ტომის თანახმად: „**გულის-პირი** (გულის-პირისა) ტანსაცმელში მკერდთან ჩასატანებელი ნაწილი (ან ზედატანის ქვეშ ცალკე ჩასაცმელი). ჩვეულებრივ ფერით და მასალით განსხვავებული, ნაყვებით და ნაქარგით (მამაკაცთათვის ბუზმენტებით) მორთული“ (სვ. 1511).

სვანურში (ბალსზემოურ დიალექტში) მას თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ქართულში — ქალის ტრადიციულ სამოსში სამკუთხედად ჩადგმულ ქსოვილს აღნიშნავს (ბალსქვემოურად ხავ ტ < ხავერდი), რომელზეც ჩაფრასტალი (სვანი ქალის ვერცხლის გულსამკაული) იკიდებოდა და ზოგჯერ ამ ჩადგმული ქსოვილისა და ჩაფრასტალის (ვერცხლის ფირფიტების) საერთო სახელადაც გამოიყენებოდა.

ზანური ენის მეგრულ დიალექტში მისი მნიშვნელობა ქართულისას ემთხვევა, ლაზურ დიალექტებში კი ის „მკერდის“-ს მნიშვნელობით გვხვდება. **gurpis-u**-ში (სადაც **-u** აქადური ენის სახელობითი



ბრუნვის ნიშანია) სწორედ ზანური „გურპიჯ“-ი უნდა გვქონდეს — გულმკერდის საფარველის, სპილენძის ფირფიტებიანი მსუბუქი აბჯრის მნიშვნელობით.

ზან. gurpi-i > აქად. gurpis-u

j > s ლურსმული დამწერლობის მიერ შიშინა აფრიკატების გადმოცემის შეზღუდული შესაძლებლობით უნდა იყოს გაპირობებული.

p > p დამწერლობა p > b-ს ნაცვლად შეიძლება აიხსნას აბრუპტივ p-ს ვიბრანტ r-სთან მეზობლობით.

### 3. ხეთური (ნესიტური და ლუვიური)

3. 1. ištam-ana „ყური“. ეს სიტყვა, რომლის დაკავშირება ქართველურ ენებთან ე. ოსიძეს დამსახურებაა, ხეთურში (ნესიტურში) სვანური ნასესხობა უნდა იყოს.

ს/ქ \*ს.თამ-ი / \*ს.თუმ-ი „ყური“ : ქართ. \*ს.თუმ-ი (სიტყვაში სა-სთუმ-ალ-ი) „id“ : სვან. შდიმ <\*შთიმ „id“ : ზან. \*რთუმ-ი (სიტყვაში ო-რთუმ-ალ-ე) id.

ა) ს/ქ. \*ს.თ კომპლექსი როგორც ჩანს უკვე საერთო ქართველურში გადადიოდა \*რთ კომპლექსში ან მარტივდებოდა და იძლეოდა თ ბგერას (დაწვრილებით იხ. ქურდიანი, გვ. 2000).

ქართულსა და ზანურში მისი შენარჩუნება ხდებოდა, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ, თუ სიტყვა შეცდომით იმარცვლებოდა. მაგ.: სას-თუმ-ალ-ი ნაცვლად სა-სთუმ-ალ-ი-სა, სას-თავ-ულ-ი ნაცვლად სა-სთავ-ულ-ი-სა და სხვ. სვანურში კი კომპლექსი შთ მყდერდებოდა (შდ).

ბ). საერთოქართველურში შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც \*ს.თამ-ი ასევე \*ს.თუმ-ი, ბაგისმიერი მ-ს წინ ა > უ პროცესი დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის, შესაბამისად სვან. შდიმ <\*შთიმ ან შდიმ <\*შთიმ <\*შთამ თანაბრად დასაშვებია.

გ) ხეთურში (ნესიტურში) რომ სიტყვა აშკარად ნასესხებია, ამაზე მეტყველებს ištam-ana-ში პოზიციურება i პროთეტული ხმოვნისა, რომელიც ენისათვის არაკანონიკური št კომპლექსის სუბერაციის მიზნითაა დართული.

დ) ხეთური (ნესიტური) სწორედ შიშინა ფორმას უჩვენებს ა ხმოვნით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სვანურში ჯერ კიდევ არ მომხდარა შთ > შდ და -ამ > -უმ > -იმ პროცესები.

3. 2. tumm-an „ყური“ (?)

ხეთურ-ლოვიურში გვხვდება სიტყვა tumm-an, რაც, სპეცია-

ლისტთა აზრით, „ყურ“-ს უნდა ნიშნავდეს. ამ სიტყვის ფონეტიკური იერსახე მისი ზანურიდან სესხების სასარგებლოდ მეტყველებს.

თუ ორთუმალ-ე-ში რ შენარჩუნდა არასწორი დამარცვლის გამო: ორ-თუმ-ალ-ე ნაცვლად ო-რთუმ-ალ-ე-სი, ცალკე \*რთუმ-ი გარდაუვლად მოგვეცემა ფორმას \*თუმ-ი, თანაც სვანურისაგან განსხვავებით საერთოქართველური ა ზანურში აისახებოდა როგორც ო, რომელიც ბაგისმიერი მ-ს წინ უპრობლემოდ გადავიდოდა უ-ში.

ამდენად, ლუვიური tumm-an იმისი დასტურია, რომ ამ სიტყვის სესხების დროისათვის არა თუ საერთოქართველური, არამედ საერთო-სვანურ-ზანური ენობრივი ერთობაც კი უკვე დაშლილია სვანურ და ზანურ ენებად და თითოეულ მათგანს უკვე ჩამოყალიბებული აქვს ფონოტაქტიკის საკუთარი წესები.

### 4. ირანული

4. 1. aži-dahāka „დრაკონი“

ამ სიტყვის ირანულობა თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან ირანულ მითოლოგიაში სამი გველისტანიანი ურჩხულია: aži višāpa, aži srvara და aži dahāka, ხოლო მათი რთული სახელების პირველი ნაწილი aži ირანულ ენებში სწორედ „გველ“-ს ნიშნავს, ხოლო ქართული გველეშაპი aži-višāpa სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს (ანდრონიკაშვილი, 1966).

ერთი შეხედვით ყველაფერი ცხადი ჩანს და სარკვევიც თითქმის აღარაფერი უნდა იყოს, მაგრამ რამდენიმე ისეთი პრობლემა მაინც იჩენს თავს, რომელზეც ირანისტიკას ცალსახა პასუხი არ აქვს.

თუ aži višāpa-ს მეორე ნაწილს მეტ-ნაკლებად სანდო ირანული ეტიმოლოგია მოეძებნება „შხამის მთხველი“ (ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 239), ამას ვერ ვიტყვით aži dahāka-ზე, რომლის მეორე ნაწილი ირანული ენების საფუძველზე ვერ იხსნება. ხოლო მიღებული ეტიმოლოგია, რომელსაც dahāka გამოჰყოფს \*dag ძირიდან, რომლის მნიშვნელობაც „წვას“ უკავშირდება (ანუ „ცეცხლისმფრქვეველი გველი“, რუსულ „Ціаé āīdūí“-ის ანალოგი), კომპარატივისტიკის პოზიციიდან შეუწყნარებლად არის მიჩნეული (რასტორგუევა, ედელმანი, 2000), რადგან ისტორიულ-ფონეტიკური კანონების თანახმად საერთო-ირანული \*-g- ინტერვოკალურ პოზიციამში \*-h-ში არ უნდა გადასულიყო.

ისტორიულად დადასტურებულ (მათ შორის ცოცხალ) ირანულ ენებში ეს სიტყვა ჩვეულებრივ ნასესხებია სხვადასხვა დროს და სხვა-

დასხვა ენიდან და მსესხებელი ენის ფონოტაქტიკის თანახმად არის ტრანსფორმირებული. არ არის გამორიცხული, რომ საერთოირანულ დონეზე ეს სიტყვა ქართველური ენებიდან, კერძოდ, სვანურიდან იყოს ნასესხები:

ს/ქ. \***ასთაკუ-ი** „ხვლიკი“ („ფეხებიანი ქვეწარმავალი“), „სალამანდრა“ („კუდიანი ამფიბია“): ქართ. **ასთაკუთი** „დუმიანი კიბორჩხალა“ (საბა): სვან. **აშდაკუ** „ხვლიკი“: ზან. **ორთოკუთი** „სალამანდრა“, „ტრიტონი“.

ასთაკუთი ქართულში ბერძნულიდან შეთვისებულად ითვლება (ქერქაძე, 1974) თუმცა სვანურისა და ზანურის ჩვენება სესხების მიმართულების შეცვლას უჭერს მხარს, თუმცა ცალსახად არ წყვეტს სესხების წყაროს საკითხს:

ს/ქ. \* **ასთაკუ-ი**: ქართ. **ასთაკვი** და სვან. \* **აშთაკუ** (> **აშდაკუ**) აბსოლუტურ ერთნაირად მოგვცემდა ბერძნულში ἀσθᾶκι-ს. ალბათ სესხების წყაროდ მაინც ქართული უნდა იქნეს ნავარაუდევია, თუმცა ეს ცალკე ექსკურსის საგანია. გაცილებით რთულად არის საქმე ირანულთან დაკავშირებით, სადაც უფრო ინტენსიური ტრანსფორმაციები ივარაუდება როგორც ფონეტიკის, ასევე სემანტიკის სფეროში.

სვ. **ašdakw** > ირ. **ašdahāka**

ა) სვ. **ašda-** > ირ. **ažda-** ადვილად იხსნება: გამყდრება რეგრესიული ასიმილაციის ნიადაგზე.

ბ) გამყდრების შემდეგ **aždahāka** > **aži dahaka** უცხო სიტყვის გადააზრების ნიადაგზე, მისთვის გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მინიჭება **aži višāpa**-სთან ანალოგიით: რასაც ხელს უწყობს სემანტიკაც სვ. **ašdakw** „ხვლიკი“ > **aždahāka** „დრაკონი“ > **aži dahāka** „გველის-ტანიანი დრაკონი“.

გ) ფონეტიკური (სილაბური) ანალოგია: **aždakw** > **aždak** > **aži dak** > **aži da-hā-ka** შდრ. **aži višā-pa** და **aži sir-va-ra** (ან **aži sri-va-ra**).

სვანური ფორმები: **-ჰ შდ კუ** (ზემო სვანური) <\***აშდ კუ** <\***აშდაკუ-ი** (ჰ მაგარი შემართვის ამსახველია), **აშდშკუ** (ლაშხ.) < **აშდ კუ** <\***აშდაკუ-ი** (წ სიგრძე კომპენსატორულია -ი-ს დაკარგვით გაპირობებული, > ე პროცესი უმლაუტის მოშლის შედეგია); **აშ-ტაკუ** (ლენტეხ.) < **აშდაკუ** (ლენტეხურ დიალექტს ანასიათებს მჟღერთა გამკვეთრების პროცესი) — უკლებლივ გამოდიან **აშდაკუ-ი** ფორმიდან, რომლის არქეტიპიც თავის მხრივ **აშთაკუ-ი** ფორმაა.

შესაბამისად საერთო-ირანულმა სვანური სიტყვა შთ > შდ პროცესის შემდეგ იხსნა.

MICHAEL KURDIANI

## Historical Linguistic Contacts of the Kartvelian Languages and the Problem of Chronological Differentiation of Proto-Kartvelian

### Summary

Proto-Kartvelian co-existed with Proto-Semitic and proto Indo-European in time and space. This is proved by reciprocal borrowing processes that continued after the differentiation of the proto-languages into medial proto-languages and later, into historically evidenced languages.

The Kartvelian languages consist of hissing and hushing circles; the latter includes Svan and Zan. Recently a tendency to move the chronological boundaries of Proto-Kartvelian towards a much later period has become apparent. Moreover, Proto-Kartvelian is identified with Georgian (i.e. the hissing language). According to this theory the hushing languages developed from the Georgian language only in the Christian era.

The present paper is the first of the series of papers that aims to reveal the existence of borrowings from the hushing languages in the ancient oriental languages and archaic Greek.

## გეოგრაფიკული კოორდინატები

## ბრუნვის ნიშნების სადემონსტრაციო დანიშნულებისათვის

## 1. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დერივატად

ქართულ ენაში დამოკიდებულების აღმნიშვნელი ფორმანტები სადერივაციო ფუნქციითაც გამოიყენება. როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში დერივატებად გვხვდება ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები. ძველი ქართული ენის მასალის მიხედვით, ვითარებითი ბრუნვის ფლექსია გამოიყოფა 1. დროის ზმნიშედებში: მწუხრ-ად, მეყსეულ-ად, აქაყამ-ად-მდე... 2. ადგილის ზმნიშედებში: შორ-ად, სახი-დ, ქუნ-დ-მდე... საკმაოდ ხშირია **წელითი წლად** ტიპის წარმონაქმნები: ჟამითი ჟამ-ად, ქალაქითი ქალაქ-ად, უკუნიითი უკუნის-ად-მდე... ვითარების ზმნიშედებში: მსწრაფლ-ად, ზოგ-ად, თავისთავ-ად... მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს ვითარების ზმნიშედები, სადაც -ად/-დ ფორმანტი -ი- ხმოვნის შემცველ სუფიქსზეა დართული. ეს სუფიქსი უნდა ყოფილიყო -ივ (არსებობს სხვა მოსაზრებაც): ტკბ-ი-ად, ტფ-ი-ად, მალ-ი-ად, მაგრ-ი-ად, ღრმ-ი-ად...

ვითარებითი ბრუნვის ფლექსია სახელზმნურ ფუძეებსაც დაერთვის და წინადადებაში მიზნის გარემოებად გვევლინება. მაგალითად:

**სადიდებელად** მამისა და ძისა და სულისა წმიდისა (ჯრუჭის ოთხთავის ანდერძი); ...პარხალს შევსწირე **სალოცველად** ძმათა ყოველთა შატბერდელთა (პარხლის ოთხთავის ანდერძი); წარვიდა მუნ **ქადაგებად** და **სწავლად** ქალაქებსა მათსა (მ. 11, 1); რომელნი მოსრულ იყვნენ **სმენად** და **განკურნებად** სნეულებათა მათთა (ლ. 6, 18).

ძველ ქართულში დაიწყო და ახალ ქართულშიც გრძელდება -ად/-დ ფორმანტიანი ლექსიკის სუბსტანტივაციისა და ადიექტივაციის პროცესი. იგი შეეხო როგორც ზმნიშედებს (თავისთავ-ად > თავისთავად-ი, შემდგომ-ად > შემდგომად-ი (მომდევნო. ქველ), ზოგ-ად > ზოგად-ი, ფრიად > ფრიად-ი, დლითი დლე-დ > დლითიდლე-დ-ი, წელითი წლ-ად > წელიწად-ი. იხ. აგრეთვე პირდაპირ-ად-ი, კაცად-კაცად-ი, ფერადფერ-ად-ი), ისე მეტყველების სხვა ნაწილებს. ერთი მხრივ, ხდება არსებითი სახელის ადიექტივაცია და გზა ეხსნება

ნეოლოგიზმების წარმოებას: ტან-ად-ი, თვალ-ად-ი, პურ-ად-ი, გულ-ად-ი, პირ-ად-ი, ფერ-ად-ი, შუქ-ად-ი, მუხლ-ად-ი (გ. ლეონიძე, ქველ.), აირ-ად-ი (ქველ), ორთქლ-ად-ი (ქველ), მეორე მხრივ — ზედსართავი და რიცხვითი სახელების გაარსებითებას: დიდ-ი > დიდ-ად-ი (ბევრი. ოთხთავის სიმფონია — ლექსიკონი. მარკ. 12, 4), ორ-ი > ორ-ად-ი, წყვილ-ი > წყვილ-ად-ი, მეორე > მეორ-ად-ი. საკმაოდ აქტიურია არსებითთაგან ახალი არსებითების წარმოქმნის პროცესიც. მაგალითად: ველ-ი > ველ-ად-ი-ი („ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, I), თავ-ი > თავ-ად-ი (თვითონ, მეთაური, თავნი. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი), ძმა > ძმად-ი (მეჯვარე, ხელისმომკიდე, ქველ.), და > მ-და-დ-ი || მ-და-დ-ე (პატარძლის მამარი ქალი, ქველ), წილ-ი > წილ-ად-ი. იხ. აგრეთვე: ჯერ > ჯერ-ად-ი, თანა-ჯერ-ად-ი, მრავალ-ჯერ-ად-ი.

ივ. იმნაიშვილი მონოგრაფიაში „სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში“ ძველი ქართულის სათანადო მასალიდან ასახელებს მრავალთაგან რამდენიმეს: ნაკლულევანადი, ცუდადი, სულიერებადი, წულილადი, ძმადი...

ამავე კონტექსტში საყურადღებოა ვითარებითი ბრუნვის ფლექსიით რიგობით რიცხვით სახელთაგან წილობითა წარმოება: მეთედ-ი, მესედ-ი-ი... ახალ ქართულში ეს არის წილობით რიცხვით სახელთა საწარმოებელი ერთადერთი ყალიბი, ძველ ქართულში კი წილობის გამოსახატავად სხვა საშუალებებიც არსებობდა: 1. -ეულ სუფიქსიანი ფორმები — ხუთ-ეულ-ი (= 1/5), 2. რიგობითი რიცხვითი + ნაწილი — მეხუთე-ნაწილი (= მეხუთედი) და 3. **ნა-ალ** კონფიქსი — ნა-ზოგ-ალ-ი (= ნახევარი). ივ. იმნაიშვილი ასახელებს -დ სუფიქსიანი წილობითი რიცხვითი სახელის ერთადერთ მაგალითს: **მე-სამედი**. მის მონოგრაფიაში მოყვანილია ვითარებითი ბრუნვის ფლექსიით საწყისთაგან სახელის წარმოების ნიმუშებიც: განჯრწნადი, შობადი, ჭამადი, წარსლვადი, დალპოლვადი, კლვადი, შეცვალებადი, განრყუნადი, დადნობადი, წამებადი, დაცემადი, დარჩომადი, მოწვენადი, მოსიკუდიდი, დაბადებადი... განქარვებადი („ქართლის ცხოვრების“ სიმფონია — ლექსიკონი, I), ზრუნადი (გამალიზიანებელი, ამაგულიანებელი. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

ვითარებითი ბრუნვის ფლექსიით ნაწარმოები სახელები, როგორც სახელადი, ისე ზმნური წარმოშობისა, დასტურდება გიორგი მთაწმიდელთან, არსენ იყალთოელთან, ეფრემ მცირესთან. იხ. რამდე-

ნიმე ნიმუში:

გიორგი მთაწმიდელი: **ზოგადითა** განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შევეკრებით... (ქართული პროზა, I, გვ. 418); **თავადი** (ეფთვმე) მყუდროებით ცხოვნდებოდა... (იქვე, გვ. 419); **არამცირედთა** ჯორთა მსახურებისა ღვაწლი... (იქვე, გვ. 374); შენ განჯრწნადსა სავმარს აღირჩევ... (იქვე, გვ. 409).

არსენ იყალთოელი: წინამოღცველი ერისა და მცხებელი მადლით **სრულყოფადთა** იოანე... (ქართული მწერლობა, II, გვ. 223); ქრთამისათჳს და საფასისა, რომელსა მიიღებენ ველდამსველნი **ველდასხმადთაგან**... (იქვე, გვ. 225); კურთხევა გვრგვნთა ქორწინებით **ერთგორცქმნადთა** მეუღლეთა ... (იქვე, გვ. 229).

ეფრემ მცირე: სრულყოფა საქმეთა **ქმნადთა** ... (ქართული მწერლობა, I, გვ. 229); მოუკლებელნი მიმღებლობანი **ქმნადთანი**... (იქვე, გვ. 206); ბუნებით განუტრწნელნი არა განიჯრწნებთან, არამედ მქონებელნი **განჯრწნადობისანი** (იქვე, გვ. 215).

და მაინც, ვითარებითი ბრუნვის ნიშნის აქტიურად ჩართვა სადერივაციო სისტემაში, კერძოდ, ტერმინებისა და ტერმინოლოგიური მოდელების შექმნაში, იოანე პეტრიწის სახელთან არის დაკავშირებული. V საუკუნის ნეოპლატონიკოსის, პროკლე დიადოხოსის ტრაქტატის „კავშირნი ღვთისმეტყველებისანი“ პეტრიწისეული თარგმანის განმარტებაში წარმოდგენილია მთელი წყება ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინებისა, რომლებიც -ად/-დ მოდელით არის შექმნილი. ესენია: განწვალებადი, განყოფადი, განნაწილებადი, განხვევადი, განჭრადი, განყენებადი, განშორებადი, გარდაქმნადი, გარძნობადი, დაჯსნადი, ვნებადი, ზიარებადი, მიდრეკადი, ქმნადი, ქცევადი, ცვალებადი, შეცვალებადი, შობადი, ძალადი, წარდინებადი, წარმოყენებადი, ხრწნადი.

ვითარებადი ბრუნვის ნიშნის სადერივაციო სისტემაში ჩართვის შედეგად შეიქმნა საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის ისეთი ნიმუშები-

იც, როგორცაა: კუმშვადი, კვეცადი, ღრეკადი (ფუძედრეკადი), ბრუნებადი, ბრუნვაცვალებადი, უღლებადი, უღვლილებადი და სხვ.

საენათმეცნიერო ტერმინოლოგია, ცხადია, გამონაკლისი არ არის. როგორც ჩანს ვითარებითი ბრუნვის ფლექსია მარჯვედ მიესადაგა ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებას, რასაც მოწმობს „ტექნიკური ტერმინოლოგია“, რომელიც, შეიძლება ითქვას, გაჯერებულია -დ სუფიქსიანი მოდელით. იხ. ნიმუშები: აღზნებადი, ავტომატიზებადი, ამორთვადი, ამოხსნადი, ანთებადი, აღდგენადი, დამყარებადი, ცნობადი, რკვევადი, ტევადი, ტკეჩადი, ფეთქებადი, ღუნვადი, შედუღებადი, შეგუებადი, შექცევადი, შეწყობადი, შლადი, ჩამოქცევადი, წვალებადი, ხსნადი, ხრწნადი...

„ტექნიკური ტერმინოლოგია“ ზოგჯერ ამ ტიპის ტერმინ-ლექსემების რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობს. ამ შემთხვევაშიც, ძირითადად, -დ-ი მოდელი ფიგურირებს. მაგალითად: გამაგრებადი || გამყარებადი || გასაღებადი. თუმცა სხვა ვარიანტებიც არის ხოლმე ნაჩვენები. მაგალითად: დანაწილებადი || გაყოფადი || გასაყოფი; თვლადი || მთვლელი || სათვლელი || მრიცხველი (счетный).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნით საწყისთაგან ნაწარმოებ ტერმინ-ლექსემებს უარყოფითი (უკუთქმითი) ფორმებიც აქვთ. მაწარმოებლად იშვიათად გამოიყენება უ- პრეფიქსი. იხ. ნიმუშები: შედწევადი — შეუღწევადი, შეცნობადი — შეუცნობადი, შერაცხადი — შეურაცხადი, შექცევადი — შეუქცევადი. ჩვეულებრივ კი უარყოფითი ფორმები **არა** აფიქსიოდით იწარმოება, რასაც ლ. გელენიძეც ადასტურებს. მაგალითად: კოქსვადი — არაკოქსვადი, რეგულირებადი — არარეგულირებადი, ტევადი — არატევადი, შლადი — არაშლადი, აქროლადი — არააქროლადი, ღენადი — არაღენადი, ღრეკადი — არაღრეკადი, ფეთქებადი — არაფეთქებადი, თვლადი — არათვლადი...

საანალიზო ფორმები აქტიურად მონაწილეობენ კომპოზიტ ტერმინთა შედგენაში. მთელი წყება ასეთი ლექსემებისა მიიღება **თვით** და **ადვილ** აფიქსიოდების მონაწილეობით. მაგალითები „ტექნიკური ტერმინოლოგიიდან“: თვითაღებადი, თვითანთებადი, თვითაღდგენადი, თვითმართვადი, თვითდნობადი... ადვილხსნადი, ადვილწვადი, ადვილადდგენადი, ადვილანთებადი, ადვილდნობადი...

საწყისთაგან ნაწარმოები -დ სუფიქსიანი ტერმინ-ლექსემა აბსტრაქტული სახელის ფუძედაც გვევლინება, დაირთავს -ობა სუფიქსს და ახალი ლექსიკური ერთეული ცნების სახელი ხდება. საყოველ-

თაოდ გავრცელებული **ძალადობის, პირადობის, პირველადობისა** და **შობადობის** გვერდით დავასახელებთ რამდენიმე ტექნიკურ ტერმინს, რომლებიც შეტანილია „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“: ტევადობა — ἰένεινός, მდგრადობა — ὀνιδίε+ἔαινεινός, განაწილებადობა, გაყოფადობა, — ἀἰἔἔἰνεινός, ღრეკადობა — ὀνιδίἰνεινός, და სხვ.

საანალიზო ლექსიკა შეტანილია ქველ-ში, რასაც ნათელყოფს ინვერსიული ლექსიკონი, სადაც 133 ერთეულია დაფიქსირებული, რაც მათს სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს.

საყურადღებოდ გვეჩვენება -ად/-დ დაბოლოებიანი ლექსიკის არა მარტო საწყისთაგან, არამედ ზმნურ ფორმათაგან წარმოების შესაძლებლობა. „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ საკმაოდ მრავალრიცხოვანია ამგვარად შექმნილი ტერმინ-ლექსემები და ახსნილია რუსული ენის აწმყო დროის მიმღეობათა შესატყვისი ფორმების შექმნის აუცილებლობით, მით უმეტეს, რომ პირიანი ფორმისაგან სახელის წარმოება უჩვეულო არ იყო ძველი ქართულისათვის და დღესაც ფართოდ არის გავრცელებული **ღირ-ს-ი, არ-ს-ი, მრწამ-ს-ი, მსგავ-ს-ი, იკითხვი-ს-ი** და სხვა ფორმები. მხედველობაში გვაქვს ზმნის ვნებითი გვარის ახლანდელი დროის ფორმათაგან ნაწარმოები ტერმინები:

- სველდება > სველდებადი — **смачивающийся**
- ვარდება > ვარდებადი — **подающий**
- სქელდება > სქელდებადი — **сгущающийся**
- ყენდება > თვითყენდებადი — **самоустанавливающийся**
- ვარვარდება > თვითვარვარდებადი — **самокаляющийся**
- ივრჩება > ივრჩებადი — **скручивающийся**
- იზეთება > იზეთებადი — **самосмазывающийся**
- იცენტრება > თვითიცენტრებადი — **самацентрирующийся**
- იკეტება > თვითიკეტებადი — **самозакрывающийся**
- იტვირთება > თვითიტვირთებადი — **самозагруживающийся**

ამ ტიპის ტერმინებს აქვთ უარყოფითი ფორმებიც, რომლებიც, ჩვეულებრივ, **არ** ნაწილაკიანია. მაგალითად: იფიტება > არიფიტებადი, იწვება > არიწვებადი, დაიშლება > არდაიშლებადი.

ზმნურ ფორმათაგან ვითარებითი ბრუნვის ფლექსიით სახელის წარმოება, როგორც ჩანს, არ იფარგლება ტექნიკური ტერმინოლოგიის პრობლემებით. ჩვენ ხელთ გვაქვს ასეთი წარმოების ცოცხალი ნიმუში, რომელიც ვნებითი გვარის ზმნის არა ახლანდელი, არამედ წარსული დროის ფორმისაგან არის წარმოებული, რაც იმაზე მეტ-

ველებს, რომ შესაძლოა გაფართოვდეს ზმნურ ფორმათაგან ამ ტიპის სახელთა წარმოქმნის არეალი. ეს არის **მოკვდადი**: მოკვდა > მოკვდადი („პერიოდულად **მოკვდადი** და შეცვლადი ღმერთები“). აჯობება და **კვდომადი**. მ. კ.). ძნელი სათქმელია, რამდენად არის ეს ფაქტი გაცნობიერებული სიტყვაწარმოებითი თვალსაზრისით, მაგრამ, ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის პრაქტიკიდან გამომდინარე, იგი კანონზომიერია, თუმცა ხელოვნური და, რა თქმა უნდა, არასასურველი.

საგულისხმოა, რომ „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ ზმნურ ფორმათაგან ნაწარმოები ტერმინების პარალელურად, ანუ დასაშვებ ვარიანტებად, ზოგჯერ საწყისთაგან წარმოქმნილი ფორმებიც სახელდება. მაშასადამე, დაშვებულია პარალელიზმი და არსებობს შერჩევის შესაძლებლობა. იხ. მაგალითები: თვითგანტვირთებადი || თვითგანტვირთებადი, თვითიშვებადი || თვითიშვებადი, თვითიფლუსებადი || თვითიფლუსებადი, არდაიშვებადი || არაშვებადი, არაიფიტებადი || არაიფიტებადი, თვითყენდებადი || თვითდაყენდებადი...

ზოგჯერ ზმნურ ფორმათაგან ნაწარმოები ტერმინების პარალელურად ლექსიკონში ორგანული წარმოების ნიმუშები არის მითითებული: არდაიწვებადი || უწვადი, თვითყირავდებადი || თვითსაყირაო... პარალელური ფორმები აქვთ საწყისთაგან ნაწარმოებ ტერმინებსაც. მაგალითად: არათანაზომვადი || უთანაზომო, არაშედლდებადი || შეუდლული, არახსნადი || უხსნარი, ადვილადღგენადი || ადვილადღგენი.

ასე რომ, საანალიზო ტიპის ტერმინთა შექმნის პროცესი დასრულებული არ არის. თუ შერჩევის შესაძლებლობა არსებობს, ვფიქრობთ, უპირატესობა არა ზმნათაგან, არამედ საწყისთაგან მიღებულ ფორმებს უნდა მიენიჭოს: **არადაშვადი** და არა-**არდაიშვებადი**...

ძალიან გავრცელდა საწყისი + ვითარებითი ბრუნვის ფლექსია ტიპის წარმოება თანამედროვე სასაუბრო ქართულში. პრესა, ტელევიზია, ზეპირმეტყველება ამ ტიპის ლექსიკას ფართოდ გამოიყენებს უმთავრესად არატერმინოლოგიური მნიშვნელობით. იხ. ნიმუშები:

- ადაპტირებადი — „ადვილად **ადაპტირებადი** პიროვნება“
- ადმინისტრირებადი — „გადასახადი უნდა გახდეს **ადმინისტრირებადი**“
- ამოღებადი — „გადასახადი **ამოღებადი**“
- ასახვადი — „**ასახვადი** პრობლემა“

ასოცირებადი — „წმინდა გიორგისთან **ასოცირებადი** სა-ხე-ლი“

ასრულებადი — „**ასრულებადი** ოცნება“

ატანადი — „ყველაფერი **ატანადია**, თუ...“

აღდგენადი — „**აღდგენადი** და **აღორძინებადი** ღმერთე-ბი“

აღზნებადი — „**აღზნებადი** პიროვნება“

აღრიცხვადი — „**აღრიცხვადი** სახსრები“

აღქმადი — „მუსიკა თუ არ იქნება **აღქმადი**...“

ახსნადი — „უცხოელებისათვის ეს გამოცემა **ახსნადი** იქნება“

ბრუნვადი — „რეალური **ბრუნვადი** საქმე“

გაგებადი — „**დიალექტები ურთიერთგაგებადია**“

გადაადგილებადი — „**გადაადგილებადი** სამუზეუმო ნივთები“

გადახდადი — „ეს თანხა **გადახდალია**“

გადაჭრადი — „აფხაზეთის პრობლემა **გადაჭრადია**“

გავრცელებადი — „**გავრცელებადი** ინფექციები“

გაკეთებადი — „ეს **გაკეთებადია**“

გამდიდრებადი — „**გამდიდრებადი** ქანები“

გამოყენებადი — „**გამოყენებადი** პრეპარატი“

გამოსწორებადი — „**გამოსწორებადი**“

განხილვადი — „**ბიუჯეტმა** მიიღოს **განხილვადი** სახე“

განხორციელებადი — „რეალურად **განხორციელებადი** მიზანი“

განკურნებადი — „**გაცილებით** მალე **განკურნებადი**“

განახლებადი — „**მუდმივად...** **განახლებადი** მოვლენა“

განგრძობადი — „**განგრძობადი** დანაშაული“

განვითარებადი — „**განვითარებადი** საწარმოები“

გაკეთებადი — „ეს **გაკეთებადია**“

გატანადი — „ის (ბიუჯეტი) **გატანადი** უნდა იყოს“

გაფართოებადი — „(ორთოგრაფიული ლექსიკონიდან)“

გრძნობადი — „**გრძნობადი** ხატი“

დამორჩილებადი — „**დამორჩილებადი** პრობლემები“

დასაქმებადი — „**ყველაზე დასაქმებადი** პროფესია“

დაგეგმვადი — „**დაგეგმვადი** და ბიუჯეტში **ასახვადი**“

დარეგულირებადი — „**მდგომარეობა დარეგულირებადი** არ არის“

დასწავლადი — „**აღამიანი დასწავლადია**“

დასჯადი — „**დანაშაულს** აფასებენ **დასჯადად**“

დაცვადი — „**დაცვადი** დისერტაცია“

დანთქმადი — „**დანთქმადთა** დანთქმად არ უტივებდა“

დაძლევადი — „**კრიზისი დაძლევადი**“

თავსებადი — „**ნატოს** ჯარებთან **თავსებადი**“

ინვესტირებადი — სპორტის ერთ-ერთი ყველაზე **ინვესტირე-ბადი** სახეობა

კადრებადი — „ყველაფერი **კადრებადი** იყო“

კაპიტალიზებადი — „**კაპიტალიზებადი** ეკონომიკა“

კითხვადი — „**საინტერესო** და **კითხვადი** ყურნალი“

კონსულტირებადი — „**კონსულტირებადი** პრობლემა“

კონტროლირებადი — „**კონტროლირებადი** ტერიტორია“

კოორდინირებადი — „**კოორდინირებადი** მოვლენები“

მანევრირებადი — „**მანევრირებადი** რაკეტა“

მართვადი — „**მართვადი** დემოკრატია“

მოგვარებადი — „ეს პრობლემა **მოგვარებადია**“

მოვლადი — „**ქუჩის** ბავშვები **მოვლადი** პრობლემას“

მოგვარებადი — „**პრობლემა მოგვარებადია**“

მოწყვლადი — „**აღამიანი მოწყვლადი** არსებაა“

მოპოვებადი — „ეს ინფორმაცია **მოპოვებადია**“

მოსწრებადი — „**იდეა მოსწრებადია**“

მოხმარებადი — „**ყველაზე მოხმარებადი** ღვინო“

მიმორხევადი — „**სასწორი** ქართველებისა... არის ად-ვილად **მიმორხევადი** და **მიმორწევადი**“

მიღწევადი — „**აქციები მიღწევადი** უნდა იყოს“

მრავალგანზომილებადი — „**სიღარიბის** ცნება **მრავალგანზომილებე-ბადია**“

მსხვრევადი — „**ადვილად მსხვრევადი** ნივთი“

პროგნოზირებადი — „**რუსეთი პროგნოზირებადი** ქვეყანა არ არის“

პროგრესირებადი — „**დამახასიათებელია პროგრესირებადი** სი-სუსტე“

რეალიზებადი — „**რეალიზებადი** მოდელები გამოფენი-ლია...“

რეფორმირებადი — „**ხელისუფლების** ყველაზე **რეფორმირება-**“

- დი შტო“
- „**ტივადი** ტერმინი“
  - ტივადი — „ვერ შექმნა **თვითუზრუნველყოფადი** სის-  
უზრუნველყოფადი ტემა“
  - ფეთქებადი — „სიტუაცია **ფეთქებადია**“
  - ფულადი — „**ფულადი** პრემია“
  - ფუნქციონირებადი — „დაწესებულება **ფუნქციონირებადია**“
  - ფუჭებადი — „პროდუქტი **ფუჭებადია**“
  - (მალფუჭებადი, მალფუჭადი)
  - ქრისტიანიზებადი — „**ქრისტიანიზებადი** რიტუალები“
  - შეგუებადი — „ადვილად **შეგუებადი** ხასიათი“
  - შედარებადი — „ეს მოვლენები **შედარებადია**“
  - შესრულებადი — „ბიუჯეტი **შესრულებადია**“
  - შექცევადი — „**შექცევადი** იშემია“
  - შეცნობადი — „**შეცნობადს** ხდის ზღაპრის ესთეტიკურ მხარეს“
  - შეწყნარებადი — „ეს განცხადება **შეწყნარებადია**“
  - ცვალებადი — „**ცვალებადი** მოღრუბლულობა“
  - ციტირებადი — „**ციტირებადი** ავტორი“
  - წელვადი — „**წელვადი** თათბირები“
  - წონადი — „რამდენად **წონადია** მსუბუქი მუსიკა“

დაუბრკოლებლად იწარმოება -ობა სუფიქსიანი აბსტრაქტული ცნებებიც:

ალგზნებადობა, განვითარებადობა, განმეორებადობა, გახსნადობა, (სიტუაციის გამჭვირვალობა და **გახსნადობა**), თავსებადობა, ურთიერთავსებადობა, მტვრევადობა, მსხვრევადობა, ქმნადობა („**ქმნადობის** სტიქია“), ცვალებადობა, ჯუფთებადობა, კონტროლირებადობა, დაცვა-დობა, აქროლადობა, ფრენადობა („თბილისელები“, №49, 2001).

ვითარებითი ბრუნვის ფლექსია აქტიურად არის ჩართული სიტყვაწარმოებითს პროცესში. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, იგი ძირითადად -ებ სუფიქსიან საწყისთაგან აწარმოებს ფორმებს. იხ. ნიმუშები:

- აუარეს-ებ-ს > გაუარეს-ებ-ა > გაუარესება-დ-ი
- იკურნ-ებ-ა > განკურნ-ებ-ა > განკურნება-დ-ი
- ფეთქ-ებ-ა > აფეთქ-ებ-ა > ფეთქება-დ-ი

სეკვესტრირდ-ებ-ა > სეკვესტრირ-ებ-ა > სეკვესტრირება-დ-ი  
რეალიზდ-ებ-ა > რეალიზ-ებ-ა > რეალიზება-დ-ი  
ამ პროცესების გარეშე არც -ობ, -ავ, -ამ და -ი თემისნიშნისანი, აგრეთვე უთემისნიშნო საწყისები რჩება. მაგალითად:  
ჭამ-ს > ჭამ-ა > ჭამა-დ-ი, სვ-ამ-ს > სმ-ა > სმა-დ-ი, აღნ-ობ-ს > დნობა > დნობა-დ-ი, შ-ობ-ს > შობ-ა > შობა-დ-ი > შობადობა, წყლ-ავ-ს > მოწყლ-ვ-ა > მოწყლვა-დ-ი, ღუნ-ავ-ს > ღუნვ-ა > ღუნვა-დ-ი, გადაჭრ-ი-ს > გადაჭრ-ა > გადაჭრა-დ-ი, ხრწნ-ი-ს > ხრწნ-ა > ხრწნ-ა-დ-ი...

როგორც დაკვირვება ნათელყოფს, საანალიზო ფორმათაგან ზოგი სპონტანურად, მეტყველების პროცესში იქმნება, ზოგი უკვე მყარად არის დამკვიდრებული როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში და საზღვრულ სიტყვათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაგალითად, **ტივადია** მცნება, სიტყვა, განსაზღვრება, ფრაზა, წინადადება; **ფეთქებადი** შეიძლება იყოს ხასიათი, ტყვია, რაკეტა, ბომბი, ნარევი, კრიმინოგენული სიტუაცია; **მართვადი** შეიძლება იყოს ისევ ხასიათი (შდრ. უმართავი ხასიათი), ადამიანი, ძალა, ტყვია, რაკეტა, პრესა, ელექტრონული მედია, დემოკრატია, ოპოზიცია, სიტუაცია, კრიმინოგენული ვითარება; **კონტროლირებადია** რაიონი, რეგიონი, პრესა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, სიტუაცია, კაზინო, სახსრები, ფონდები, მუზეუმების მუშაობა, ასაკი, ქაოსი (sic); **რეალიზებადია** იდეები, სურვილები, აქტივები, მოდელები; **პროგნოზირებადია** ამინდი, მოვლენა, ფაქტი, სახელმწიფო, საქციელი; **კოორდინირებადია** მოძრაობა, მოვლენები, სიტუაცია; **განკურნებადია** კორუფცია, ინფექცია, წყლულის ფორმა; **მოწყვლადია** ადამიანი, სახელმწიფო, პატარა პანდა, სხეულის ნაწილები — თავი და კისერი.

საწყისთაგან ვითარებითი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები ლექსიკის გავრცელებას ხელი შეუწყობს რუსულ ენასთან ინტენსიურმა ურთიერთობამ (ძველ ქართულში სხვა ფაქტორი მოქმედებდა). შემთხვევითი არ არის, რომ ამგვარად წარმოქმნილი ტერმინები რუსულად მიმღებობით ითარგმნება:

- შერთვადი — замыкающийся, შექცევადი — обратимый,
- ამორთვადი — выключающийся, შედუღებადი — свариваемый,
- ღუნვადი — изгибаемый, კრებადი — сходящийся,
- შეჯამებადი — суммируемый, კუმშვადი — стягивающийся,
- კვეცადი — усекающийся...

არც ის არის გამორიცხული, რომ პირიქით ხდებოდეს და რუსული ენის მიმღეობა იძლეოდეს იმპულსს, შესატყვისი ფორმა -დ დაბოლოებიანი საწყისით, ან ზმნური ფუძიდან ამავე აფიქსით ნაწარმოები ლექსემებით გადმოიცეს, რადგანაც იგი შინაარსით მიმღეობის ბადალია, მისი ფარდი ოდენობაა. ამის დასტური „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ რუსულ-ქართული ნაწილია.

ივ. იმნაიშვილს მიაჩნდა, რომ ძველ ქართულში „ასეთ წარმოებასთან... (იგულისხმება -დ სუფიქსიანი ფორმები) ახალი გრამატიკული მნიშვნელობა იყო დაკავშირებული, რომელსაც მომავალი დროის გაგება ჰქონდა და ერთგვარ აუცილებლობას გამოხატავდა“. დ. მელიქიშვილის შეხედულებით კი საწყისი + -დი წარმონაქმნი შესაძლებლობის მიმღეობაა და „ეს მოდელი განსაკუთრებით მარჯვე და პროდუქტიული აღმოჩნდა ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში, რადგანაც მისი საშუალებით გამოიხატება საგნის ან მოვლენის არსებითი და ზოგადი ნიშან-თვისება, ან ის, რის შესაძლებლობასაც ეს საგანი შეიცავს...“ საანალიზო ლექსიკა ჩვენთვის საობიექტო მიმღეობაა, რომელსაც მომავალ დროსთან ერთად ახლანდელის გაგება აქვს. იგი აუცილებლობასთან ერთად შესაძლებლობის ნიუანსს შეიცავს და, როგორც მიმღეობას, უარყოფითი ფორმებიც უკეთდება. მაგალითად: წონადი — უწონადი, მიღწევადი — მიუღწევადი, შეგუებადი — შეუგუებადი, შექცევადი — შეუქცევადი, შერაცხადი — შეურაცხადი...

ამ ტიპის მიმღეობის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი მისი ეკონომიურობაა. სხვა სახის მიმღეობათა მსგავსად ისიც დამოკიდებული წინადადების მონაცვლეა და ტექსტს (ზეპირ მეტყველებას) ქვეწყობისაგან განტვირთავს. თვალსაჩინოებისათვის იხ. რამდენიმე მაგალითი:

„აფხაზთაგან **კონტროლირებად** გუდაუთის რაიონში...“ შდრ. გუდაუთის რაიონში, **რომელიც აფხაზთაგან კონტროლდება** (ან: რომელსაც აფხაზები აკონტროლებენ).

„ადვილად **რეალიზებადი** მოდელები გამოფენილია...“ შდრ. მოდელები, **რომლებიც ადვილად რეალიზდება** (ან: იყიდება).

„კარგ ქართულ ტრადიციებთან **ასოცირებადი** სახელი, გიორგი ჰქვია“, შდრ. ჰქვია გიორგი, რომელიც კარგ ქართულ ტრადიციებთან ასოცირდება.

გფიქრობთ, საწყისი + -დ მოდელით ახალ-ახალი ფორმების

წარმოება და მათი გავრცელება, როგორც იტყვიან, შეუქცევადი პროცესია. ძნელია მსგავს ფორმათა წარმოების შეზღუდვა, ან მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა, მაგრამ აუცილებელია ზომიერების დაცვა, რომ ქართული, რომელიც ზმნებით მდიდარ ენად არის მიჩნეული, მიმღეობური კონსტრუქციებით არ დაიტვირთოს. გარდა ამისა, არ არის სასურველი -დ სუფიქსიანი წარმონაქმნების ხმარება იქ, სადაც ამის საჭიროება არ ჩანს. მაგალითად, ვკითხულობთ და ვისმენთ: „ეს არ არის სასამართლოს **განსჯადი** საკითხი“. თუ **განსასჯელი**? „ხალხს უჭირს, მაგრამ ყველაფერი **ატანადია**, როცა არსებობს...“ თუ **ასატანი**? ამ ბოლო დროს გამოჩნდა **„წელვადი** თათბირები“. განა არ იყო გასაგები **გაწელილი** თათბირები? ასე რომ, არ არის სასურველი -დ სუფიქსიანი წარმონაქმნების ხმარება იქ, სადაც ამის აუცილებლობა არ ჩანს. მაგალითად, პარალელურად იხმარება **ფულადი ნიშნები** და **ფულის ნიშნები**, **პირველადი მოთხოვნილების საგნები** და **პირველი მოთხოვნილების საგნები**, **უწონადობის პირობები** და **უწონობის პირობები**. ჩემი აზრით, დგება ნორმის შემუშავებისა და მისი დაკანონების საკითხი, მით უმეტეს, რომ -დ სუფიქსიანი წარმოება არ იფარგლება ფუძედ საწყისის გამოყენებით. პროცესში ერთგვარად მომავალი დროის მიმღეობა და შედეგად ვიღებთ სრულიად გაუმრათლებელ ფორმებს, რადგანაც ფუძედ აღებული მიმღეობა თავისთავად შეიცავს მომავალი დროის გაგებას. ის ხომ მომავალი დროის მიმღეობაა! ჩვენ ხელთ გვაქვს ოთხი ნიმუში:

მისაღწევი > **მისაღწევადი** („ასეთი კომპრომისი **მისაღწევადია!**“).

დასაძლევი > **დასაძლევადი** („ძნელად **დასაძლევადი** პრობლემა!“)

საყურებელი > **საყურებადი** („როცა მინდა გადაცემა იყოს **საყურებადი**...“)

განსახორციელებელი > **განსახორციელებადი** („**განსახორციელებადი** ქურდობა“)

თქმა არ უნდა, ასეთი ფორმების გამართლება შეუძლებელია. საფრთხილოც არის, რადგანაც მათს გავრცელებას სატელევიზიო გადაცემები უწყობს ხელს. პროცესი აბსტრუქტულად მიდის, რაზეც კრიტიკოს ჯ. თითმერიას რეაქციაც მეტყველებს.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ქართული მწერლობა, მხატვრული სიტყვა არ წყალობს მსგავს ფორმებს. „ვეფხისტყაოსნის“ **წვადი** („**წვადი** შეიწვეს, შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა“: 912, 1; „ცხენსა მისცა საძოვარნი, ვიდრე **წვადი** შეიწოდეს“: 193, 1) საყო-



ფაცხოვრებო ლექსიკას განეკუთვნება, ისევე როგორც **ჭამადი** > **შე-ჭამადი**, ხოლო **ქმნადი** და **მოწევნადი** რითმით არის ნაკარნახევი.

„ყმაღან უთხრა: „მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხედსა,

ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა **ქმნადსა**,

იგი იქმან ყველაკასა, იღუმალსა, ზოგსა ცხადსა

ხამს ყოვლისა დაჭერება, ბრძენი სჯერა **მოწევნადსა**“: 1038, 1-4.

საგულისხმოა, რომ მსგავს წარმოებას არ იცნობს ილიას, აკაკის, ვაჟას პროზა. არ არის დამახასიათებელი არც თანამედროვე მწერლების (აკა მორჩილაძე, ზ. სამადაშვილი, ზ. ნიჟარაძე, ირ. ჯავახაძე, ლ. თაბუკაშვილი, დ. ტურაშვილი) ენისათვის; ო. ჭილაძის „აველუმში“ კი ორი ასეთი ფორმაა: უკვე დამკვიდრებული „ფეტქებადი ტყვია“ (გვ. 370) და „პროგრესირებადი მიოკარდიოდისტროფია“ (გვ. 297). როგორც ჩანს, საწყისის -დ სუფიქსიანი ფორმები ავტორის აზროვნებისა და მეტყველების მახასიათებელია და სტილის სპეციფიკას განაპირობებს. იქნებ ამიტომ მიმართავს მათ ლ. სანიკიძე.

ლიტერატურა

**გელენიძე, 1984** — ლ. გელენიძე, არა/ არ ნაწილაკიანი სახელები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII, თბ., 1984.

**თითმერია, 2002** — ჯ. თითმერია, ამაღი (ჭამადი), იმაღი (ჭიმვადი), ომაღი (ძლომაღი)... ლიტერატურული საქართველო № 42, 2002.

**იმნაიშვილი, 1957** — ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

**მელიქიშვილი, 1999** — დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1999.

**ღამბაშიძე, 1986** — რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986.

**შალამბერიძე, 1958** — გ. შალამბერიძე, ზმნისართი ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1958.

**შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

წყარო

**პეტრე იბერიელი, 1987** — პეტრე იბერიელი, ქართული მწერლობა, I, თბ., 1987.

**არსენ იყალთოელი, 1987** — არსენ იყალთოელი, ქართული მწერლობა, II, თბ., 1987.

**გიორგი მთაწმიდელი, 1982** — გიორგი მთაწმიდელი, ქართული პროზა, I, თბ., 1982.

**იოანე პეტრიწი, 1999** — იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიადოხოსის სწორმეტყველების საფუძვლებისა, თანამედროვე ქართულზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დამანა მელიქიშვილმა, თბ., 1999.

**შოთა რუსთაველი, 1966** — შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი, თბ., 1966.

**სანიკიძე, 1999** — თ. სანიკიძე, ლექსიკური სავედრებელნი ლევან სანიკიძისა, თბ., 1999.

**სანიკიძე, 2000** — თ. სანიკიძე, „უქარქაშო ხმლებში“, ჩაწყობილი ლოგოსები, თბ., 2000.

**ტექნიკური ტერმინოლოგია, 1982** — ტექნიკური ტერმინოლოგია, ქართულ-რუსული ნაწილი, აკად. რ. დვალისა და დოც. რ. ღამბაშიძის რედაქციით, თბ., 1982.

**ქალაქური პროზა, 1999** — ქალაქური პროზა (ქეთი ნიჟარაძე, ირაკლი ჯავახაძე, ლაშა თაბუკაშვილი, აკა მორჩილაძე, ზაალ სამადაშვილი, დათო ტურაშვილი), თბ., 1999.

**ჭილაძე, 1995** — ო. ჭილაძე, აველუმი, თბ., 1995.

**ბრესა, ტელევიზია, 1999-2003.**

MELITA KOBALADZE

## Derivational Functions of Case Markers

## Summary

The instances of using the Transformative case marker for derivational purposes have been evidenced throughout the history of Standard Georgian. Ioane Petritsi was first to make the formant ad/d a productive element of the derivational system, especially when constructing terms and terminological patterns. In Modern Georgian the Transformative case marker has remained to be an intensively used means for forming terms from the masdar. However, the author of the paper considers the use of the suffix ad/d with verb forms (*sveldeba* > *sveldeba-d-i*), and the Future tense participle (*misayçevi* > *misayçev-ad-i*) unnatural for Georgian.

The pattern masdar + the transformative case marker is widely spread in Modern Georgian. The language of mass media and spoken discourses is abundant in lexical units built according to the model. One of the reasons for this is the economical nature of the model. The pattern masdar with the suffix ad/d + the Nominative case marker is perceived as a subjective partic

iple that can convey the meaning of Futurity and that of the Present; it can also express shades of obligation and probability. The paper argues that the phenomenon in question is the result of the influence of European languages and it may threaten the natural development of Georgian. It should be mentioned that forms of this kind are not typical either of 19<sup>th</sup> or 20<sup>th</sup> classic writers.

წიგნი ბელაშვილი

## სახელთა მრავლობითი რიცხვის გამოხატვა საშუალო ქართულსა სამართლის ძვალთა ენის მიხედვით

სახელის რიცხვი ფორმათა შეპირისპირების ნიადაგზე შემუშავებული გრამატიკული კატეგორიაა, რის შედეგადაც ქართულში ორი რიცხვია: მხოლობითი და მრავლობითი. მხოლობითი რიცხვის გამოხატვას რაიმე სპეციალური ნიშანი არ სჭირდება, მრავლობითი კი **-ებ**, **-ნ** და **-თ/თა** ალომორფებით იწარმოება. **-ებ** და **-ნ** მხოლოდ მრავლობითს გამოხატავს, **-თ/თა** კი მრავლობით რიცხვთან ერთად ბრუნვასაც (სარჯველაძე, 1997, 26; ონიანი, 2001, 22); ყველა მათგანი ქართულ ენაში პარალელურად იხმარება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მათი გამოყენების არეალი ერთგვარი არაა (კვაჭაძე, 1969, 130). თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მათი ურთიერთმიმართების განსხვავებული თვალსაზრისიც (იმნაიშვილი, 1957, 295; შანიძე, 1976, 32; ჩიქობავა, 1942, 248).

როგორც საშუალო ქართულისათვის ნიშანდობლივი, სამართლის ძეგლთა ენისათვის დამახასიათებელია ნარ-თანხანი მრავლობითის ფორმების სიჭარბე. **ნართ** წარმოება გვაქვს სახელობითსა და წოდებითში, **-თ/თა** კი დიფერენცირებული არ არის ბრუნვათა მიხედვით — გამოიყენება მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში.

1. **სახ. ბრ.**: „გამიხალღებინ იგი **სიგელნი**“ II, 14,5; „**ანგელოზნი მადიდებელნი**“ III, 113,11; „**ესენი**, ვითარცა **შარავანდენი** მზისა“ III,108, 28; „**არიან ამისნი მოწამენი** და შუა **დამხდურნი**“. III. 702, 26 ; „**სოფელნი** და **აგარანი** ჰქონან“ II, 15, 15 ; „და მცხეთისა **საქონებელნი მრავალნი** დაემჭირნეს“ II, 14,16 ; „**ორნი** ბროლისა სასანთლენი“, II,15,15 ; „შეაერთნეს **ყოველნი საცნაურნი** და **გრძნობადნი დაბადებულნი**“... II, 112, 21 ; „**სამოცდამეთხუთმეტნი შვილნი**“ III, 162,28.

**წოდ. ბრ.**: „და **ყოველნი** მღვდელთ-**მოძღუარნი**“ II, 18, 18; „და გაუწყებთ **შვილნი** და **ქმანი ჩემნი**“. III. 226, 32 ; „აწე ჩვენო **ნეტარნი** კათალიკოზნი, ქრისტეს მიერ კურთხეულნი პატიოსანნი

მეფენო და დადიანო, კეთილმორწმუნენო დედოფალნო, მართლ-  
მადიდებელნო მთავარნო, დიდებულნო დარბაზის ერნო, კე-  
თილმსახურნო მხედრობანო, აზნაურნო და ყოვლის სახლის  
უფალნო, ამას მოგახსენებ და გვედრები“. III, 673, 6.

II. -თ სუფიქსი ბატონობს გავრცობილი -თა ფორმით.

**მოთხ.ბრ.:** „...დარბაისელთ ებისკოპოზთაც ეგ არ მოვიდო-  
მოთ“ III, 700,20 ; „გაიყონ მღვდელთა და მგალობელთა“ II,16,10 ;  
„ერთგულება აჩუენეს ჩუენდა მომართ მამათა მემღვმეთა“, II, 13,  
12 ; „რომელთა დასხნეს კანონნი რიცხვთ ოცნი“ III,110,13 ; „საქმით  
ამხილეს სამთა მათ ჭაბუკთა ისრაიტელთა“ III, 107,34.

**მიც. ბრ. :** „რომელი იგი ყრმათაცა ეზიარა...“II. 112,36 ვარი  
სამცხოვრებელთა სამუშაოთა ადგილთა „მოაჯმარონ“ II. 15,13; „მით  
რომელ სხუათაცა ჰქონებოდა“, II. 16,19 ; „ასეგრავსისთა წმიდათა  
მამათა “. III.110,24; „მრავალთა ძმათა შორის ყოფა “. III, 112, 34

**ნათ. ბრ.:** ასეთ დროს სახელი ძირითადად მართულ გან-  
საზღვრებად ან უბრალო დამატებადაა ნახმარი : „ჩვენ ქართველთ  
მეფისა“. II, 267,10 ; „საზრდელი ძმათა — პური, ხილი ნუმცა ოდეს  
მოაკლდების“. 14,30 ; „აფხაზთა და ქართველთა რანთა და კანთა  
მეფისასა“ III. 106,5 ; „ამათა წმიდათა კრებათა მიერ“ III. 111, 16 ;  
„უვალ იყოს მონასტერი ესე ესევითართა პირთაგან“ III, 144,16 ;  
„სპარსთა ქონებასა ჰქონებია“ II-14,11.

შეგვხვდა ხმოვანფუძიანი სახელის ფუძის კვეცის შემთხვევა:

„მამათა და პაპთა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან“ II, 14, 15.

თანინი მრავლობითი თუ ვერ იგუებს ბრუნვის ფორმასთან  
შეზრდილ -ში, -ზე, -თან, -ვით, -კენ თანდებულებს (კვაჭაძე,1969,  
131), სამაგიეროდ, ზოგიერთი თანდებულის გამოყენება მასთან  
ბუნებრივია : „საქრისტიანოთა ძიებათათჳს“...III, 114, 22; „დამიწე-  
რია ასი დრაჰკანი მღვდელთა და მგალობელთათჳს“, II. 16,7;  
„სხუათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელი იყო“. 114,2; „რომელ-  
თაგანი ერთი პირველ-წოდებული ანდრია“. III, 109,14 ; „...და მე-  
პატრონეთაგან“. III, 702,21; „პაპთა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან“. II,  
14,15.

საკმაოდ ხშირია, როცა მეორე მრავლობითში დასმული სახელე-  
ბი ნაბრუნებია და ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. ისინი სავსე-  
ბით მიესადაგება ძველი ქართულის ტექსტებში გამოვლენილ ნიმუ-  
შებს:

„გულნი შემწყნარებელთა კაცთანი“. III. 108, 32; „და ნაწილნი

წმიდათანი“.II,15,22; „კეტნი ქუაბთანი“. II. 47,14; „ვირემდის გიმ-  
რავლდეს კრებულნი მონაზონთანი“. III. 659,8...

„და მივიღე ლოცვა ყოველთა მამათა . II.12,17 ; „მეტრობა  
გორცთა ასწავეს მათ“. III.109,3...

„შემაწუხებელმან ღმრთისა და მონათა მისთამან“. II. 13,2; „მერ-  
მე სიბოროტემან გმირთამან შენანება არწმუნა“ III.107.8.

„და ყოვლად ქებულთა მოციქულთასა“ III. 111,11; „ცოდვილთა  
ნაწილსა ზედა მართალთასა“. II.13,8...

„და, დამარხვითა საცხოვრებელთა მცნებათა თა“. „შერევნითა  
ენათა თა და მიმოდყოფითა ნათესავთა თა მეოთხედ დასაჯა ნათე-  
სავი“.III.107.12; „ნიშებშემოსილთა სასწაულთა თა“ III.109,34.... ერთ  
შემთხვევაში მსაზღვრელი დადასტურდა -თათა დაბოლოებით:  
„რა ცა სიბოროტითა ჟამათა შეცვალებულ იყო“.II.14,6 /მოსალოდ-  
ნელი იყო ჟამთა თა/

აღსანიშნავია დიალექტური ფორმა ოთხთავე: „მწღე ჩვენთაცა  
დარბაზით ათქს ოთხთავე“. II. 90,4.

გამოყვოფთ ოდენ მხოლობითის სახელებს, რომლებიც, ძველი  
ქართულის ვითარებისამებრ, გვხვდება მრავლობითის ფორმით:

„და დაჰჳსნა ყოველნი ღონენი მათნი“. II,24,20; „ოფლნი ღირ-  
სთა მამათანი“.III.113,16; „და მღვმეს ქონებანი...“; „სწავლანი მოძ-  
ლუართანი“.113,16; „გორცნი შეიმოსნა გორცთათვის“. III.108,4;  
„სისხლნი მოწამეთანი“.III, 113,16; „განყოფასა მისსა გორცთაგან  
განყავ იგი“. II,18,8; „სიმრავლენი ლუაწლისა დამდებლის“.III.109,23;  
„ბევრეულთა ვნებათა“.III.107,4; „უმრავლესთა საქმით[ას]წავებდეს“.  
III.137,30; „ურიცხვთაგან ერთი...“ II,12,29.

ქართულ ენაში -ებ ფორმანტით მრავლობითის წარმოების  
პრინციპი ავლუტინაციურია. დაერთვის მხოლობითის ფუძეს, თავს-  
დება ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის და გაჰყვება ბრუნვას. სა-  
შუალი ქართულის ადრეული პერიოდის სამართლის ძეგლთა ენაში -  
ებ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები შედარებით მცირე ოდენო-  
ბითაა. მათი გამოყენების ხვედრითი წონა თანდათან მატულობს  
შემდგომი საუკუნეების ძეგლთა ენაში, რაც მიგვანიშნებს ენის  
ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე -ებიანი და ნართანიანი მრავლო-  
ბითის გამოყენების არეალის არაერთგვაროვნებაზე.

„ცეცხლითა მოწუვად აიძულა სოფლები ხუთქალაქისა . III.107,  
19; „ეკლესიები საზეზო-მჩენოდ თჳსად მიიტაცა“.II.13,15; „მეიგო  
უცხოოდ დამმარხველი საფლავები“. III.107,22; „ბევრი სამსახურები

დაგედვა“ III. 717, 25. „ბჭითს ზეითს **სოფლებს**“ II. 15, 11; „ესე საბოლო-  
 ვო სითარხნის წიგნი გიბოძე თქვენ — **მანგლისელებს** მოყალ-  
 ნე[ე]ბს“ III. 694, 6; „და იმ **მამულებში** მივე და ჩემს ზვარზე დავა-  
 დევ“ III. 690, 12; „მიეცათ ნიშნის პატრონობა მეფისა და დედოფლისა,  
**ბატონიშვილებისა**, დარბაისლებისა და **უფლისწულებისა**“.  
 III. 528, 9; „ამ სახლის **ბატონებისაგან** პატივი სდებოდეს“ III. 223, 35;  
 „**მეფეების შეწირულებისა**“ II, 15, 17; „ჩვენის **ყმების** მაურობის  
 წყალობას დავგიაჯენით“ III. 701, 15; „მისის **ძმებითა** და სახლკარი-  
 თა“ III. 669, 11; „და აკეთის საყდარი მისის **სასახლებითა** და ....“ III.  
 533, 23; „და აზნაურის **შვილებითა**“ III. 242, 28.

საინტერესოა ნაცვალსახელთა -ებ სუფიქსით გაფორმებული  
 მრავლობითის ნიმუშები: „ყ[უ]ელა **ესები** არა ვქნათ“ III. 700, 20;  
 „**ესეები** ყველა ტყით, წყლით, მათის ყოვლისფერიანათ“ III. 730, 25;  
 „**ამაების** წიგნი და საფიცარი ებოძებინა“ III. 717, 35. „..... **ესე[ე]ბი**  
 არას წელიწადს არ დაგაკლდებოდეს“ III. 697, 15; „**ესები** მომიხსენე-  
 ბია“ III. 491, 27.

ლიტერატურა

**იმნაიშვილი, 1957** — ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და  
 ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

**კვაჭაძე, 1969** — ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I. თბ., 1969.

**ონიანი, 2001** — ალ. ონიანი. რიცხვის მორფემა თანამედროვე  
 ქართული სალიტერატურო ენის სახელთა სისტემაში, ენათმეც-  
 ნიერების საკითხები, №2, თბ., 2001.

**სარჯველაძე, 1997** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ.,  
 1997.

**შანიძე, 1976** — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა,  
 თბ., 1976.

**ჩიქობავა, 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი  
 აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

**ქსი, 1970** — ქართული სამართლის ძეგლები / პროფ. ი. დო-  
 ლიძის რედაქციით. ტ. II. 1965 ; ტ. III. 1970.

NUNU GELDIASHVILI

## Expression of the Plural in Nouns in the Language of Middle Georgian Legal Documents

Summary

The analysis of the data has revealed the existence of various historical  
 stages and different spheres in the usage of the plural suffix eb and n-t.

## ვენერა სოხიშვილი

## ზმნისწინის ფუნქციისათვის ლიხვისა და ჰსნის ხეობათა ქართულში

როგორც ცნობილია, ზმნისწინს თანამედროვე ქართულში რამდენიმე ფუნქცია აქვს: 1. აღნიშნავს მოქმედების მიმართულებას — გეზს. 2. ორიენტაციას; 3. სრული სახით წარმოგიდგენს ზმნით გამოხატულ მოქმედებას და 4. აწარმოებს სრულიად ახალი შინაარსის ზმნას.

თუ გავითვალისწინებთ იმ ნიუანსებსაც, რომლებსაც ზოგი ზმნისწინი დამატებით გამოხატავს (მაგ., **და-** ზმნისწინის მიერ ნეიტრალური, გაურკვეველი მიმართულების გამოხატვა; **და-რბის**, **და-ქრის...**, ინტენსიობის აღნიშვნა: **და-ჰრა**, **და-ქსოვა**, **და-ზარდა...**; **შე-** და **წა-** ზმნისწინებით მოქმედების ოდნაობითი ელფერის გადმოცემა. **შე-ათბო**, **შე-ათეთრა**; **წა-ზილა**, **წა-იძინა** და სხვ.), ვნახავთ, რომ მათი ფუნქციები ახალ ქართულში საკმაოდ გაფართოებულია.

გეზისა და ორიენტაციის აღნიშვნა პირვანდელი ფუნქციაა ზმნისწინისა, რომელიც მას დღევანდლამდე შერჩა ზმნაში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც მოძრაობას გამოხატავენ. ეს ფუნქცია მას მოჰყვება იმ დროიდან, როცა იგი ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სიტყვა იყო, ზმნისართს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისართი მჭიდროდ შეეზარდა ზმნას და სახელს და მოგვცა ერთი მხრივ, ზმნისწინი, მეორე მხრივ — თანდებული (შანიძე, 1953, გვ. 246; ჭუმბურიძე, 1986, გვ. 17). ზმნასთან შერწყმის შემდეგ ზმნისწინის როლი თანდათან იზრდება და გარდა მიმართულების აღნიშვნისა, იგი ძველ ქართულშივე უცვლის ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას. ახალი ფუნქცია, რომელიც ზმნისწინმა დამატებით შეიძინა, სრული ასპექტის გამოხატვაა. იგი ქართული სამწერლობო ენის ისტორიულ მანძილზე შემუშავდა და ახალ ქართულში ამ კატეგორიის გამოხატვის ძირითად საშუალებად იქცა.

ფიქრობენ, რომ ქართულში ვიდრე ზმნისწინი სრული ასპექტის გამომხატველი გახდებოდა, იგი აღნიშნავდა მოქმედების განსაზღვრულობას, ან მის მსგავს ფუნქციას ატარებდა და ზმნას მეტ კონკრეტ-

ტულობას ანიჭებდა. „უამისოდ ძნელი ასახსნელია, რატომ გვხვდება ზმნისწინი ძველ ქართულშივე ისეთ ზმნებთან, სადაც იგი არც მიმართულებას აღნიშნავს და არც ლექსიკურ მნიშვნელობას ცვლის. ამავე დროს ზოგი ასეთი ზმნა საერთოდ არ იხმარება უზმნისწინოდ. ეს ეხება განსაკუთრებით **-ნ /-დ** სუფიქსიან ვნებითი გვარის ზმნებს II სერიაში: **გან-თენა**, **გან-რისხნა**, **გან-სივნა**, **და-ყუნა**, **გან-ცოცხლდა**, **აღ-ორძნდა**, **გამო-ბრწყინდა...** ვერ ვიტყვი, რომ ამ ზმნებში მიმართულების ჩვენებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს და ზმნისწინების დართვა ამიტომ იყოს აუცილებელი. ზმნისწინი აქ არც შინაარსის ცვლას იწვევს..., ზმნისწინის დართვა ასეთ შემთხვევაში უკვე ძველ ქართულში ერთგვარი ასპექტური ნიუანსის გამოხატვასთან უნდა იყოს დაკავშირებული“ (ჭუმბურიძე, 1986, გვ. 20).. ამასთანავე არის ვარაუდი, რომ ზმნისწინს სრული ასპექტის წარმოების უნარი უნდა შეეძინა ჯერ მხოლოდ გარკვეული ტიპის ზმნებში, შემდეგ კი მისი სამოქმედო არე თანდათანობით გაფართოვდა და ახალ ქართულში იგი, როგორც აღვნიშნეთ, ასპექტის გამოხატვის ძირითად საშუალებად იქცა, „თუ ზმნა ასპექტიანია, უზმნისწინოდ ის უსრული სახისაა (იმპერფექტულია), ხოლო თუ ზმნისწინი დაერთო, სრული სახისა იქნება (პერფექტული შეიქმნება). ამ შემთხვევაში სულ ერთია, რომელი იქნება ზმნისწინი: მახლოებული თუ მაშორებული ორიენტაციისა, მარტივი თუ რთული შედგენილობისა. ამიტომ ერთ უსრულ ფორმას, ვთქვათ „წერას“ რამდენიმე სრული უპირისპირდება: **მი-წერა**, **მო-წერა**, **ა-წერა**, **და-წერა**, **შე-წერა**, **გა-წერა**, **გამო-წერა**, **ჩა-წერა**, **ჩამო-წერა**, **გადა-წერა**, რომლებიც ყველა ერთია ასპექტის თვალსაზრისით“ (შანიძე, 1953, გვ. 270).

ძველ ქართულში ასპექტის გამოხატვა სულ სხვა პრინციპზე იყო დაფუძნებული. ამ საკითხში ერთმანეთს უპირისპირდებოდა არა ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები, არამედ მწკრივები. I სერიის მწკრივები უსრული ასპექტისა იყო, II სერიისა კი — სრულისა. ზმნისწინს ამ საკითხში არავითარი ძალა არ ჰქონდა: ის ან გეზს აღნიშნავდა ორიენტაციითურთ ან ახალი ზმნის მაწარმოებელი მორფემა იყო. ამიტომ აწმყოს მწკრივის ეხლანდელ დროს მომავლისად ვერ გადააქცევდა: „წერს“ და „შთაწერს“ ორივე აწმყოს მწკრივს განეკუთვნებოდა და ორივე ახლანდელ დროს აღნიშნავდა. სამაგიეროდ II სერიის მწკრივები ყველა სრულასპექტიანი იყო (რა თქმა უნდა, იმდენად, რამდენადაც ზმნას ძალა შესწევდა ასპექტი ჰქონოდა, — ზოგი ზმნა უასპექტო იყო). ამიტომ ძველ ქართულში ასპექტის საკითხში ერთმანეთს უპირისპირდებოდა არა პრევერბიანი და უპრე-

ვერბო ფორმები, როგორც ეს არის დღეს, არამედ მწყრივები, რომლებიც ელემენტების შედგენილობით ყველაფრად ერთნაირი იყვნენ, მაგრამ განსხვავდებოდნენ სერიულად, ე. ი. წარმოების მიხედვით. ასპექტის გამოხატვის მხრივ ქართული ენა ერთი სისტემიდან (ბერძნულიდან) მეორე სისტემაზე (სლავურზე) გადავიდა, ოღონდ მსგავსება, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელ ქართულსა და სლავურ ენებს შორის ასპექტის საკითხში, მხოლოდ ზოგად ხაზებშია მოცემული, დეტალურად კი დღევანდელი ქართული ასპექტი ძალიან განსხვავდება სლავურისაგან (შანიძე, 1953, გვ. 276).

ასპექტის წარმოების სისტემის შეცვლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ქართული ენის მორფოლოგიაში. აწმყოს ჯგუფის სამი მწყრივისაგან პარალელურ ფორმათა გრამატიკული შინაარსის შეცვლის გზით წარმოიქმნა სამი ახალი მწყრივი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ასპექტის მიხედვით, არამედ დროისა და სხვა ელემენტების მიხედვითაც. ამით II კავშირებითს საშუალება მიეცა თხრობითი კილოს (მომავალი დროის) გამოხატვაზე ხელი აედო და მარტო კავშირებითობა აღენიშნა. რაკი ზმნისწინმა მაპერფექტივებელი ძალა შეიძინა და ამით I სერიის მწყრივთა სრულასპექტიანი ფორმები ჩამოაცილა აწმყოს და მასთან წარმოების მხრით გაერთიანებულ მწყრივებს და მათ საპირისპიროდ მყოფადის წრის მწყრივები წარმოქმნა, ძირეულ მწყრივებში (აწმყოში, უწყვეტელში, აწმყოს კავშირებითში) აღარ დაგვრჩა არავითარი საშუალება, რომ გეზი და ორიენტაცია იქნეს გამოხატული (შანიძე, 1953, გვ. 278).

ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა, ბუნებრივია, ერთბაშად ვერ მოხდებოდა. ის ხდებოდა ნელ-ნელა, ამიტომ XI-XVI სს. ქართულის ძეგლებში ერთიმეორის გვერდით გვხვდება ძველი სისტემის ნიმუშებიც და ახლისაც. და არა მარტო ამ პერიოდში, არამედ XVII-XVIII საუკუნეებში და შემდგომაც (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ) ზმნისწინიანი ფორმები ერთნაირად იხმარება როგორც აწმყოს, ისე მყოფადის მნიშვნელობით. ამის მაგალითები უხვადაა წარმოდგენილი ანტონ პირველის გრამატიკასა („ქართული ღრამმატიკა“, 1753 წ.) და „გორელი ანონიმის“ ლექსიკონში (1724 წ.)<sup>1</sup>.

ანტონის გრამატიკა ყურადღებას იქცევს ზმნის უღლების პარა-

<sup>1</sup>საუბარია „გორელი იტალიურ-ქართული ლექსიკონის“ შესახებ, რომელიც გორში უცნობ მისიონერს შეუდგენია ბერნარდო ნეაპოლისელი პრინციპებით. ამ ლექსიკონის მოკლე სახელწოდებად პროფ. თ. უთურგაიძე „გორულ ანონიმს“ იყენებს (თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999, გვ. 174).

დიგმების თავისებურებით, რომლებიც განხილულია თ. უთურგაიძის შრომაში (უთურგაიძე, 1999, გვ. 175). პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული ხელნაწერის მიხედვით, ანტონის გრამატიკაში აღნიშნული თავისებურებანი იმაში მდგომარეობს, რომ აწმყოს მწყრივში წარმოდგენილია როგორც ზმნისწინიანი (უმეტესად), ისე უზმნისწინო ფორმები, რომლებიც დროის მიხედვით არ უპირისპირდებიან ერთიმეორეს: საილუსტრაციოდ წარმოდგენილია „შეყვარება“ ზმნის უღლების სქემა:

#### თხრობითი კილო

##### აწმყო

**მხოლ.** შევიყუარებ, შეიყუარებ, შეიყუარებს

**მრავლ.** შევიყუარებთ, შეიყუარებთ, შეიყუარებენ

##### ნამყოი ურსული

**მხოლ.** შევიყუარებდი, შეიყუარებდი, შეიყუარებდა.

**მრავლ.** შევიყუარებდით, შეიყუარებდით, შეიყუარებდნენ...

„ანტონის გრამატიკაში თითქოს ძველი ნორმა გატარებული, მაგრამ ჩანს, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ზმნისწინიანი ფორმები, რომელთაც ამჟამად მხოლოდ მყოფადი დროის გაგება აქვთ, აწმყოს გაგებითაც იხმარებოდნენ სამეტყველო ენაში. ასეთი ფორმები ფრ. მაჯოს გრამატიკაშიც (XVII ს. I ნახევარი) არის და განსაკუთრებით ბევრია გორელი ანონიმის ლექსიკონის დანართში (XVIII საუკუნის I მეოთხედი)“ (უთურგაიძე, 1999, გვ. 175). აქვე დამოწმებულია გორელი ანონიმის შემოხსენებულ შრომაში მოცემული ზმნის ფორმები, რომელთაც აწმყო დრო აქვთ მიწერილი: **გავგზავნი, შევიტყობ, მოვკლავ, გარდავასხამ, გავაგდებ, დავყრი, დავთმობ, გავყვები, ვიქ, შევიქნები** და სხვ. თუმცა, აღნიშნავს ავტორი, ამავე ნაშრომში დროული დაპირისპირება ზმნისწინთა მიხედვით არ არის იშვიათი: ვძრახავ (აწმყო) — დავძრახავ (მყოფადი). ვწოვ-მოვწოვ... ჩანს, გორელი ანონიმი ცდილობდა დროული დაპირისპირება როგორმე ფორმების საშუალებით ეჩვენებინა და ამ მიზნით ერთგან „აწმყოს“ დაეწვავ ფორმას „მყოფადში“ უპირისპირებს **დავწვამ** ფორმას, რაც ხელოვნურია უთუოდ, მაგრამ საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ზმნისწინიანი **დავწვავ** აწმყო დროის გაგებით არის შეტანილი პარადიგმაში (უთურგაიძე, 1999, გვ. 175).

როგორც ჩანს, ანტონის გრამატიკასა და გორელი ანონიმის ლექსიკონის დანართში მოცემული ზმნისწინიანი ფორმების აწმყო დროის გაგებით გამოყენება და საერთოდ, მათი არსებობა რეალურად ასახავს XVII-XVIII საუკუნეების სამეტყველო ენის ვითარებას.

აღნიშნული მასალა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ანალოგიური ვითარება დღესაც დასტურდება ქართული ენის ზოგიერთ კილოში. მხედველობაში გვაქვს ქსნის ხეობის ზემოქსნური თქმა, სადაც ჯერ კიდევ აწმყო დროის გაგებით იხმარება ზმნისწინიანი ფორმები.

ლიახვისა და ქსნის ხეობის (განსაკუთრებით ამ უკანასკნელის) ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასა და დიალექტურ ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზმნისწინები აქ ხშირ შემთხვევაში გამოხატავენ მხოლოდ მიმართულებას (გეზს ორიენტაციითურთ), ან ახალი შინაარსის ზმნის მაწარმოებელი მორფემებია, ზოგჯერ განუსაზღვრელობის ფუნქცია აქვთ (განსაკუთრებით და- ზმნისწინს); ან კიდევ, მოქმედების ინტენსიობას გამოხატავენ (რაც ერთი ობიექტის მოქმედების მრავალგზის განმეორებას გულისხმობს), მოქმედების სისრულეს კი ვერ აღნიშნავენ (სრულ ასპექტს ვერ აწარმოებენ). ამიტომ ზმნისწინების: **გა-, ჩა-, და-, მო-, ამო-, ჩამო-, შე-, შემო-, გადა-, გადმო-** და სხვ. ახლანდელი დროის ფორმებზე დართვა ზმნას მომავლისად ვერ აქცევს (დროს ვერ შეუცვლის). ზმნები: **ყრის-, გაყრის-, დაყრის-, ჩაყრის-, გადაყრის-, გადმოყრის-, გრენს - დაგრენს, ჭრის - დაჭრის, ფქვავს - დაფქვავს, კრავს-, შეკრავს** და სხვ. ახლანდელი დროის გაგებას გვაძლევენ, აწმყოს წრის მწკრივს განეკუთვნებიან და როგორც ზმნისწინიანი, ისე უზმნისწინო ფორმები უსრულ მოქმედებას გამოხატავენ<sup>1</sup>.

ზმნისწინიანი ფორმები ახლანდელი დროის გაგებით შეიძლება შეგვხვდეს როგორც აწმყოში, ისე უწყვეტელში. მაგ.:

### აწმყო. I პირი

- ჩქარა მოდი, გეძახიან!
  - არა მცალიან, წინდებს დავქსოვ (=ვქსოვ) (ქსნ. ხ.)
  - რას აკეთებ?
  - ბარის სატარებს დავჭრი (=ვჭრი) (იქვე)
  - რათ ატირებ მაგ ბაღლებს?
  - ფეხთ დავხდი და არ უნდათ (=ვხდი) (იქვე)
- „აქ რასა ზიხარ, გაიხედე, ღმერთი ნაზუქებს ჩამა ყრის“ (=ყრის).

### II პირი

- „სად გადაყრი (=ყრი) მაგ ნაგევს, არა გრცხვენია?“ (იქვე)
- „მაგ ქვებს რათ გადმოყრი, აღარა გჭირდება?“ (ქსნ. ხ.)

<sup>1</sup>გარკვეულ კონტექსტში ისინი მომავალი დროის გაგებასაც იძლევიან და სრული ასპექტისანი არიან. აწმყოსა და მყოფადის საუღლებელ ერთეულად მიჩნევისას ზმნისწინების დართვა-დაუთრეველობას კითხვის ნიშნის ქვეშაც აყენებენ (გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 1988, გვ. 87-92).

„სუ ყოველთვის აქ რო და ყრი (ყრი) ნაგევსა, რასა ფიქრომ?“...

### III პირი

- ის იქ რას შვრება?
  - ხეებს მოჭრის (=ჭრის).
  - ბაღლი სად არის?
  - წისქვილშია, საფქოვს დაფქომს (=ფქვავს).
- „ის ქალი იქით ოთახშია და წინდებს და ქსოვს“ (=ქსოვს).
- „ეს ბიჭი ქვებ და ქვიმას ჩამოუყრის ამ ბებერსა“ (=უყრის) (იქვე).

### უწყვეტელი

- „ის რო ჩემთან შემოიდა, შემას დავჭრიდი“ (=ვჭრიდი, უსრ. ასპ.).
  - რას აკეთებდი?
  - წისქვილში საფქოვს დავფქომდი (=ფქვავდი).
- „მე იქ უცდიდი, ის კი იდგა და ფქვილ მემოკში ჩა ყრიდა“ (=ყრიდა) ამ წინადადებაში ზმნისწინიანი ფორმა „ჩაყრიდა“ და უზმნისწინო „უცდიდი“ ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია და ორივე უსრულ ასპექტს გამოხატავს. **ჩა-** ზმნისწინი აქ მხოლოდ მიმართულებას აღნიშნავს (გეზს ორიენტაციითურთ).

აწმყოს მწკრივის ზმნისწინიან ფორმებს („დავქსოვ“, „დავჭრი“, „დავხდი“, „გადაყრი“, „მოჭრის“ და სხვ.) სხვა შემთხვევაში შეიძლება სრული ასპექტის გაგებაც ჰქონდეთ, თუ ისინი კონტექსტში მომავალ დროს აღნიშნავენ. მაგ. „ხვალ მოვალ და შემას დავჭრი“, „წინდებს მერე მოვქსოვ“, „წავალ, ბავშვებს ფეხსაცმელებს დავხდი“...

ზმნისწინიანი ფორმები ახლანდელი დროის გაგებით სალიტერატურო ენასა და ქართ. ენის სხვა კილოებშიც გვაქვს. ასეთებია: გამოხატავს, განაგრძობს, განიხილავენ, მოიპოვებენ..., რომლებსაც სხვადასხვა კონტექსტში მომავლის მნიშვნელობაც აქვთ.

ამრიგად, ქსნის ხეობის ქართულში (იშვიათად ლიახვის ხეობაშიც) ზმნისწინებმა: **მო-, გა-, ჩა-, და-, ამო-, ჩამო-, შე-, შემო-, გადა-, გადმო-**, და სხვ. შეინარჩუნეს გეზისა და ორიენტაციის გამოხატვის ფუნქცია (ხშირ შემთხვევაში ახალი შინაარსის ზმნის წარმოქმნის უნარი), შეიძინეს მოქმედების გამოხატვის სხვა ნიუანსებიც, ასპექტის გამოხატვის ფუნქცია კი ვერ განივითარეს. ამიტომ ამ საკითხში ძველი ქართულის მსგავსად, აქ ერთმანეთს უპირისპირდება აწმყო, უწყვეტელი და წყვეტილი. პირველი ორი მწკრივის ფორმები (როგორც ზმნისწინიანი, ისე უზმნისწინო) უსრული ასპექტისაა, წყვეტილისა კი — სრულისა. ზმნისწინები ამ შემთხვევაში გამოხატავენ ან გეზსა და ორიენტაციას, ან მოქმედების ინტენსიობას.

რა თქმა უნდა, ამგვარად წარმოებას სისტემატური ხასიათი არა

აქვს და, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად მხოლოდ ქსნის ხეობის ჩრდილო ნაწილშია (ზემოქსნურში) შემონახული, მაგრამ თვით ამგვარი ფორმების არსებობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ზმნისწინი დღესაც ხშირად ვერ ავლენს სრული ასპექტის წარმოების უნარს. ამდენად, ანტონ პირველის გრამატიკასა და გორელი ანონიმის ლექსიკონის დანართში წარმოდგენილი ფორმები (ზმნისწინიანი ფორმები აწმყო დროის გაგებით) არ შეიძლება ხელოვნური იყოს. ისინი XVII-XVIII საუკუნეების ქართული სამეტყველო ენისათვის დამახასიათებელ რეალურ ვითარებას ასახავენ<sup>1</sup>

ლიტერატურა

**შანიძე, 1953** — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953,

**უთურგაიძე, 1999** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

**ჭუმბურიძე, 1986** — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

**გოგოლაშვილი, 1988** — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 1988.

**ანტონ პირველი, 1977** — ანტონ პირველი (ბაგრატიონი), ქართული გრამატიკა („ქართული ღრამმატიკა“), II რედაქცია, 1767; 1977.

VENERA SOMKISHVILI

## Functions of Preverbs in the Kartlian Dialect of the Liakhvi and Ksani Valleys

### Summary

In the Kartlian dialect of the Ksani valley (less commonly of the Liakhvi valley) the preverbs — **mo, ga, ča, da, amo, čamo, šemo, gada, gadmo etc.** have preserved the functions of indicating direction and orientation, as well as the ability of forming verbs with different semantics. The preverbs in question have acquired the capability of showing various shades of action. However, they have not developed an aspectual meaning.

Like Old Georgian, in the Liakhvi and Ksani accents, the Present and the Continuous are opposed to the Aorist; the first two mtskrivi (chunk) forms (both with or without preverbs) express the imperfective aspect, whereas the Aorist conveys the perfective aspect. The preverbs indicate only direction and orientation, or the intensity of action.

<sup>1</sup>მდრ. ანტონთან: თხრ. კილო, აწმყო.  
მხ.რ. შევკრავ, შეპკრავ, შეპკრავს. მრ.რ. შევკრავთ, შეპკრავთ, შეპკრავუნ  
(ანტონ პირველი, თბ., 1767),  
ქსნ.ხ.: თხრ. კილო, აწმყო  
მხ.რ. დავჭრი, დავჭრი, დავჭრის; დავქსოვ, დავქსოვ, დავქსოვს.  
მრ.რ. დავჭრით, დავჭრით, დავჭრიან; დავქსოვთ, დავქსოვთ, დავქსოვენ...



## ბიული ზაბაზვილი

## პერფექტის კატეგორიისათვის კარტულ ენაში

ინდოევროპულ ენებში პერფექტი მკვეთრად გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც სინქრონიულ დონეზე წარსულში ჩადენილი მოქმედების შედეგს გამოხატავს, თუმცა, როგორც თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაშია აღიარებული, რეზულტატურობა ინდოევროპული პერფექტის მეორეულ მახასიათებელს წარმოადგენს, მისი ფუნქციურ-სემანტიკური ევოლუცია გრადაციის რამდენიმე საფეხურს ითვალისწინებს. პერფექტის უძველესი ფენა ასახულია აწმყოს მნიშვნელობის მქონე ძველ ბერძნულ ე. წ. ინტენსიურ, ანომალურ პერფექტულ, ასევე გერმანიკული ენების პრეტერიტულ-პრეზენტულ ზმნებში, რომლებიც პრედიკატულ სიტყვათა შეზღუდულ ლექსიკურ-გრამატიკულ კლასს შეადგენენ და ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას გამოხატავენ. მათ პრეზენსსა და აორისტიში საპირისპირო ცალები ხშირად არ მოეპოვებათ. აქედან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ პერფექტი თავდაპირველად ზმნის სისტემის დერეგაციამდე არ მონაწილეობდა. ამ უძველესი გრამატიკული კონსტრუქციებისათვის დამახასიათებელი სემანტიკური თავისებურებაა სუბიექტის ინაქტიურობა, რის საფუძველზეც გამოყოფენ პრეზენს-აორისტისა და პერფექტის სისტემების დისტინქციას: აქტიურობა (პრეზენსი / აორისტი) / ინერტულობა (პერფექტი), მედიუმის ფორმირების შემდეგ ეს შეპირისპირება კარგავს თავის აქტუალობას და ფორმდება ოპოზიციით აქტიურობა / სტატიკურობა, ვინაიდან არქაული პერფექტის სემანტიკა სტატალური მნიშვნელობის მატარებელია, ზმნური ფუძის არჩევა არც ამ შემთხვევაშია ნებისმიერი (პერელმუტერი, 1977, გვ. 29; 40). მხოლოდ ამის შემდეგ იქნეს პერფექტი რეზულტატურობის მნიშვნელობას, გამოხატავს რთულ დროულ მიმართებას უბნობის მომენტსა და წარსულში ჩადენილ ქმედებას შორის და მოგვიანებით ზმნის უღლების სისტემაშიც იღებს მონაწილეობას, შესაბამისად, ფორმებს სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ფუძეებისაგანაც აწარმოებს. ე. ი. პრედიკატულ სიტყვათა ლექსიკურ-გრამატიკული კლასიდან ინდოევროპულმა

„პერფექტმა“ პერფექტის დღევანდელი მნიშვნელობა შეიძინა და წარმოქმნის კატეგორიიდან უღლების კატეგორიაში გადაინაცვლა. თუმცა, პერელმუტერი ამ პროცესში კიდევ რამდენიმე შუალედურ რგოლს გამოყოფს: მდგომარეობის პერფექტი → მოქმედების პერფექტი → აქტუალური წარსული → უღლების კატეგორიაში ინტეგრაცია (პერელმუტერი, 1977, გვ. 53).

ქართული ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური სტრუქტურისათვის პერფექტი აგრეთვე დამახასიათებელი კატეგორია ჩანს. ინდოევროპული ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნების მსგავსად, ქართულშიც გამოიყოფა ზმნათა ამგვარი კლასი, ე. წ. აფექტური (გრძნობისა და მქონებლობის) ზმნები: მიყვარს, მძულს, მაქვს, ჰყავს და ა. შ., რომლებიც საენათმეცნიერო ლიტერატურაში ინვერსიულ ფორმებადაა მიჩნეული. თუმცა, ამ ზმნებსაც პერფექტული სინტაქსური კონსტრუქცია აქვთ, რაც სუბიექტის ინერტულ ბუნებას გულისხმობს. ამა თუ იმ მდგომარეობაში სუბიექტი ვარდება თავისი სურვილისაგან დამოუკიდებლად. მდგომარეობა, რომელიც უძველესი პერფექტებითაა გადმოცემული, არ გულისხმობს სუბიექტის მხრიდან რაიმე აქტიურობას. სწორედ ეს თვისება — სუბიექტის ინაქტიურობა — შეადგენდა იმ გრამატიკული კონსტრუქციებისათვის ყველაზე დამახასიათებელ სინტაქსურ თავისებურებას, რომლებშიც არქაული პერფექტის ფორმები შემასმენლის როლს ასრულებდა, პერფექტისათვის სპეციფიკურია ინტრანზიტულობა, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როცა პერფექტს აქვს პირდაპირი დამატება, როგორც წესი, ობიექტზე რეალურ ზემოქმედებას იგი არ ახდენს (პერელმუტერი, 1977, გვ. 29). აქედან გამომდინარე, მიყვარს ზმნა აქტანტთა ურთიერთმიმართების არსით უთანაბრდება **მაწუხებს, მახარებს** ტიპის ზმნებს (უთურგაიძე, 2002, გვ. 93). შეიძლება ითქვას, რომ ქართული აფექტური ზმნები პერფექტის უძველეს ფორმაციას წარმოადგენს, ამდენად, მათ ძირეული პერფექტებიც შეიძლება ეწოდოს (კორტავა, 1981, გვ. 110). მით უმეტეს, რომ ეს ზმნები მედიოპასივებია, რაც უშუალოდ უკავშირდება პერფექტის სემანტიკას.

უძველესი პერფექტის ანუ მდგომარეობის სემანტიკისათვის ქართულ ენას აქვს სტატიკურ ზმნათა გარკვეული ლექსიკურ-გრამატიკული კლასი, რომელიც უძველესი წარმოშობისაა, უძველესია მწკრივთა წარმოების ის მოდელებიც, რომელსაც ის იყენებს (ბარამიძე, 2000, გვ. 26-27). ე. ი. ქართული სტატიკური ზმნები პერფექტული შინაარსისაა (ჯორბენაძე, 1975, გვ. 24) და სწორედ ამ თვისე-

ბის გამო ისინი ვერ აწარმოებენ მეორე სერიის ფორმებს და პარადიგმას რეგულარულად ე-პრეფიქსიანი დინამიკური ვნებითის საშუალებით იგსებენ.

მდგომარეობის სემანტიკაში რეზულტატივის განვითარების კლასიკური მაგალითია III სერიის ქართული პერფექტული მწკრივები, რომლებშიც პერფექტის ფორმირების ბოლო ეტაპია ასახული, მით უმეტეს, რომ თურმეობითები სტატიკური ზმნების არა მხოლოდ შინაარსობრივ, არამედ ფორმალურ განვითარებასაც წარმოადგენს. ამდენად, III სერიაში ზმნებს, ბუნებრივია, უნდა ჰქონდეთ პერფექტული სინტაქსური კონსტრუქცია, ახასიათებდეთ ინტრანზიტულობა, ინაქტიური სუბიექტი, რაც, თავისთავად, გამორიცხავს ამ ფორმათა ინვერსიულ წყობას. უღლების კატეგორიაში პერფექტი ინდოევროპული ენების მსგავსად გვიან იღებს მონაწილეობას და ფორმების საწარმოებლად ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას აღარ განარჩევს. მიიჩნევენ, აგრეთვე, რომ პერფექტის ბენეფაქტურ-პოსესიური ქცევის ფორმებზე აგებული წარმოების მოდელი საერთო ქართველურშიც ფუნქციონირებდა (მელიქიშვილი, 1991, გვ. 131).

ნათელია, რომ ქართული ზმნის სტრუქტურას, ისევე როგორც ინდოევროპულ ენებში, პერფექტის ყველა ფორმაციის ასახვის პოტენცია გააჩნია. შესაბამისად, პერფექტი ქართულ ენაში ერთ-ერთი უძველესი ზმნური კატეგორიაა. სხვა ქართველური ენების მონაცემების გათვალისწინებით კი პერფექტი საერთო ქართველურ დონემდეც შეიძლება დავიყვანოთ.

ლიტერატურა

**ბარამიძე, 2000** — ლ. ბარამიძე, სტატიკური ვნებითი ძველ ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 3, 2000.

**კორტავა, 1981** — ი. კორტავა, პერფექტი ინდოევროპულ და ქართველურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, 1981.

**მელიქიშვილი, 1991** — È. Iâșeșeșâșeș, Iâđđâđđ â êâđđââșüñêñ è êñâñâđññêñêñ, Èñđñđê-âñêâý èñââñđêñâ è ðêññâêý, Ì., 1991.

**პერელმუტერი, 1977** — È. À řâđâșüñđđđ, Íñâñêñâñâđññêñêñ è ãđâ-âñêñêñ ãêâññêñ, Ì., 1977.

**უთურგაიძე, 2002** — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

**ჯორბენაძე, 1975** — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა

წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.

GIULI SHABASHVILI

## On the Category of Perfect in Georgian

### Summary

In Indo-European languages the Perfect is a distinct verb category which can be traced back to Proto Indo-European; it has undergone several stages of functional and semantic gradation. From the viewpoint of the development of perfect, Georgian shows typological resemblance with Indo-European languages.

## ლაზარა ნოზაძე

## მასღარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და კვლ-ი\*

მასღარის წარმოებასთან ქართულში საკითხთა წყებაა დაკავშირებული. ამჯერად განვიხილავთ საკითხს — რისგან იწარმოება მასღარი ქართულში? ამაზე დამოკიდებული, რა გრამატიკული კვალიფიკაცია მიეცემა მას, კერძოდ, ქველ-ში.

თავის მხრივ, აღნიშნულ საკითხთან უშუალო კავშირშია პრობლემა — ქცევა და გვარი უღლების კატეგორიაა, თუ წარმოქმნისა? და თუ — წარმოქმნისა, რა სახის წარმოქმნასთან გვაქვს საქმე — გრამატიკული შინაარსის თუ ლექსიკური?<sup>1</sup>

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს.

ა. შანიძის განმარტებით, უღლებისაა კატეგორია, თუ ის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას არ ცვლის და ამასთან ერთად აუცილებლად საჭიროა ერთის ან რამდენიმე მწკრივის საწარმოებლად. მისი აზრით, ასეთია: პირი, რიცხვი, დრო, კილო,

\* წაკითხულია მოხსენებად. იხ. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XIV, 2003, 50.

<sup>1</sup> წარმოვადგენთ ა. შანიძის აღნიშნული თვალსაზრისის გამოხატველ რამდენიმე ციტატას მისი შრომებიდან.

მკვლევარი ქველ-ის პრინციპების განხილვისას შენიშნავს: „...უფრო მძიმეა ის გარემოება, რომ განმარტებით ლექსიკონში ფორმები დალაგებულია ისეთი წესით, რომელიც ერთმანეთისაგან თითქმის **ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით ერთსა და გრამატიკული ნიშნების მიხედვით განსხვავებულ ფორმებს** (ხაზგასმა — ლ. ნ.) და სხვადასხვა ადგილას ათავსებს მათ (შანიძე, 1999, გვ. 98).

კიდევ: „ერთი ძირითადი მნიშვნელობის მქონე სიტყვები გათიშულია და სხვადასხვა ადგილას მოთავსებული (ორსავე შემთხვევაში მხედველობაშია გვარისა და ქცევის ფორმები — ლ. ნ.) (შანიძე, 1999, 101; 1973, 559. იხ. აგრეთვე ფოგტი, 1970, გვ. 362).

ა. შანიძის მიერ ზმნურ წარმოქმნილ ფორმათა ამგვარი ინტერპრეტაცია ქართულში — მათი დიფერენცირება — გამიჯვნა გრამატიკული შინაარსისა და ლექსიკური მნიშვნელობათა მიხედვით სპეციალისტების მიერ რატომღაც გათვალისწინებული არ არის (შდრ. ჩიქობავა, 1999, 134; უთურგაიძე, 2002, გვ. 79-81 და სხვ.).

გზისობა, აქტი, თანამდევრობა. მაგალითად, ჭამს, ჭამდა, ჭამა, ჭამოს... მკვლევრის თვალსაზრისით, ფლექსიური ფორმებია. მათ აერთიანებს ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობა. მათი ფორმაცვალება ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება (შანიძე, 1973, გვ. 139, 165, 384).

წარმოქმნისაა (მხედველობაშია წარმოქმნა გრამატიკის დონეზე) კატეგორია (ასეთად ა. შანიძეს მიაჩნია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი), თუ ის „მოდიფიკაციას უშვრება“, ცვლის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას და ახალს აძლევს (ე. ი. ფორმაცვალება ერთი სიტყვის ფარგლებს შორდება), „მაგრამ ეს ახალი ისე ახლოს დგას ძირეული ზმნის მნიშვნელობასთან, რომ ძნელია მისგან გამოჩვენა“ (შანიძე, 1973, გვ. 165, 236).

ა. შანიძის დაკვირვებით, არის ფორმალური ნიშანი, რის საფუძველზედაც შეიძლება დადგინდეს, ნაწარმოები ფორმა განეკუთვნება წარმოქმნას, თუ არა. ეს ნიშნებია:

1. წარმოქმნილი ფორმა იმეორებს ძირეული ზმნის მწკრივებს (დათესავს — დაითესება, დათესა — დაითესა, დათესოს — დაითესოს... შდრ. თესავს, თესავდა, თესოს...)<sup>2</sup>

2. წარმოქმნილ ფორმაში ხდება პირთა რაოდენობის შეცვლა: დამალავს — დაუმალავს, დახატავს — დაიხატება... (შანიძე, 1973, გვ. 236-237). (ეს დამატებითი ნიშანია — ლ. ნ.).

მკვლევრის აზრით, წარმოქმნილი ერთეულები მიუხედავად ძირეულ ფორმებთან ლექსიკური მნიშვნელობების სიახლოვისა (ისინი ერთსა და იმავე მოქმედებას გადმოგვცემენ, თუმცა განსხვავებული თვალსაზრისით),<sup>3</sup> სხვადასხვა ზმნებია, მაგრამ გრამატიკული (და არა ლექსიკური) შინაარსის მიხედვით.

ა. შანიძე თვლის, რომ ზმნური ძირისაგან (ფუძისაგან) ახალი ლექსიკური მნიშვნელობის წარმოქმნა ზმნისწინის საშუალებით ხდება, ზმნისწინის ერთ-ერთი (ავტორის ნომერაციით — მეოთხე) ფუნქ-

<sup>2</sup> ივლისხმება წარმოქმნილ და ძირეულ ერთეულთა დაპირისპირება მწკრივის შიგნითაც: ვ-კერავ — ვ-იკერავ, კერავ — იკერავ, კერავს — იკერავს...

პირისა და რიცხვის ნიშნები ცვალებადი ელემენტებია (შდრ. უთურგაიძე, 2002, გვ. 79-80).

<sup>3</sup> მაგალითად, ა. შანიძის თქმით, ზმნები „გააკეთა“ და „გაკეთდა“ ერთსა და იმავე მოქმედებას გადმოგვცემს, მაგრამ ერთი — მოქმედი პირის გამოჩენით, მეორე — მის გამოუჩენლად (შანიძე, 1973, გვ. 236). ასევე, ერთსა და იმავე მოქმედებას გამოხატავს „კერავს“ და „იკერავს“ ზმნები, ოღონდ პირველი („კერავს“) — სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შორის კუთვნილებითი ურთიერთობის აღუნიშნავად, მეორე („იკერავს“) — ამაზე მითითებით და ა. შ.

ციაა. მისი თქმით, „ზმნისწინის მეოთხე ფუნქციის აღნუსხვა (მხედველობაშია გა-გონება, მო-გონება, შთა-გონება... რიგის წარმოქმნა — ლ. ნ.) ლექსიკონის საქმეა“ (შანიძე, 1973, გვ. 240, შდრ. უთურგაიძე, 2002, გვ. 79-81).

ზმნურ წარმოქმნის კატეგორიათა ამგვარ ინტერპრეტაციას ემყარება ა. შანიძის შემდგომი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „საწყისი“ („მასდარი“) იწარმოება -ა სუფიქსის დართვით ზმნის I სერიის გაუფრცობელი თემისაგან — აწყყოს (ან მყოფადის) ფორმისაგან, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშანი, აგრეთვე — ქცევის, გვარის და სიტუაციის (შანიძე, 1973, გვ. 560). ამიტომ საწყისი შესაბამის ზმნურ ფორმათა ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია. იგი, როგორც მკვლევარი თვლის, ზიარი კატეგორიაა მოქმედებითისა და ვნებითისათვის — სემანტიკური ნიშნით თანაბრად მიემართება ორივე გვარის ზმნათა (მოქმედებითისა და ვნებითის) პირიან ფორმებს (შანიძე, 1973, გვ. 558-561).

აღნიშნულ ზმნურ გრამატიკულ კატეგორიებთან (გვარი, ქცევა...) დაკავშირებულ ა. შანიძის, ჩვენი აზრით, უაღრესად მწყობრ და თანმიმდევრულ კონცეფციას (შდრ. უთურგაიძე, 2002, გვ. 80-81) ემყარება ავტორის ზოგად-თეორიული თვალსაზრისი ლექსიკოგრაფიის არსებით საკითხებზე და მათი პრაქტიკული გადაწყვეტაც, კერძოდ, ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად — ზმნის მეთაურ ფორმად — საწყისის წარმოდგენა, რომლის ბუდეში შეტანილია იმავე ფუძისაგან სასიტყვათმორისო მიმართებათა გამომხატველი აფიქსებით წარმოქმნილი ყველა შესაძლო პირიანი ფორმა სათანადო დოკუმენტაციით (შდრ. ყრა : ყრის ... აყრის ... იყრის ... უყრის ... იყრება ... ეყრება ... ყრია ... აყრია...).

შენიშვნა: მასდარის ამგვარი ინტერპრეტაციისას, ჩვენი აზრით, არსებითად უსაფუძვლო ჩანს ის შენიშვნები, რომლებიც გამოთქმულია ლექსიკონებში ზმნის მასდარზე განლაგების პრინციპის საწინააღმდეგოდ (იხ. ჩიქობავა, 1950, გვ. 011-012, 075; 1964, გვ. 06: 1986, გვ. 06; 1999, გვ. 134-140). მათგან შევეხებით უმთავრესს.

ლექსიკონებში ზმნური პარადიგმის მეთაურ ფორმად მასდარის გამოტანის საწინააღმდეგოდ, ვფიქრობთ, ძირითადი სერიოზული დაბრკოლებაა ის, რომ უცხო ენათგან განსხვავებით (ამ ენებში, როგორც ცნობილია, ინფინიტივი საყრდენია ზმნის უღლების სისტემისათვის) ქართულში მასდარი შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესო-

ბაში თვითონ იწარმოება ზმნისაგან (და არა — პირიქით): მკი-ს → მკა, ლეწვა-ს → ლეწვა, აშენებ-ს → შენება... მასასადამე, ზმნისთან შედარებით იგი მეორეულია. და ის, რაც მეორეულია წარმოების თვალსაზრისით (ე. ი. წარმოქმნილი ფორმაა), ამ პრინციპის მიხედვით მიჩნეულია საწყისად (ამოსავალ ერთეულად) იმ ზმნური ფორმებისათვის, საიდანაც თვითონ იწარმოება (ჩიქობავა, 1950, გვ. 075 და სხვ.).

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია რამდენიმე მომენტი. სახელდობრ: მასდარი, მართალია, იწარმოება ზმნისაგან, იგი წარმოქმნილი ფორმაა, მაგრამ წარმოქმნილი ფორმა გრამატიკული ნიშნის მიხედვით და არა ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით.<sup>1</sup>

მასდარი ზმნის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია. იგი ზმნის ყველაზე განყენებულ მნიშვნელობას გადმოგვცემს, საყრდენია ზმნის სემანტიკისათვის (შანიძე, 1973, გვ. 558; ჩიქობავა, 1986, გვ. 06). ლექსიკონისათვის კი, ჩვენი აზრით, არსებითია სემანტიკური მხარე სიტყვისა და არა ფორმა (მისი სტრუქტურა). ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ნაწარმოები ერთეული — მასდარი (ზმნური, სემანტიკის გამომხატველი სახელი) იყოს გამოყენებული მეთაურ ფორმად პირიანი ზმნებისათვის — ძირეული ერთეულებისათვის იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ძირეულ და წარმოქმნილ ელემენტებს შორის ფლექსიური დონის მიმართებებია.<sup>2</sup>

ზმნურ ფორმათა მასდარზე განლაგების ნაკლად მიიჩნევა ისიც, რომ ზმნათა მთელ წყებას, უპირატესად უპრევეტო ნასახელარ ზმნებს, ბუნებრივად მასდარი არ ეწარმოება, არ ითქმის ბერება (აბერებს), სრულება (ასრულებს), ლამაზება (ალამაზებს), მწვანება (ამწვანებს) და მისთ. და, მასასადამე, მასდარის უქონლობის გამო ამგვარი ზმნები ლექსიკონში ვერ მოხვდება (ჩიქობავა, 1950, გვ. 011).

ვფიქრობთ, ამ შენიშვნაზე პასუხი შედარებით ადვილია: ხა-ლი სება, ნაზება, მცირება, მაღლება რიგის მასდარ-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავა წარმოქმნის კატეგორიათა ჩამოთვლისას არ ასახელებს მასდარს. მიმღეობა, სრულიად სამართლიანად, მათ შორის არის დასახელებული (ჩიქობავა, 1986, გვ. 06).

<sup>2</sup> მასდარის ამგვარი ინტერპრეტაცია, ვფიქრობთ, იძლევა საფუძველს იგი, ბრუნებადი სიტყვა, მიღებულ იქნას ზმნის პირიან ფორმათა (ზმნური პარადიგმის) ამოსავალ ერთეულად (შდრ. არნ. ჩიქობავა).

ბი, მართლაც, არაბუნებრივი, ხელოვნურად ნაწარმოები ფორმების შთაბეჭდილებას ტოვებს (უნდა დავძინოთ, ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე), მაგრამ მიუხედავად ამისა ასეთი სიტყვები ლექსიკონებში შეაქვთ და ეს მათ ფუნქციონირებას (ხმარება-გამოყენებას) არ აბრკოლებს.<sup>1</sup>

და რ ე ბ ა (ადარებს), ს თ ს ტ ე ბ ა (ასუსტებს), მ ს ხ ვ ი ლ ე ბ ა (ამსხვილებს) ტიპის მასდარები სათანადო დოკუმენტაციით მრავლად არის შეტანილი ქველ-ში, მაგალითად: ბოლება, ბრალება, თხელება, ლექსვა, მშვიდება, ოხრება, პარება, რიდება, რკინება, სუქება, ყალიბება, ყრუება, ყუდება და სხვ. (იხ. ქველ-ი).

აღსანიშნავია, რომ ამ რიგის („ხელოვნური“) მასდარები ქველ-ში შეტანილია დოკუმენტაციის გარეშე. მაგალითად: ბადება, ბედება, ბეზრება, ბიჯება, ბუდება, ზვავება, თეთრება, თოკვა, კისრება, კინება, ლანდება, ლაჭება, ნელება, ფითრება, ღერება, შორება, შტერება და სხვ. (იხ. ქველ).<sup>2</sup>

ეს იმას ნიშნავს, ამგვარ „არაბუნებრივ“ მასდარებს საჭიროების შემთხვევაში ენა დაუბრკოლებლად აწარმოებს. ის, რაც დღეს თეორიულად დასაშვებ ფორმად მიიჩნევა, სახვებით შესაძლებელია მომავალში რეალობად იქცეს, დროთა განმავლობაში „ბუნებრივ“ წარმოებად ჩაითვალოს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვალიფიკაცია „არაბუნებრივი“, „ხელოვნური“ პირობითია, სუბიექტურობის მომენტს არ გამოირიცხავს.

<sup>2</sup> ამ რიგის მასდარულ ფორმათა ერთგვარი შეზღუდულობა არ არის განპირობებული სემანტიკური სტრუქტურის მოტივით. მას, ძირითადად, წმინდა შემთხვევითი ხასიათი აქვს.

<sup>3</sup> ზმნის მასდარზე განლაგების პრინციპთან დაკავშირებით, ზოგ სხვა საკითხთან ერთად ჩვენი აზრით, მოსაგვარებელია ტექნიკური მხარეც. კერძოდ, უხერხულობას ქმნის მასდარის სალექსიკონო სტატიაში ზმნის პირიანი ფორმების მომდევნოდ კვლავ იმავე მასდარის წარმოდგენა სათანადო განმარტებებით. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ის შემთხვევები, როცა სიტყვა მკვეთრად პოლისემიურია. ასეთ შემთხვევაში სტატისი ვიგნით ხდება დუბლირება განმარტებათა წყებისა. მაგ.:

**დაწერა... 1.** ასოების (ციფრების...) გამოსახვა (კალმით, ფანქრით... ქალღღერ ან სხვა მასალაზე). გამოვიტანე ქალღღერ და ვწერე ანაბანო (ხალხ)... **2.** ასოების საშუალებით გამოხატვა, გადმოცემა (სიტყვისა, რაიმე შინაარსისა, აზრისა...). ჩემი ნათქვამი სულ ერთიანად დაწერა (ილია)... **3.** შეთხზვა, შექმნა (რაიმე მხატვრული, მეცნიერული, მუსიკალური... ნაწარმოებისა). ხელნაწერები თავის დროზე დაუწერიათ მომწერე პირებს (ი. გოგებ)... **დაწერა 1.** ასოების (ციფრების...) გამოსახვა (კალმით, ფანქრით... ქალღღერ ან სხვა მასალაზე). სიტყვის დაწერა. **2.** ასოების საშუალებით გამოხატვა, გადმოცემა (სიტყვისა...). წაკითხულის გაგება

აქ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული თვალსაზრისისაა არნ. ჩიქობავა. მისი აზრით ქცევა, გვარი, გზა წარმოქმნის კატეგორიებია ლექსიკური მნიშვნელობის (სემანტიკის) თვალსაზრისით. ქცევისა და გვარის ნაწარმოები ფორმები (იშლის, უშლის, იშლება, ეშლება...), აგრეთვე — კაუზატივის (შუალობითი გზა : აშლევინებს) ზმნას ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას უტყვის, ძირეულთან მიმართებით ახალ ლექსიკურ შინაარს გამოხატავს.

აღნიშნულ ფორმათა ამგვარი ინტერპრეტაციისას სრულიად კანონზომიერია და თანმიმდევრული მკვლევრის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მათი (გვარისა და ქცევის ვარიანტების, კაუზატიური ფორმების) შეტანა ლექსიკონში დამოუკიდებელი სალექსიკონო ერთეულების სახით ისევე გამართლებული, როგორც სახელის ნაწარმოები ფუძეებისა: გულიანი, უგულო, საგულე (ჩიქობავა, 1950, გვ. 051; 1964, გვ. 06...), სხვა საკითხია, ფაქტობრივად გამოხატავენ თუ არა ისინი ახალ ლექსიკურ მნიშვნელობებს, ასახავენ თუ არა ძირეულთან შედარებით განსხვავებულ საგნობრივ მიმართებებს (მდრ. კერავს — იკერავს, აშენებს — შენდება...). ამის შესახებ დაწვრილებით — ქვემოთ.

შესძლონ და ნამბობის დაწერაც (ილია)... **3.** შეთხზვა, შექმნა (რაიმე მხატვრული, მეცნიერული, მუსიკალური... ნაწარმოებისა. ლექსის დაწერის განწყობილებაც კი დაეხადა (ა. ბელ)...

საქმეს ვერ უშველის სპეციალისტების მიერ ბოლო ხანებში შემოთავაზებული წესი სალექსიკონო ერთეულად ერთი და იმავე მასდარის ორჯერ გამოტანისა, ერთისა — პირიან ზმნათა წარმომადგენლად, მეორისა — საკუთრივ მასდარისა. მაგალითად:

ტირილი - ი 0-1 ზაბილონ ტიროლა ... 74,ბ.

ტირილი - ი იქმნა ტირილი ... (სარჯველაძე, 1995).

განწმენდა - გაწმენდა. განწმენდის ქმარი იგი...

განწმენდა - გაწმენდა. ძალ-გიც განწმენდა ჩემდა... (სარჯველაძე, 1995; იხ. აგრეთვე ქაჯაია, 1984 და სხვ.)

ამ მეთოდის გამოყენებით, როგორც ვხედავთ, ერთმანეთისაგან გამოიყოფა (იმიჯნება) ზმნური და სახელური პარადიგმები. მაგრამ მას აქვს ნაკლიც:

ერთი და იმავე მასდარის (არაომონიშური ფორმების) ორჯერ გამოტანა უკვე უარყოფითი მხარეა აღნიშნული პრინციპისა. ნაკლია ისიც, რომ, დუბლირება ხდება ამკერად ერთმანეთის მომდევნო მასდართა (პირიანი ზმნის შესაბამისი და საკუთრივ მასდარის) განმარტებებისა.

ვეჭირობთ, მასდართა წარმოდგენის აღნიშნული პრინციპი, როგორც ტექნიკური ხერხი, შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთ ნაშრომებში, რომლის ამოცანაა ამა თუ იმ ძეგლის (სამწერლობო ენის ამა თუ იმ მონაკვეთის) სიტყვა-ფორმათა აღნუსხვა განმარტების გარეშე; მაგალითად, ქართული ენის თესაურუსში და სხვა.

მაგრამ არათანმიმდევრულია და წინააღმდეგობრივი ამგვარ, ჩვენი აზრით, არამართებულ ზოგად-თეორიულ თვალსაზრისზე დამყარებული მოსაზრებანი მასდარის წარმოებასთან დაკავშირებით, რაც შესაბამისად არის კიდევც ასახული ქველ-ში წარმოდგენილ მასდართა გრამატიკულ კვალიფიკაციებში. სახელდობრ:

ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისის ფონზე (ვნებითი გვარის და ქცევის — სასუბიექტო, საობიექტო — ფორმები წარმოქმნილი ელემენტებია) სრულიად კანონზომიერია, რომ არნ. ჩიქობავა მასდარს მიიჩნევს ნაწარმოებად გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის აწმყოს ფუძისაგან<sup>1</sup>: წერ-ს — წერ-ა, თესავ-ს — თესვ-ა, ზრდი-ს — ზრდ-ა, აშენებ-ს — შენებ-ა<sup>2</sup>... და, — ისიც, რომ წარმოქმნილ ერთეულებს: ქცევებს (ითესავს, უთესავს... იშენებს, უშენებს...), ვნებითებს (ითესება, ეთესება... შენდება, უშენდება...) და ზოგ სხვასაც, მისი აზრით, მასდარი არ ეწარმოება, შესაბამისი ნაზმნარი სახელი არ გააჩნია (ჩიქობავა, 1950, 011, 074-075; 1999, 134).<sup>3</sup>

წინააღმდეგობრივია, ჩვენი აზრით, ავტორის მომდევნო დებულება: „ამისდა მიუხედავად არა იშვიათად — კონტექსტის შესაბამისად — გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის მასდარი შეიძლება იყოს გამოყენებული ვნებითი გვარისთვისაც, სასუბიექტო ქცევათა შინაარსის გადმოსაცემადაც“ (ჩიქობავა, 1950, 075...).

შენიშვნა: აღნიშნული დებულებები, როგორც ითქვა, წინააღმდეგობებს შეიცავს. ამასთან, განმარტებას მოითხოვს ზოგი საკითხი. კერძოდ:

ა). თუ ქცევისა და გვარის ნაწარმოები ფორმები დერივაციული ერთეულებია, რატომ არა გვაქვს მათი შესაბამისი მასდარები („ზმნური აბსტრაქტული სახელები), ე. ი. რატომ არა გვაქვს მასდარად, ვთქვათ, ფორმები: \*იკერვა, \*უკერვა... და მისთ. (შდრ. შურ-ი — შურ-იან-ი — შურ-იან-ობა... გონი — უ-გნ-ურ-ი — სი-უ-გნ-ურ-ი...).

ბ). თუ დასახელებული რიგის ფორმები წარმოქმნის ერთეუ-

<sup>1</sup> გამონაკლისს ქმნის პირველადი მასდარები: შრიალი, ბიბინი, გუფუნი... (ჩიქობავა, 1950, 075).

<sup>2</sup> ამ კონტექსტში ისმის საკითხი კალუზატივის ა- პრეფიქსის ფუძესთან მიმართებისა და შესაბამის მასდართა ფორმალურ წარმოებასთან დაკავშირებით: აქებს — ქება შდრ. •ქებს — ქება...

<sup>3</sup> ავტორის აზრით, ვნებითი მხოლოდ თითოთროლა შემთხვევაშია გარჩეული: მოქმედ. ტეხა — ვნებ. ტყდომა, მოქმედ. წყვეტა — ვნებ. წყდომა, მოქმედ. ხეთა — ვნებ. სკდომა (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 075; შანიძე, 1973, გვ. 559).

ლებია, ე. ი. ძირეულთან მიმართებით ახალ (განსხვავებულ) მნიშვნელობებს აღნიშნავენ, როგორ არის შესაძლებელი საარვისო ქცევის მასდარი (მაგალითად, კერვა ← კერავს), როგორც არნ. ჩიქობავა ფიქრობს, გამოხატავდეს წარმოქმნილ ფორმათა (იკერავს, უკერავს... იკერება, ეკერება...) სემანტიკას, გამოყენებული იყოს მათი შინაარსის გადმოსაცემადაც (ჩიქობავა, 1950, გვ. 075 და სხვ.); შდრ. მარილი — სამარილე — უმარილო... გაგონება — მოგონება — შთაგონება და სხვ., რომელთა მნიშვნელობების გაერთიანება ერთ სემანტიკურ ერთეულად შეუძლებელია (ნოზაძე, 2001, გვ. 70;<sup>4</sup> უთურგაიძე, 2002, გვ. 81).

მასდარის აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია, დამყარებული ორ, ამ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის შემცველ კრიტერიუმზე — ფორმობრივზე (მასდარი იწარმოება გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქცევის აწმყოს ფუძისაგან) და სემანტიკურზე (მასდარი გამოხატავს დერივაციული ერთეულების — გვარისა და ქცევის ვარიანტების სემანტიკასაც), ჩვენი აზრით, წარმოადგენს მიზეზს (საფუძველს) იმ დარღვევებისა (არათანმიმდევრულობისა) რომელიც დასტურდება ქველ-ის რვატომეულში (ასევე — ერთტომეულშიც) მასდარის გრამატიკული დახასიათებებისას. წარმოვადგენთ ნიმუშს ამ დებულების საილუსტრაციოდ.

განმარტებით ლექსიკონში, განსაკუთრებით პირველ ტომში, მასდარი უპირატესად მიჩნეულია სახელურ ფორმად გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქცევისა ზოგჯერ მამინაც კი, როცა უფრო ბუნებრივი მისი შესაბამისი ვნებითებია:

აბიბინება (აბიბინებს),<sup>5</sup> აბობოქრება (აბობოქრებს), აბოლება (აბოლებს), აბორგება (აბორგებს), აგება (აგებს), აგიზგიზება (აგიზგიზებს), აგრილება (აგრილებს), აღიდება (აღიდებს), აკანკალება (აკანკალებს), ალაპარაკება (ალაპარაკებს), ატირება (ატირებს), აქოშინება (აქოშინებს), აყვავება (აყვავებს), აყვირება (აყვირებს), აშენება (აშენებს), აჩქარება (აჩქარებს), ბეჟვა (ბეჟავს), გაავაჟაქება (გაავაჟაქებს), გაავება (გაავებს), გათოხნა (გათოხნის),

<sup>4</sup> ლ. ნოზაძე, ზმნური სალექსიკონი ერთეულის პრობლემა ქართულში. წაკითხულია მოხსენებად. იხ. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XII, 2001, 17-20 აბრილი, გვ. 70; ხელნაწერი გვ. 1611, გადაცემულია დასაბეჭდად.

<sup>5</sup> ფრჩხილებში მოცემულია ზმნური ფორმები, რომელთა წარმომადგენლადც ქველ-ში მიჩნეულია აღნიშნული მასდარები.

გალესვა (გალესავს), გალევვა (გალევვავს), გაღება (გააღებს), გაყიდვა (გაყიდის), გაცელქება (გააცელქებს), დაბარვა (დაბარავს), დაბომბვა (დაბომბავს), დაკეტვა (დაკეტავს), დაკრძალვა (დაკრძალავს), დაღევა (დაიღევა), დანთება (დანთებს), დაპობა (დააპობს), დარეკვა (დარეკავს), დაფქვა (დაფქვავს), დაქცევა (დააქცევს), დახოცვა (დახოცავს), თიბვა (თიბავს), მოგრეხა (მოგრეხს), მოკირწყვლა (მოკირწყვლავს), მოკრეფა (მოკრეფს), მოცელვა (მოცელავს), მოჭკვიანება (მოაჭკვიანებს), ღებვა (ღებავს), შეკეთება (შეაკეთებს), შეკერვა (შეკერავს), ჩამოყრა (ჩამოყრის), ჩაყვითლება (ჩაყვითლებს), ცელვა (ცელავს), ხარშვა (ხარშავს), ხვნა (ხნავს) და მრავალი სხვა.

ასეთ შემთხვევებში გრამატიკული დახასიათება ემყარება მასდარის წარმოებასთან დაკავშირებულ ზოგად მოსაზრებას — მასდარი იწარმოება გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის აწმყოს ფუძისაგან (არნ. ჩიქობავა), მაგრამ ამ თვალსაზრისის თანმიმდევრული გატარება განმარტებით ლექსიკონში ვერ ხერხდება. რეალური ვითარების გავლენით (ზეწოლით) მასდარის გრამატიკულ კვალიფიკაციებში არცთუ იშვიათად თავს იჩენს გვარისა და ქცევის (სასუბიექტო, საობიექტო) ფორმები.

კერძოდ, გლ-ში მასდარი ხშირად კვალიფიცირებულია გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევისა და შესაბამისი **დ-** სუფიქსიანი ვნებითის მოქმედების სახელად:

აბღავლება (აბღავლებს, აბღავლდება), აზვირთება (აზვირთებს, აზვირთდება), ამობობლება (ამობობლებს?, ამობობლდება), ამუშავება (ამუშავებს, ამუშავდება), გათამაშება (გათამაშებს, გათამაშდება), გათანაბრება (გათანაბრებს, გათანაბრდება), გალაყება (გალაყებს, გალაყდება), გამომყლავნება (გამომყლავნებს, გამომყლავნდება), გატყავება (გატყავებს, გატყავდება), დაბერება (დააბერებს, დაბერდება), დაბრძენება (დააბრძენებს, დაბრძენდება), დალაგება (დაალაგებს, დალაგდება), დალაქავება (დაალაქავებს, დალაქავდება), დამაგრება (დაამაგრებს, დამაგრდება), დამაჭრება (დაამაჭრებს, დამაჭრდება), დამდოვრება (დაამდოვრებს?, დამდოვრდება), დაძველება (დააძველებს, დაძველდება), დახავსება (დაახავსებს?, დახავსდება), მოგვარება (მოავგარებს, მოგვარდება), მოგროვება (მოავგროვებს, მოგროვდება), მოღუნება (მოაღუნებს, მოღუნდება), მოშუშება (მოაშუშებს, მოშუშდება), მოხუცება (მოახუცებს?, მოხუცდება), ჩაგორება (ჩააგორებს, ჩაგორდება), ჩამომორება (ჩამომორებს, ჩამომორდება)

ბა), ჩასახლება (ჩასახლებს, ჩასახლდება), ჩაშტერება (ჩააშტერებს, ჩააშტერდება) და მრავალი სხვა.

შედარებით იშვიათად მასდარი დახასიათებულია როგორც საზიარო სახელური ფორმა გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქცევისა და პრეფიქსიანი ვნებითის:

აბერვა (აბერავს?, აიბერება), აღევნება (აღევნებს, აედევნება), ამობურცვა (ამობურცავს, ამობურცება), ამღვრევა (ამღვრევს, აიმღვრევა), გათიშვა (გათიშავს, გათიშება), გაღევა (გაღევს, გაიღევა), გახეხვა (გახეხავს, გაიხეხება), დარღვევა (დარღვევს, დაირღვევა), დასევა (დაასევს, დაესევა), დაჩნევა (დააჩნევს, დაემჩნევა), თხრა (თხრის, ითხრება), მოჩვენება (მოაჩვენებს, მოეჩვენება), მოწამვლა (მოწამლავს, მოიწამლება), მოხრაკვა (მოხრაკავს, მოიხრაკება), მსხვრევა (ამსხვრევს, იმსხვრევა), რყევა (არყევს, ირყევა), ფრქვევა (აფრქვევს, იფრქვევა), შემოხვევა (შემოახვევს, შემოეხვევა), ჩაბმა (ჩაბამს, ჩაებმება), ჩაბჟუტვა (ჩაბჟუტავს, ჩაიბჟუტება), ჩაკეტვა (ჩაკეტავს, ჩაიკეტება), ჩამალვა (ჩამალავს, ჩაიმალება), ჩამოფარება (ჩამოფარებს, ჩამოეფარება), ჩამოწევა (ჩამოსწევს, ჩამოიწევა), ჩატევა (ჩასტევს, ჩაეტევა), ჩაფარცხვა (ჩაფარცხავს, ჩაიფარცხება) და სხვ.

ზოგჯერ მასდარი კვალიფიცირებულია მხოლოდ ვნებითი გვარის ზმნათა მოქმედების სახელად. ეს — მაშინ, როცა შესაბამისი გარდამავალი ზმნა, როგორც ჩანს, მიჩნეულია არარეალურად:

აბუზვა (აიბუზება), აბურცვა (აიბურცება), აბლოტება (აებლოტება), აღღება (აიღღებება), ამოწვერა (ამოიწვერება), აფხორვა (აიფხორება), გალუმბვა (გაილუმბება), დაბედება (დაებედება), დაკუზვა (დაიკუზება), დამთხვევა (დაემთხვევა), მორყევა (მოირყევა), ჩამორღვევა (ჩამოირღვევა), ჩამოფხვნა (ჩამოიფხვნება), ჩამოჩაჩვა (ჩამოეჩაჩება), ჩამოძენძვა (ჩამოიძენძება), ჩაყინვა (ჩაიყინება)...

აბობლება (აბობლდება), აბუტბუტება (აბუტბუტდება), აზლუქუნება (აზლუქუნდება), ამოკაშკაშება (ამოკაშკაშდება), ამოჩუხჩუხება (ამოჩუხჩუხდება), აჩუჩუნება (აჩუჩუნდება), დაკაცება (დაკაცდება), დაკოლტება (დაკოლტდება), დამაკება (დამაკდება), დამარხება (დამარხდება), დამეჭეჭება (დაუმეჭეჭდება), დაღვინება (დაღვინდება), დაშაქრება (დააშაქრდება), მოდილება (მოდილდება), ჩამოფრინა (ჩამოფრინდება), ჩამოშვავება (ჩამოშვავდება), ჩაცუცქება (ჩაცუცქდება)...

გამონაკლისის სახით დასტურდება სხვა ვარიანტებიც:

დავიწყება (დაავიწყებს, დაივიწყებს, დაავიწყდება), დანათესავება (დანათესავებს, დანათესავდება, დაუნათესავდება), მოლევა (მოლევს, მოილევს, მოილევს), მოყრა (მოაყრის, მოიყრის, მოიყრება), ჩაბარება (ჩააბარებს, ჩაიბარებს, ჩაბარდება), ჩამოკონწილდება (ჩამოკონწილდება, ჩამოკონწილდება, ჩამოკონწილდება), ჩამოცურება (ჩამოცურებს, ჩამოცურდება, ჩამოცურდება)...

ამორეცხვა (ამორეცხავს, ამორეცხავს), ამოყორვა (ამოყორავს, ამოყორავს), ამოწყობა (ამოწყობს, ამოიწყობს), დავალება (დაავალებს, დაივალებს), დაკიდება (დაკიდებს, დაიკიდებს), დაჭდევა (დააჭდევს, დაიჭდევს), მომწყვდევა (მომწყვდევს, მოიმწყვდევს), ჩამოფხატვა (ჩამოფხატავს, ჩამოიფხატავს), წერა (წერს, იწერს)...

აბმა (ააბამს, აუბამს), აბნევა (ააბნევს, აუბნევს), დამატება (დაამატებს, დაუმატებს), დანიშვნა (დანიშნავს, დაუნიშნავს)... აშვება (აიშვებს, აუშვებს)... მოჭერა (მოუჭერს, მოიჭერს)... დაპირისპირება (დაუპირისპირებს, დაუპირისპირდება)... აკვიატება (აკვიატებს, აეკვიატება)...

ათვისება (ათვისებს), ამოტყუება (ამოიტყუებს), ამოღლიაება (ამოიღლიაება), ამოყვანა (ამოიყვანს), დაკაპიწება (დაიკაპიწებს), დაყვილება (დაიყვილებს), შეწყნარება (შეიწყნარებს)...

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე ფუძის (ერთი ლექსიკური მნიშვნელობის) ფორმით განსხვავებული მასდარები სხვადასხვაგვარად არის კვალიფიცირებული:

ავსება (ავსებს), შდრ. გავსება (გაავსებს, გაივსება), შევსება (შეავსებს, შეივსება); აყირაება (აყირაავებს), შდრ. დაყირაება (დააყირაავებს, დაყირაავდება); გაბერვა (გაბერავს), შდრ. აბერვა (აბერავს, აიბერება); გადაჩვევა (გადააჩვევს), შდრ. დაჩვევა (დააჩვევს, დაეჩვევა), შეჩვევა (შეაჩვევს, შეეჩვევა); გათხრა (გათხრის), შდრ. თხრა (თხრის, ითხრება); დამარხვა (დამარხავს), შდრ. ჩამარხვა (ჩამარხავს, ჩამარხება); დამტკრევა (დაამტკრევს), შდრ. ჩამტკრევა (ჩამტკრევს, ჩამტკრევა); დანგრევა (დანგრევს), შდრ. მონგრევა (მონგრევს, მონგრევა), ნგრევა (ანგრევს, ინგრევა), ჩანგრევა (ჩანგრევს, ჩანგრევა); დაჩავრა (დაჩავრავს), შდრ. ჩავრა (ჩავრავს, იჩავრება);

თესვა (თესავს), შდრ. ჩათესვა (ჩათესავს, ჩაითესება); კეთება (აკეთებს), შდრ. გაკეთება (გააკეთებს, გაკეთდება); ნჯღრევა (ანჯღრევს), შდრ. დანჯღრევა (დანჯღრევს, დაინჯღრევა); შერყევა (შეარყევს), შდრ. მორყევა (მოირყევა), რყევა (არყევს, ირყევა); ჩამსხვრევა (ჩამსხვრევს), შდრ. მსხვრევა (ამსხვრევს, იმსხვრევა); ჩაცუცქება (ჩაცუცქდება), შდრ. დაცუცქება (დააცუცქებს, დაცუცქდება); ხერხვა (ხერხავს), შდრ. გახერხვა (გახერხავს, გაიხერხება) და სხვ.

როგორც ითქვა, განმარტებით ლექსიკონში არსებული ამ სახის დარღვევები (არათანმიმდევრულობა), ჩვენი აზრით, შედეგია მასდარის არამართებული ინტერპრეტაციისა — მისი განმარტებისა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის გამომხატველ კრიტერიუმებზე დამყარებით:

ა). ფორმაწარმოებითი. გლ-ში ასეთ შემთხვევაში მასდარი კვალიფიცირებულია როგორც მოქმედების სახელი გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ქცევისა:

აბოლება (ააბოლებს), აბორგება (ააბორგებს), აგრილება (ააგრილებს), აქოშინება (ააქოშინებს), გაავაზაკება (გაავაზაკებს), გალესვა (გალესავს), დაბარვა (დაბარავს), დანთება (დანათებს), მოკრეფა (მოკრეფს), მოჭკვიანება (მოაჭკვიანებს), შეკერვა (შეკერავს), ჩამოყრა (ჩამოყრის), ჩაყვითლება (ჩაყვითლებს), ხარშვა (ხარშავს)...

ბ). სემანტიკური. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებისას მასდარი განიმარტება როგორც მოქმედების სახელი გარდამავალი ზმნის ქცევის ვარიანტებისა, ზოგჯერ — ვნებითი გვარისაც და სხვა სახითაც:

აბლავება (ააბლავებს, აბლავდება), გათამამება (გათამამებს, გათამამდება), დალაგება (დალაგებს, დალაგდება), ჩამოშორება (ჩამოაშორებს, ჩამოშორდება)... ამღვრევა (ამღვრევს, აიღვრევა), დარღვევა (დაარღვევს, დაირღვევა), ჩაბმა (ჩააბამს, ჩაებმება), ჩამოფარება (ჩამოაფარებს, ჩამოფარება)... აბუზვა (აიბუზება), გალუმპვა (გაილუმპება), დაკუზვა (დაიკუზება), აბობლება (აბობლდება), დამაკება (დამაკდება), დაღვინება (დაღვინდება), ჩაცუცქება (ჩაცუცქდება)... დავიწყება (დაავიწყებს, დაივიწყებს, დაავიწყდება), დანათესავება (დანათესავებს, დანათესავდება, დაუნათესავდება), მოლევა (მოლევს, მოილევს, მოილევს), მოყრა (მოაყრის, მოიყრის, მოიყრება), მოყვრება... მომწყვდევა (მომწყვდევს, მოიმწყვდევს)... დამატება



(დაამატებს, დაუმატებს) და სხვ.<sup>1</sup>

ამგვარ „არჩევანს“ წმინდა სუბიექტური ხასიათი აქვს (რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდებარება). მიზეზი, როგორც აღინიშნა, მასდარის წარმოებასთან დაკავშირებული არამართებული თვალსაზრისია. იგი, თავის მხრივ, განპირობებულია ზოგად-თეორიული კონცეფციით — ძირითად ზმნურ კატეგორიათა (ქცევა, გვარი) არასწორი ინტერპრეტაციით, რომელიც პრაქტიკულად რეალიზებულია მასდართა გრამატიკულ კვალიფიკაციებში.

ჩვენი აზრით, ქცევისა და გვარის ნაწარმოები ფორმები არ არის დერივაციული ერთეულები (არ გამოხატავს ძირეულთან შედარებით ახალ ლექსიკურ მნიშვნელობებს, არ ასახავს სხვა საგნობრივ მიმართებებს).

მასდარი ფორმოებრივად არ განარჩევს მოქმედებითსა და ვნებითს, აგრეთვე — ქცევის ვარიანტებს. მიზეზი გასაგებია — აღნიშნულ კატეგორიათა მაწარმოებელი პრეფიქსული ფორმანტები: **ე, ი, უ**, აგრეთვე — **ა** სამიმართებო (პირთა შორის ურთიერთობის აღმნიშვნელი) აფიქსებია. ბუნებრივია, რომ ზმნის უპირო (უფლღებელ) ფორმაში — მასდარში — ისინი არ ჩანდნენ ისევე, როგორც ზოგი სხვა ზმნური კატეგორიის მაწარმოებლები.

მასდარის სახით ხდება კონკრეტულ ფორმათა, ასევე მნიშვნელობების განზოგადება — აბსტრაქტიზაცია. ამიტომ არის მასდარი, როგორც ა. შანიძე თვლის, ზიარი კატეგორია მოქმედებითისა და ვნებითისათვის. ამიტომ განეკუთვნება იგი თანაბრად ორივე გვარის პირიან ფორმებს (შანიძე, 1973, გვ. 559).<sup>2</sup>

ამ თვალსაზრისის შესაბამისად ქველ-ში მასდართან, ვფიქრობთ, მითითებული უნდა იყოს ყველა ის შესაძლო პირიანი ფორმა ზმნისა, რომლის წარმომადგენელიც იგი არის და, იგულისხმება, შეტანილია ლექსიკონში (მხედველობაში გვაქვს ერთი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის ფორმები, განსხვავებული გრამატიკული ნიშნების მიხედვით. მაგ., **წერა**: სახელი წერს, იწერს, უწერს, აწერს, იწერება,

<sup>1</sup> ამასთან, როგორც აქ წარმოდგენილი მასალიდანაც ჩანს, გლ-ში მასდარი მნიშვნელობის გამოხატვის თვალსაზრისით მეტად არასრულად, მწირად არის წარმოდგენილი, სემანტიკურად „გაღარიბებულია“.

<sup>2</sup> როგორც ითქვა, ქცევის (სასუბიექტო, საობიექტო), ვნებითის ფორმები დერივაციის ელემენტები რომ იყოს, არ იქნებოდა შესაძლებელი ერთსა და იმავე მასდარს გამოეხატა ვნებითი გვარის, სასუბიექტო ქცევათა შინაარსი. ამასთან, აღნიშნულ ფორმებს ეწარმოებოდა საკუთარი მასდარი.

ეწერება, წერია, აწერია, უწერია ზმნათა მოქმედებისა...

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, მართებულია მეცნიერული (თეორიული) თვალსაზრისით. ამასთან, იგი, არსებითად, გამოირიცხავს სუბიექტურობის მომენტს, რითაც მიიღწევა შესაძლო ერთგვაროვნება მასდარის გრამატიკული დახასიათებისას. ამავე დროს, ამ წესით მასდართან მოიყრის თავს შესაბამისი პირიანი ზმნის ყველა ის ფორმა, რომელიც განთავსებულია ქველ-ის სხვადასხვა ტომში, რაზეც, როგორც ლექსიკონის ერთ-ერთ ნაკლზე, მითითებენ სპეციალისტები (შანიძე, 1999, გვ. 98, 101-103, 107; ფოგტი, 1970, გვ. 362).

არის სხვა შესაძლებლობაც, ვფიქრობთ, აღნიშნულ შემთხვევაში ოპტიმალური — მოქმედების სახელს საერთოდ არ დაეწეროს გრამატიკული დახასიათება, ან მიეთითოს მხოლოდ: მასდ. („მასდარი“).

ეს ავტომატურად წარმოქმნის ცვლილებათა წყებას ქველ-ში წარმოდგენილ სხვა გრამატიკულ კვალიფიკაციებში, გამოიწვევს მის გამარტივებას, გარკვეულწილად — ლექსიკონის დეგრამატიზაციას, რაც ფაქტობრივად არის კიდევ განხორციელებული ქველ-ის ერთტომეულში (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. ჭაბაშვილი, 1986).

აღნიშნულ ლექსიკონში მინიმუმამდე დაყვანილი სალექსიკონო ერთეულთა გრამატიკული დახასიათებანი. მასში ამ თვალსაზრისით რვატომეულთან შედარებით ზოგადად ცვლილება არ შეხებია მხოლოდ მასდარს. რვატომეულის სხვა გრამატიკულ კვალიფიკაციათა რთული სისტემიდან ერთტომეულში დარჩა მხოლოდ აღნიშვნები: გრდმ. და გრდლუგ.<sup>3</sup> (იხ. დასახ. ნაშრ.).

ამ თვალსაზრისით და ზოგი სხვა ნიშნის მიხედვითაც ქველ-ის ერთტომეული, ჩვენი აზრით, წინგადადგმული ნაბიჯია რვატომეულთან შედარებით, რაც სრულიად ბუნებრივია — იგი ოცდაორი წლის შემდგომ გამოდის დიდი ქართული განმარტებითი ლექსიკონის პუბლიკაციიდან (ამის შესახებ ვრცლად — სხვაგან).

<sup>3</sup> ამასთან, ამგვარი (გამარტივებული) გრამატიკული კვალიფიკაციებით დაიძლევა ზოგი სხვა არათანმიმდევრულობანიც, რომლებიც ამ თვალსაზრისით დასტურდება ქველ-ის რვატომეულში. მაგ., ავადმყოფობს გრდლუგ. სტატ., შდრ. დარდობს გრდლუგ. დინამ... დაჭკნება გრდლუგ. ვნებ. დააჭნობს ზმნისა, შდრ. მოჭკნება გრდლუგ. ვნებ., ჭკნება გრდლუგ. დინამ. და სხვ.

ლიტერატურა

**სარჯველაძე, 1995** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995.

**ფოგტი, 1970** — ჰ. ფოგტი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ტ. I-VIII, თბ., 1950-1964), იკე, XVII, თბ., 1970.

**ქაჯაია, 1984** — „ხანმეტი ტექსტები“, ნაკვეთი I (ტექსტი გამო-საცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჯაიამ), თბ., 1984.

**შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძ-ვლები, I, თბ., 1973.

**შანიძე, 1999** — ა. შანიძე, ქართული ენის განმარტებითი ლექ-სიკონი (კრიტიკული შენიშვნები), ენათმეცნიერების საკითხები, №2, თბ., 1999.

**ჩიქობავა, 1950** — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტები-თი ლექსიკონი, I (წინასიტყვაობა, ქართული ენის ზოგადი დახასია-თება), თბ., 1950.

**ჩიქობავა, 1964** — არნ. ჩიქობავა, „მთავარი რედაქციისაგან“, ქველ-ი, ტ. VIII, თბ., 1964.

**ჩიქობავა, 1986** — არნ. ჩიქობავა, „მთავარი რედაქციისაგან“, ქველ-ი, ერთტომეული, თბ., 1986.

**ჩიქობავა, 1999** — არნ. ჩიქობავა, პროფ. აკ. შანიძის შენიშვნე-ბის გამო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე, „ენათმეც-ნიერების საკითხები“, №4 (სტატია შეცდომით მიეწერა ქ. ლომთა-თიძეს), თბ., 1999.

LAMARA NOZADZE

### Some Aspects of Masdar Formation and the Monolingual Dictionary of the Georgian Language

#### Summary

The paper focuses on the violations in the definition of the masdar that are encountered in the Monolingual Dictionary of the Georgian language. The author explains the reasons for the violations and gives recommendations for improving them.

თავარ მაზარაზშილი

### სასუბიექტო მიმღეობის პარალელურ მ – ელ // მა – ელ და მ- // მ – ელ აფიქსიან ფორმათა შესახებ ქართულში

მიმღეობის პარალელურ ფორმებს შორის სემანტიკური განსხვავების ტენდენცია ნაირგვარი მოდიფიკაციებით იჩენს თავს. მეტი წილი პარალელური მიმღეობებისა წარმოშობილი ჩანს სხვადასხვა აფიქსთა მონაცვლეობით.

სასუბიექტო (მოქმედებითი გვარის) მიმღეობა ქართულში იწარ-მოება განსაზღვრული პრეფიქს-სუფიქსების საშუალებით. პრეფიქსე-ბად გამოყოფილია **მ-** და **მა-**. ინტერესს იწვევს მათი ურთიერთობა.

აკ. შანიძე მიუთითებს სამ შემთხვევაზე, როცა აუცილებელია **მა-** პრეფიქსის გამოყენება:

1) თუ ფუძე ხმოვნით იწყება, **მ-** პრეფიქსის ნაცვლად არის **მა-**: **მა-ამებელი, და-მა-არსებელი, შე-მა-ერთებელი, ა-მა-ახრებელი, მა-უწყებელი** და მისთ.

2) მანით დაწყებულ ფუძეებთან ორი მ-ს თავიდან ასაცილებ-ლად: **და-მა-მწვიდებელი, და-მა-მტკიცებელი, და-მა-მცირებელი** და მისთ. გამონაკლისია **მ-მართველი**.

3) **მა-** გვხვდება „**მა-სწავლებელ**“-ში, „**მა-ტარებელ**“-ში, აგრეთ-ვე ზოგ სხვა ფორმაში და ჩამოთვლილია **მა-** პრეფიქსიანი მიმღეობე-ბი: **გა-მა-ყრუებელი, გა-მა-ნადგურებელი, და-მა-ბრკოლებელი, მო-მა-კვდინებელი, მა-ხარებელი, მა-ჩვენებელი** და სხვანი. იქვე მიუთითებს, რომ ზოგ მათგანს აქვს **მ-** პრეფიქსით ნაწარმოები პარა-ლელური ფორმებიც: **აღ-მა-სრულებელი — ა-მ-სრულებელი, აღ-მა-შენებელი — ა-მ-შენებელი, გა-მა-ცოცხლებელი — გა-მ-ცოცხლებელი, შე-მა-წახლებელი — შე-მ-წახლებელი** და სხვა (შანი-ძე, 1973).

რადგან ხმოვნიანი მაწარმოებლის გვერდით გვაქვს პრეფიქსის უხმოვნო ვარიანტი, ბუნებრივია, ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა **მა-** პრეფიქსის დაშლა და თუ იშლება, რა ფუნქცია აქვს აღნიშ-ნული პრეფიქსის ხმოვნით ელემენტს?

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსის ხმოვნითი ელემენტი უფუნქციო ფონეტიკურ დანართს არ წარმოადგენს და მას კავშირი უნდა ჰქონდეს ზმნის ფუძის პრეფიქსულ ხმოვანთან (ჩიქობავა, 1942, გვ. 214; ოსიძე, 1957, გვ. 189; შანიძე, 1976, გვ. 137; ჯორბენაძე, 1985, გვ. 175).

აკ. შანიძის მოსაზრებით მიმღობის მაწარმოებლად „ზოგ შემთხვევაში მ- პრეფიქსის ნაცვლად არის მა- ეს მაშინ, თუ ზმნას საარვისო ქცევა ნაწარმოები აქვს ა-თი“ (შანიძე, 1976, გვ. 137).

გ. დეეტერის აზრით, მა- პრეფიქსი აწარმოებს მიმღობას იმ ზმნათაგან, რომელთაც ფუძის მახასიათებელ ხმოვანად ა- აქვთ (დეეტერის, 1930, გვ. 225).

როგორც მიუთითებენ, სასუბიექტო მიმღობაში პრეფიქსის გამოყენების მხრივ ძველი ქართული ახალზე უფრო თანმიმდევრულია, მკაცრად და ცული ა ხმოვნის მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში გამოყენების წესი; კერძოდ, თუ ზმნის ნეიტრალური ვერსიის ფორმაში ნულოვანი აფიქსი გვაქვს, სასუბიექტო მიმღობას მ- პრეფიქსი აწარმოებს.

**სცემს — მ-ცემელი, დებს — მ-დებელი, ჭამს — მ-ჭამელი, გალობს — მ-გალობელი, ღაღადებს — მ-ღაღადებელი, სვამს — მ-სმელი** და ა. შ.

აღნიშნული წესიდან გამონაკლისად ითვლება სამი მიმღობა: **მა-ძლარი, მა-შურალი, მა-ვალი**. სათანადო ზმნებში (ძლების, შურების, ვალს) ა პრეფიქსი არ ჩანს (ოსიძე, 1957, გვ. 189; ხომასტრიძე, 1981, გვ. 18).

შესაბამისად, თუ მიმღობის მაწარმოებელი პრეფიქსია მა-, სათანადო ზმნურ ფუძეში შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ა გვექნება: **ა-ვნებს — მა-ვნებელი, ა-უწყებს — მა-უწყებელი, ა-ცდუნებს — მა-ცდუნებელი, ა-ხარებს — მა-ხარებელი, ა-რგებს — მა-რგებელი, ა-ცხოვნებს — მა-ცხოვნებელი**, თუმცა სპორადულად დასტურდება ა- პრეფიქსის შემცველ ზმნათაგან ნაწარმოები **მა-** და **მ-** პრეფიქსიანი პარალელური ფორმები:

**გარდა-მა-ქცეველი || გარდა-მ-ქცეველი, და-მა-ბნეველი || გან-მ-ბნეველი** (იქვე)

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ახალ ქართულში?

ახალ ქართულში ა- პრეფიქსიან ზმნათაგან მიმღობის წარმოე-

ბის რამდენიმე შემთხვევა გამოიყოფა:

1) ზმნაში ა- პრეფიქსია და სათანადო მიმღობაშიც დასტურდება **მა-** მაწარმოებელი:

**ა-ერთებს — მა-ერთებელი ა-ყოვნებს — მა-ყოვნებელი**  
**ა-მცირებს — მა-მცირებელი ა-ინტერესებს — და-მა-ინტერესებელი**  
**ა-დიდება — მა-დიდებალი ა-ერთიანებს — მა-ერთიანებელი**  
და მისთ.

2) ზმნაში ა- პრეფიქსია და მიმღობას აწარმოებს **მ-**:

**ა-დნობს — მ-დნობელი ა-ცნობს — მ-ცნობელი**  
**ა-რთმევს — წა-მრთმევი || წა-მ-რთმეველი**  
**ა-ბამს — მ-ბმელი**  
**ა-გროვებს — მო-მ-გროვებელი**  
**ა-სხამს — მ-სხმელი და მისთ.**

3) ზმნის ა- პრეფიქსიანი ფორმის შესატყვისად მიმღობაში პარალელურად გვაქვს **მა-** და **მ-** მაწარმოებლები:

**ა-შენებს — მა-შენებელი || მ-შენებელი**  
**ა-ჩვენებს — მა-ჩვენებელი || მ-ჩვენებელი**  
**ა-ნადგურებს — გა-მა-ნადგურებელი || გა-მ-ნადგურებელი**  
**ა-მკვიდრებს — და-მა-მკვიდრებელი || და-მ-მკვიდრებელი**  
**ა-ნაწილებს — გა-მა-ნაწილებელი || გა-მ-ნაწილებელი**  
**ა-წარმოებს — მა-წარმოებელი || მ-წარმოებელი...**

რაიმე სემანტიკური სხვაობა ამგვარი წარმოების ფორმებს შორის ჩვეულებრივ არ ივარაუდება, ოღონდ ისინი სტილისტურად განსხვავებული ელფერის მატარებელნი არიან.

დასტურდება მიმღობები, რომელთა შესატყვის ზმნურ ფორმაში არ არის ა ხმოვანი, მაწარმოებლად კი **მა-** გვხვდება:

**ექებს — მა-ძიებელი, უყურებს — მა-ყურებელი**

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართულისათვის ბუნებრივია ფორმა **„მეძიებელი“** ა. შანიძის აზრით, ამ მიმღობაში **მე-** პრეფიქსისეული ე ხმოვანი ზმნის ფუძის შემადგენელი ელემენტი: „თუ გარდამავალი ზმნა საარვისო ქცევაში გვიჩვენებს ე ხმოვანს (რაც იშვიათია), შეიძლება ამ ხმოვანმა მიმღობაშიც იჩინოს თავი: **ექიებს — მე-ძიებ-ელ-ი**“ (შანიძე, 1976, გვ. 137).

**„მეძიებელი“** სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც მძებნელი (ორბელიანი, 1991, გვ. 470). ასევე ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც“:

**მეძიებელი — მძებნელი, მაძებარი**, „მახლობელი“ (აბულაძე, 1973, გვ. 236)

**გამომეძიებელი — გამომკვლეველი, მეძიებელი, მჩხრეკელი** (იქვე, გვ. 43).

განმარტებული არაა ეძიებს, ეძებს ზმნები. ძველი ქართულის სასუბიექტო მიმღებობის **მე-** პრეფიქსი ახალ ქართული **მა-**თია შეცვლილი — **მა-ძიებ-ელ-ი**, ანუ ის, ვინც ეძიებს, ეძებს რაიმეს (ქეგლ, 1990, ნაკვ. II, გვ. 625).

**ეძებს, ეძიებს** ზმნებს თანამედროვე ქართულში ერთნაირი მნიშვნელობები აქვს:

- 1) ცდილობს იპოვოს, მოიხაოს რამე, ვინმე, მიაგნოს რასმე
- 2) ცდილობს მიაღწიოს რასმე (იქვე, გვ. 489).

ამ ორი ზმნური ფუძის შესატყვისად გვაქვს ორი ძირი: **ძებნ** და **ძიებ**

**ეძებს — ძებნა — მ-ძებნ-ელ-ი**

**ეძიება — ძიება — მა-ძიებ-ელ-ი**

ასევე, არის მიმღებობა **მა-ყურებ-ელ-ი**, რომლის ამოსავალ ზმნურ ფორმაშიც არ დასტურდება **ა-** პრეფიქსი (**უყურებს — ყურება — მაყურებელი**). მართალია, გვხვდება **აყურებს** ზმნა, ოღონდ მისი მნიშვნელობა სხვაა.

**აყურებს, მიაყურებს** — ყურს მიუგდებს, მალულად მოუსმენს (ქეგლ, 1990, გვ. 645)

**მაყურებელი** არის **უყურებს** (შეხედავს, უცქერს) ზმნის მიმღებობა (გოგოლაშვილი, კვანტალიანი, შენგელია, 1991, გვ. 295). ასევე გვაქვს პრეფიქსის უხმოვნო ვარიანტით ნაწარმოები მიმღებობაც — **მ-ყურებ-ელ-ი**.

ახალ ქართულში ხშირია შემთხვევები, როცა ზმნის **ა-**პრეფიქსიან ფორმათაგან ნაწარმოები მიმღებობა უზმნისწინოდ **მა-** პრეფიქსს გვიჩვენებს, ზმნისწინიან ფორმაში კი **მა-** და **მ-** პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს:

**ა-გრილებს — მა-გრილებელი, მაგრამ გა-მა-გრილებელი || გა-მ-გრილებელი**

**ა-წუხებს — მა-წუხებელი, მაგრამ შე-მა-წუხებელი || შე-მ-წუხებელი.**

**ა-დიდება — მა-დიდებალი, — გა-მა-დიდებალი || გა-მ-დიდებალი**

**ა-წყნარებს — მა-წყნარებელი, — და-მა-წყნარებელი || და-მ-წყნარებელი**  
**ა-წონასწორებს — მა-წონასწორებელი — გა-მა-წონასწორებელი || გა-მ-წონასწორებელი...**

როგორც ჩანს, ენამ ამ სახის ფორმობრივი სხვაობა იმავდროულად ზოგ შემთხვევაში ლექსიკურ მნიშვნელობათა დასაპირისპირებლად გამოიყენა:

- და-მა-ხასიათებელი** — 1. რაც ახასიათებს ვისმე, რასმე, ნიშანდობლივი
2. მკვეთრად გამოხატული თავისებურებების მქონე, მნიშვნელოვანი (ქეგლ, I ნაკვ, 1990, გვ. 393).

**და-მ-ხასიათებელი** — ის, ვინც სხვას ახასიათებს, სხვას დახასიათებას აძლევს.

ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ შესატყვისი ზმნური ფორმა **ახასიათებს** ორგვარ გრამატიკულ მნიშვნელობას გამოხატავს:

1. ვისიმე, რისამე ნიშანდობლივ თვისებას აღნიშნავს, აღწერს.
2. მისთვის დამახასიათებელია, ნიშანდობლივია, სჩვევია (ქეგლ, I ნაკვ, გვ. 112).

პირველ შემთხვევაში დინამიკაა გამოხატული, მეორე შემთხვევაში — სტატიკა. ზმნის დონეზე ეს გრამატიკული მნიშვნელობები კონტექსტით განირჩევა, მიმღებობამ კი პარალელურ ფორმათა პოვნიერება გამოიყენა მათ განსასხვავებლად.

ან კიდევ: **მა-სესხ-ებ-ელ-ი** — ვინც ასესხებს (ქეგლ, II ნაკვ., 1990, გვ. 622).

**მ-სესხ-ებ-ელ-ი** — სესხის ამღები (იქვე, გვ. 749).

აქ მიმღებობა განასხვავებს იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც **ასესხებს** და **სესხულობს** ზმნები განარჩევენ. გარჩევა შესაძლოა ზმნისწინმაც იქისროს: **გა-მ-სესხებელი — მ-სესხ-ებ-ელ-ი**

**გამსესხებელი** იგივეა, რაც **მასესხებელი-ი**.

ნიშანდობლივია, რომ განსხვავებულ მნიშვნელობათა ფორმობრივად დასაპირისპირებლად სხვადასხვა შესაძლებლობაა გამოყენებული. ერთ შემთხვევაში პრეფიქსები (მ-, მა-), მეორე შემთხვევაში კი — ზმნისწინი.

თავისებურ ვითარებას გვიჩვენებს მიმღებობის პარალელური ფორმები:

**მა-წვალ-ებ-ელ-ი — მ-წვალ-ებ-ელ-ი.** ქველ-ში **მწვალებელი** ასეა განმარტებული: 1) ვინც ან რაც აწვალებს ვისმე ან რასმე 2) (ძვ. ეკლ.) მწვალებლობის მიმღევარი (ქველ, ნაკვ. II, 1990, გვ. 759).

ბ. ჯორბენაძე მიუთითებს, რომ **მწვალებელი** ტერმინად დამკვიდრდა, როგორც „ერეტიკოსი“. ძველ ქართულში **წვალება** განიმარტება, როგორც ერესი, განხეთქილება, მწვალებლობა (აბულაძე, 1973, გვ. 543). იმავდროულად ახალ ქართულში არსებობს ფორმა **წვალ-ებ-ა** მნიშვნელობით „ტანჯვა, წამება“. მის მიმღეობადაც ივარაუდება **მწვალებელი**.

მაგ. „გელა იყო ლოთი, ჭირვეული და საზოგადოდ, ადამიანის უსამართლოდ მწვალებელი“ (ა. ყაზბეგი).

მაგრამ გარჩევის ტენდენციამ საფუძველი შეუქმნა ამ მნიშვნელობისათვის **მა-წვალ-ებ-ელ-ი** ფორმის გავრცელებას (ჯორბენაძე, 1985, გვ. 177). ამ რიგის დაპირისპირება სპორადულად ძველ ქართულშიც შეინიშნებოდა:

**მა-ვასხ-ებ-ელ-ი — გამსხსნებელი** (აბულაძე, 1973, გვ. 212).

**მ-ვასხნებელი — მსხსნებელი, მოვასხე** (იქვე, გვ. 237).

მაშასადამე, სასუბიექტო მიმღეობას აწარმოებს **მ-პრეფიქსი** (სათანადო სუფიქსებთან ერთად) ზმნური ფუძის (**ა-** პრეფიქსიანი და უხმოვანპრეფიქსო) ფორმისაგან. გამონაკლისები ამ წესიდან არის შედარებით ცოტა ძველ ქართულში, უფრო მეტი — ახალში.

როგორც ირკვევა, მიმღეობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფუძის მაწარმოებელი **ა-** პრეფიქსი (საარვისო ქცევის ნიშანი), მაშ რატომ არ გვაქვს ქცევის სხვა ნიშნები (**ი-** და **უ-**)? ეს საკითხი საკვლევია. შესაძლოა, ეს გარემოება მხარს უჭერდეს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ნეიტრალური ვერსიის გამოხატვა **ა-**ს მეორეული ფუნქციაა და წარმოშობით ის სხვა ფუნქციის მატარებელი აფიქსია (ჩიქობავა, 1939, გვ. 110).

ხშირია შემთხვევები, როცა მონაცვლეობა ხდება ოდენპრეფიქსულსა და პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებას შორის. მხედველობაში გვაქვს **მ- || მ-ელ** მაწარმოებელთა ჩანაცვლების შემთხვევები, ხოლო თუ მიმღეობის მაწარმოებლად **მა-** პრეფიქსია გამოყენებული, მასთან ერთად სუფიქსიც არის წარმოდგენილი უსათუოდ, ოდენ **მა-** პრეფიქსი მიმღეობათა წარმოებაში არ გვხვდება.

ცნობილია, რომ სასუბიექტო (კერძოდ, მოქმედებითი გვარის) მიმღეობა ემყარება I სერიის თემას, ამიტომ თემის ნიშანი ყველგან

ჩანს, გარდა **ი-** თემისნიშნის ზმნების მიმღეობებისა.

**ვ-თლ-ი — მ-თლ-ელ-ი      ვ-თხრ-ი — მ-თხრ-ელ-ი**  
**და-ვ-შლ-ი — და-მ-შლ-ელ-ი    ვ-სჯ-ი — და-მ-სჯ-ელ-ი**  
**ვ-ზრდ-ი — გა-მ-ზრდ-ელ-ი      და მისთ.**

**ი-** თემისნიშნის ზმნათა მიმღეობებში აუცილებელია **მ-** პრეფიქსთან ერთად **-ელ** სუფიქსის დართვაც. სხვაგან კი სუფიქსი შეიძლება დაერთოს, შეიძლება — არა:

**ებ:**      **და-მ-გებ-ი — და-მ-გებ-ელ-ი**  
          **მი-მ-გნ-ებ-ი — მი-მ-გნ-ებ-ელ-ი**  
          **ა-მ-კრ-ებ-ი — ა-მ-კრ-ებ-ელ-ი**  
          **შე-მ-ქ-ებ-ი — შე-მ-ქ-ებ-ელ-ი...**  
**ობ:**      **და-მ-პყრ-ობ-ი — და-მ-პყრ-ობ-ელ-ი**  
          **გა-მ-თბ-ობ-ი — გა-მ-თბ-ობ-ელ-ი**  
          **მი-მ-ნდ-ობ-ი — მი-მ-ნდ-ობ-ელ-ი**  
          **შე-მ-ტყობ-ი — შე-მ-ტყ-ობ-ელ-ი...**  
**ოფ:**      **გა-მ-ყ-ოფ-ი — გა-მ-ყ-ოფ-ელ-ი**  
          **მ-ყ-ოფ-ი — მ-ყ-ოფ-ელ-ი...**

**-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა მიმღეობებში ეს თემის ნიშნები უცვლელად მხოლოდ მაშინ არის წარმოდგენილი, თუ მაწარმოებელია **მ-**, ხოლო თუ ერთგის **-ელ** სუფიქსიც, მაშინ ამოვარდება თემის ნიშნისეული **ა** ხმოვანი და დარჩება თანხმოვნითი ნაწილი (ვ და მ) (შანიძე, 1973, გვ. 570).

**ავ:**      **და-მ-ხატ-ავ-ი — და-მ-ხატ-ვ-ელ-ი**  
          **და-მ-კარგ-ავ-ი — და-მ-კარგ-ვ-ელ-ი**  
          **მ-ზიდ-ავ-ი — მ-ზიდ-ვ-ელ-ი**  
          **მ-ყნოს-ავ-ი — მ-ყნოს-ვ-ელ-ი**  
          **მ-ბოჭ-ავ-ი — მ-ბოჭ-ვ-ელ-ი...**

თუმცა, ზოგჯერ **-ავ** თემის ნიშნის ზმნათა მიმღეობები უსუფიქსოდ არ იწარმოება: **მ-ხენ-ელ-ი, მ-კვლ-ელ-ი, მ-რგვ-ელ-ი, მ-ხედვ-ელ-ი, მ-ხვრ-ელ-ი...** უსუფიქსოდ არ გვხვდება **-ამ** თემის ნიშნის ზმნათაგან ნაწარმოები მიმღეობები:

**ვამ-ამ — მ-ბმ-ელ-ი** და არა მბამი (შდრ. დასაბამი)  
**ვარტყ-ამ — გა-მ-რტყმ-ელ-ი** და არა გამრტყამი  
**ვსვ-ამ — მ-სმ-ელ-ი** და არა მსვამი

რადგან მიმღეობის საწარმოებლად პირველი სერიის თემაა საჭირო, ამიტომ ხმოვანმონაცვლე ზმნათა მიმღეობებში **ე** გვაქვს და არა **ი**:

**მ-კრეფ-ი — მ-კრეფ-ელ-ი მ-ჭვრეტ-ი — მ-ჭვრეტ-ელ-ი  
მ-ყლეტ-ი — მ-ყლეტ-ელ-ი მ-ფხეკ-ი — მ-ფხეკ-ელ-ი  
მ-სრეს-ი — მ-სრეს-ელ-ი და-მ-გრეს-ი — და-მ-გრეს-ელ-ი**

როდესაც უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სხვა თემის ნიშნიან ზმნათაგან მიმღეობის საწარმოებლად არ არის აუცილებელი **-ელ** სუფიქსის დართვა?

ეკ. ოსიძეს მიაჩნია, რომ სუფიქსის დართვის აუცილებლობა ი-ნიან ზმნათაგან ნაწარმოებ მიმღეობებში იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ სუფიქსის გარეშე მიმღეობა სახელობით ბრუნვაში ზმნის პირიან ფორმას დაემთხვეოდა: **მ-ყიდი-ი, მ-ტყორცნი-ი, მ-ტყეპნი-ი...** ამას ისიც მოწმობს, რომ ი-ნიან ზმნათაგან **სა-** და **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოებ მიმღეობებში არ არის აუცილებელი სუფიქსის დართვა: **სა-ცერი-ი, ნა-ცარი-ი, ნა-ყიდი-ი, სა-ტყორცნი-ი...** იმით, რომ მიმღეობის ეს ფორმები ზმნის პირიან ფორმას ვერ დაემთხვევა (ოსიძე, 1957, გვ. 207, შენიშვნა).

მაგრამ ზმნის პირიან ფორმას შეიძლება სხვა თემის ნიშნიან ზმნათაგან ნაწარმოები სასუბიექტო მიმღეობის უსუფიქსო ფორმებიც დაემთხვეს: **შემამკობელი — შემამკობ**

**მკადრებელი — მკადრებ  
შემქმნელი — შემქმენ**

და სხვანი, თუმცა, მიმღეობა (როგორც სახელი) ხომ ყოველთვის ბრუნვის რომელიმე ფორმითაა წარმოდგენილი (ახალ ქართულში მაინც) და არა ფუძის სახით. ამიტომ ამგვარი დამთხვევა გამოირიცხულია. **-ი** თემის ნიშნიან ზმნათა მიმღეობები კი სახელობით ბრუნვაში სავსებით ემთხვევა ზმნის პირიან ფორმას. **ი** მიმღეობაში ბრუნვის ნიშანია, ზმნაში კი თემის ნიშანი (**მყიდი, დამჭერი...**) და კიდევ, **მ-** პრეფიქსი პირველი ობიექტური პირის მაჩვენებელია ზმნაში. **სა-** და **ნა-** კი პირის ნიშნებად არ გვაქვს ქართულში და ამიტომ ამ პრეფიქსებით გაფორმებული ფორმები მიმღეობისა ვერ დაემთხვევა ზმნურ ფორმას.

ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**გოგოლაშვილი, კვანტალიანი, შენგელია 1991** — გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის სახელ-ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1991.

**ორბელიანი, 1991** — ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I — 1991, II — 1993.

**ოსიძე, 1957** — ეკ. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუ შრომები 67, 1957.

**ქეგელ** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი I და II, თბ., 1990.

**შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

**შანიძე, 1976** — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

**ჩიქობავა, 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

**ჩიქობავა, 1939** — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1939.

**ხომასურიძე, 1981** — ა. ხომასურიძე, ზმნის **ა** პრეფიქსი და სასუბიექტო მიმღეობა ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, 1981.

**ჭორბენაძე, 1985** — ბ. ჭორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

TAMAR MAMARDASHVILI

**On the Parallel Forms of the Subjective Participle  
in Georgian**

Summary

In Georgian the formation of the subjective participle is characterized by parallelism (m — el//ma — el, m-//m — el). On the one hand, the parallel forms tend to be semantically different: m-sesxebeli — a borrower, m-sesxebeli — a lender. On the other hand, the parallelism might be caused by the structure of verb forms, viz.: a) verb formation with vowel prefixes might cause the appearance of a vowel in the prefix of a participle; b) it can also be conditioned by the peculiarities of Present stem formation.

დინა ახვლედიანი

### ჩართულის ზოგიერთი ჯგუფი არჩილ ჯორჯაძის წერილების მიხედვით

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩართული გამოირჩევა განკერძოებულ გამოთქმებს შორის როგორც ფუნქციური, ისე ლექსიკური მრავალფეროვნებით. ფუნქციების უკეთ დასადგენად სასურველი ჩანს ჩართულზე დაკვირვება სალიტერატურო ენის სხვადასხვა ფუნქციური სტილის მიხედვით. ჯერჯერობით ყურადღება გავამახვილეთ პუბლიცისტურ სტილზე. კერძოდ, ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ ჩართულის ზოგიერთი ჯგუფი არჩილ ჯორჯაძის წერილების მიხედვით.

სტატიის მიზანია მხოლოდ მასალის გადმოცემა.

ამჟამად წარმოვადგენთ ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების ორ ჯგუფს: ემოციური ფუნქციის მქონე ჩართულებს და ე. წ. ფიცილის (ფიცის) ფორმულებს ჩართულად.

#### 1) ემოციური ფუნქციის მქონე ჩართულები

მორფოლოგიურად ემოციური ფუნქციის მქონე ჩართულები ზმნისართებია. ამიტომ, როგორც ყველა ზმნისართმა შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაში, განსაკუთრებით — წინადადების ბოლოს, მათ შეიძლება ვითარების გარემოების როლი შეასრულონ. მაგრამ ემოციური ელფერის მქონე ზმნისართები უმეტესად განკერძოებულია წინადადებისაგან და ნებისმიერ პოზიციაში ჩართულის როლს ასრულებენ. ამიტომ მათ „საკუთრივ ჩართულებსაც“ უწოდებენ.

ყველაზე დიდ ჯგუფს ემოციური ფუნქციის მქონე ჩართულებში წარმოადგენს სიხარულის, წუხილის, ბედნიერების (ან უბედურების) გამომხატველი ჩართულები. ასეთებია: **სამწუხაროდ, სასიხარულოდ, საბედნიეროდ, საუბედუროდ...**

**საბედნიეროდ: საბედნიეროდ**, ეს წესი მათ მალე შეცვალეს (ჯორჯაძე, 1989, გვ. 405); მაგრამ **საბედნიეროდ**, გრ. რობაქიძემ თანდა-თან სძლია ამ ნაკლს და ლექციის მეორე და მესამე ნაწილში ნამდვილი არტისტი იყო თავისი სიტყვისა (იქვე, გვ. 18); **საბედნიეროდ**, ამგვარი წაბაძვა და ქვეშევრდომა არ აკმაყოფილებს ბ. გაბაშ-

ვილს (იქვე, გვ. 160).

**საუბედუროდ: საუბედუროდ**, ამ საგანზე პრესაში ლაპარაკი აკრძალული იყო (იქვე, გვ. 185); დიმიტრის წინასწარმეტყველება, რომ ყოველივე ეს სიკეთემდე არ მიგვიყვანსო, მალე გამართლდა **საუბედუროდ** (იქვე, გვ. 7); ამ ნიმუშის შესახებ, **საუბედუროდ**, ვერას ვიტყვი, რადგან არ მომისმენია იგი (იქვე, გვ. 40); უნდა ვსთქვათ, რომ **საუბედუროდ**, საგნებით არ ვიცით ავტორის აზრი ამ საგნის შესახებ (იქვე, გვ. 229).

აღნიშნული ზმნისართები ხშირად უწყვილდება ნაცვალსახელურ ფორმებს, რომლებიც ხან უსწრებენ, ხან მოსდევნენ ზმნისართს. გვხვდება სხვადასხვა პირის (და ორივე რიცხვის) კუთვნილებითი ნაცვალსახელები, რომლებსაც დაერთვის **-და** მორფემოიდი, **თვის** თანდებულის ფუნქციით (**ჩემდა, ჩვენდა, შენდა, თქვენდა** და მისთ). ამ ფორმის ჩართულებით ხაზგასმულია, თუ ვისთვის თვლის ავტორი (მთქმელი) სასიხარულოდ თუ სამწუხაროდ გადმოცემულ ამბავს, მომხდარ მოვლენას. მაგალითად:

**ჩვენდა საბედნიეროდ: ჩვენდა საბედნიეროდ**, „დროების“ პირველ ოთხი წლის ხელმძღვანელიც საფუძვლიანად მომზადებული იყო ამ დარგში (იქვე, გვ. 284);

**ჩემდა საუბედუროდ: ჩემდა საუბედუროდ** „ნილილისტებიც“ ატარებდნენ ჯოხს (იქვე, გვ. 313);

**ჩვენდა საუბედუროდ: პირველ პირობა ხეირიანად ჰირანხულის** გასაღებისა არის თითონ მეურნე-პატრონის დამოუკიდებლობა შუამავალ პირებისაგან, **ჩვენდა საუბედუროდ**, ამ პირობას ჩვენი მეურნე მომეტებულ ნაწილად მოკლებულიაო (იქვე, გვ. 330); ... ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. ინაშვილს, რომელმაც **ჩვენდა საუბედუროდ**, დიდხანს აღარ იცოცხლა... (იქვე, გვ. 242);

**ჩვენდა სამწუხაროდ: ამასთანავე ვუბრუნებთ უ. მოლაყბეს ბოლიშით თავის „სალაყბოს ფურცლებს“**, დღეიდან ესალმებიან **ჩვენდა სამწუხაროდ** „ცისკარს“ (იქვე, გვ. 123); ... გვეგონა, რომ ის გაბედვით გადაეღობებოდა ყოველს უგვანობასა, როგორც შეჭვერის ყმაწვილ თაობასა, მაგრამ ჩემო მკითხველო, ახლა **ჩვენდა სამწუხაროდ**, ამას ვერ ვიტყვითო (იქვე, გვ. 183);

სემანტიკური ნიუანსური სხვაობის მიხედვით, გვხვდება ისეთი ჩართულები, რომლებშიც ასახულია ავტორის განწყობილება, რომ მომხდარი ფაქტი მიიჩნის ბედისა და იღბლის „ძღვნად“ ან განგე-

ბისაგან მოვლენილი ჭირად. ასეთი ჩართულობა: **ბედად, ჭირად, ვაგლახად...**, რომლებშიც შეიძლება ზმნისართი დაწყვილებული იყოს კუთვნილებით ნაცვალსახელებთან (სამივე პირისა); მაგალითად:

**ჩემდა სავაგლახოდ:** და **ჩემდა** სავაგლახოდ ბ. ანტონი იყო ის ადამიანი, „ცისკარს“ რომ ნილილისტური მიმართულება მისცა (იქვე, გვ. 313);

ემოციური ფუნქციის მქონე ჩართულთა შორის შეგვხვდა ისეთი ჩართული გამოთქმებიც, რომლებშიც ჩანს, რომ მომხდარი ფაქტი მოულოდნელია ავტორისათვის და, ამდენად — საოცარი, საკვირველი და განსაცვიფრებელი. ავტორის ამგვარ განწყობილებას ასახავს შემდეგი ჩართულები: **ჩემდა მოულოდნელად, ჩემდა (მისდა) გასაოცრად, თქვენდა განსაცვიფრებლად...** აღნიშნული ზმნისართები (ჩართულის ფუნქციით) არ გვხვდება დამოუკიდებლად, ნაცვალსახელების გარეშე. მაგალითად:

**თქვენდა განსაცვიფრებლად:** დააკვირდით ესთეტიკურ შემოქმედების პროცესს და თქვენ აღმოაჩინეთ, **თქვენდა განსაცვიფრებლად**, რომ ეს პროცესი სულიერ სიცოცხლის უღრმესი მოვლენაა... (იქვე, გვ. 44);

ზემოთ განხილული ჩართული გამოთქმები ლექსიკურ მრავალფეროვნებას ამჟღავნებს. ეს მრავალფეროვნება ჩანს გამოთქმის მონაწილე ზმნისართებში, მაგალითად, დაწყვილებულად შეგვხვდა **სამწუნაროდ** და **სამასხაროდ** ზმნისართები:

... ჩემს ნახევარ სიცოცხლეს შევწირავდი, ვინც მე ამ ჯოხს მომაშორებდა, მაგრამ **ჩემდა სამწუნაროდ და თქვენდა სამასხაროდ**, ეს ჯოხი მიმდევს საფლავის კარამდის (იქვე, გვ. 312);

დაწყვილებულად შეგვხვდა ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის მქონე ზმნისართებიც შეერთებული **თუ** კავშირით: **საბედნიეროდ თუ საუბედუროდ**; დაწყვილებული ზმნისართებიც უფრო აძლიერებენ ემოციურ მუხტს. მაგალითად:

მაგრამ არ ვიცი, **საბედნიეროდ თუ საუბედუროდ**, დღევანდელი ადამიანი ყველა ამითი ვეღარ კმაყოფილდება (იქვე, გვ. 706);

## 2) ე. წ. ფიცის (ფიცის) ფორმულები ჩართულად

ამ ფორმულების შესახებ საშუალება გვქონდა გვემსჯელა სტატიის „დაფიცებისა და დალოცვის ფორმულები ჩართულად“ (იხ. საენათმეცნიერო ძიებანი, XI, თბილისი, 2001).

შორისდებულის მნიშვნელობის მქონე ამ სიტყვებსა და გამოთქ-

მებს შორის შეიძლება დაიძებნოს ფუნქციური სხვაობა; სააღერსო სიტყვები, მაგალითად, შეიძლება მიმართვის ფორმებში შევიდეს. მიმართვის ფორმებად მიგვაჩნია შემდეგი გამოთქმები: **გენაცვალე, გეთაყვა, შენ გენაცვალე, შენ შემოგველე, დედა გენაცვალს, შენი ჭირიმე...** მოვიყვანთ ნიმუშებს:

**გეთაყვა:** აბა, **გეთაყვა**, მეფის ნაბოძებს სომხის კარაბადინის სიტყვით, ვინ წაარმთვეს (იქვე, გვ. 191);

**შენი ჭირიმე:** — განა არ დამიხედნია, **შენი ჭირიმე!** დიდიც არის და პატარაც... (იქვე, გვ. 193);

**თქვენი ჭირიმეთ:** — ის რა მოიგონა, **თქვენი ჭირიმეთ:** ყმები უნდა ჩამოგვეერთოსო! დაჰკრა კვერი ლუარსაბმა (იქვე, გვ. 192);

ჩამოთვლილი სააღერსო სიტყვები შეიძლება შეგვხვდეს სამწვერიან გამოთქმებადაც:

**თქვენს თავს ვენაცვალე:** (შუამავალს) ვგრე, **თქვენს თავს ვენაცვალე**, ოთხმოცი იყოს, მეტი კი არა... (იქვე, გვ. 224);

ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში დალოცვა მიმართულია თვით ღმერთისადმი, მაგალითად: **ვენაცვალე ღვთის მადლს**, იქაც ისე არიანო, ბატონიო ბატონათა, ყმა ყმათაო, როგორც აქა (იქვე, გვ. 191); ...დიდიც არის და პატარაც, მაგრამ **დაილოცა ღვთის სამართალი**, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან, თქვა ცბიერმა დათომა (იქვე, გვ. 193);

მიმართვის ფორმებად ვთვლით აგრეთვე ღმერთთან დაკავშირებულ გამოთქმებს: **ღმერთო (ღმერთო ჩემო); უფალო; (შენ) უღმერთო...** მოვიყვანთ ნიმუშებს:

**ღმერთო:** ჩვენ ყველანი აღვშფოთდით, ნელ-ნელა კარებისაკენ უქციეთ ზურგი და ჩუმად თავს ვუშველეთ... **ღმერთო! ღმერთო!** ამგვარი სირცხვილი რად გვაჭამეს (იქვე, გვ. 764);

**ღმერთო შეგცოდე:** მინდოდა წირვაზედ წასვლა, მაგრამ **ღმერთო შეგცოდე**, საპატიო მიზეზს ვიგონებ და ვამართლებ ჩემს წაუხვლელობას (იქვე, გვ. 441);

დაფიცების ობიექტია **ღმერთი, მზე (მზის მადლი)**. ფორმულები შეიძლება იყოს ერთსიტყვიანი, ან სახელტური-ზმნტური შესიტყვებები (**მზის მადლმა, შენმა მზემ, თქვენმა მზემ...**). მოვიყვანთ ნიმუშებს:

**თქვენმა მზემ:** **თქვენმა მზემ**, ეს მეორედ-მოსვლის ნიშნებია, ღმერთო დაგვიფარე (იქვე, გვ. 221); ამასაც, **თქვენმა მზემ**, მაგისტ-



ვის ვამბობ, თორემ ცემა ცემად ჩაითვლება და ეგ კი ისევ ვირად დარჩება (იქვე, გვ. 224); კარგი ნუგეშია, **თქვენმა მზემ**, მოგვაძახებს გაჯავრებული მკითხველი (იქვე, გვ. 676);

ცალკე გამოვეყოფთ ისეთ ქვეჯგუფს, რომელიც ერთდროულად რამდენიმე სემანტიკური ნიუანსს შეიცავს — დაფიცებას, დალოცვას, თხოვნას. ასეთებია: **შენს გაზრდას (შენმა გაზრდამ)**, **შენს განარებას** და მისთ. მაგალითად:

**შენმა გაზრდამ:** საკვირველნი არიან, **შენმა გაზრდამ**, მაგ გვარნი კაცნი!... (იქვე, გვ. 139);

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფილია ერთი ჯგუფი ფიცის ფორმულებისა „სადაც ფორმალურად — **რწმუნება-მტკიცების** გამოთქმა გვაქვს, მაგრამ სინამდვილეში ფიცის ფორმულების სახით ირონიული გამოთქმა იხმარება“ (კობახიძე, 1984, გვ. 270). ქვემოთ მოყვანილი გამოთქმები სასაუბრო ენიდან უნდა იყოს შემოტანილი სალიტერატურო ენაში. ზოგი მათგანი ჟარგონულიცაა. ასეთებია: — რას მიჰქარავ ბიჭო? ჯვარის დაწერა კი არა, **მამა გიცხონდა!** (იქვე, გვ. 139); — რაო? მოგეწონა? მომეწონა! თითქო ბატონის შვილი იყოს? სხვა არა მოგეწონა რა **მამა გიცხონდა?** (იქვე, გვ. 139);

ჩართულად შეიძლება ჩაითვალოს ერთი ჯგუფი — ღმერთისადმი (განგებისადმი) „აღვლენილი“ მადლობის გამომხატველი. მაგალითად, **მადლობა ღმერთს, მადლობა განგებას...**

**მადლობა ღმერთს:** **მადლობა ღმერთს**, ჩვენი საქმე საუკეთესოდ დაბოლოვდა, ისე როგორც არავინ მოელოდა... (იქვე, გვ. 452);

ამავე შინაარსისაა: **ღვთით, ღვთის მადლით, ღვთის მოწყალეობით, ღვთის ნებით...** გამოთქმები, ოღონდ მათში მადლობის გარდა გამოხატულია რწმენაც. მაგალითები:

**ღვთით:** ჩემი საქმე **ღვთით** კარგად მიდის.... (იქვე, გვ. 580);

**ღვთის მადლით:** ჩვენი ხალხი, **ღვთის მადლით**, ჯერ-ჯერობით მამულიანია და გამამულიანებას ცდილობს (იქვე, გვ. 376);

**ღვთის მოწყალეობით:** ნელ-ნელა, **ღვთის მოწყალეობით**, გადავიდნენ აქედან იმაზედ, რომ დაუწყეს დაცვა ქართულ ჩვეულებას, ქართულ ენას... (იქვე, გვ. 331);

**ღვთის ნებით:** გლახთა საკითხი გადაწყდა, და, **ღვთის ნებით**, ისე კარგად გადაწყდა მემამულეებისათვის, რომ უკეთესად არც კი შეიძლება (იქვე, გვ. 441); ...რომელთაც ძველმა გმირულმა დრომ უანდერძა მალალ-ზნეობა და რომელთა გულში ღვივის მემორთა

გრძნობა — **ღვთის ნებით:** უშიშრად, აუჩქარებლად შევხვდეთ ამ საქმეს... (იქვე, გვ. 472);

ამ მცირე მასალიდანაც ჩანს, რომ ჩართულის სტილისტიკურ ფუნქციითა თვალსაზრისით დიდი სხვაობა არ არის მოსალოდნელი ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციურ სტილებს შორის. მაგრამ დაკვირვება სხვადასხვა ფუნქციურ სტილზე და მასალების თავმოყრა, ვფიქრობთ, საჭიროა ჩართულის რაობასთან, ფუნქციების მონაცვლეობასთან და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი სადავო საკითხის გადასაჭრელად.

ლიტერატურა

**გაჩეჩილაძე, 1979** — ო. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურთ), თბ., 1979.

**კვაჭაძე, 1960** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1960.

**კობახიძე, 1984** — ალ. კობახიძე, „დედაშვილობამ“ — „დედაშვილობას“ ტიპის ფორმულების შესახებ, ქსკს, VI, თბ., 1984.

**შამელაშვილი, 1958** — რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1958.

**შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

წყარო:

**ჯორჯაძე, 1989** — არჩილ ჯორჯაძე, წერილები, თბ., „მერანი“, 1989.

DIANA AKHVLEDIANI

**On Some Classes of Parentheticals in A. Jorjadze's Essays**

Summary

As is known, unlike other inserts, parentheticals are functionally and lexically versatile. Though in Standard Georgian stylistic functions of parentheticals do not seem to vary greatly from style to style, in the author's viewpoint, the study of parentheticals in different functional styles might help to solve an number of contentious problems connected with the type of insert in question. The paper focuses on two stylistic and semantic groups of parentheticals: a) emotional parentheticals and b) the so-called vow-formulas. The research has been carried out on the material of A. Jorjadze's essays.

ლია ახვლედიანი

**ქართულ გრამატიკულ ტერმინთა ისტორიისათვის**

„საგრამატიკო ტერმინების ისტორია ქართული ენის გრამატიკის ისტორიას გვანიშნებს“, — წერდა არნ. ჩიქობავა წიგნში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესწავლის ისტორია“ (ჩიქობავა, 1965).

მაინც რა აყოვნებს ამ ისტორიის შექმნას დღემდე?

ჩვენი აზრით, საგრამატიკო ტერმინების ისტორია ვერ შეიქმნება 1) ბერძნული წყაროების გავალისწინებისა და 2) ქართული გრამატიკულ ტერმინთა სრული აღნუსხვის გარეშე.

პირველი სირთულე ნაწილობრივ დაძლეულია. ნაწილობრივ, რადგან, მართალია, არსებობს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ ქართული თარგმანი, მაგრამ მთავარი მაინც ამ გრამატიკის კომენტარებია, სადაც სქოლიასტები დაწვრილებით გადმოგვცემენ თითოეული ტერმინისა თუ სხვადასხვა კატეგორიების შექმნის ისტორიას — რა იყო თრაკიელამდე და რა შეცვალა მან (ჰილგარდი, 1901). ამ კომენტარების გაუთვალისწინებლად ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის ცალკეულ საკითხებზე მსჯელობა შესაძლოა, ხშირად მცდარი აღმოჩნდეს. მაგალითად, ანტონი ერთგან წერს: „დასაბამ ბრუნჟათა არს წრფელობითი, რომელი უფრორე სამართალ არს ეწოდებოდესმცა სახელობითი“ (ანტონ კათალიკოსი, 1885, გვ. 23). რატომ მიაჩნია ანტონს უფრო სამართლიანად პირველ ბრუნვას სახელობითი ერქვას და არა წრფელობითი? ანტონის გრამატიკის ამ ადგილს ყველა მკვლევარი თავისებურად ახსნიდა. ბერძნული წყაროებიდან კი აშკარაა, რომ ანტონის მსჯელობა პირველი ბრუნვის შესახებ სტოელებსა და პერიპატეტიკოსებს (არისტოტელეს მიმდევრებს) შორის არსებული დავის გამოძახილია. ანტონი ამ დავას, შესაძლებელია, ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართული თარგმანებიდან იცნობდეს (ერმისი, 1983).

ბერძნულ გრამატიკულ ტერმინთა, თუ საერთოდ ბერძნული გრამატიკის ისტორიის ამსახველი, ეს ხუთასგვერდიანი ნაშრომი ქართულად (ან რომელიმე ევროპულ ენაზე) თარგმნილი რომ იყოს,

ქართული საგრამატიკო ტერმინების შექმნის ისტორია, რა თქმა უნდა, საგრძობლად გამართვადობდა.

მეორე მიზეზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ გრამატიკულ ტერმინთა საძიებლების უქონლობაა. ამა თუ იმ ტერმინის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი იძულებულია, ჩაიხედოს ყველა გრამატიკაში, რაც დაწერილა შანშოვანიდან დღემდე. ზოგი გრამატიკული თხზულება უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და ძნელი მოსაპოვებელია. ჩვენი თხოვნით არნ. ჩიქობავას სახელობის ენთმეცნიერების ინსტიტუტის დირექციამ გამოყო თანხა ყველა გრამატიკული თხზულების ქსეროასლების გადასაღებად. გარდა ამისა, რამდენიმე წლის წინ საძიებლების შექმნის შესახებ ვესაუბრეთ ენთმეცნიერების ინსტიტუტის კომპიუტერული ლინგვისტიკის განყოფილების მაშინდელ ხელმძღვანელს მანანა თანდაშვილს. გადაწყდა ძველ ქართულ გრამატიკულ თხზულებათა კომპიუტერული ბაზის შექმნა. შემდგომში ამ თემამ გერმანიაში გადაინაცვლა და ამჟამად ქართულ გრამატიკულ ტერმინთა საძიებლების კომპიუტერულ დამუშავებას იოსტ გიპერტი ხელმძღვანელობს. თუმცა ჯერჯერობით არცერთი თხზულების საძიებელი გამოსაცემად მზად არ არის, მაგრამ ქართულ გრამატიკულ ტერმინთა გარკვეული კომპიუტერული ბაზა უკვე არსებობს. კომპიუტერულ დისკებზე მოთავსდა ანტონის, ზურაბ შანშოვანის, გაიოზ რექტორის, თედო ყორღანიას, სოლომონ დოდაშვილის, იოანე ბატონიშვილის, დიმიტრი ყიფიანის გრამატიკული თხზულებები.

ამჟამად მუშაობა შეწყვეტილია, მაგრამ, შესაძლოა, ჩვენსა და გერმანულ მხარეს შორის თანამშრომლობა კიდევ გაგრძელდეს და ქართულ გრამატიკულ ტერმინთა საძიებლებიც საბოლოოდ გაკეთდეს.

ამ მიზეზებისა თუ სირთულეების დაძლევის, ვფიქრობთ, საბოლოო მიზანიც ადვილად მიიღწევა. საბოლოო მიზანი კი ქართულ გრამატიკულ ტერმინთა ისტორიული ლექსიკონის შექმნაა. ლექსიკონისა, სადაც უნდა აისახოს თითოეული გრამატიკული ტერმინის წარმოშობისა და განვითარების გზა ბერძნული წყაროებიდან ქართულ წყაროებამდე.

აქვე მოგვყავს რამდენიმე მაგალითი ქართულ გრამატიკულ ტერმინთა ისტორიული ლექსიკონის მასალებიდან.

**დაკუეფა** — ტერმინი დასტურდება ამონიოს ერმისის თხზულების „მოსაქსენებელი „ხუთთა ჳმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ ქართულ თარგმანში.

ბრუნვის აღმნიშვნელი ტერმინი ბერძნულსა და მისგან მომდ-

ნარე ევროპულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში „დაცემა“, „ვარდნა“ ზმნას უკავშირდება. ბერძნ. πᾶσις, ლათ. casus, რუს. ðàñàæ. დღევანდელ ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში მისი შესატყვისი არა გვაქვს.

ძველი ქართული გრამატიკული ტერმინი **დაკუეფა**, რომელიც ფლექსიას აღნიშნავს, ბერძნ. ტერმინის πᾶσις-ის ზუსტი სემანტიკური შესატყვისია.

**დაკუეფა** „დაცემას“ ნიშნავდა ძველ ქართულში: Φόβας σκιοτεινός μέγας ἐπιπίτει ἀπ᾽ ἄ „შიში ბნელი დიდი დაეკუეთა მას“ (მცხეთური ხელნაწერი, 1881, გვ. 69).

**დაკუეფა** ტერმინის სინონიმად ამონიოს ერმისის ამ თხზულების ქართულ თარგმანში ბერძნული ტერმინის უთარგმნელი ფორმა **ბტოსი** გამოიყენება: „სთქვა რა განყოფილთაო ბტოსითა, ცხადყო გარდანაკუთულება დასასრულისა მარცულისა“ (ერმისი, 1983, გვ. 0106). აქ ზუსტად არის ასახული თრაკიელის გრამატიკის ერთ-ერთი კომენტატორის, სტეფანეს, განმარტება ტერმინისათვის πᾶσις: „πᾶσις δὲ ἔστι πᾶσις ἁπλῆς ἔξωθεν μετασχηματισμὸς τῆς τελευταίας σ ἑκαστοῦ ἄλλοτε εἰς ἄλλο πᾶσις — ბრუნვა არის ბრუნებადი სიტყვის ფორმაცვალება („განდანაკუთულება“) ბოლო მარცვლის სხვა მარცვლით შეცვლის გზით.

ბერძნ. ტერმინ πᾶσις-ის ზუსტი სემანტიკური შესატყვისი გრამატიკული ტერმინი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში შემდგომ არსად ჩანს.

**დრეკა** — ძველ ქართულ გრამატიკულ ტრაქტატში „სიტყუა ართრონთათჳს“ ბრუნებისა და ბრუნვის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი **დრეკა**. ბრუნვის მნიშვნელობით ერთგან ნახმარია **სახელის-დრეკა** (შანიძე, 1990, გვ. 137-138, 66). **დრეკა** ფუძისაგან ნაწარმოები ტერმინი **მიდრეკილება** გვხვდება იოანე ქართველიშვილის გრამატიკაშიც: „თვისებანი ან მდევარნი სახელისანი არიან ექვსნი: ნათესავი, სახე, რიცხვი, ბრუნვა, კანკლედობა ანუ მიდრეკილება“ (ფოცხიშვილი, 1979, გვ. 280).

ძველი ქართული გრამატიკული ტერმინი **დრეკა** შეესაბამება ბერძნ. ტერმინ κλῖσις-ს („მიმოხრა“, „გადახრა“, ფლექსიური ცვლილება). დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებაში“ κλῖσις-ი ბრუნებასაც აღნიშნავს და უღლებასაც (ქაროსანიძე, 1998, §6, §12).

მოგვიანებით ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ბერძნ. κλῖσις-ს შეესაბამება მიმოხრა და ბრუნება.

**უღლება** — ტერმინი **უღლება** ისევე, როგორც ლათ. conjugatio,

რუს. *ნიძეაქიძე*, ბერძნ. ტერმინის *σζυγία*-ს სემანტიკური შესატყვისია. რატომ უწოდეს ბერძნებმა უღლება. ამას დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის სქოლიასტები ასე განმარტავენ: „უღლება ჰქვია იმის გამო, რომ თითოეული უღლება შეუღლებულია თანხმოვანთან“ (ჰილგარდი, 1901, გვ. 406). ჰელიოდორე უფრო ვრცლად განმარტავს: „ამბობენ, უღლება ჰქვია ოთხფეხა ცხოველის უღელის მიმსგავსებით, რადგან, როგორც ერთ უღელქვეშ შებმული ცხოველები მიუყვებიან გზას, ასევე მათთან [იგულისხმება თანხმოვნებთან] შეუღლებული ზმნები ერთად განვლიან ფორმაცვალების გზას“ (ჰილგარდი, 1901, გვ. 406).

ტერმინი **უღლება** ქართულში ჯერჯერობით პირველად ანტონთან დასტურდება. ანტონმა იცის უღლება ტერმინის ეტიმოლოგია: „უცუალებელად რა ჰგინა ნიშანი იგი ზმნათა მიმოხრათა შინა პირთა მიმართ, ამისთვის შეუღლულება უწოდებდესთ პირველთა ჩუღნთა ღრამმატიკოსთა“ (ანტონ კათალიკოსი, 1885, გვ. 169).

\* \* \*

რატომ უწოდეს ძველმა ბერძნებმა სახელობითს სახელობითი, მიცემითს — მიცემითი, უღლებას — უღლება? როგორ განმარტებოდა თითოეული ტერმინი ბიზანტიელ სქოლიასტთა მიერ? როგორ გადმოიტანეს იგი ქართველმა ფილოლოგოსებმა? როგორ განვითარდა თითოეული ტერმინი? რატომ აღნიშნავდა გრამატიკულ სქესს ძველად **ნათესავი**? როდის და რომელ ქართველ გრამატიკოსთან შეიცვალა ტერმინით სქესი და სხვა მრავალ მსგავს საკითხთა შესწავლას, ანუ საგრამატიკო ტერმინების ისტორიის შექმნას, ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ გზით შევძლებთ.

ლიტერატურა

**ჩიქობავა, 1965** — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

**ჰილგარდი, 1901** — Scholia in Dionysii Thracis Artem Grammaticam, Graeci, V. I. Pars, III, Ed. Hilgard. Lipsiae, 1901.

**ანტონ კათალიკოსი, 1885** — ქართული ღრამატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფ., 1885.

**ერმისი, 1983** — ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭალმაძემ

და მაია რაფაევამ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მაია რაფაევამ, თბ., 1983.

**ფოცხიშვილი, 1979** — ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.

**შანიძე, 1990** — მ. შანიძე, „სიტყუა ართრონთათს“ — ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990.

**ქაროსანიძე, 1998, 2000** — ლ. ქაროსანიძე, დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება, თბ., „ლოგოსი“, 1998, 2000.

**მცხეთური ხელნაწერი, 1981** — მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, სუთი), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელენე დოჩანაშვილმა, თბ., 1981.

LIA KAROSANIDZE

## Towards the History of Georgian Grammar Terms

### Summary

The analysis presented in the paper is part of the work that aims at compiling a historical dictionary of Georgian grammatical terms. Every entry will include the etymology of the headword and transformations that the original Greek grammar term has undergone throughout the history of Georgian grammatical thought. The dictionary will provide the reader with precise information when, by whom and how the Greek terms were changed.

## ჰეთვან სარსვანიძე

## ონომასტიკის შესწავლის პერიოდები

სპეციალურ ლიტერატურაში ონომასტიკის შესწავლის ისტორია, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გაყოფილია ორ ძირითად მიმართულებად: მეცნიერული და ხალხური. დარგის კვლევის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ეტაპები:

1. **ჰაგიოგრაფიული პერიოდი** (V-XI სს.);
2. **ხალხური კვლევის პერიოდი**;
3. **ისტორიკოს-მემატიანეთა პერიოდი** (XI-XVII სს.);
4. **საისტორიო გეოგრაფიის პერიოდი** (XVIII ს.);
5. **ისტორიულ-ფილოლოგიური პერიოდი** (XIX ს.);
6. **ენათმეცნიერული პერიოდი** (XX ს.-იდან დღემდე).

ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, რომ საკუთარი სახელებით დაინტერესება, და თავისთავად ონომასტიკის შესწავლის ისტორიაც, იწყება ჰაგიოგრაფიული ძეგლებით (აბულაძე, 1963), ამიტომ პირველ რიგში გამოიყოფა **ჰაგიოგრაფიული პერიოდი**, რომელიც მოიცავს V-XI სს.

ამავე დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ხალხური ეტიმოლოგიები, რომლებიც წერილობით ძეგლებს ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციებით უძღვის წინ და განაგრძობს მათთან ერთად არსებობას. ამდენად, ონომასტიკის შესწავლის ისტორიის შემდეგ ეტაპად **ხალხური კვლევის პერიოდი** გამოიყოფა, რომელშიც გაერთიანდება ხალხური გადმოცემები, მითი-ლევანდები, აგრეთვე შესაძარბელ ფუძეთა ფონეტიკურ-აკუსტიკური მსგავსების გზით ახსნილი ეტიმოლოგიები.

ჩვენი სახელოვანი მემატიანეების **ლენტი მროველის, ჭიანჭერისა** და სხვათა მიერ შექმნილ ისტორიულ ქრონიკებში წარმოდგენილია ქვეყნის უძველეს სახელწოდებათა წარმომავლობის შესახებ მრავალფეროვანი მასალა (ყაუხჩიშვილი, 1955). იმ ხანას, რომელიც საისტორიო თხზულებათა მიხედვით, მოიცავს XI-XVII საუკუნეებს, პირობითად ქართული ონომასტიკის შესწავლის **ისტორიკოს-მემატიანეთა პერიოდი** შეიძლება ვუწოდოთ.

„ქართლის ცხოვრების“ ქრონიკები და სხვადასხვა „ისტორიანი“ იყო საფუძველი იმისა, რომ შექმნილიყო **ვახუშტი ბატონიშვილის** (1696-1757) ცნობილი ნაშრომი „**აღწერა სამეფოსა საქართველოსა**“. ამ ფუნდამენტურ გამოკვლევაში ვახუშტიმ დიდი ადგილი დაუთმო ტოპონიმთა ეტიმოლოგიებს. ამ ნაშრომმა, ფაქტობრივად, სათავე დაუდო ონომასტიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, ჩამოყალიბება-განვითარებას (ვახუშტი, 1973). ვახუშტის ეპოქას, XVIII საუკუნეს, **საისტორიო გეოგრაფიის პერიოდს** დავარქმევთ, ნაშრომის აქტუალობისა და დღესაც კი მის მიმართ მეცნიერ-მკვლევართა დიდი ინტერესის გამო.

აღორძინების ხანის წარმომადგენელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **იოანე ბაგრატიონის** (1768-1830), **პლატონ იოსელიანის** (1809-1875), **მარი ფელისიტე ბროსეს** (1802-1880) ონომასტიკური მასალის საისტორიო-საგეოგრაფიო კვლევები. მაგრამ უთუოდ გამორჩეულია დიდი ქართველი ლექსიკოგრაფის **ნიკო ჩუბინაშვილის** (1790-1847) ღვაწლი. იგი ქართული ონომასტიკის შესწავლის ისტორიაში პირველია, რომელიც აუცილებლად თვლის საწარმოქმნო ელემენტებისა („მარცვალნი სხმითგარდასლუთისანი“) და ძირების („პირველსახე“) (ჩუბინაშვილი, 1961) ერთიმეორისაგან გამიჯნულად კვლევას.

XIX ს. 80-იან წლების მონოგრაფიაში კი „**მეგრული ეტიუდები**“ **ალექსანდრე ცაგარელი** ტოპონიმებში გამოყოფს **ლე-** და **ო-** პრეფიქსებს, როგორც ადამიანთა ერთი გვარის სიმრავლის, განყენებულობისა და პოსესიურობის (კუთვნილების) აღმნიშვნელ ფორმანტებს (ცაგარელი, 1880).

ამდენად, XIX საუკუნის ზემოაღნიშნულ მკვლევართა შრომებში ტოპონიმთა ეტიმოლოგიური ანალიზის პარალელურად თანდათან ჩნდება ჩანასახები ენათმეცნიერული თვალსაზრისით ტოპონიმთა შესწავლისა; ამ ეპოქას ონომასტიკის შესწავლის ისტორიაში მივიჩნევთ **ისტორიულ-ფილოლოგიურ პერიოდად**.

XX საუკუნის დასაწყისიდან ონომასტიკის ისტორიის კვლევის პროცესში გამოიკვეთა დარგის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი — **ენათმეცნიერული პერიოდი**. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ომონიმთა წარმოშობისა და სტრუქტურულ-სემანტიკური აგებულების გასარკვევად დაიწყო განსაზღვრული გრამატიკული ნორმების შესაბამისად ფუძისა და დეტერმინანტული სუფიქსების გამიჯვნა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **მოსე ჯანაშვილის** მიერ 1900 წელს გამოქვეყნებული სტატია „ქართველური ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგია“, რომელშიც ავტორი ეთნონიმებსა და ტოპონიმებსა საწარმოქმნო პრეფიქსებს გამოყოფს (ჯანაშვილი, 1900).

განუზომელი იყო თავისი მნიშვნელობით ნ. მარის გამოკვლევები, რომლებშიც მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ქართულ-ქართველურ ტოპონიმებზე და გვთავაზობს მათი წარმოშობის გარკვევის საინტერესო ცდებს.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა **ივანე ჯავახიშვილის** ფუნდამენტური გამოკვლევის „ქართველი ერის ისტორია“ (1908) გამოქვეყნებას. ამ ნაშრომის დამატებაა სპეციალური თავი „ქართველთა სხვადასხვა სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა“ (ჯავახიშვილი, 1951), რომელიც ეძღვნება ეთნონიმებისა და ტოპონიმების მეცნიერულ ანალიზს.

ივანე ჯავახიშვილმა თავის სხვა გამოკვლევებში, მათ შორის: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937) და „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“ (1950) აღმოსავლეთ მთიანეთის მთელი რიგი გეოგრაფიული სახელები განმარტა.

ონომასტიკის განვითარების საქმეში ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **იოსებ ყიფშიძის** წიგნს „მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით“, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა ონომასტიკური (ანთროპონიმია, ტოპონიმია) მასალის კვლევას.

ქართული ონომასტიკის მეცნიერული კვლევის აღმავლობის საქმეში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა **აკაკი შანიძის** გამოკვლევებს: „ორი ჭანურ-მეგრული სუფიქსი ქართულ და სომხურ ენებში: I. -არ სუფიქსის წარმომავლობა ქართულში“ (1916), და „-ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“ (1941).

ქართული ონომასტიკის, როგორც მეცნიერების დარგის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ასევე **ვ. თოფურიას**. მისი თეორიული ხასიათის წერილები „გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში“ (1924) (თოფურია, 1953), და „-ენჯ სუფიქსი მეგრულში“ (თოფურია, 1937) ქართული ტოპონიმების აგებულებისა და წარმოების საკითხებს ეხება.

ამავე პერიოდში ტოპონიმთა წარმოქმნის საკითხებს საგანგებო ყურადღება დაუთმო **არნ. ჩიქობავამ**, რომლის ცნობილმა გამოკვლევამ „-ონ სუფიქსი მეგრულში“ (1926) გზა გაუკვალა ტოპონიმისკურ

სახელთა არეალური პრინციპებით კვლევას.

ქართული ეთნონიმისა-ტოპონიმის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის დასმული და სათანადო მეცნიერულ დონეზე გადაჭრილი აკად. **ს. ჯანაშიას** ნაშრომებში (ჯანაშია, 1952, 1959).

არანაკლები ინტენსიურობით მიმდინარეობდა ცალკეული კუთხეების ფიზიკურ-გეოგრაფიული და დემოგრაფიულ-ეკონომიკური აღწერები, რომლებშიც დიდი ადგილი უკავია ტოპონიმისკურ და ანთროპონიმულ მასალას. მათ შორის აღსანიშნავია: **ვუკ. ბერიძის**,

**ს. მაკალათიას**, **მ. ჩიქოვანის** გამოკვლევები.

გეოგრაფიულ სახელთა კლასიფიკაციისა და ეტიმოლოგიურ კვლევა-ძიებას სპეციალური თავი აქვს დათმობილი **აკაკი შანიძის** ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (1953 წ.), რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც ქართული ონომასტიკის თეორიული ხასიათის შრომა და რამაც არსებითად განსაზღვრა ქართული ტოპონიმის მეცნიერული კვლევის მიმართულება (შანიძე, 1953).

ეროვნული ონომასტიკის შემდგომი განვითარების საქმეში უდიდეს მნიშვნელობას იძენს **ს. ჯიქიას**, **პ. ინგოროყვას**, **ნ. ბერძენიშვილის**, **გ. მელიქიშვილის**, **მ. გეგეშიძის**, **ვ. გამრეკელის**, **მ. ანდრონიკაშვილის**, **მზ. შანიძის**, **მ. ლორთქიფანიძის**, **ა. მსხალაძის**, **ი. სინარულიძის**, **მ. ალაგვიძისა** და სხვათა შრომები.

ქართული ონომასტიკის თეორიული საკითხების შესწავლას ეძღვნება **თ. ზურაბიშვილის** ვრცელი გამოკვლევა „ტოპონიმის შესწავლისათვის“ (ზურაბიშვილი, 1982).

არეალური ტოპონიმის საკვანძო საკითხები წარმატებით არის გადაჭრილი **მ. ქალდანის** მცირე მოცულობის ნაშრომში „ლექსტმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ (||-შ) სუფიქსის საკითხისათვის“ (ქალდანი, 1963).

საყურადღებოა **ზ. ჭუმბურიძის** სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წიგნი „რა გქვია შენ?“, რომელიც მოიცავს ანთროპონიმისა და ტოპონიმის ზოგად საკითხებს (ჭუმბურიძე, 1982).

განუზომელია **ბ. ჯორბენაძის** დამსახურება ქართული ონომასტიკის თეორიული პრობლემების დამუშავების საქმეში. საკმარისია დასახელება თუნდაც მისი მხოლოდ ერთი ნაშრომისა „ონომასტიკური გულანი“ (1993), რომელიც ეძღვნება ონომასტიკის მეცნიერული კვლევის თეორიულ საფუძვლებს (ჯორბენაძე, 1993).

შეუძლებელია არ აღინიშნოს **ფ. ერთელიშვილის**, **ალ. დლონტის**, **პ. ცხადაიას**, **ალ. კინჭარაულის**, **თ. უთურგაიძის**, **ფ. მაკა-**

**ლათიას, შ. აფრიდონიძის, მ. ქამადაძის, გ. ხორნაულისა** და სხვა მეცნიერ-მკვლევართა ღვაწლი ქართული-ქართველური ონომასტიკის შესწავლის საქმეში.

ილია **გ. ბედოშვილის** დამსახურება ქართული ონომასტიკის კვლევის სფეროში. მისი მონოგრაფიები „ერწო-თიანეთის ტოპონი-მია“ (ბედოშვილი, 1980) და „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (ბედოშვილი, 1980) ეძღვნება ცალკეულ ონომასტიკურ სახელთა სტრუქტურულ შესწავლას, საწარმოქმნო აფიქსების მიმართებას საყრდენ ფუძეებთან და ტოპონიმთა წარმოე-ბის მეთოდოლოგიურ სისტემას.

ამრიგად, ონომასტიკის ისტორიის კვლევისას გამოიკვეთა ზე-მოაღნიშნული პერიოდები. მიუხედავად ამისა, ონომასტიკის შესწავ-ლის ისტორიისათვის მასალა ამოუწურავია და ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელებამ შესაძლებელია სხვა სურათი წარმოვიდ-გინოს.

ლიტერატურა

**ვახუშტი, 1973** — ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

**ბედოშვილი, 1980** — გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონი-მია, თბ., 1980.

**ბედოშვილი, 2002** — გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002.

**ზურაბიშვილი, 1961** — თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შეს-წავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1961.

**თოფურია, 1937** — ვ. თოფურია, -ენჯ სუფიქსი მეგრულში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენიმიკის მოამბე, ტ. I, 1937.

**თოფურია, 1953** — ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1953.

**ყიფშიძე, 1994** — ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

**ქალდანი, 1963** — მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელ-თა -იშ (||-შ) სუფიქსის საკითხისათვის“, ქართველურ ენათა სტრუქ-

ტურის საკითხები, III, თბ., 1963.

**ყაუხჩიშვილი, 1955** — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგე-ნილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

**შანიძე, 1953** — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953.

**ჩუბინაშვილი, 1961** — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლე-ვებით, თბ., 1961.

**აბულაძე, 1963** — ძველი ქართული აგეოგრაფიული ლიტერა-ტურის ძეგლები, წ. I, (V-X სს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963.

**ჭუმბურიძე, 1982** — ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ?“, თბ., 1982.

**ჯანაშია, 1952, 1959** — ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II-III, თბ., 1952, 1959.

**ჯავახიშვილი, 1951** — ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტო-რია, წ. I, თბ., 1951.

**ჯორბენაძე, 1993** — ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993.

**ჯანაშვილი, 1900** — ონომასტიკის ძეგლები, თბ., 1900.

**ცაგარელი, 1880** — ცაგარელი, 1880.

KETEVAN SARSEVANIDZE

## Periods in the History of Onomastic Studies

### Summary

The paper summarizes the results of the age-long history of intensive onomastic research in Georgia — from its beginning in the 5 th c. up to the prominent works by the twentieth century scholars under the leadership of Ivane Javakhishvili.

The history of onomastic studies in Georgia can be divided into the following main periods:

1. Hagiographical period (V-XI)
2. Period of folk approach
3. Period of chroniclers (XI-XVII)
4. Historical-geographical period (XVIII)
5. Historical-philological period (XIX)
6. Linguistic period (XX c. to the present day)

პაპ ბერიშვილი

### ფრაზეოლოგიის კომპონენტის ჩაგარდნა და სიტყვის მნიშვნელობის ცვლა

ქართული ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად რედუცირებისადმი მიდრეკილებას თვლიან (იხ. თაყაიშვილი, 1961, გვ. 125). ეს თავისებურებაა ფრაზეოლოგიზმისა, რა თქმა უნდა, სხვა ენებსაც ახასიათებს (იგი კარგად ეხმიანება ენის ეკონომიის პრინციპს) და სიტყვის მნიშვნელობის ცვლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. მაგალითად,

1. სიტყვა **მოქცევა** („მობრუნება“, „მოტრიალება“) გვხვდება კონტექსტებში, სადაც მას აქვს მნიშვნელობა „გამოსწორება“, „სარწმუნოების მიღება“. სიტყვის მნიშვნელობის ამგვარი ცვლის გასაღებს იძლევა შემდეგი ადგილი სახარებიდან: „...მრავალნი ძეთა ისრაელისათანი მოაქცინეს უფლისა ღმრთისა მათისა“ [ლუკა 1.16 (DE)].

**მოქცევა** ღმრთისა ანუ „ღმერთისკენ მობრუნება“ ფრაზეოლოგიზმია. როგორც ჩანს, იგი იმდენად ხშირად გამოიყენებოდა, რომ მართო „მოქცევა“ საკმარისი აღმოჩნდა იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად. მაგ.:

არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა, მოქცევად მათა [მათე 9.13]

არა თუ იქცეთ..., ვერ შეხვდეთ სასუფეველსა... [მათე 18.3 (C)]

2. სიტყვა **მიაქციონ / მიაქციოს**, რომელიც ფორმით სამ პირს გულისხმობს, გვხვდება მნიშვნელობით „მიუბრუნდნენ“ / „მიუბრუნდეს“ და ორ პირს გულისხმობს:

...რა თა არა მიაქციონ (ალბათ, „პირი“) ჰეროდესა... [მათე 2.12; აგრეთვე: ლუკა 17.4 (DE); 17.18].

(აღსანიშნავია, რომ სახარებაში გვხვდება **გარე-მიქცევ პირისა** — „თავის არიდება“ [მათე 5.42])

ამგვარად, ფრაზეოლოგიზმის (ალბათ, \***მიქცევ პირისა**) ერთი კომპონენტი (პ.0) ჩავარდნილია.

**სასუფეველი ღმრთისა / ცათა / ზეცათა** ძალიან ბევრგან გვხვდება სახარების ტექსტში, ამიტომ ზოგან მხოლოდ **სასუფევე-**



ლია გამოყენებული ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობით (დღეს „სასუფეველი“ „სამოთხის“ მნიშვნელობით გვაქვს ენაში **ღმრთისა** -ს გარეშე). მაგ.:

იქადაგოს სახარებაი ესე **სასუფეველისა ...** [მათე 24.14]

4. ისეთი ხშირად ხმარებული ფრაზეოლოგიზმი, როგორცაა **მიგება სიტყვა** გაცვთა და დღეს უმეტესად მხოლოდ **მიგება**ს ვიყენებთ „უპასუხას“ მნიშვნელობით; კომპონენტის ჩავარდნა სახარებაშიც გვხვდება:

თავადმან მიუგო და ჰრქუა... [მათე 12.39; აგრეთვე: 28.46 (C) და სხვა].

5. **აღდგომა მკუდრეთით** აგრეთვე ძალიან გავრცელებული ფრაზეოლოგიზმია. ცალკე **აღდგომა** გადმოცემს მთელი ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას:

...მესამესა დღესა აღდგეს [მათე 16.21; აგრეთვე: 17.23; 20.19; 22.23].

აღსანიშნავია, რომ ფრაზეოლოგიზმებს, რომელთაც ახასიათებს დეტერმინაცია ლექსიკურ დონეზე, დაკარგული აქვს ცვლადი წევრი. შენარჩუნებული მუდმივი წევრი, რომელსაც ჰქონდა ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა (მეორე წევრის მიმართ), საკუთარ თავზე იღებს მთელი გამოთქმის მნიშვნელობას. მაგრამ ერთი სიტყვა აღარ არის ფრაზეოლოგიზმი. ამდენად, ვიღებთ სიტყვას ახალი მნიშვნელობით;

- მიგება** < (სიტყვა ) — „პასუხი“;
- აღდგომა** < (მკუდრეთით) — „გაცოცხლება“;
- მოქცევა** < (ღმრთისა) — „სარწმუნოების მიღება“;
- სასუფეველი** < (ღმრთისა ) — „სამოთხე“.

წყარო

**შანიძე, 1945** — ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945.

ლიტერატურა

**ბალი, 1961** — Ш. Балли, Французская стилистика, М., 1961.

**თაყაიშვილი, 1961** — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.

**იმნაიშვილი, 1971** — ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბ., 1971.

**შანიძე, 1976** — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ლექსიკონი

**აბულაძე, 1973** — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

სახარების რედაქციითა ლიტერები

ჯრუჭ-პარხლის — DE

ადიშის — C

EKA BERISHVILI

### The Elision of Idiom Components and the Change of Word meaning

#### Summary

As is known, frequently used expressions gradually become trite. Similarly, idioms with high frequency of usage tend to become reduced. However, the word that remains after the elision of an idiom component acquires the meaning of the whole idiom. Thus, the elision of idioms can be one of the reasons for semantic changes in words.

გვანცა გვანცელაძე

### ადამიანისა და ცხოველის სემანტიკურ ველთა მიმართება ჰართული ენის მონაცემთა მიხედვით

ქართული ენის ლექსიკაში დამოუკიდებელ თემატურ ჯგუფებად არის წარმოდგენილი, ერთი მხრივ, ადამიანისა და, მეორე მხრივ, ცხოველთა სემანტიკური ველები, მაგრამ მიუხედავად მათი ავტონომიურობისა, ორივე ველს არცთუ ისე ცოტა საერთო ნიშან-თვისება აქვს. კერძოდ, ორივე ველის ლექსიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს არსებით სახელებს, ზედსართავ სახელებსა და ზმნებს. თავის მხრივ არსებითი სახელებიდან ძირითად ბირთვს ქმნის ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილთა და ფიზიოლოგიურ პროცესთა აღმნიშვნელი სიტყვები, ზმნებში კი — მათი ცხოველმოქმედებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები. დასახელებულ სემანტიკურ ველთა შორის სხვაობას განაპირობებს თვით აღსანიშნთა ყოფნა-არსებობის თავისებურებანიც, ანუ მიმართება აღსანიშნთა და აღმნიშვნელს შორისაც და თითოეულ ველში შემავალი ლექსიკური ერთეულების პრაგმატიკაც.

წინამდებარე ნაშრომი არის ცდა ზოგად შტრიხებში მაინც გაანალიზდეს ადამიანისა და ცხოველის სემანტიკურ ველთა როგორც საერთო, ისე განსხვავებული თვისებანი, შეძლებისდაგვარად დადგინდეს მათი ურთიერთმიმართება და საზღვრები ქართული ენის მაგალითზე. ამ მიზნით შევეცდებით გავარკვიოთ ორივე სემანტიკურ ველში გაერთიანებული ლექსიკის მიმართებანი აღსანიშნთა ობიექტებისადმი, აგრეთვე ის კანონზომიერებანი, რაც ორივე ჯგუფის ლექსიკას ახასიათებს პრაგმატიკული თვალსაზრისით.

დავიწყებთ ველთა სტრუქტურისა და აღსანიშნთა ობიექტებისადმი მიმართების საკითხზე მსჯელობით.

ადამიანის ლექსიკური ველის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი ცხოველის ლექსიკური ველისაგან არის იმ ლექსიკურ ერთეულთა არსებობა, რომლებიც ასახავენ ადამიანის აზროვნების, მეტყველებისა და გარემოზე შეგნებული ზემოქმედების უნარს, აგრეთვე სოციალურ

დიფერენციაციას. ადამიანის აღნიშნულ თვისებათა ამსახველი ლექსიკა თავისი პირვანდელი და ძირითადი სემანტიკით ენაში მხოლოდ ადამიანისადმი მიმართებით გამოიყენება. სიტყვები **ლაპარაკობს, აზროვნებს, ფიქრობს, მსჯელობს, აშენებს, თოხნის, კერავს, მდიდრდება, კოტრდება, ხალხი, ერი, ტომი, საზოგადოება, ოჯახი, ცოლი, ქმარი, და, ძმა, ბიძაშვილი** და უამრავი სხვა პირდაპირი მნიშვნელობით მხოლოდ ადამიანის შესახებ ითქმის. მაგალითად, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულში მართლაც ასოზე წარმოდგენილია 326 ისეთი ლექსიკური ერთეული, რომლებიც ქართულ ენაში მხოლოდ ადამიანს მიემართება, მათ შორისაა ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები (**ბაგე, ბარძაყი, ბაყვი, ბილი...**), სქესობრივ-ასაკობრივ დიფერენციაციასთან და ნათესაურ ურთიერთობასთან დაკავშირებული ლექსიკა (**ბაბა, ბაბო, ბაბუა, ბადიში, ბავშვი, ბაღლი, ბაღანა, ბებია, ბებიაშენი, ბებიაჩემი, ბებიდა, ბებიკო, ბებო, ბებრუცანა, ბებრუხანა, ბერდედა, ბიცოლა, ბიძა, ბიძაშენი, ბიძაშვილი, მამიდაშვილები, ბიძაჩემი, ბიძა-ძმისწული, ბიძია, ბიჭი, ბიჭბუჭები, ბიჭბუჭობა, ბიჭუკელა, ბიჭუნა, ბუში...**), სოციალური ტერმინოლოგია და პროფესიათა სახელები (**ბაზიერი, ბანდა, ბანდიტი, ბანკირი, ბანოვანი, ბატონი, ბატონიშვილი, ბატონობა, ბატონყმობა, ბატონყმური, ბაყალი, ბეგი, ბეითალი, ბელადი, ბელადობს, ბელადობა, ბელეტრისტი, ბერი, ბერმონაზონი, ბიბლიოთეკარი, ბიზნესი, ბიზნესმენი, ბიოგრაფი, ბიოლოგი, ბიუროკრატი, ბიუროკრატია, ბლალოჩინი, ბოგანო, ბოლშევიკი, ბოტანიკოსი, ბოქაული, ბრიგადირი, ბუკინისტი, ბუნებისმეტყველი, ბურჟუა, ბურჟუაზია, ბულალტერი...**), ეროვნებისა და სადაურობის სახელები (**ბარელი, ბასკები, ბასკური, ბედუინი, ბელორუსები, ბელორუსული, ბერძნები, ბერძნული, ბულგარელები**), ხმიანობა-მეტყველების ლექსიკა (**ბაასი, ბაასობს, ბაიათი, ბანი, ბარიტონი, ბასი, ბაყბაყი, ბეზღება, ბეზღობა, ბილწსიტყვაობა, ბლოჩინი, ბლოჩინობს, ბლუ, ბლუკუნი, ბლუკუნებს, ბობდინი, ბოდავს, ბოდვა, ბოდიშობს, ბოყინი, ბოხი, ბჟუტური, ბჟუტურობს, ბუზღუნა, ბუზღუნებს, ბუზღუნა, ბუტბუტი, ბუტბუტებს, ბუობს, ბუობა**), თანდაყოლილ თუ შექმნილ თვისებათა აღმნიშვნელი ლექსიკა (**ბალანტარა, ბალანტარობა, ბარბაროსი, ბარბაროსობა, ბარბაროსული, ბაქია, ბაქიობა, ბაქიბუქი, ბაქიბუქობა, ბაქიბუქობს, ბედოვლათი, ბედოვლათობა, ბენტერა, ბეჯითი, ბეჯითობს, ბეჯითობა, ბიწიერი, ბნედიანი, ბოთე, ბოროტი, ბოროტება, ბოროტობს, ბოლმიანი, ბრიყვი, ბრიყვდება,**

ბრიყვობს, ბრიყვობა, ბრიყვული, ბრძენი, ბრძნობა, ბრძნული, ბუთხუნა, ბუმბერაზი, ბუტია, ბუტიაობა, ბუტიაობს, ბუტუსურა, ბღენძა, ბღენძია), ადამიანის საქმიანობისა და გარემოზე ზემოქმედების ლექსიკა (ჰბანს, ბანა, ბანაკდება, ბანაობს, ბანაობა, ბანდავს, ბარავს, ჰბარდება, ბარვა, ბატონობს, ბეგრავს, ბელაღობს, ბელავს, ბეჭავს, ბეჭდავს, ბეჭდვა, ბეჭვა, ბლანდავს, ბლანდვა, ბომბავს, ბომბვა, ბორკავს, ბოძება, ბოძებული, ბრაწავს, ბრაწვა, ბრიყვდება, ბრიყვობს, ბურთაობს, ბურთაობა, ბურღავს, ბურღვა, ბუქნა, ბუქნავს, ბუქნაობა, ბლაღავს, ბლაჯნის, ბლუჯავს) და სხვანი.

იქვე წარმოდგენილია ის ლექსემებიც, რომელთა ძირითადი სემანტიკა მხოლოდ ცხოველებს მიემართება. მათი რაოდენობა 111-ია და ნაკლებია ადამიანის სემანტიკური ველის შემადგენელ სიტყვებთან შედარებით. აქ გვხვდება ცხოველთა სხვადასხვა სახეობისა და მათ ქვესახეობათა სახელები (ბაბაჭუა, ბაბრი, ბაზი, ბარი, ბარაკეული, ბატი, ბაქტერია, ბაღლინჯო, ბაყაყი, ბაყაყიჭამია, ბაცილა, ბედაური, ბელურა, ბეჭემოთი, ბზეწვია, ბზიკი, ბიჭო-გოგია, ბოკვის-კარტა, ბოლობეჭედა, ბოლოკარკაზი, ბოლოქანქარა, ბოლოშავი, ბოლოცეცხლა, ბოლოწითელი, ბორა, ბორბალა, ბოსტანა, ბოცომაკალი, ბოხმეჭა, ბუ, ბუზი, ბუზანკალი, ბუკიოტი, ბუკნა-ჭოიბუკნაჭოტი, ბულბული, ბულდოგი, ბუჯდენდი, ბურნა|ბურნაკი, ბუჭყა, ბღუნძელა), ცხოველთა სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის ლექსიკა (ბარაკეული, ბარტყი, ბატკი, ბატკანი, ბაჭია, ბახალა, ბეგეკა, ბელი, ბენრეკი, ბიჭაბატკანი, ბოკვერი, ბოტი, ბოჩოლა, ბუტი, ბურვაკი, ბულა, ბუწი, ბლარტი), გარეგნობისა და ზნის ამსახველი ლექსიკა (ბატატურა, ბარა, ბანი, ბზუის, ბზუილი, ბზუკუნი, ბზუკუნებს, ბობავს, ბოთვერა, ბოღვერა, ბოინი, ბოკოლა, ბომბორა, ბუდარაობს, ბუდარაობა, ბუდობს, ბუდობა, ბუთქვი, ბუნაგობს, ბურნის, ბურჩნა, ბუღრაობს, ბუღრაობა, ბუჩაობს, ბუჩაობა, ბუნბუნის, ბუნბუნებს, ბუნხუნი, ბუნხუნებს, ბლუის, ბლუილი, ბლუნავს, ბრჭყალი...) და სხვანი.

თავკიდურა ბ ფონემით დაწყებულ სიტყვათა შორის აღმოჩნდა 44 ისეთი სიტყვა, რომლებიც თანაბრად მიემართება როგორც ადამიანს, ისე ცხოველს. აქ შედის ადამიანისა და ცხოველის ანატომიასთან, გარეგნობასთან, ფიზიოლოგიასთან, მოძრაობასთან, ხმინობასთან და ზნესთან დაკავშირებული ლექსიკა (ბადებს, ბალანი, ბალნიანი, ბანდალი, ბანჯგვლი, ბანჯგვლიანი, ბარკალი, ბაჯბაჯი, ბაჯბაჯა, ბაჯბაჯებს, ბღღვინავს, ბღღვინვა, ბებერა, ბერწი, ბერწღე-

ბა, ბერწობა, ბეწვი, ბეჭი, ბეჭისთავი, ბიბილო, ბობღავს, ბობღვა, ბორძიკი, ბორძიკობს, ბრაზი, ბრაზიანი, ბრღღვინავს, ბრღღვინვა, ბრმა, ბრმავდება, ბრუტიანი, ბრუციანი, ბუბნა, ბუბნის, ბუბუნი, ბუბუნებს, ბურღღუნი, ბურღღუნებს, ბურტყუნი, ბურტყუნებს, ბუსკნაობა, ბღავის, ბღავილი). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ ჯგუფში შემავალი სიტყვები ნებისმიერ ცხოველს კი არ მიემართება, არამედ მათ ზოგ სახეობას თუ სახეობათა ჯგუფს. მაგალითად, ბადებს ზმნა ითქმის ადამიანისა და ცოცხლადმშობი ცხოველების მიმართ, მაგრამ არ მიემართება კვერცხისმდებელ ცხოველებს (ფრინველებს, ქვეწარმავლებს, მწერებს), ბარკალი აქვს ადამიანსაც, ოთხფეხა ცხოველებსა და ფრინველსაც, მაგრამ არ ითქმის დანარჩენი ცხოველების შესახებ, ბიბილო ჰქვია ადამიანის ყურის ნაწილსა და მამლის სხეულის ნაწილსაც, ბერწი შეიძლება იყოს მსხვილფეხა საქონელი, ქალი და ა. შ.

რაც აქამდე ითქვა ბ თანხმონით დაწყებული სიტყვების შესახებ, დაუბრკოლებლად შეგვიძლია განვავტოთ სალიტერატურო ენის მთელ ძირითად ლექსიკურ ფონდზეც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში ადამიანის სემანტიკური ველი თავისი მოცულობით უფრო ვრცელია, ვიდრე ცხოველის სემანტიკური ველი, თუმცა აქედან ის დასკვნა არ შეიძლება გაკეთდეს, თითქოს ადამიანისა და ცხოველის სემანტიკური ველები ერთმანეთისაგან გადაულახავი ზღუდით იყოს გამიჯნული. იმის გამო, რომ ლექსიკა საზოგადოდ უფრო ნაკლებად არის ფორმალიზებული და უფრო ღია სისტემას ქმნის ფონოლოგიურ და გრამატიკულ დონებთან შედარებით, აგრეთვე თვით აღსანიშნ საგანთათვის (ჩვენს შემთხვევაში ადამიანისა და ცხოველებისათვის) ანატომიის, ფიზიოლოგიის, ხმინობის, მოძრაობისა თუ სხვათა სახით დამახასიათებელია მრავალი მსგავსი ნიშანთვისება, მომიჯნავე სემანტიკურ ველთა შორის გარდამავალი, საზიარო ლექსიკის არსებობა სრულიად ბუნებრივია.

სემანტიკური ველის საზღვართა არასავალდებულო და არამყარი (ლაბილური) ხასიათი ნათლად ჩანს იმ შემთხვევაშიც, როცა ერთი და იმავე ენის ტერიტორიული დიალექტები მათი გავრცელების გარემოსა და დიალექტებზე მოლაპარაკე კოლექტივთა ტრადიციული ყოფის ზეგავლენით ავლენენ სერიოზულ სხვაობას სემანტიკურ ველთა შემადგენლობის მხრივ. სწორედ გეოგრაფიული რეგიონის ფაუნის თავისებურება და ამ რეგიონის მოსახლეობის ტრადიციული ყოფა განაპირობებს იმას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში ცხოველის სემანტიკურ ველში ენობრივად მეტად დეტალიზებულია

მთის ფაუნა და მეცხვარეობის ტერმინოლოგია, დანარჩენ კილოებში კი ეს ლექსიკა ან სრულებით უცნობია, ანდა ნაკლებდეტალიზებულია. მაგალითად, ბარის კილოებში ან სრულებით არ დასტურდება, ანდა პასიურ ლექსიკას განეკუთვნება სიტყვები: **შუნი, წალი, შუ-რთხი, თონლი, ჭედილა, შიშაქი** და მრავალი სხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოველის სემანტიკური ველი სხვადასხვა მოცულობისაა, ერთი მხრივ, მთისა და, მეორე მხრივ, ბარის კილოებში, რაც გარეენობრივ ფაქტორთა ზეგავლენის შედეგია.

საყურადღებო თავისებურებებს გვიჩვენებს ადამიანისა და ცხოველის სემანტიკურ ველთა მიმართება პრაგმატიკის თვალსაზრისითაც. ენაში საუკუნეთა მანძილზე შეინიშნება ტენდენცია ცხოველთა სემანტიკური ველის სიტყვათა გამოყენებისა ადამიანის ექსპრესიულ-ემოციურ მახასიათებელთა როლში და პირიქით, ადამიანის სემანტიკური ველის სიტყვათა ხმარებისა ცხოველებთან მიმართებაში. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ქართულ ენაში პირველი ტიპის შემთხვევები ბევრად უფრო ხშირია, ვიდრე მეორე ტიპისა. ორივე ტიპის მაგალითების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ერთი სემანტიკური ველის ლექსიკის გამოყენება მეორე ველის ლექსიკისათვის დამახასიათებელი ფუნქციით დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, რომელთაგან არსებითი ჩანს: აღსანიშნ საგანთა მსგავსება გარკვეული თვისებით, მეტყველების მიზანი, მეტყველების სტილი, ემოციები, ტრადიცია, ეთნოფსიქოლოგია და სხვ. ასეთ დროს საქმე სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით, ანუ ენობრივი მეტაფორის სახით გამოყენებასთან გვაქვს. ენაში სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარება ინდივიდუალურიც შეიძლება იყოს და საყოველთაოც. პროფ. ბიძინა ფოჩხუა მართებულად წერდა: „გადატანითი სიტყვახმარების არსისაა, რომ ახალი ობიექტის აღნიშვნისას სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ხმარებაც ცოცხალია ენობრივ კოლექტივში, ე. ი. ყოველი გადატანითი ხმარება მოტივირებულია — მას ზურგს უმაგრებს სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა, რომლებიც ასე უშუალოდ ვერ აიხსნება — მისი „მოტივი“ დღეს ხელშესახებად არ ჩანს... ამგვარი გადატანითობა განსაკუთრებით იგრძნობა ცხოველთა სახელების შემთხვევაში, თუმცა რაკი აქ გვაქვს არა ერთგზისი, ოკაზიონალური გადატანა (როგორც ეს, მაგალითად, პოეტურ მეტაფორაში), არამედ დამკვიდრებული გადატანა, — კავშირი თავდაპირველ აღსანიშნსა და ახალ აღსანიშნს შორის მაინც შესუსტებულია“ [ფოჩხუა, 1974, გვ. 168-169]. მკვლევარი ასკვნის, „ამრიგად, ენობრივი (ენაში დამკვიდრებული, უშუალოდ) გადატანითი ხმარება ასე თუ ისე, ავტონომი-

ურია. ამოსავალი ძირითადი მნიშვნელობისაგან“-ო [ფოჩხუა, 1974, გვ. 160]. ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ უშუალოდ გადატანითი ხმარება, ჩვეულებრივ, უპირატესად ემყარება ენობრივი კოლექტივის ხანგრძლივ ტრადიციასა და ამ კოლექტივის ტრადიციულ შეხედულებებს სინამდვილის შესახებ.

გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას სიტყვა ვაცდება თავის სემანტიკურ ველს და შეიჭრება მომიჯნავე სემანტიკური ველის ფარგლებში, რასაც ხშირად იმდენად სისტემური ხასიათი ენიჭება, რომ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობის გვერდით ჩნდება არა მარტო გადატანითი, არამედ ახალი მუდმივი მნიშვნელობაც კი და სიტყვა პოლისემიური ხდება. მაგალითად, როცა სიტყვა **ბატი** გამოიყენება არა მარტო ფრინველის სახელად, არამედ უჭკუო და დაბნეული ადამიანის აღსანიშნავადაც, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულად გამოყენებასთან გვაქვს, მაგრამ სულ სხვაგვარადაა საქმე **მეუღლე** სიტყვის შემთხვევაში. **მეუღლე** თავდაპირველად უღელში გაბმული პირუტყვის მეწყვილე ცხოველს აღნიშნავდა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავდა ცოლს, რა მნიშვნელობითაც მისი ხშირი ხმარება იმდენად ბუნებრივი გახდა, რომ უკვე 951 წლისათვის, როცა იწერებოდა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, მას უკვე ცოლის მნიშვნელობა შეუძენია. ამ თხზულებაში სიტყვა **მეუღლე** ექვსჯერ დასტურდება და უკლებლივ ყველა შემთხვევაში ცოლს აღნიშნავს. მომდევნო პერიოდში სიტყვას ისე განუმტკიცდა ეს ახალი მნიშვნელობა, რომ დღეს მის პირველ მნიშვნელობად თანამეცხედრეობა მიიჩნევა, მეორე მნიშვნელობად კი უღლის გამწევი მეწყვილის სემანტიკა იქცა. არადა ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ მიმღეობა **დაუღლვილნი ჯარნი** სიტყვასთან არის დაკავშირებული, თუმცა სინტაგმა **დაუღლვილნი ჯარნი** გადატანითაა გამოყენებული ადამიანთა მიმართ. გავიხსენოთ იაკობ ცურტაველის ნათქვამი: „და მაშინლა ეპისკოპოსთა მათ ორთავე, იოვანე და აფოც, ვითარცა **ჯართა მკნეთა, დაუღლვილთა** ზესკნელისა მის ფასისათა, ყოვლით კრებულთითურთ... აღვიხუენით პატიოსანნი ძუალნი...“ სხვათა შორის ამავე წინადადებაში სიტყვა **მკნეც** ყურადსაღებია და „მხვნელის“ სემანტიკიდან განვითარებული ახალი, გადატანითი მნიშვნელობით („ენერგიული, დაუზარელი“) ჩანს გამოყენებული.

იმის გამო, რომ ადამიანისა და ცხოველთა ურთიერთობა უძველესი და ამასთანავე სავალდებულო ხასიათისაა, შეიძლებოდა გვე-

ფიქრა, თითქოს ადამიანისა და ცხოველის სემანტიკურ ველთა შიდა სტრუქტურა (შემადგენლობა) და ამ ორი ველის ურთიერთმიმართება უნივერსალურია და სხვაობას მხოლოდ კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონათათვის ფაუნის მხრივ დამახასიათებელი ნაირგვარობა უნდა განაპირობებდეს. ამ ვარაუდს ერთი შეხედვით განამტკიცებს ლექსიკის ის ჯგუფი (სხეულის ნაწილთა სახელები, ფიზიოლოგიასთან, ხმიანობასთან, მოძრაობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები), რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საზიაროა ადამიანისა და ცხოველის სემანტიკურ ველთათვის. ამ საფუძველზე შესაძლებელი ჩანს ორივე სემანტიკური ველის გაერთიანება ერთ უფრო ვრცელ, სულიერ არსებათა მეგაველად და სულიერთა მეგაველის არსებობის უნივერსალურობის მტკიცებაც. მაგრამ რეალურად ამგვარი მტკიცება ნაძალადევი იქნება, თუკი გავითვალისწინებთ ქართულისა და მისი მონათესავე იბერიულ-კავკასიური ენებისათვის გამოკვეთილად დამახასიათებელ ერთ თავისებურებას, კერძოდ, ლექსიკის დაჯგუფებას **ვინ** და **რა** კატეგორიის, ანუ გონიერთა და არაგონიერთა ჯგუფების სიტყვებად. როგორც ცნობილია, ამგვარ დაჯგუფებას საფუძვლად უდევს შეფასებითი საზომი, საზოგადოებრივ-სოციალური ღირებულებების თვალსაზრისი. ორივე ჯგუფი ერთმანეთს უპირისპირდება იმ როლის მიხედვით, რასაც ამ ჯგუფში შემავალი სიტყვებით აღნიშნული არსებანი და საგნები ასრულებენ ადამიანთა საზოგადოებაში. როგორც აღნიშნავენ კავკასიოლოგები, ჩვენს ენებში საგანთა საერთო მასიდან განსაკუთრებითაა გამოყოფილი ადამიანი (**ვინ** ჯგუფი), დანარჩენები კი გაუდიფერენცირებლადაა გაერთიანებული (**რა** ჯგუფი) [ჩიქობავა, 1942, გვ. 132-134]. **ვინ** და **რა** ჯგუფებად დაყოფას ინდოევროპულ, სემიტურ, ურალურ-ალათაურ, უნგრულ-ფინურ ენებში სრულიად სხვა საზომი უდევს საფუძვლად. აქ არსებითია ოპოზიცია სულიერ არსებებსა და უსულო საგნებს შორის: **ვინ** ჯგუფში შედის უკლებლივ ყველა სულიერი არსების აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთაც უპირისპირდება **რა** ჯგუფში გაერთიანებული უსულო არსებათა აღმნიშვნელი სიტყვები. ამ მიზეზთა გამო ქართულსა და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში სულიერ არსებათა სემანტიკური მეგაველი ნაკლებადაა შემჭიდროებული მაშინ, როდესაც სხვა ოჯანთა ენებში ამგვარი მეგაველი უფრო მეტი ხარისხითაა შეკავშირებული და სრულად ემთხვევა ლექსიკის დისტრიბუციას **ვინ** და **რა** ჯგუფებად.

ლიტერატურა

**ფოჩხუა, 1974** — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია.

თბ., 1974.

**ჩიქობავა, 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბ., 1942.

GVANTSA GVANTSELADZE

## The Relationship between the Semantic Fields of Human Beings and Animals in Georgian

### Summary

In the vocabulary of the Georgian language the semantic fields of human beings and animals form separate thematic groups. The two fields show similarities as well as significant differences. The similarities lie in that in both fields lexical items denote anatomy/physiology, behaviour, movements, sounds. As for the differences, on the one hand, they are revealed in the lexical units denoting actual differences between man and animals, and on the other hand, in the pragmatics of the lexical elements included in the fields. Quantitatively, the semantic field of human beings comprise more lexical units. The boundaries between the two fields are vague. Firstly, there is a small group of lexical items that are equally used in reference to people as well as animals. Secondly, the zoogeographical variety between the regions of Georgia condition dialect differences in the semantic field of animals.

ნიკო ოთინაშვილი

**შტო-გვარის აღნიშვნელი სახელების წარმოება  
ქსნის საერისთაოში**

საკუთარი და საზოგადო სახელების ფუძის მრავალგვარმა ენობრივმა მოდიფიკაციამ მდიდარი ენობრივი სამყარო შექმნა. საკუთარ სახელად ქცეულ ნებისმიერ სახელს შეუძლია გვარის წარმოება. იგი მოიცავს სისხლის ნათესავთა ერთ ჯგუფს, რომლის წევრებიც თავიანთ წარმომავლობას დედის, უფრო მამის მხრიდან, ერთ საერთო წინაპარს უკავშირდებიან.

პატარა ლიახვისა და მეჭუდის ხეობებიც, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ქსნის საერისთაოში შედიოდნენ, საინტერესოა ტოპონომასტიკის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხეობებში მიმდინარეობდა მიგრაცია და იმიგრაცია, შტო-გვარის წარმოება საერისთაოს ცენტრალური ნაწილის — ქსნის ხევის მოსახლეობის შტო-გვართა წარმოებას მისდევს.

აქ გვარის განაყარია შტო-გვარი, რომელიც ფუძე გვარში რაოდენობრივი ზრდის შედეგად ჩნდება. ანთროპონიმთა დამთხვევის დროს, როცა რამდენიმე სახელი მოქმედებს, მაშინ ამოქმედდება სხვა პარალელური ანთროპონიმული სისტემა შტო-გვარი, რომელიც აკონტროლებს და აზუსტებს პირს.

ორივე ხეობაში გვხვდება **-ძე** და **-შვილი**, ასევე **-ურ** დაბოლოებისანი გვარები.

ეს დაბოლოებები იკვეცება **-იან**, **-ან** სუფიქსების დართვისას გვარის წარმომადგენელთა კრებით სახელზე. იგივე სუფიქსები ერთვის ზოგჯერ პიროვნულ სახელებსაც და აღნიშნავს ამ სახელით ცნობილ რომელიმე პირის შთამომავლობას. მაგალითად: **ანდაზა-ან-ი**, **ბეჟანა-ან-ი**, **გიორგა-ან-ი**, **თევდორა-ან-ი**, **კვინისა-ან-ი** და სხვა.

როცა ლაპარაკია ამა თუ იმ გვარის ან შტო-გვარის ერთ რომელიმე კონკრეტულ წარმომადგენელზე, ზემოხსენებული ტიპის (**-ან**) სუფიქსიან სახელს ბოლოს ერთვის კიდევ მრავლობითობის **-თ** სუფიქსი და ვიღებთ ასეთ ფორმას: **კოლოტა-ან-თ მინა**, **კრეტელა-ან-თ სოსა**, **კუსია-ან-თ ოლა** და სხვა.

ამ ტიპის სახელთა წარმოებისას საზღვრულმა სახელმა შეიძლება წინ გადაინაცვლოს, დაშორდეს მსაზღვრელს ან სულაც დაიკარგოს. ასეთ შემთხვევაში დარჩენილი ნაწილი (მსაზღვრელი) ხელახლა დაირთავს ბრუნვის ნიშანს და მივიღებთ: **ანდრა-ან-თ-ი**, **გიორგა-ან-თ-ი**, **გოგა-ან-თ-ი** და სხვა. **ანთ** სუფიქსიან ფორმას შეიძლება **-ებ** სუფიქსიც დაერთოს მრავლობითობის აღსანიშნავად: **ანდრა-ან-თ-ებ-ი**, **ბასა-ან-თ-ებ-ი**, **ბაჩა-ან-თ-ებ-ი**. ასეთ შემთხვევაში ორმავე წარმოებასთან გვაქვს საქმე.

1832 წელსაა შედგენილი „ქსნის ერისთავის თორნიკეს შემოსავლის“ დავთარი. პატარა ლიახვის სოფელ საცხენეთში დასახელებულია ტეტო მამუკაშვილი, სვიმონ კობალაძე, ნასყიდა ბიძიონაშვილი. დღეს მათ შთამომავლობას უწოდებენ: ტეტო — **ტეტია-ან-თ-ი**, სვიმონა — **სიმონა-ან-თ-ი**, ნასყიდა — **ნასყიდა-ან-თ-ი**, ან **ნასყიდა-ან-თ-ი**.

ხეობის სოფელ ბელოთში მცხოვრებ ღვთისო, ნინიკა, ანდრია ტერაშვილების შთამომავლობას უწოდებენ: **ღვთისო-ან-თ-ი**, **ნინიკა-ან-თ-ი**, **ანდრა-ან-თ-ი**;

მეჭუდის ხეობაში, სადაც უმთავრესად ქსნის ხეობიდან, დვალეთიდან არიან ჩამოსულები, თავიანთ გვარს ძირითადად **-ურ** სუფიქსით აფორმებენ. გვარის მაწარმოებელი **-ურ** სუფიქსი არ იკვეცება გვარის ან შტო-გვარის წარმოებისას. მაგალითად: **გიგაურიე-ენ-თ-ი** — გიგაურისაგან, **ჯაბაურიე-ენ-თ-ი** — ჯაბაურისაგან, **ელიაური-ან-თ-ი** — ელიაურისაგან; **ფსუტური-ან-თ-ი** — ფსუტურისაგან, **ხადური-ან-თ-ი** — ხადურისაგან.

მეჭვრისხევში მცხოვრები დავითაშვილები ჩამოსულები არიან ისროლიხევიდან და უწინდელი გვარი გიგაური ჰქონიათ და ახლაც **გიგაურიენტს** ეძახიან. ასევე არიან მაჭარაშვილებიც, რომლებიც ასევე გიგაურები ყოფილან.

ერთი გვარი ზოგჯერ რამდენიმე ათეულ შტო-გვარს მოიცავდა, რომელთა სახელწოდებანიც საკუთარ ან მეტსახელს ეყრდნობა, ხოლო საწარმოებელ ფუძეთა მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

ფუძეები შერჩეულია ერთი პრინციპით. რაც შეეხება სუფიქსებს, სხვადასხვა წყება გამოიყოფა: **ან/ენ**, **ებ/თ** სუფიქსები. აღნიშნული სუფიქსები უცხო არ არის ქართლურისა და მთიულურისათვის.

ლიტერატურა

„ქსნის ერისთავის თორნიკეს შემოსავლის დავთარი“, „საისტორიო მოამბე“, II, თბ., 1912, სარგის კაკაბაძის გამოცემა.

**იმნაიშვილი, 1974** — გრ. იმნაიშვილი, „ქართლური დიალექტი“, თბ., 1974.

**ჯორბენაძე, 1993** — ბ. ჯორბენაძე, „ონომასტიკური გულანი“, თბ., 1993.

NIKO OTINASHVILI

### Formation of Names Showing the Line of Descent in Ksani Princedom

#### Summary

As the Lesser Liakhvi and Mejudi valleys were part of Ksani Princedom, the patterns for the formation of names showing the line of descent here are similar to those typical of the Ksani valley. The names of this kind are formed by adding the suffixes -ian, -an to the name of a famous person. The plural suffix -t is added to the name of a concrete person to show the line of descent.

ოთარ შიშიაშვილი

### რუსიციზმები ქართულ რომანტიკოსთა ენაში

მოყოლებული „კალმასობიდან“ რუსული სიტყვებისა თუ შესიტყვებების ხმარებას ქართულ სამწერლობო ენაში (არამხატვრული თხზულებების ენაში) მეტ-ნაკლებად სისტემატური ხასიათი აქვს.

საკმაოდ ხშირია ეს მოვლენა რომანტიკოსთა ენაში.

რუსულის გავლენით ქართულში თავჩენილი ენობრივი მოვლენების, უპირველეს ყოვლისა, სიტყვათშეხამებების ისტორია სპეციალურად არავის უკვლევია. ერთადერთი, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით, ესაა რუსიციზმების ხმარების ცალკეული ფაქტების გამოვლენის კონსტატაცია რომანტიკოსთა არაპოეტურ თხზულებებში.

არადა ამჟამად ქართულში აღნიშნული ტიპის მოვლენათა უდიდესი ნაწილი ჩვენს ენაში რუსულის გავლენით საბჭოთა პერიოდამდე დიდი ხნით ადრე ისახება.

ჩვენი აზრით, აღნიშნული სახის თხზულებებში რუსიციზმების გამოვლენა-შესწავლის საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ უანრის თხზულებათა ენა და სტილი ედება საფუძვლად ქართული პებლიცისტიკისა თუ მეცნიერების ენას.

საჭიროდ მიგვაჩნია ქართველ რომანტიკოსთა არამხატვრული თხზულებების ენაში გავრცელებული რუსიციზმების აღნუსხვა და გარკვევა, თუ რომელი მათგანი დამკვიდრდა ქართული პებლიცისტიკისა თუ მეცნიერების ენაში, თანაც რა დროიდან და რა სახით.

რუსული ლექსიკური ნასესხობები გვხვდება ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებებში „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ (ჭავჭავაძე, 1996), არაერთი მათგანი ქართული ენის ნორმათა მიხედვითაა სახეცვლილი:

... რომელიცა წარმოდგენილი მაქვს... უფლის თელავის **უეზდის** მარშლის აბელ ჩოლოყაევისაგან (153). შეკრებილობა თუ ჰხადის საჭიროდ წარმოდგენასა ჩვენ კერძო რომელისამე მეფეთაგან ბოძებულის **ღრამოტისასა**... (153). უმორჩილესად ვთხოვ — ინებოს მოთ-

ხოვად ექსპედიციისაგან **სუდის** და **რასპრავის კობია** მეფის ირაკლისაგან (153), ...ქმნილი მხოლოდობისა თვისისა ჟამსა რომლისამე **ფრანცუზისაგან**, ოდეს განვიდა **პარიჟი** (139).

ალ. ჭავჭავაძის მიერ ნახმარი რუსული სიტყვების ნაწილს ვიმოწმებთ ლექსიკონის მიხედვით (ჭავჭავაძე, 1996): მაშინ ჩვენმა **დონტურმა** დაუწყო შინჯვა სნეულს (78). აქვეა დაფიქსირებული: იმპერატრიცა (121), კავკაზი (211), მოსკვა (40), პეტერბუხი (41), ნიჟელოროდი (41), პოდაგრა (78), ტრახტატი (153), ლენერალი (117), ლენრიხი (110), ლერკულესი (43), ლიშპანია (43).

საკმაოდ ხშირია სიტყვათშეხამებები, რომლებიც რუსულიდან კალკირებულად შეიძლება მივიჩნიოთ:

1. **მათ შორის** (среди них): **მათ შორის** იყო წიგნაკიცა ესე (139).

2. **მცემს კადნიერებასა ამას** (Придает смелость): პირადი მოწყალება, რომელი მიხილავს მე თქვენ შორის, **მცემს კადნიერებასა ამას** (= გაბედვინებს) (40).

3. **არა თუ ოდენ — არამედ** (Не только... но): კაცი შობილი ღარიბად, **არა თუ ოდენ** იძულებული არს მიცემად მდიდრისადმი ყოვლისა მუშაკობისათვის თუსისა ნაყოფისა კნინდა უფასოდ, **არამედ** სულიცა მისი ვერ განირინების (143).

4. **დაფუძნებული არს... ზედა** (Основан на...): შეკრებულება მათი **დაფუძნებულ არს...** უგუნურებასა **ზედა** (147).

5. **ამას რიცხვსა შინა** (В числе...): რომლისაცა სახელი წარმოდგენილი აქვს შეკრებულებასა ამას **რიცხვსა შინა** სხვათა სხეულთა ჩემთათა (153).

6. **გულითადი აღმსარებლობა** (= გულითადი აღიარება — Сердечное признание): გთხოვთ მიიღოთ ჩემი **გულითადი აღმსარებლობა** (155).

7. **გთხოვთ მიიღოთ** (Прошу принять): **გთხოვთ მიიღოთ** ჩემი გულითადი აღმსარებლობა (155).

8. **დამტკიცებათა ამათ შორის** (= მტკიცებულებათა ამათ შორის — Среди доказательств этих): უკანასკნელი, **დამტკიცებათა ამათ შორის** წარმომიდგენია ესცა ორნი პატენტნი (153).

როგორც მოსალოდნელი იყო, გრიგოლ ორბელიანის ენაში (რა თქმა უნდა, მხედველობაშია არამხატვრულ თხზულებათა ენა), ხშირია რუსული სიტყვებისა თუ ფრაზების სესხების შემთხვევები. რუ-

სული სიტყვები გვხვდება როგორც უცვლელი სახით, ისე ქართული-სათვის დამახასიათებელ თავისებურებათა შესაბამისად სახეცვლილი (ორბელიანი, 1936):

საყდარი, **ბიბლიოტეკა** და **ბოლნიცა** არის მდიდრად შემკობილი (4). ლენერალმა გამოიგზავნა ნათესავი თავისი **დონტორი** (5). ჩემი ძმა ზაქარიაც იქ მისულა **ოტპუსკში** (5). კაცები სულ **ვონენები** ყოფილან (6). ვაპირებთ წასვლას **ლაგირათ** რიგაში (15). **ნემენცების** ენას... (12). ვიყავით **სმოტრებში** (ჯარის დათვალიერება. ო.მ. 16). შენ რა ხარ, ისევ **ჩლენი** კამისისა თუ **ზაკონებზე** ხელი აიღე (20). ვაპირებ არზის მირთმევას **ოსტავკაში** (отставка. ო. მ. 10). მე **სტარში** ვარო (131). გამოატანე ერთი **ბანკა** კარგი მურაბა (148). ვენდენში პატარა **კვარტირა** მქონდა... რადგანაც ვარ **აზიატეცი** (20) ... როდესაც უზამ **ეგზამენს** შენს თავსა (12). **ტალკნულ**, ხელი წამკრაო (151).

გვხვდებით რუსულ წინსართებდართული სიტყვების ხმარების შემთხვევებსაც: ჩილავე **პოდსუდში** მისცეს (59). მეშინიან, ბოლოს **პოდსუდში** არ მისცენ (123). ამის გამო არიან **პოდარესტში** (124). **ლინიაზე** უნდა წავიდე რომელსამე პოლკში **პრიკომანდიროვად** დრომდის (9).

სიტყვებში: „**პოდსუდში**“ და „**პოდარესტში**“, ასევე „**პრიკომანდიროვად**“ — როგორც წინსართების, ისე ფუძისეული ო- დაცულია. დაცულია რუსული ორთოგრაფიის ნორმა. რუსული წარმოთქმის მიხედვით გადმოღების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო „პადსუდში“ და „პადარესტში“ ფორმები.

საინტერესო ჩანს დ თანხმოვანი „**პრიკომანდიროვად**“ სიტყვაში. ცხადია, რუსულში აქ -ТЬ დაბოლოება უნდა ყოფილიყო. ხომ არ არის ეს ცვლილება ქართულის გავლენის შედეგი? ხომ არ სცადა აქ ავტორმა რუსული ინფინიტივის გადმოცემა ქართულის ინფინიტიური კონსტრუქციის ანალოგიით ვითარებითის -(ა)დ დაბოლოებით (შდრ., რუსთ.: „დავვე წერად...“)? (ორბელიანი, 1953).

სდგას მცირედი **კამანდა** სულთანისა (160). ვსვავ უკანასკნელსა **სტაქნით** ღვინისა (159). ჰვარავს **მასკასა** ქვეშე ბუნებითა მისთა ჩვეულებათა (161). წყალში გადამიბრუნდა **პოვოზკა** (163)... რომელსა შინა არს 8 ზარბაზანი და ერთი **ოტდელენიე** სალდათი (163). დავლიოთ უკანასკნელი **ბუტილკა** კახური ღვინით (170). საფლავებზე ჰსდგას **პამიატნიკი** (177). გემრიელის **ზაკუსკის** შემ-



დეგ გამოვესალმეთ სახლის პატრონს (182). **ტრასტირში** ვჭამეთ სა-  
დილი (182). ფეხზე აცვიათ **ჩლუქი** (178). სიტყვა ჩლუქი-სათვის  
ამოსავალია რუსული **чулки**, რომელიც ბგერის გადასმის შედეგად  
იქცა **ჩლუქ**-ად (184). ვიყავ **დეჟურნი** (184)... რაითამცა მოვიდნენ  
**ვეჩერინკაში** (184). **სანებით** (сани — ციგები) მივედით ადრე პა-  
დოლსკში (186). **სობორი** წმინდისა მიხეილის მთავარანგელოზისა  
ემსგავსების უსპენსკისა **სობორსა** (194). გზაზე საუცხოვო ხიდები  
არის გავლებული თუჯის **პერილებით** (214). გრ. ორბელიანი **მა-  
ჯირს**, თითქოს, სხვა — **პერილა**-სგან განსხვავებული მნიშვნელობით  
ხმარობს: არის მდინარეზე გადაკიდებული ორი თუჯის მოაჯირი,  
რომლიდანაც კვალად კიბე ჩადის ქვეით ქვის **მოაჯირზე** (214). ჩავს-  
ხედით მთელი **კომანდა პარანოდში** (218). არის გაკეთებული ორი  
**ფეჩი** (218).

საინტერესო სურათს გვიჩვენებს ზედსართავით გადმოცემული  
მსაზღვრელის ფორმა. რუსული მსაზღვრელი ქართული ნათესაობი-  
თის ნიშანს დაირთავს და ისე ეწყობა საზღვრულს, თანაც მსაზღვრე-  
ლის სქესი და რიცხვი ნიველირებულია. ამასთან მნიშვნელობა არა  
აქვს, საზღვრული რუსული სიტყვაა თუ ქართული (ორბელიანი, 1936):  
მომწერე ქალაქ ვენდენს... **ნევსკის მორსკის** პოლკში (В Невский  
Морской полк). **გოლდანსკის პალატნო** (და არა: გოლდანსკოეს,  
როგორც მოსალოდნელი იყო „პალატნოსთან“ 14). ასეთივე ვითარე-  
ბაა: **კაზანსკის** (და არა: კაზანსკოეს) სობორო არს ერთი უდიდე-  
ბულესთა შენობათაგანი (4). გახლავან **ვილენსკის** ლუბერნიაში (და  
არა:ვილენსკაიას. 25) **ვოზდუშნის** ზამკები (და არა: ვოზდუშნიეს  
ზამკები) მომდის გოგრაში. 28). მოაგონე სარდალსა ამის **დოკლად-  
ნის** (და არა: დოკლადნიეს) ზაპისკებისათვის (153).

აღნიშნული მოვლენის მიზეზი ქართულისათვის დამახასიათე-  
ბელი თვისება ჩანს (შდრ. სოჭელ ქართველთა მეტყველება, აგრეთვე  
ლიტერატურული „ვერხოიანსკის ქედი“).

გრიგოლ ორბელიანის ენაში დაფიქსირებული რუსული ლექსი-  
კური ნასესხობები მონაწილეობენ ქართულ სიტყვაწარმოებაში: პაზო-  
დობა, სკუჩნობა, უშკოლონი, უბიბლიოტეკონი... აწარმოებენ მრავ-  
ლობითი რიცხვის ფორმებს: პლანები, ვოენები, ნაჩაღნიკთა...

საანალიზო ტექსტში ხშირად გვხვდება რუსული ფრაზების უთა-  
რგმნელად ხმარების შემთხვევები: მე დამაგდეს **командовать  
отстоющими войсками** (115). საფუძვლიანად **проходят устав** (141).

Трудно, რომ ესოდენი სისხლის ღვრა ყოველწლივ... მიდის ასე, ამოდ  
(150). იაკობ სტეპანოვიჩთან არის ერევანში **по особенным  
поручениям** (50). მინამ გამოვა **разрешение...** (44). ვიყავ ჩემთვის თა-  
ვისუფლად **под предлогом болезни** (44). დავრჩით ათ ღღემდე რი-  
ყეზე, ე. ი. **без сообщения** (50). ერთის სიტყვით, რაც შენი **вкуси**  
იყოს, ისე ჰქმენ (163). თუ ბეჭდვის შეცდომა არაა, ახსნას მოითხოვს  
**и** ხმოვანი სიტყვაში **вкуси**. იგი ქართულის გავლენით გაჩენილი ჩანს.  
მთელი ღღე დავძრწი ვეჩნი ჟიდივით, მაგრამ **со скуки умираю** (167).

გრიგოლ ორბელიანის ენაში ბუნებრივია რუსულის გავლენით  
გაჩენილად სავარაუდებელი შესიტყვებების (კალკების) ხშირი ხმარე-  
ბაც.

ასეთთა შორის გვევლეება ჩართულები.

(ორბელიანი, 1936):

1. **ერთი სიტყვით** (одним словом): **ერთის სიტყვით**, აბრამა  
გავხდი (69). **ერთის სიტყვით**, შენი სახელი გამოვიდა მეედანზედ  
(116).

2. **სწორედ გითხრა** (Провду говоря): **სწორედ გითხრა**, რომ  
ძნელად თვით შამილა შემოვა (74).

3. **სწორედ მოგახსენოთ: სწორედ მოგახსენოთ**, მეც ძალიან  
შევწუხდი (137).

4. **ჩემის ანგარიშით** (По моему расчету // По моим расчетам):  
**ჩემის ანგარიშით** ახლა უნდა იყენეთ ჩაჩანში (115).

5. **ჩემის მხრით** (с моей стороны): მე, **ჩემის მხრით**, ყოველივე  
შენთვის მომიცია (105).

6. **შენ იფიქრე** (Ты подумай — წარმოიდგინე): **შენ იფიქრე**, რა  
მდგომარეობაში იქნებოდა ეს მხარე (129).

ფიქსირდება სხვა ტიპის სიტყვათშეხამებებიც:

1. **სიტყვას ვაძლევ** (Даю слово): **სიტყვას ვაძლევ**, რომ ვაპა-  
ტიებინო (71).

2. **ამაზე დავასკვნით** (На этом решили): **ამაზე დავასკვნით**  
ჩვენ და დიდი იმედებიც მომცა (105).

3. **ცარიელი სიტყვები** (Пустые слова): ეს **ცარიელი სიტყვე-  
ბია** ორივეს მხრით (74).

4. **რომელთა რიცხვში** (В числе которых): დასჭრეს ხუთი აფი-  
ცერი, **რომელთა რიცხვში** არის საბრალო ვრანკინ (93).

5. **ფიქრში არ მოუვიდა** (He пришло в голову): სრულიად **ფიქრში არ მოუვიდა** შემოწმება სუმისა (125).

6. **დროის ტარება** (Проводить время): **ვატარებთ დროსა**, როგორც არი, რაღა (127).

7. **რიგზედ მოყვანა (რისიმე)** (Привести в порядок): ...სადაც **მოიყვანეს** ყოველივე **რიგზედ** (128).

8. **ჩვენი მხრით** (С нашей стороны): **ჩვენი მხრით** მოკლეს შტაბ-აფიცარი (92).

9. **ყოველის მხრით** (со всех сторон): ახლა მოუვიდა შამილასა **ყოველის მხრით** დებუტატები (129).

10. **საკუთრივ** (собственно?): მეც ძალიან შეგწუხდი **საკუთრივ** ამ ქალებისათვის (137).

11. **ანგარიშების ქონა** (შდრ.: свести счет — ანგარიშის გასწორება): მე და ჰაჯი მურადს დიდი ხნის **ანგარიშები გვაქვს** (138).

არც თუ იშვიათად მრავლობითში დგას საზღვრული, რომლის მსაზღვრელი ერთზე მეტს აღნიშნავს:

მისულა ეს საბრალო **ოცდაორის** ნოქრებითა (127) ... და შევუტიე **ორის გორების** ასაღებად (129). **მრავალი ბაირადები** ... ესენი სულ ჩვენ დავგვრჩა (130).

საკმაო რაოდენობით დასტურდება რუსული ლექსიკური ნასესხობები ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში (ბარათაშვილი, 1966):

ვიმყოფები სულაისპრაგაში (экспедиция суда и расправы. 74). წარდგენილი ვარ **ჩინზედ** (74). თუ **შტაცვი** ვიყო... (15). ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი **შეკოლაა** (75). **ფორტას** ვერ ვენდე (77). თურმე **ფრანციცულს** (← ფრანციც ← ფრანცუც ← ფრანცუზ) სწავლობს (80). პოლკის **კამანდირი** გამოგვიცვალეს (82). გუშინჰსწინ იყო **ვეჩერი** შინაური (87). ლევან ქუთაისში გააგდეს **პორუჩენით** (90). არ ვიცი, **ბუმაჟნიკი** და ქუდი მოგივიდა თუ არა (90). იქიდგან **კალასკაში კნიაზი** და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ (90). **შამპანსკებს** თვლა აღარ ჰქონდა (96). კასპიის **ობლასტის ნაჩალნიკმა** შეხედა **ზალს** (100).

რუსული სიტყვები ხშირად ნასესხებია რუსული ორთოგრაფიის შესაბამისი ფორმით: **პორუჩენით** (და არა: პარუჩენით), **რაზლოვორი** (და არა: რაზლავორი).

რუსული სიტყვა მონაწილეობს ქართულ სიტყვაწარმოებაში, გაზმნავებულია სახელი: რაც უნდა **ვიფრანცუხოთ**, მაინც... (93).

ხშირია შემთხვევები, როდესაც პოეტი ტექსტში ურთავს რუსულ წინადადებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რუსული ჩანარები გრამატიკულად და სტილის თვალსაზრისით უნაკლოა. ეს გარემოება, ალბათ, იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ შემთხვევებში ავტორი რუსულად აზროვნებს: **Я чиновник экспедиции суда и расправы** (74). უნდა აღინიშნოს, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, **когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях**, და, ახლაც, მერე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულაც არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური (74). ეს არის, რომ **круг чиновников не выгоден для образованности**, მაგრამ ეს თავისზედ არ არის დამოკიდებული (75). ოლენკა დააბრუნეს **для исправления некоторых недостатков против формы** (86). მიდის პეტერბურგში **с большим запасом сведений об исторической Грузии** (110). ამას უანდერძეს **законным октом** (101). მაგრამ ტყუილად ვხარობ — **скучно и грустно** (109).

ფიქსირდება ფრაზები თუ წინადადებები, რომლებიც შეიძლება რუსულიდან კალკირებულად მივიჩნიოთ:

1. **არ მომსვლია ფიქრად** (He приходило в голову): სულ **არ მომსვლია** ფიქრად სამოქალაქო სამსახური (74).

2. **ასე რომ** (Так что...): **ასე რომ**, ჩემებურად კიდევ ვხტი და კიდევ ვტანცაობ (74).

3. **უნდა მართალი ითქვას** (Надо // следует сказать правду): **უნდა მართალი ითქვას**, რომ ეს ადგილი... (75).

4. **ჰსწორე გითხრა** (Правду говоря): მე, **ჰსწორე გითხრა**, მეტად გაგმხიარულდი (87).

5. **სამსახურში შესვლა** (Поступить на службу): და ახლაც, ვიდრე **სამსახურში შევიდოდი**, სულაც **არ მომსვლია** ფიქრად სამოქალაქო სამსახური (74).

6. **უსყიდველი მსაჯული** (Неподкупный судья — მოუსყიდველი მსაჯული): სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა **უსყიდველი მსაჯული** (88).

7. **თვლა აღარა ჰქონდა** (He было счета): შამპანსკებს **თვლა აღარა ჰქონდა** (96).

8. **დროების გატარება** (Провести время): ერთის ლექსით (სიტყვით), კარგად **გავატარეთ დროება** (100).

9. სოვეტნიკის **თანამდებობაში დანიშნული** (Назначенный в

должности...): აქ არის სასამართლოში სოვეტნიკის **თანამდებობაში** დროებით **დანიშნული** (101).

10. **მით უფრო ჩქარად** (Тем быстрее): **მით უფრო ჩქარად**, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასვა გულს კაეშანი (75).

11. **შენ რომ ჩემს ადგილს იყო** (Если бы ты был на моем месте...): **შენ რომ ჩემს ადგილს იყო**, აღარ გამამტყუნებდი (80).

12. **ერთის ლექსით** (Одним словом): **ერთის ლექსით**, კარგად გავატარეთ დროება (100).

13. **როგორც იტყვიან** (Как говорят): მილიციამ, **როგორც იტყვიან**, ასახელა თავისი სახელი (82).

14. **მეტადრე...** (Тем более...): ქართული სიტყვა **მეტადრე** გამოყენებულია რუსული ენობრივი მოვლენის (Тем более): გადმოსაცემად: მე ჯერ ასე ჩქარა არა მგონია, **მეტადრე** ახლა (95).

15. **არ გინდა!** (Не хочеть): **არ გინდა**, რომ ერთ საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ (90)!

აღნიშნულ სიტყვათშეხამებათა დიდი ნაწილი დამკვიდრებულია დღევანდელ სალიტერატურო ქართულში.

როგორც ქართველ რომანტიკოსთა არამხატვრული თხზულებების ენის შესწავლამ გვიჩვენა, სამივე პოეტი ხშირად მიმართავს რუსულ სიტყვათა სესხებას. ხშირია რუსულის გავლენით მიღებული სიტყვათშეხამებების (კალკების) ხმარება. ნასესხები სიტყვები მონაწილეობენ ქართულ სიტყვაწარმოებაში.

გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებებში ხშირია ქართულ ტექსტში რუსული წინადადებების ჩართვა. რუსული ჩანართები გრამატიკულად და სტილის თვალსაზრისით უნაკლოა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ შემთხვევებში ავტორები რუსულად აზროვნებენ.

ლიტერატურა

**ჭავჭავაძე, 1996** — ალექსანდე ჭავჭავაძე, თხზულებანი, სიმფონია-ლექსიკონითურთ, თბ., 1996.

**ორბელიანი, 1936** — გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი I, 1832-1850, აკ. გაწერელის რედაქციითა და შენიშვნებით, 1936.

**ორბელიანი, 1953** — გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, აკ. გაწერელისა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერი-

ლით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1959.

**ბარათაშვილი, 1996** — ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, სიმფონია-ლექსიკონითურთ, თბ., 1996.

OTAR MIKIASHVILI

## Russianisms in the Language of Georgian Romanticists

### Summary

After the Russian annexation of Georgia in the first half of the 19 th c., the intensive influence of Russian upon Standard Georgian became apparent. Since Ioane Batonishvili's work "Kalmasoba" Russian words as well as loan-translations of Russian idioms have been evidenced more or less systematically in the Georgian language. The frequency of Russianisms is quite high in the language of the Georgian Romanticists. As a rule, the Russian influence is noticeable in non-fiction writings, particularly, in the epistolary style. The paper deals with the epistolary works of the Georgian Romanticists \_ Al. Chavchavadze, Gr. Orbeliani, N. Baratashvili. The author focuses on lexical Russianisms as well as loan-translations of Russian idioms into Georgian and reveals the regularities of their usage.

მანია მელიძე

„ფენ“ ფუძის ერთ-ერთი მნიშვნელობისათვის

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ფენ** ფუძე რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება:

1. გაფენა, დაფენა, დაგება... ქსოვილის და სხვა.
2. მოფენა: ა) ერთ შემთხვევაში ფხვიერი მასის ბრტყელ სიბრტყეზე, ბ) მეორე შემთხვევაში ნათლის, სხივის. სემანტიკურად მას უკავშირდება განათება, გაშუქება, შარავანდედით მოსვა, ნათლად ხატვა (= ნათლად ხატავს ანუ სინათლე შეაქვს), ცოდნის, განათლების მოფენა (= გავრცელება).
3. სუნს, სურნელებას ჰფენს.
4. ფენა: ა) შრე, ერთგვარი ნივთიერების მასა

ბ) საზოგადოებრივი კლასი (ქეგლი, 1962)

„ფენს“ ზმნა და მისგან ნაწარმოები საწყისი და მიმღეობა დადასტურებულია ძველ წერილობით წყაროებშიც (აბულაძე, 1973; იმნაიშვილი, 1986, ქართლის ცხ. სიმფონია-ლექსიკონი, 1986): განფენა (= განზავება, გარდათხევა, განღება, გასვლა, მოღება, გაშლა), მიმოფენა (= მოღება, მომფენელი, მიმოდაფენა, მოფენა), ქვაფენილი...

ქართული **ფენ-/ ფინ-** ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრულ-ჭანური **ფინ-** (ჩიქობავა, 1938, გვ. 329) და სვანური **\*ფინ-** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 455).

ჭანური და მეგრული იმეორებს ქართულის ნამყოს ფუძეს. როგორც ცნობილია, **ეჩ** გადაბგერება ხდება ამ ტიპის (- resp. ფუძედრეკად) ზმნათა აწმყოსა და ნამყოს ფუძეთა წარმოებისას:

ფენს — ფინა

მასდარის საწარმოებლად ამოსავალი ჩვეულებრივ აწმყოს ფუძეა:

**ფენა**


**ფენ** ფუძეა ამოსავალი სახელისთვისაც (= ფინი), რომლის, ვფიქრობთ, ერთ-ერთი უძველესი მნიშვნელობაც დაცულია მხოლოდ იმერხეულსა და ზემო აჭარულში (დლონტი, 1984; ნიჟარაძე, 1961; ფუტკარაძე, 1993) და აღნიშნავს **იატაკს**:

„ფინი სალამი იყო“; „ფინი ჩაყარეთ“; „ფინზე დაგებულა ხალი“.

მისი ეს მნიშვნელობა, როგორც ჩანს, ადრეულ საფეხურზე დაიკარგა და სხვა დიალექტებსა და თავად სალიტერატურო ქართულში **\*ფენს** (→ **ფინი**) ჩაენაცვლა საშ. სპარსული (= resp. ფალაური) **იატაკი**.

როგორც ვარაუდობდნენ, **ე**→**ი** გადაბგერება, რაც გარკვეული სუფიქსის დართვამ განაპირობა, მეორეული მოვლენაა. ამ ფონეტიკური პროცესის მორფოლოგიზაციაც, შესაბამისად, მეორეულად მიიჩნევა (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965; ჯორბენაძე, 1995), მაგრამ თუ **ე/ი** გადაბგერება ზმნაში მორფოლოგიური პროცესია (მას დაეკისრა I და II სერიის ფუძეების გარჩევა: აფენს — დააფინა), სახელში ამ გადაბგერებას ლექსიკური დანიშნულება აქვს (იხ.: არაბული, 2001, გვ. 145). ამ შემთხვევაში **ე/ი** განხმავანებით დაპირისპირებული სახელური ფუძეები (ფენი / ფინი) განსხვავებულ ლექსემებს წარმოგიდგენენ გარკვეული სემანტიკური გადაწყვეით. არის მოსაზრება, რომ ამ ტიპის ფორმებში განსხვავება ფორმობრივ სხვაობას უნდა მოჰყოლოდა (შდრ.: ლხენა — ლხინი, ჩხერა — ჩხირი... ჯორბენაძე, 1995, გვ. 55).

სახელში **ე/ი** გადაბგერება დამოუკიდებელ, თუმცა მაინც მეორეულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ვფიქრობთ, ზმნის I და II სერიის ფორმათა დაპირისპირების პრინციპს უნდა იმეორებდეს მათი სახელური ფორმები:



და-აფინა-ა — \*ფინი

**ფენ-/ ფინ-** სახელურმა ფუძემ არამართო შეინარჩუნა მისი ძირითადი მნიშვნელობა, არამედ სწორედ გადაბგერებით მოგვცა სემანტიკურად განსხვავებული ლექსემებიც. რაჭულში დადასტურებულია სემანტიკურად განსხვავებული ორივე (ფენ-/ფინ-) ფორმა: **სა-ფენი** ერთ-ერთი მნიშვნელობით არის გადასახურავი, წასახურავი, ხოლო **ლო-ფინი** (II ფინი) ნიშნავს ლარაყინებზე გადაჭედილ ფიცრებს (= იატაკი) (ბერიძე, 1912).

დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობით არის ნახმარი ლეჩხუმურში შესული **-ნერჩი**, რაც რაჭულში **საფენი**. იგი აღნიშნავს ხის ნედ-

ლი შტოებით მოფენილ საბძლის ჭერს, რომ მის ქვეშ საკვები არ წახდეს (ლონტი, 1984). ქვემო იმერულსა და ზემო აჭარულში კი იგი ფსკერს, ჭურჭლის ძირს აღნიშნავს (ლონტი, 1984). თავად მეგრულში **ნერჩი** ფუძეს, საძირკველს, საფუძველს (თოფურია, 1938), ფეხისგულს (= ტერფს)<sup>1</sup> ნიშნავს:

სკანი ნერჩიშა გეირინდას ირო = შენს საძირკველზე (= ფუძეზე) მდგარიყავი დიდხანს.

კუჩხიში ნერჩი = ტერფი

სვანურში **\*ფინ-** ფუძის მკვეთრი სემანტიკური გადაწევა მოხდა. ასეთი მნიშვნელოვანი სემანტიკური გადაწევა რომ საერთოქართველურ ფუძეებს შორის დასაშვებია, ამაზე შესატყვისობის არაერთი მაგალითი მიუთითებს.

სვანური **ლიფანე** ერთ-ერთი მნიშვნელობით აღნიშნავს მიცვალე-ბულის სულის მოსახსენებელ სუფრას (= საკურთხი სუფრის წადგმა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად, თოფურია, ქალდანი, 2000). თითქმის იმავე ეტიმოლოგიური წრისაა ჩვენ მიერ ზემოთ უკვე მოყვანილი **რაჭულში დადასტურებული** ლექსემებიც (= საფენი), რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელობით სწორედ მიცვალებულის ჭირი-სუფალთათვის შემწეობის აღმოჩენას ნიშნავს (ბერიძე, 1912).

რაც შეეხება „**დაფენა, დაგება**“, სვანურში ამ მნიშვნელობით იხმარება **-ლირში**, რომლის ქართული შესატყვისია **რეც** (= დარეცვა, სარეცელი) და მეგრული **რჩ**: ნერჩი (= ფუძე, საძირკველი, საფუძველი).

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ არარედუციურებული სახელური ფორმა **\*ფენი** ნიშნავდა ზოგადად ძირს, საფუძველს, საძირკველს<sup>2</sup>, ხოლო ფორმობრივ სხვაობასთან ერთად მან, ანუ რედუცირებულმა ფორმამ — **\*ფინი** — კონკრეტულად იატაკის მნიშვნელობა მიიღო, რაც დადასტურდა კიდევ იმერხელსა და ზემო აჭარულში.

<sup>1</sup> შენიშვნა: **ნერჩი** ამ მნიშვნელობით მაგალითებითურთ მოგვაწოდა თსუ კავკასიური ენების კათედრის მეცნიერ-თანამშრომელმა რევაზ აბაშიამ, რისთვისაც ვუხდით მადლობას.

<sup>2</sup> შენიშვნა: სპარსულში ერთ-ერთი მნიშვნელობით [ფე]: საფუძველს, ფუნდამენტს აღნიშნავს. ძირითადია უფრო ფეხი, ნაკვალევი (Миллер, 1953; Рубинчик, 1983). ცხადია, ეს არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ \*ფენ სპარსულიდან მომდინარეობს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ფუნდამენტის, საძირკველის მნიშვნელობამ სპარსულის გავლენით ფერეიდნულში გამოდევნა მისი ძირითადი მნიშვნელობა (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961).

ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**არაბული, 2001** — ავ. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.

**ბერიძე, 1912** — ვუკ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СПб., 1912.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965** — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961** — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

**თოფურია, 1938** — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, II, ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის, ტფ. უნივ. შრ., VII, ტფ., 1938.

**თოფურია, ქალდანი, 2000** — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

**იმნაიშვილი, 1986** — ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986.

**ნიჟარაძე, 1961** — შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული-დიალექტი, ბათუმი, 1961.

**ჟღენტი, 1953** — ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.

**ფუტკარაძე, 1993** — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი I, ბათუმი, 1993.

**ფენრიხი, სარჯველაძე, 2000** — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

**ქეგლი, 1962** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1962.

**ქართლის ცხოვრების სიმფონია** — ლექსიკონი, თბ., 1986.

**ღლონტი, 1984** — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

**ჩიქობავა, 1938** — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

**ჯორბენაძე, 1995** — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

**მილერი, 1953** — Б. В. Миллер, Персидско-русский словарь, составил проф. Б. В. Миллер, М., 1953.

**რუბინჩიკი, 1983** — Ю. А. Рубинчик, Персидско-русский словарь в двух томах, под редакцией Ю. А. рубинчика, т. I, М., 1983.

MAYA MELIKIDZE

### On One meaning of the Stem "Pen"

#### Summary

The verb **"pen"** and its masdar and participle forms are attested in old manuscripts. The Monolingual Dictionary of the Georgian language gives several meanings of the stem. **"Pen"** is the stem for the primary noun as well (**"pini"**) whose oldest meaning (floor) is preserved in Imerkhevan and Acharan.

If in the verb, the vowel gradation e/i is a morphonemic process (it distinguishes the stems of Series I and II **apens – daapina**), in the noun the gradation has a lexical function and is of secondary nature.

კონსტანტინე კაკიბაძე

### მკრეხ(ვ)ელის მნიშვნელობის ცვლილებისათვის ქართულში

**მკრეხ(ვ)ელი.** უძველეს ქართულ ტექსტებში **კრეხ-** ფუძე დამოუკიდებლად არ მოგვეპოვება, თუმცა გვხვდება ზმნისწინიანი და ნაწარმოები ფორმები: **განკრეხვა** ძარცვა, მიტაცება, პარვა: „პოვნა ავაზაკნი, რომელნი განკრეხვიდეს სენაკსა მისსა“ მ. ცხ. 376 v; „მე ვარ, რომელმან განკრეხე სენაკი შენი“ მ. ცხ. 66 v. „მსგავს ხარ შენ დაბასა განშუენებულისა წინა კერძო, ხოლო უკუნა თა ავაზაკთავან განკრეხულსა“ მ. ცხ. 208 r.

**მკრეხ(ვ)ელ-ი** მპარავი, მძარცველი: „სამდღელო ჭურჭელი ეკლესია თ გამოიპარა... გავედ, ეკლესიათა მკრეხველი!“ მ. ცხ. 177 r; „შეჟულნი ეკლესიათა მკრეხელთათვის სიკუდილისა განაწესებენ“ მ. ცხ. 178 r (აბულაძე, 1973).

სულხან-საბა ორბელიანი აკონკრეტებს: თუმცა **კრეხა — ძარცვაა**, მაგრამ **მკრეხელი** (მკრეხველი **B**) ეკლესიის სახმართ მძარცველი **ZA**.

ეკლესიათ სახმართ წამპარველი **B**. მკრეხელი ეწოდების ეკლესიათა სახმართა წარმპარველსა, გინა საფლავთა მდებარისა მკვდართა გა(ნ)მძრცველისა (მჭურველისა **CB**, გამძრცველთა **D**) **CD** (ორბელიანი, 1993)“.

დ. ჩუბინაშვილიც აქცენტს **ეკლესიის ქონების მძარცველზე** აკეთებს: „მძარცველი ან ეკლესიის სახმართ მტაცებელი ან მპარავი“ (ჩუბინაშვილი, 1934).

ქართული სამართლის წყაროებში ცალკე მუხლია შეტანილი მკრეხველობისთვის: „ეკლესია მკრეხველთათვის ესე განგიწესებია“—ო და შემდეგ მკრეხველობის ორნაირი შემთხვევა დასახელებული, — ეკლესიის გატეხა და ხატის გაძარცვა, ერთის მხრით, მეორეს მხრით, ეკლესიითგან რაიმე ნივთის („საქონლის“) მოპარვა — და ორივესთვის ცალ-ცალკე სასჯელია დანიშნული“ [ჯავახიშვილი, 1982, გვ. 63-64].

ქველ-ში **მკრეხელ**-ის ორი მნიშვნელობაა მოყვანილი: ძვ. 1. საეკლესიო ნივთების მძარცველი; 2. სარწმუნოების შეურაცხმყოფელი, — მწვალებელი. მცხეთაში მწვალებელნი და მკრეხელნი მომრავლდნენო (კ. გამსახ.) უდრ. **მკრეხელობა** ძვ. სარწმუნოების შეურაცხყოფა, — მწვალებლობა. „ღმერთი არ გაგიწყრეს, გირშელ, არავისთან წამოგცდეს, თორემ ამას მკრეხელობად ჩამომართმევს კათალიკოსი“ (კ. გამს.) ეკლესიის მამები... დიდ მკრეხელობად თვლიდნენ ღვთის გამოხატვას მშვენიერი ადამიანის სახით (გ. ქიქ.); **მკრეხელურ**-ი მკრეხელის დამახასიათებელი, — მწვალებლური.

როგორც ვხედავთ, **მკრეხელი**, **მკრეხელობა** ძირითადად საეკლესიო თემატიკასთანაა დაკავშირებული და მწვალებლობას მიემართება. **მწვალებელი** — ძვ. ეკლ. მწვალებლობის მიმდევარი, — ერეტკოსი; **მწვალებლობა** ძვ. ეკლ. გაბატონებულ რელიგიურ დოგმათა საწინააღმდეგო მოძღვრება.

**მკრეხელი** სინონიმთა ლექსიკონში მოყვანილია ისეთ სიტყვათა შორის, როგორცაა: ავაზაკი, აბრაკი, ყაჩაღი, ყაჩაღად გავარდნილი, ყაჩაღად გაჭრილი, ამკლები, მრბეველი, ამაწიოკებელი, ამომგდებელი, ამოხრებელი, ნაყაჩაღარი, თული, მეკობრე, მეკობარი, ფირალი, კაცის-მკვლეელი, სულის მტერი, მოძალადე, მძარცვავ-მტაცებელი, მოძალე, დამრბევი, მოთარეშე, ძვირის მოქმედი, ბოროტმოქმედი, ბოროტმზრახველი, თავზე ხელაღებული, საციმბირე, სათოკე, თოკიდან გაქცეული; ხოლო **მკრეხელობის** სინონიმად **მწვალებლობა** დასახელებული (ნეიმანი, 1978).

რადგან **მკრეხელის** ძველი მნიშვნელობა საეკლესიო ქონების ქურდობაა, ჩვენი აზრით, მისი პირდაპირ მწვალებლობასთან გაიგივება არ იქნებოდა სწორი. ქურდობა საეკლესიო მორალის მიხედვით არის **ცოდვა — დანაშაულის ჩადენა ღვთის წინაშე**; აქედან გამომდინარე — ცოდვილი — ვისაც ცოდვა აქვს, ვინც შესცოდა, ცოდვის ჩამდენი, — ცოდვიანი (ქველ).

თუ ამ გზას გავითვალისწინებთ, მკრეხელი (ქურდი) → ცოდვილი, მაშინ გასაგებია თუ რად შეიცვალა ამ სიტყვამ მნიშვნელობა და როგორ იქცა იგი მწვალებლის სინონიმად. ამ პროცესს ხელი შეუწყო ენაში ზმნის **კრეხავს** საერთოდ იშვიათად გამოყენებამ და შემდეგ გამოსვლამ სამეტყველო ურთიერთობიდან.

ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** — ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

**ნეიმანი, 1978** — ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

**ორბელიანი, 1993** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1993.

**ჩუბინაშვილი, 1984** — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

**ჯავახიშვილი, 1982** — ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VI, თბ., 1982.

CONSTANTINE KAKITADZE

### On the Change in Meaning of the Lexeme *mkr̥ex(v)el*

#### Summary

At various stages of the language development the lexeme *mkr̥ex(v)el* has been associated with different meanings. In Old Georgian it meant robbery, theft. Later its meaning became narrower, denoting only the robbery of church property. In Modern Georgian *mkr̥ex(v)el* is synonymous to *mčvalebeli* ("a heretic") and *codvili* ("a sinner").

## ნარბიჯ ახვლედიანი

## აჭარის ერთი ჰიდრონიმის შესახებ

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ზანებს უწინ გაცილებით ვრცელი ტერიტორია ეჭირათ. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ისტორიულ წყაროთა მონაცემებიც, საიდანაც ირკვევა, რომ ლოკალურად ის ტერიტორია, სადაც ამჟამად გურულები და აჭარლები არიან დასახლებული, ძველად ზანურ მოსახლეობას ეჭირა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გზამკვლევაა ისეთი დიდი ავტორიტეტის დასახლებუბანი, როგორც ივანე ჯავახიშვილია (ჯავახიშვილი, 1913, გვ. 56).

ქართული ენის დასავლურ კილოებში, კერძოდ, აჭარულშიც, ზანური, ანუ კოლხური ენის კვალი დღესაც ფართოდ ვლინდება. იგი თავს იჩენს, როგორც ფონეტიკა-მორფოლოგიასა და სინტაქსში, ისე, განსაკუთრებით, ლექსიკასა და ტოპონიმიში (ნიჟარაძე, 1961, გვ. 48).

ქვემოთ ჩვენ შევხებით აჭარაში დაფიქსირებულ ჰიდრონიმ „ოთოლთა“ დეღეს. იგი მდებარეობს შუახევის რაიონში სოფ. ცივაძეებსა და ტაკიძეებს შორის. ადგილობრივი ინფორმატორების მიქაელ ბერიძისა და ალექსანდრე ცივაძის ზეპირი გადმოცემით, სოფელ ტაკიძეების ძველი სახელწოდება „ოთოლთა“ ყოფილა, რომელიც დღეს უკვე დავიწყებულია და ახლანდელი მოსახლეობა სოფელს ძველი სახელით აღარ მოიხსენიებს (ახვლედიანი, 2001, გვ. 98). აქედან ჩანს მიღებული ჰიდრონიმის სახელწოდებაც.

ჰიდრონიმი „ოთოლთა“, ჩვენი ვარაუდით, კომპოზიტიური აგებულების უნდა იყოს. მისი ძირია „თოლ“: მეგრ.: თოლ-უა — თლა, თოლარი — სათლელი (ჭარაია, 1997, გვ. 107). კომპოზიტის მეორე ნაწილი ქართული მთა → თა უნდა იყოს<sup>1</sup>. გომის მთაზე ერთ-ერთმა ინფორმატორმა (ენვერ ბერიძემ) ასეთი ლეგენდაც გვიამბო: „ძველად, თამარის მეფობის დროს, დანდალოს ხიდს აშენებდნენ და

ხიდის ასაშენებლად იმ არემარეში შესაფერისი ქვა ვერ იპოვეს, ბოლოს სოფ. ოთოლთოდან (ახლ. სოფ. ტაკიძეები) ხელიდან ხელში ჩამოუზიდავთ ქვები, რომლებიც ბუნებრივად თლილი ყოფილა. ამ მიდამოებში აშენებული (ნაგები) ხიდების თავისებურება სწორედ ის არის, რომ ისინი ბუნებრივად თლილი ქვებით არის აგებული, რაც მნახველების ყურადღებას იპყრობს.

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ შავშეთშიც დაფიქსირებულია „სათლელის ციხე“. აქვე აღნიშნულია, რომ მდინარე იმერხევის, ანუ მდ. ფაფარათს შეერთვის „სათლელის წყალი“ და წარმოიქმნება მოზრდილი მდინარე — შავშეთის წყალი. ისტორიულ კლარჯეთში მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებს ბევრგან ვხვდებით. მათგან აღსანიშნავია შავშეთში სათლელის ციხე, სადაც ხიმშიაშვილი რეზიდენცია იყო (ფუტკარაძე, 1993, გვ. 184, 190).

რაც შეეხება ჰიდრონიმ „ოთოლთა“ დღეს ეტიმოლოგიას, იგი „სათლელი“-ს დეღე უნდა ყოფილიყო. შდრ.: სათლელის ციხე და სათლელის წყალი შავშეთ კლარჯეთში.

## ლიტერატურა

**ახვლედიანი, 2001** — ნ. ახვლედიანი, ზანიშემები აჭარის ტოპონიმიში, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ხელნაწერის უფლებებით, თბ., 2001.

**ნიჟარაძე, 1961** — შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1961.

**ფუტკარაძე, 1993** — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

**ჭარაია, 1997** — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

**ჯავახიშვილი, 1913** — ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, ტფ., 1913.

<sup>1</sup>აჭარულში ასეთი ორენოვანი გაფორმების ტოპონიმები სხვაც არის, შდრ.: ჩამურბილდე, ონტოროთის დეღე, ოჭყვადურის წყარო, ლურჯა დეღე და სხვ.



NARGIZ AKHVLEDIANI

## On One Acharan Hydronym

## Summary

The paper investigates the hydronym "otolta" ("stream") encountered in Shuakhevi Region, Achara. The author argues that the hydronym in question is a compound consisting of the root *tol* // *tolua* (meaning "sharpener" in Megrelian) and "*ta*" which is considered to be the reduced form of "*mta*" ("mountain").

ასრატ ასრატოგ-ოგარაზილი

## ისევ ზაქათალას შესახებ

ტოპონიმ **ზაქათალას** შესახებ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ე. ვეიდენბაუმის, ვ. ფილიპოვის, დ. ჯანაშვილის, ა. მამედოვის მიხედვით, **ზაქათალას** სახელწოდება მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელისაგან ზაქი (← ზაქარია) ე. ი. „ზაქარიას მინდორი“. რ. ჰუზბაშევის განმარტებით, **ზაქათალა** ორი კომპონენტისაგან შედგება: **ზაქა** საკუთარი სახელი (წახურების თვითმარქვიდან) და **თალა** — მინდორი. კ. ნიკიტინის აზრით, გვექონდა **აკათალა**, რომელსაც დაემატა **სა** თავსართი და მივიღეთ ჯერ **საქათალა**, ხოლო რუსების აქ მოსვლის შემდეგ კი ის გახდა **ზაქათალა**. ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის მიხედვით ის **ზაქიანთალაა**. ა. სემენოვი **ზაქათალას** სახელს უკავშირებს მთებს. ვ. ნიკონოვი არ იზიარებს ამ მოსაზრებას. გ. გეიბულაევი **ზაქათალაში** გამოყოფს ეთნონიმ **ზაქ + ან** სუფიქსს და **თალა** კომპონენტს, ე. ი. „ზაგების მინდორი“. ნ. ბანდალიევი ოიკონიმ **ზაქათალას** ნახევრად გასაგებ გეოგრაფიულ სახელს მიაკუთვნებს, რომლის პირველი ნაწილის **ზაქა** // **ზაგა**-ს მნიშვნელობა უცნობია.

ტოპონიმ **ზაქათალას** არ იცნობს ვახუშტი ბაგრატიონი. ის არ გვხვდება არც იმდროინდელ ისტორიულ დოკუმენტებსა და რუკებზე. ტერმინი **ზაქათალა** XIX საუკუნიდან მომდინარეობს. მისი გაჩენა ემთხვევა რუსების შემოსვლას საინგილოში.

იოანე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის“ აღწერაში ელისენში შემაჯავალ გეოგრაფიულ პუნქტებს შორის ასახელებს ოიკონიმ **ზაქათალას**. ისტორიული ფიფინეთი ლეკების ჩამოსახლების შემდეგ იწოდა **ჭარად**. ამას ადასტურებს დიდი გეოგრაფი. ვახუშტის მიერ მითითებული პუნქტი **პატარა ჭარი** და **ზაქათალა** ერთსა და იმავე ადგილას მდებარეობდა (ი. პეტრუშევსკი, პ. იოსელიანი). **პატარა ჭარი** და **ზაქათალა** ერთი გეოგრაფიული პუნქტის ორი სახელწოდება უნდა იყოს. ჭარ-ბელაქანის ოლქის მმართველის გრიგოლ ორბელიანის საინგილოდან გამოგზავნილი წერილების უმრავლესობაც ზაქა-

თალაშია დაწერილი. სოფელი **ზაქათალა** (ძველი ზაქათალა) ადრე **პატარა ჭარის** სახელწოდებით ფუნქციონირებდა, რომელიც გვხვდება იმდროინდელ ისტორიულ დოკუმენტებში. რუსების მიერ საინგილოში შამილის წინააღმდეგ გენერალ პასკევიჩის მიერ შერჩეულ ადგილზე ახალი ციხე-სიმაგრის აშენების შემდეგ (1830 წ.) დაარსდა ქალაქი ზაქათალა, რომელიც ძველი ზაქათალისაგან გასარჩევად იწოდებოდა **ახალ ზაქათალად**. შემდგომ ტოპონიმს „ძველი“ და „ახალი“ კომპონენტები ჩამოშორდა და დარჩა მხოლოდ ერთი ქალაქი — **ზაქათალა**.

ტოპონიმი **ზაქათალა** ორი ნაწილისაგან შედგება: **ზაქა //ზაკა + თალა**. სახელწოდების პირველი კომპონენტი უნდა მომდინარეობდეს **ზაქათ // ზაკათ** სიტყვისაგან. რუსულში **ზაკათ** ნიშნავს „დაისს“, მზის უკანასკნელი სხივის დაცემის ადგილს („ზაკატნი“). **ზაკათს** რუსულში გადატანითი მნიშვნელობა აქვს, იგი აღნიშნავს მომაკვდავი ადამიანის ბოლო წუთებს.

ინგილოურ დიალექტში გვაქვს სიტყვა **ზაქათი**, რაც შესაწირს (ფული, მარცვლეული) ნიშნავს. მარხვის შემდეგ იტყვიან: „ფითრა, ზაქათი გაიღო“. შდრ. **ზექეთ** (აზერბ.) წლის შემოსავლის მეათედი ნაწილი, რომელიც მუჰამედის სეიდებისთვისაა განკუთვნილი. ინგილოურში **ზაქარათი** იმასვე ნიშნავს რასაც რუსულში — **ზაკატნი**. ორივე სიტყვა **ზაქათ // ზაკათ** და **ზაქარათის** მნიშვნელობა დაკავშირებულია რელიგიურ სამყაროსთან.

ტოპონიმ **ზაქათალას** ეტიმოლოგიაც **ზაქათ // ზაკათ** სიტყვის მნიშვნელობიდან უნდა მომდინარეობდეს.

ASRAT ASRATOV-OMARASHVILI

### The Toponym "Zakatala" Revisited

#### Summary

In scholarly literature the etymology of the toponym "Zakatala" is debatable. According to some scholars it originates from the personal name **Zaki** → **Zakaria** (E. Veidenbaum, V. Zhelipov, D. Janashvili, A. Mamedov).

A. Semenov connects the toponym with the name of the mountains. G. Geibulaev singles out two components in "Zakatala" — the ethnonym "Zageb" and "tala". For N. Bandaliev the meaning of "Zaka//Zaka" is

unclear.

The toponym "Zakatala" appears in the 19c. Before that the village of Old Zakatala was known as **paṭara çara** (Small Chara). In 1830 the Russians built a fortress in this region and the name of the village was changed to **Akhali Zakatala** (New Zakatala).

The paper connects the etymology of the toponym with the meaning of the word **Zakat//Zakaṭ**.

## ნანა საბაძო

## მიწათმოქმედების ლექსიკა ქვემოქართლურში

ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი კუთხის მეურნეობის ძირითად მწარმოებლურ დარგებს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი — მოცემული არეალისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობები განსაზღვრავს. ქართლის რეგიონში შემავალი ყველა კუთხის მეურნეობის ძირითად დარგად ოდითგანვე მიწათმოქმედება და მემინდვრობა ჩამოყალიბდა, რაც, რასაკვირველია, აუცილებელი საჭიროებით აიხსნება. შეიძლება ითქვას, რომ ქართლი, კახეთსა და შირაქთან ერთად, პურეულის მოყვანის კუთხედ გაითავისა ქართულმა მოსახლეობამ, მიუხედავად იმისა, რომ სახნავ-სათესი მიწების ხარისხობრივი თვისებები ყველგან ერთგვარი არ იყო. დროთა განმავლობაში განვითარდა მეურნეობრივი საქმიანობის სხვა დარგებიც. ამჟამად ადგილობრივ მოსახლეთა სამეურნეო ყოფაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს მესაქონლეობასა და მევენახეობასაც, თუმცა ქვემოქართლეთა მეურნეობრივი შემოქმედების წამყვან დარგად, შეიძლება ითქვას, მაინც მიწათმოქმედება და მემინდვრობა დარჩა.

მეურნეობრივი ცხოვრების წესის ცვლილება-განვითარების გამო თანდათან დავიწყებთ ეძლევა მიწათმოქმედებასა და მემინდვრობასთან (ასევე სხვა დარგებთან) დაკავშირებული მდიდარი დიალექტური სალექსიკონო მასალა, რაც მთლიანად დარგობრივ ლექსიკასთან ერთად, ჯერ კიდევ არ არის ენათმეცნიერულად ასახული დღემდე არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში. მისი დროული გამოვლენა და აღნუსხვა კი ფრიალ საშური საქმეა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართლი ტერიტორიულად ვრცელი რეგიონია და მიწათმოქმედება-მემინდვრობასთან, ისევე როგორც მეცხოველეობასთან დაკავშირებული საქმიანობა მის სხვადასხვა არეალში მეტ-ნაკლებად ჰგავს და განსხვავდება კიდევაც ერთმანეთისაგან და, ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მეურნეობის ძირითად დარგებთან დაკავშირებული ლექსიკის რეგიონულ-სემანტიკური მიმართება ცალკეულ კუთხეებში მცხოვრებთა მეტყველებასთან და აგრეთვე ქართული ენის ბარის დიალექტების (მაგ.: კახურის) ამავე დარგების ლექსიკასთანაც. ეს

დაგვეხმარება გავარკვიოთ ლექსიკურ დონეზე მათ შორის მსგავსება-განსხვავებულობის ხარისხი, რაც საინტერესოა როგორც ისტორიული დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით, ასევე მთლიანად ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისითაც, რამდენადაც ქართლური კილო სალიტერატურო ქართული ენის ფუძედიალექტად არის იმთავითვე მიჩნეული.

არანაკლებ საყურადღებოა შიგადიალექტური ენობრივი მიმართებანი. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ქართლური, ქართული სალიტერატურო ენის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფუძედიალექტი, საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული, რაც განაპირობებს იმას, რომ ეს კილო ყველგან ერთგვაროვანი არ არის. მასში გამოიყოფა მეტყველებრივი განსხვავებულობანი კილოკავურ ერთეულთა სახით. მათ შორისაა ცენტრალური ქართლური (დიდი და პატარა ლიხვის ხეობები), ჩრდილოეთ ქართლური (ქსნის ხეობა) და ქვემო ქართლური (თეთრი წყაროს, ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონები), რომელთა საფუძვლიანი ენათმეცნიერული შესწავლა საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად ავსნათ არა მარტო შიგადიალექტური გრამატიკულ-ლექსიკური დონის სხვაობანი, არამედ ავსახოთ დედადიალექტებსა და სალიტერატურო ენის კილოებში არსებული ენობრივი მოვლენების ისტორიული განვითარების პროცესები.

## §1. სახნავ-სათესი მიწა

ვარგის მიწას, ე. ი. მიწის ნაკვეთს, **სახნავ-სათესს** (დ. წყნეთი) || **სავარგულს** (სოფ. ხატისოფელი) || **მამულს** (დიდი და პატარა გომრეთი) უწოდებენ. სახნავისათვის დასამუშავებელ მამულს **სახნაური** (სოფ. ქვეში) || **სახნავი, ალო** (დიდი დმანისი) ჰქვია. ხვნის დაწყებისას იტყვიან: „ალო გამოუტანეთ“ (დიდი დმანისი, ნინა ნინიაშვილი).

**ალო** ქველ-ში ორი სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება: 1. რისამე შესაფერისი დრო; 2. დღიური ნახნავი — ხვნის დროს გუთნულში მონაწილეთა სარგოს ერთეული (ქველ, 1990, გვ. 45). ამ მნიშვნელობით ძველ ქართულში დასტურდება **ალო** (სარგველაძე, 2001, გვ. 7). საბას განმარტებით, ალო ბალახია, სამურავია Z ჯილის მიზდი ZABC (საბა, 1991, გვ. 47-48). ნ. ჩუბინაშვილთან **ალო** ლექსემას შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. ნახნავი მიწა მიზლად გუთნის დედისა, მეხრეთა, ÷ãðããîãîã ìãðãîãèã ìã ðãñòð èèè ìã ãîñùè ãùèàò,

შებმულთა ხართა და სხვა; 2. ბასრი, ნაწვეთი სუნნელთა ბალახთა. იგი შედარებულია Ἀλσῆ და ალოვნება — ალოს მოხვნის დრო (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 135). **ალო** დიალექტებშიც გვხვდება, იმერულსა და ფშაურში აღნიშნავს: 1. დრო, ვადა, სეზონი, 2. რიგი (ღლონტი, 1984, გვ. 30).

საყურადღებოა, რომ ქვემო ქართლის სხვადასხვა სოფელში **ალო** სხვადასხვა მნიშვნელობით აღვსუსხეთ: 1. რამდენიმე გლეხის შეამხანაგება ხვნაში, ე. ი. რიგით ხვნა (დიდი გომარეთი, ქვეში, წერაქვი); 2. სახნავისათვის დასამუშავებელი მამული (დიდი დმანისი); განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ **-ობა** სუფიქსით ნაწარმოები **ალო-ობა** აღნიშნავს **ძნის ჩაშლას** (ს. წერაქვი), **ღეწვის დაწყებას** (პანტიანი, ქვეში, ჯავახი), (იხ. ქვემოთ), რაც სხვა დიალექტებში ამ მნიშვნელობით არ დასტურდება და საკუთრივ ქართლური დიალექტური ლექსიკური ფონდისეული უნდა იყოს. ხვნის დაწყებაზე ქვეშიში იტყვიან: **ალოობა დაიწყო**, ხოლო დიდი დმანისში: **ალო გამოუტანეთ**. ამდენად, ალო/ალოობა ქვემოქართლურის მონაცემთა გათვალისწინებით, პოლისემიური ლექსემაა.

პურეულის მოსაყვანად განკუთვნილ მამულს — **სამარცვლე** (დიდი გომარეთი) || **სახორბლე** (დიდი დმანისი) || **საყანე, საყანუ-რი** (დიდი გომარეთი) || **საწმინდარი** (ს. წერაქვი) ეწოდება, ხოლო წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებულ მიწის ნაკვეთს კი — **ნადელი** (ს. განთიადი) || **დედულ-მამული** (დიდი გომარეთი, ხატისოფელი) || **რცხალი** (დიდი გომარეთი).

**საწმინდარი** მარნეულის რაიონში დადასტურებული ლექსემაა და აღნიშნავს: „ყველაზე კარგ ადგილს ხორბლის დასათესად“, იგივე საყანე ადგილი, აღნიშნული ლექსემა **წმინდ** ძირისაგან არის ნაწარმოები **სა-არ** კონფიქსის დართვით. ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ფშაურშიც. **წმინდის** სათეს ადგილს **საწმინდარი** ეწოდება. **საწმინდარს** იმთავითვე საგანგებოდ ამორჩეულ კარისპირულ მამულში გამოყოფდნენ ხოლმე. **წმინდა** ფშაურში ყველაზე კარგი ხარისხის ხორბალი, იგივე დოლის პური, ან მისი ფქვილია (გოგატიშვილი, 1981, გვ. 44).

ქართლურში გვაქვს აგრეთვე იმავე ძირზე **სა — ურ** კონფიქსით წარმოქმნილი **საწმინდური** „წმინდა ფქვილის“ მნიშვნელობით (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 377). ქველ-ის მიხედვით ამავე მნიშვნელობისაა **საწმინდარი** (ქველ, 1960, გვ. 930). ლექსიკონთა მიხედვით ეს სიტყვა მთის დიალექტებში პოლისემიურია: ფშაურში „სატანსაცმლე ქსოვილის მოსაქსოვად დართული ძაფია

მატყლისა, სატოლე ნართი“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 594), ფშაურში, ზემოაღნიშნული მნიშვნელობის გარდა (დოლის პურის დასათესი ადგილი), **საწმინდარი** სახორბლე ცხრილი ან ადგილი, სადაც (ხორბალს) ან ფქვილს ინახავენ. **საწმინდარია** აგრეთვე „ყველაზე კარგი ხარისხის ძაფი (ნართი)“ — (გოგატიშვილი, 1998, გვ. 101). „2. სატანსაცმლე შალის მოსაქსოვად დართული ძაფი“ (ხორნაული, 2000, გვ. 213). ამავე დიალექტურ არეალში იგი ხორბალსაც აღნიშნავს „ხატში წასაღებად ქადა-პურები მისგან ცხვება. ყველაზე კეთილშობილი პურია, ყველგან არ მოდიოდა მთაში, ან ბარიდან მოჰქონდათ, ან ყიდულობდნენ იმათგან, სადაც მოჰყავდათ“ (ხორნაული, 2000, გვ. 213). მთიულურის მიხედვით ეს არის „ხატობა-დღეობისა და ქორწილისათვის შემონახული ხორბალი“ (კაიშაური, 1967, გვ. 230). დიდ გომარეთში **სანაწმინდე** იგივეა, რაც საესე მარცვალი. მოხეურ დიალექტში საწმინდურთან სხვა მნიშვნელობაც არის დაკავშირებული. იგი აღნიშნავს იმ ლორწოვან სითხეს, რომელიც მოსდის მოსაგებ ძროხას (ქავთარაძე, 1985, გვ. 320). ამავე მნიშვნელობით, ჩვენ დავადასტურეთ ქვემო ქართლშიც.

სახნავ-სათესი მიწის ნაწილი სახელმწიფო მფლობელობაშიც ყოფილა და ამ მიწებს **საბატონე მიწები** ეწოდება (სულ 80 ჰა). იგი განაწილებული ყოფილა თითოეულ კომლზე. ახალ ოჯახზე გა-ცემულ მიწას **საკარმიდამო** || **სამთო** || **საფონდე** ჰქვია (სოფ. ხატისოფელი, ნიკოლოზ მოსიაშვილი). კომლთა შორის მიწების განაწილებას წილ-ყრა ეწოდება. წილ-ყრით მიკუთვნებულ მიწას — **წილობრივი** || **ნაწილარი** || **ნარგუნი** || **ნორმა**. წილ-ყრას სოფლის მეორე კაცი — ბრიგადირი ატარებდა. წილ-ყრის დროს თვალებს აუხვევდნენ ვინმეს, ისეთს, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა.

სახნავ-სათესად დასამუშავებელი მიწები ორ კატეგორიად იყო წარმოდგენილი — **საბატონე** და **საკლესიო**. „საეკლესიო ერქვა, რადგან იმ **სავარგულზე** მოწეული მოსავალი ხმარდებოდა ეკლესიებს, მათ მსახურებს. საბატონე მიწები კი იჯარით იყო გლეხობაზე“ (სოფ. ხატისოფელი, ნიკოლოზ მოსიაშვილი).

ადგილის მიხედვით ეს მიწები მთის, ბარისა და ჭალის მიწებად იყოფა. მთაზე მდებარე ნაწილარს ზოგადად **სათიფე** || **სათიბე** ეწოდება. სათიბეებია: **ბალიშამიწები**, **ქალანამიწები**, **კურცხი**, **ნატუსები**, **ნაფეტვრები**, **ნაჭაობრები**, **საფიქლო**, **შუაქედი**, **ჩიკილი**, **ქაჩალგორა** და ა. შ. **ქაჩალგორა** მთის სახელწოდებაა, სადაც ზამთარ-ზაფხულ თოვლია. საზაფხულო სამთოში მეწველი მსხვილფეხის ქოხებთან მდებარე ნაკვეთებს **ილო**, **ნასვილარები**, **ნასიმინდარი**,

**ნაქერალები, ნახორბლარი** ჰქვია (ს. ხატისოფელი).

მიწის განაწილებისას კომლთა ინტერესები გათვალისწინებული იყო: თითოეულ კომლს ხვდებოდა როგორც მთის, ისე ბარის მიწები. მთაში საძოვრები ნაწილდებოდა ურთიერთგარიგებით, საფასურით. მთას **საზაფხულო საძოვარი** ეწოდება.

ხელმოკლე ოჯახს, მუშა საქონელი და სახნავი იარაღი რომ არ გააჩნდათ, შეეძლო მიწის **„ნაწილარის || ნორმის“** საზიაროდ გაცემა.

მიწის საზომ ერთეულად ხმარობდნენ **დესეტინას** = 800მ. დესეტინის საზომია **არშინი**, არშინი = 71სმ; **საბელს** — ოთხი მეთაღია დესეტინის.

ზოგჯერ ვარგისი მიწების უკმარისობის გამო ქვემო ქართლის მოსახლეობა საყანე ადგილს ტყის გაკაფვითაც მოიპოვებდა ხოლმე, რასაც **თალას გამოღება** უწოდებენ (ს. წერაქვი, ხატისოფელი). ამ დროს იტყვიან: **თალა გამოვიღეთო**. აღნიშნული ლექსემა აზერბაიჯანულ ნასესხობად უნდა მივიჩნიოთ (შდრ. აზ. **Ölə, ჰაჯიევი**, ნასიბოვი, 1997, გვ. 101). გაკაფვის შემდეგ ჯაგს, წვრილმან ტოტებსა და ფიჩხს აქუჩებდნენ და ცეცხლს ანთებდნენ. ასეთი გაკაფული ადგილი მოხვნამდე **ყამირია** (გაუტეხავია). გაკაფულ ტყეს **გაჯაგული** (ს. ხატისოფელი) || **ნაჯაგი** (ს. ქვეში) || **აწურთნული** (დ. წყნეთი) ჰქვია, ხოლო ტყის გაკაფვას **ტყეკაფა** (ს. ქვეში) || **ნაკაფი** (დიდი დმანისი).

ხელუხლებელ მიწას **ხამი** (ს. ხატისოფელი) || **გაუტეხავი** (დ. წყნეთი) || **გასატენი** (ს. განთიადი) || **კორდი** (პატარა გომარეთი) ეწოდება, ნასვენ მიწას კი — **ყამირი** (ს. განთიადი) || **ანეული** (ს. ხატისოფელი) || **ყამირი, გაუტეხავი** (ს. ქვეში). მისი მოხვნისას იტყვიან: **ყამირი გავტენე-ო**. დაუმუშავებლად დარჩენილი, ერთი წლით ნასვენ მიწა **გაყამირებული** (ს. ქვეში) || **ნასვენი** (ს. განთიადი) || **ნარბილი** (პატარა გომარეთი) || **ნაჩხატია** (დ. წყნეთი).

**ნაჩხატი** სხვადასხვა დიალექტებში მოგვეპოვება. ქიზიყურში ს. მენტეშაშვილის განმარტებით, იგი უკავშირდება ერთ-ორ წელიწადს დასასვენებლად გაშვებულ, გაცვეთილ ნაძვებს, ე. ი. ნაყანევ ადგილს (მენტეშაშვილი, 1943, გვ. 134). კახურშიც თითქმის იმავე მნიშვნელობით გვხვდება (ბაბუნაშვილი, 1950, გვ. 271), აგრეთვე ფშაურშიც. ქართლურში აღნიშნავს გამოფიტულ, მოუსვენარ მიწას (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 563). ჩვენი მასალის მიხედვით, მოცემული ლექსემის სემანტიკა გაცილებით ფართოა ქვემოქართლურში. „1. დაუმუშავებლად დარჩენილი ერთი წლით ნასვენი მიწა (დ. წყნეთი), 2. კლდიანი, მზისგულიანი ადგილი“

(ს. პანტიანი), შდრ. მოხეურის მნიშვნელობა „წყალ-ღვარისაგან ჩამორეცხილი უნაყოფო ადგილი“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 563).

სოფ. ორბეთში მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ჩანჩქერი“, მდინარე რომ კლდეზე გადმოდის (ინფორმატ.), შდრ. მოხეური „ჩანჩქერი“ (ქავთარაძე, 1985, გვ. 293). **ნაჩხატი** პოლისემიური ერთეულია ფშაურშიც (იხ. გოგატიშვილი, 2002, გვ. 225). საყურადღებოა მრავლობითის ფორმა **ნაჩხატები** მოხეურში: „ჩხატის, ჩანჩქერის გადმონაშხევი“ (ქავთარაძე, 1985, გვ. 293). საბასა და ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით **ნაჩხატი** ბალახია, უფრო სწორედ „ბალახ-კაჭაჭი ZABCD, კაჭაჭიანი ჩალა E“. იგი გვხვდება სახეცვლილი ვარიანტითაც „ნაჩხენი“ (საბა, 1991, გვ. 583-584; ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 317).

ნასვენიანი მიწა ბალახიანი ადგილია, **სარეველიანია, დასარეველიანებული** კი ნახნავია აბალახებული. ახლადთავჩენილი ბალახი **ჟიჟოა**. ფესვიდან ან თესლიდან აღმოცენებას **ამოწვევრა** (ს. ხატისოფელი) || **ამოჟიენება** (ს. ქვეში) || **ამოყრა** (პატარა გომარეთი) || **ნაჩქიფი** (დიდი დმანისი) || **ნემსულა** (ს. წერაქვი) ეწოდება. რამდენიმე წლით ასეთი მიწა გაყამირდება და იტყვიან: **დაიკორდაო**. ამგვარ უძრავ მიწას **დროებით სათიბს** ეძახიან, ამწვანებულ კორდის მონაკვეთს კი — **კორომებს**. „ალაგ-ალაგ ამოსული კორდი **კორომია**“ (ინფორმატ.). მოუსავლიანი მამული **უნაყოფო, დარბია**. შემოდგომაზე მოხნულს **მძრალი** || **მზრალი** ეწოდება, გაზაფხულზე მოხნულს — **ანეული, გადაბრუნებული** (დ. წყნეთი). მამული შეიძლება ღრმად ან ზეზეურად მოხნულიყო. ღრმად მოხნული **ძირეულად მოხნულია** (დ. წყნეთი) || **ძლავრად მოხნულია** (დიდი დმანისი).

დიდი ფართობის ნახნავს **ხოდაბუნს** || **ხოლბრუნეებს** უწოდებენ (დ. წყნეთი, ს. წერაქვი). ჩატარებული საველე მუშაობის შედეგად მოპოვებული რეგიონული მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ქვემოქართლურში საანალიზო ლექსემა (**ხოდაბუნის**) პოლისემიურია: „1. უძრავი მიწის ნაკვეთი; 2. ერთად ბევრი მოხნული მიწა“ (დ. წყნეთი). პატარა ყანას ან მამულის ნაწილს **დღიური** (ს. ხატისოფელი) ჰქვია. მისი რეგიონულად მონაცვლე სემანტიკური ვარიანტია: **კუნცხი** (დიდი გომარეთი) || **კუნჭულა** (ს. მამულა, წერაქვი) || **დაბალა** (ს. ვარდისუბანი). წაგრძელებული ფორმის ვიწრო ყანას კი — **ძაღლის ენეები** (ს. ჯავახი) || **ნაყელარი** (ს. წერაქვი) || **გრძელმიწა** (დიდი გომარეთი). ხატის მამულს მარნეთლის რაიონში **ქალაფას** უწოდებენ.

ქვემო ქართლში გავრცელებული მარცვლეული კულტურებისათვის თავ-თავისი ადგილები აქვთ შერჩეული; **სამარცვლე** || **საწმინდარი** — ხორბლის სათესი ადგილი, **საქერე** — ქერისა, **საშვრიე** — შვრიისა და ა. შ. **საყანური** || **საყანე** ზოგადად საყანე ადგილს ეწოდება.

მღებარეობის მიხედვით ყანა ან **სახნაური** შეიძლება იყოს: **მზიგული** (ს. წერაქვი) || **მზიანი** || **პირადმა** || **ყალთადი** (ს. ხატისოფელი), **დუბის** (ჩაღრმავებული, მზიანი, მსუქანი), **ჩრდილის**, **ვაკე**, **დაგვერდავებული** (დიდი დმანისი), **გვერდელა** (გვერდში მღებარე), **ფერდობი** (ფერდობზე მღებარე), (ს. ვარდისუბანი). ყველაზე კარგი და იშვიათია ვაკე ადგილი. ზოგადად, კარგ ადგილზე მღებარე ყანას **გულის მამული** ჰქვია.

წინა წელს ნახნავ ყანას მეორე წელს **ნარბილს** (დიდი გომარეთი) || **ნახნავს** (დ. წყნეთი) || **ნახორბლარს** (ს. ხატისოფელი) უწოდებენ. მოსავლისათვის გამოუსადეგარი, გადარეცხილი მიწა **ხრიოკი** (დ. წყნეთი, პატარა გომარეთი, ხატისოფელი, წერაქვი) || **მწირი-ეროზირებული** (ს. ხატისოფელი) || **ხირხოტი** (ს. წერაქვი) || **ხრიაკი**, **ხირხატია** (დიდი გომარეთი). სახნავ-სათესად უვარგისი ადგილია **ძეძენარი**, **ჭაგნარი**, **ბუწკნარი**. საერთოდ, საყანე ადგილი შეიძლება იყოს **ქვა-ღორღიანი**, **კლდისანი**, **უქვო**. ფხვიერ მიწას **რბილი** || **ქვიშრობი** || **ლაშიანი** ჰქვია. ყველაზე ნოყიერი მიწა **დუმა**, **მსუყე**, **ნაფუზარია**. კარგი მიწის ეპითეტებია: **მადლიანი**, **ნაბაკარი**, **ნამსუქნი**, **ნაძროხალი**, **ნოყიერი**, **შავმიწა ნიადაგი**, **გულის მიწა**. **გულის მამული** ყველაზე კარგი მამულია (დიდი გომარეთი). ნაკლებმოსავლიანი მიწის ეპითეტებია: **მწირი**, **გალახული**, **გამოღალული**, **გამხდარი**, **გონიანი** (ქვიანი), **თირი**, **უღალო**. გვალვისგან გადამხმარი მიწა **დაგვალული** || **გამოგვალული** (ს. ვარდისუბანი, წერაქვი) || **გადამწვარია** (დიდი გომარეთი). **გორა** (ს. მამული) || **გორახი** (დიდი გომარეთი) || **კორდონი** (ს. ქვეში) || **კუმფხალა** (ს. ორბეთი, პანტიანი) გამხმარი, გაგვალული მიწის გორახია. ისეთი მამული, სადაც მიწა ბელტებად ყრია და კარგად არ არის დაფარცხული **გორახიანი** (ს. ხატისოფელი) || **დაგორუნებული**, **გორუნისანი** (ს. წერაქვი) || **ბელტიანი მიწა** (ს. ვარდისუბანი).

პირუტყვისაგან გათელილ ყანას ან ბალახს **გაზერგნილი** (დიდი გომარეთი, ქვეში, ხატისოფელი) || **გაჯოგილ-მოჯოგილი** (ს. ხატისოფელი) || **წანახედი** (ს. განთიადი) || **წანავედი** || **წაქცეული**, **ჩაქელილი** (ს. წერაქვი) || **წახდენილი** (ს. ახალდაბა, წყნეთი, დიდი დმანისი) || **ნასრესი** (ს. მამული) || **წანახედი**, **გაზეპილი** (დიდი

გომარეთი, დიდი დმანისი, პანტიანი, ხატისოფელი). საქონლისგან გაძოვილ სიმინდის ან პურის ყანას **მოლოკილი** (ს. ხატისოფელი) || **გათქლეშნილი** (პატარა გომარეთი) || **წანახედი** (დიდი დმანისი) ჰქვია.

**გაზერგნილი** მიმდებარეობს, რომლის ამოსავალი არის ქართულ სალიტერატურო ენაში დადასტურებული **ზერგნ** ძირი და აღნიშნავს **ტკეპნას** (ქეგლ, 1990, გვ. 370). ამავე მნიშვნელობით დასტურდება ძველ ქართულშიც; სულხან-საბას მიხედვით „ზერგნა — ფერკით ქელვა ZABCDE“ (საბა, 1991, გვ. 280). **ზერგნა** || **ზერქნა** „ტკეპნა, ქელვა ფეხით ან საზეპელით“ (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 221). დიალექტებში გვხვდება ფონეტიკური ვარიანტებით: **გაზერკნილი** (მთიულ.) „გატკეპნილი“ (კაიშაური, 1967, გვ. 190). **ზერქნა** (ინგილ., ფშ.) „თრგუნვა, გათელვა, გაქელვა ფეხით, ტკეპნა“ (ლონტი, 1984, გვ. 231). **გაზენკილი** (ქართლური) — დატკეპნილი, დაზეპილი (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 92).

როგორც ჩანს, **ზერგ** ძირთან დაკავშირებული ტკეპნის აღმნიშვნელი ლექსემა ქართული სალიტერატურო ენის მხოლოდ აღმოსავლურ დიალექტურ არეალში დასტურდება. მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი მეგრულში არის **ზარგ** ძირი: **ზარგ-ან-უ-ა** „დატკეპნა, არევა“. აღნიშნული ლექსემა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის არის აღდგენილი (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 211).

ორი ყანის მიჯნას **არალდი** (ს. წერაქვი) || **მიჯნა**, **კორტი** (ს. განთიადი) || **მიჯნა** (ს. ვარდისუბანი) || **ნაღარი** (ს. ქვეში, ჭავახი) || **სამანი**, **სამძღვარი**, **ყორღანი** (ს. ხატისოფელი) || **ყორღანი** (ს. განთიადი, დიდი დმანისი) ჰქვია. ეს ლექსემები რეგიონულად მონაცვლე სინონიმებად უნდა მივიჩნიოთ. სამძღვარში **კოლებია** ჩარტობილი, ან ქვებით აკოკოლავებულია კონუსისებურად. სამძღვარში ხის გამომწვარ ნახშირს, ან რიყის ქვებთან ერთად ყრიან მიწის სიღრმეში და იფარება კონუსისებურად (ს. ხატისოფელი). მიჯნის დარღვევას **მოშლას** უწოდებენ. ყანებს შორის უფრო ფართო გამმიჯნავი ზოლი **საქცევი** || **წარაფია** (ს. ხატისოფელი). ამავე სოფელში **საქცევი** „ხენის დროს ხარების მოსაბრუნებელი ადგილის“ მნიშვნელობითაც დავადასტურეთ. მამულის კიდევები **ნაპირ-ყურებია**. მოუხვნელი, დაუმუშავებელი მიწის პატარა ნაკვეთი **კორდი** || **კორძია** (ს. წერაქვი). **კორდი** სხვა მნიშვნელობითაც აღვსახეთ: 1. რამდენიმე წლით მიტოვებული მიწა (ს. ხატისოფელი); 2. ხელუხლებელი მიწა (დიდი და პატარა გომარეთი).

მოხვნამდე მამული უნდა აკარკლონ, გატუსონ, გადორღონ (გასუფთავება). გატუსვის შემდეგ მამულში ნაკელი შეაქვთ ჯინით. **ჯინი** წნელით მოწნული პატარა გოდორია, რომელიც ურემზეა დაკრული. მოშორებით მდებარე, სამთო სახნაურებში ზაფხულობით **ბაკებს** || **ბინებს** || **გომს** აწყობენ, შემოდობავენ **წნელით**, **ხარისხებით** და მიწის განოყიერების მიზნით შიგ საქონელს ინახავენ. ამ გზით ნასუქ მამულს **ნარხაჯარი** || **ნაბაკარი** ჰქვია. **არხაჯი** აზერბაიჯანული წარმოშობისაა და აღნიშნავს: ზაფხულობით საქონლის სადგომს. წნელითა და ხარისხებით შემოკავებული ადგილი **ნარგალაა** (ს. წერაქვი).

## §2. ხვანა-თმსვის იარაღები

სახნავ-სათეს იარაღებს ერთად **გუთან-უღელი** (დიდი დმანისი) || **გუთნეული** (ს. ვარდისუბანი, წერაქვი) || **კავი** (ს. განთიადი) || **ღვედ-იარაღი** (ს. მამულო) || **ჰაჯათი** (ს. ხატისოფელი) ეწოდება. ქვემო ქართლში რამდენიმე სახის სახვნელია გავრცელებული. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ხვანა-თმსვის იარაღები ხმარება-გავრცელების რეალიებს ზოგადად ნიადაგის თავისებურება და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო განსაზღვრავს“ (გოგატიშვილი, 2002).

თეთრი წყაროს რაიონში სახნავად გამოიყენებოდა **მალალი გუთანი**, **ერთფრთიანი**, ხოლო ყამირის გასატეხად — **ორფრთიანი** და **სამფრთიანი**, დმანისის რაიონში **დიდი გერმანული გუთანი** ყოფილა, რომელშიც რვაუღელა ხარი ება, მარნეულის რაიონში — **დიდი გუთანი** და **შავი გუთანი**. **შავი გუთანი** უნდა **გაერუჯათ** || **გამოეწვათ**, რომ მალე არ გატეხილიყო. დამზადებული იყო ხისაგან, რომელშიც ებმოდა რვაუღელი ხარი, ხოლო **დიდი გუთანი** რკინისგან დამზადებული და **ექვსუღელა** იყო. **შავი გუთანი** უფრო დიდ ფართობს ხნავდა. მარნეულის რაიონში იყო პატარა გუთანი — **ჩუთი** || **კავი**, რომლის საშუალებითაც ხვნის შემდეგ ჩუთავდნენ, აფხვიერებდნენ მიწას.

### I. უღელი თავისი ნაწილებით

- ა) **საუღლე** || **საქედური** — უღლის ის ნაწილი, რომელიც ხარს ქედზე ადევს;
- ბ) **ტაბიკი** — ოთხი ცალი
- გ) **აპეური** || **სამბალი** — ორი ცალი
- დ) **კორა** (დიდი გომარეთი) || **უღლის თათი** (ს. მამულო ) ||

**დედა-უღელი** (ს. წერაქვი) — ორი ცალი, **საუღლეს** || **საქედურს** ამაგრებს უღელზე და არ უშვებს ხარს, რომ **მოიქედუროს**.

ე) **საუღლე** || **კულამი**, ხარის ტყავის ღვედი (თასმა), რომლის ერთი ბოლო კორეებშია ჩასმული.

ვ) **კოფო** || **დიშლა** (დიდი გომარეთი). დიშლას **თავთინი** || **თავთხე** აქვს ჩაყრილი და **ჭაბნით** უერთდება უღელს

ზ) **დიშლა** (ს. მამულო), რაც ამოძრავებს გუთანს.

### II. სახმვრე გუთანი თავისი ნაწილებით:

- ა) **ხელნა** || **ფთა**, რომელიც უღელთანაა ჩამჯდარი
- ბ) **ქუსლი**, რომელიც მიწას ღარავს
- გ) **ქუსლის ყურები**
- დ) **ქუსლის წინა ნაწილი** || **შოლტყავი**
- ე) **ხმალი**, რაზეც ფრთა/ფთა მაგრდება
- ვ) **სახნისი**, რომელიც მიწას თხრის, ხნავს
- ზ) **საკვეთელი** || **საკვეთი** მიწას ჭრის
- თ) **შოლტა** || **ძელი**, რომელზედაც გუთნის ნაწილებია დამაგრებული და უღელს უკავშირდება
- ი) **ფამფალაკი** კორაშია ჩასმული, რომ სწორად წაიყვანოს გუთანი
- კ) **გოგორები** (დიდი და პატარა თვლები) || **ფამფალაკი**, რაზეც გუთნის ყელია დამაგრებული (ე. ი. რაზეც გუთანია დამაგრებული)
- ლ) **მანჭვები** || **მანჭოები** (სახელური), რომელიც მიმაგრებულია ფრთაზე და გუთნიდელს უჭირავს.
- მ) **ხარაზანი**, რაზედაც გუთნის ღერძია თვლებიანად (ს. წერაქვი) **ფარცნი** წნელებისგან იყო დაწნული, რომელსაც წინ **კაბდო** ჰქონდა, კაბდოზე ფიჩხია ასხმული.

ქვემოქართლელთა ყოფაში გამოიყენებოდა **საბარე** და **საძნე** ურემი. ურემი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: **ვიოსა** და **უბისაგან**. **ვიო** არის, რაზედაც წინა ღერძი მაგრდება. **უბე**, რაც უკანა თვლების ღერძზეა აყრილი. პეროტკა ← პერიოდკა (რუს.) წინა ორთვლიანი ღერძია **ვიოზე აყრილი** (ასხმული). საძნე ურემს უკეთებდნენ **კოფოს**, ჩვეულებრივ „რევივით“ გათლილია ძნის დასაწყობად. ურემს აქვს **ჭლები** || **მარგილები**, რომ არ გადმოიფანტოს ძნები. ძნების გადაკვრას **მოქანჩვა** || **დაქანჩვა** ჰქვია (ს. წერაქვი). უღელს აკეთებდნენ შავრცხილას ან იფნის ხისგან.

სახნავად **საყევრე გუთანს** ხმარობენ, გასაფხვიერებლად — **აჩაჩას || ჩუთს**. **აჩაჩა** პატარა ასაჩეჩი || გასაფხვიერებული გუთანია. ხორბალი რომ მოიკვებოდა **ნაწვერალს** აჩეჩავდნენ (ს. ქვეში, ჯიმწერ აქულაშვილი). მიწის დამუშავებას ადრე გაზაფხულზე, მარტში ან ადრე შემოდგომაზე ოქტომბერში იწყებენ. გაზაფხულზე მოხნულს **მზრალად მოხნული** ჰქვია, შემოდგომაზე მოხნულს — ანეული. ხენის დროს ხარებს იყენებდნენ, ბოლო წლებში კი ცხენის გუთნებით ხნავენ და ფარცხავენ.

უღელში თუ ერთი ხარია შებმული, **ცალუღელაა**, თუ ორი — **უღელახარია**, ოთხი კი — **ყევარი**. ხენის დროს **ცალუღელა** არ გამოიყენება. **ყევრით ხვნა** ძველად იცოდნენ. გუთნის ხარებსა და მეხრეებს თავთავიანთი სახელები ჰქონდათ: **წინა ხარი, შუა ხარი, უკანა ხარი** (ს. ვარდისუბანი). **გუთნითავის ხარი** (ს. მამულა) || **ყარაყაიში** (ს. ჯავახი) || **ღირღიტის ხარი** (ს. ვარდისუბანი, ჯავახი), **უკანა ხარი || საჯდომი ხარი** (ს. მამულა). მეხრეები — **წინა მეხრე, შუა მეხრე, ღირღიტა მეხრე || გუთნითავის მეხრე** (სულ სამი მეხრე ჰყავდათ). წინა უღელი გუთნის მხართან **ჯაჭვებით** იყო ჩაბმული, უკანა უღელი კი **ტყავის ღვედით** გუთნის თავზე. მეხრე **სახრეს || წიკებლას** იყენებდა. ხარის პირველი შებმა **გამოქნაა**, ხოლო გუთანში ხარების შებმას **გუთნის გაბმა** ეწოდება (დიდი გომარეთი). ხენის დაწყებას **გუთნის გატანა** ჰქვია (დიდი გომარეთი). ამ დროს იტყვიან **გუთან გავიტანოთო**. როცა ხარი **თაქლელია** (ზარმაცია), ან **გამოსაქნელი || ოჩანი** (დ. წყნეთი), ე. ი. ხენას მიუჩვეველი და პირველად შებმული გუთანში იგი **ჯონგასთან** (ლონიერი ხარი) მიუჩვეველია (ს. ხატისოფელი). ასეთ ხარს წვრთნიან და საჭიროა წინამძღვარი, რადგანაც თაქლელი ხარი კვალს არ მისდევს, უღელს **მოიქედურებს**. წინამძღვარს **მოქნილ მეხრესაც** უწოდებენ. **მოქნილი მეხრე** ჰქვია დაბერებულ ხარსაც.

**ჯონგა** ღონიერი, მძლავრი ხარის ეპითეტია. აზერბაიჯანულიდან ნასესხებად უნდა მივიჩნიოთ. იგი აზერბაიჯანულად **მოზვერს** აღნიშნავს (ჰაჯიევი, ნასიბოვი, 2001, გვ. 123). კვალში გამოცდილ საქონელზე იტყვიან, **გახედნილიაო** (ს. ხატისოფელი). როცა ხარი კარგად ვერ გაწევდა **ხარო გამაიშიო** ეტყოდნენ (დიდი დმანისი). თუ ხარი ზიგზავად მიდიოდა, შესძახებენ **ზედაო** (ს. წერაქვი).

რამდენიმე უღლით ხენის დაწყების წინ, ერთი უღლის მეორეზე შებმისას იტყვიან: **დავაშველეთო** (დიდი გომარეთი) || **საყევარი**

**ჩაუდეო** (ს. წერაქვი).

მამული, რომელსაც ორი გლეხი ამუშავებდა, **საზიარო || სანახევრო** იყო. რიგით ხენას **ალო** ჰქვია (ს. წერაქვი) ქვეში, დიდი გომარეთი). „დღეს ჩემი **ალო** მოგხნათ, ხვალ შენი **ალოო**“ (ს. წერაქვი). „მხენელები **სისხანდილით || რიურაუზე || მამლიყიულზე** გავდიოდით, მიწის დამუშავებას ხუთშაბათობით ვიწყებთ, ხუთშაბათი დალოცვილი დღეა“ (ს. წერაქვი, ვასილ ბურნაძე).

ხენისას ორი თითოხარიანი გლეხის შეამხანაგებაზე იტყვიან **ამგალათ** არიანო, ქვემო ქართლის ზოგიერთ რაიონში მას **ულამსაც** (დ. წყნეთი) უწოდებენ. სახნავ-სათესი იარაღების მომზადებას და გუთანში შებმას **გუთნის გაბმა** ჰქვია (ს. წერაქვი). ხენის დაწყებაზე იტყვიან, „**გუთანი გავიტანეთო**“. გუთნის გაბმისას აცხობდნენ **ხმიადებს**. ხენის დაწყებისას სანთლებს უნთებდნენ რქებზე და შუბლზე კვერცხს ახლიდნენ.

გუთნით გაღარულ მიწას **კვალი** (დიდი გომარეთი) || **ნალარი** (ს. წერაქვი) ჰქვია. სოფ. წერაქვში **კვალი** არის მოუხნავ ადგილში რომ მიდის გუთანი. **მამულის დაკვალვა** პირველი კვალის გატანაა. მოუხნავი კვალის დარჩენას **წიწილა** (დიდი დმანისი, წერაქვი) || **რცხალი** (დიდი გომარეთი) || **ხაროზი** (ს. ახალდაბა, დ. წყნეთი) || **ხარიოზი** (დიდი დმანისი, ქვეში, ხატისოფელი) ჰქვია. ხენის დროს, კვალში **შროშინი** (შავი, მოყავისფროწინწკლებიანი ჩიტია) ტრიალებს და ჭია-ლუებს ეძებს. ხარების გარეკვას სახნავად **გაჯვარდნას** ეძახიან. ხარებს 3-4 შემოვლის შემდეგ ასვენებდნენ. ხარების პირველი შესვენებისას იტყვიან: ერთი **სასვენი** მოგხანი, მეორე შესვენების შემდეგ **ორი სასვენი** მოგხანი და ა. შ. თუ ხარი კვალში დგას და არ ეწევა, ამბობენ: „ველს გაუჯვარდიო, რომ ნაპირს წაიღოს“ (ს. წერაქვი, ვასილ ბურნაძე).

თუ ერთი ხარი სუსტია და არ ეწევა, მაშინ „ველზე გადაუშვებდნენ“ ადგილს გადაუნაცვლებენ ხოლმე, ამას **გადანაცვლა** ჰქვია, ტოლს დაუდებენ ძლიერ ხარს.

მამული შეიძლება იყოს **ღრმად** და **პირად** მოხნული. ღრმად მოხნულს **ძირეულად მოხნულს** უწოდებენ, პირად მოხნულს — **ზერეულად მოხნულს**. ხენის დროს თუ კვალი მოუხნავი დარჩა, ასეთი მამული **ხავრეზიანია**. ხენის დროს ხარების მოსაბრუნებელ ადგილს **საქციევი** ეწოდება.

თესლი მთესველს **ფართუკში** (ს. წერაქვი) || **ფესტამალში** (ს. განთიადი) უყრია ერთი ჩანახისტოლა და ხელით თესავს. მთესველს უკან მიჰყვება „თესლის პირის დამჭერი“ (ს. ვარდისუბანი) **მეშოკ-**



**მოკიდებული**, როგორც კი გამოელევა თესლი მთესველს მაშინვე უყრია, რომ არ მოცდენილიყო. ერთ ჯერზე გატანილ ნათესს **ერთ-ნელი** || **ფრთა** ჰქვია. „ერთი ფრთა გავიტანეთ“ (ს. წერაქვი, ლუკა ბურნაძე).

უწესრიგო, მეჩხერ ნათესზე იტყვიან: თესლი **აცილებულიაო, გალაცებულიაო**. „ასეთი მამული **მო ცდა, გალაცებულია**“ (ს. წერაქვი, ლუკა ბურნაძე). თესვის დროს დარჩენილ ადგილს **უმი** ეწოდება. უხეიროდ დათესილი ყანა **თხელია**, ღონიერ მიწაში დათესილი **ხშირია**. ხშირ ნათესს, სადაც ეკლები იყო, **ჩეკით** მარგლიდნენ და ამ დროს იტყოდნენ: **ჩეკი მოიდაო**. ქვემო ქართლში სამარგლ-საფხვიერებელი იარაღებიდან ეთნოგრაფიულ ყოფაში გარდა ჩეკისა, გამოიყენებოდა **შალთა** და **ბარულა**. **შალთას** ნივრისა და ხახვის სამარგლად ხმარობდნენ, ოთხკუთხა პატარა ბრტყელი პირი აქვს (რკინისგანაა დამზადებული), ხოლო **ბარულას** ძირხვევნების ამოსადებად. მას პირი მოკაუჭებული || მოკაული აქვს და სამკუთხედი ფორმისაა.

ფარცხვას **დაფარვას** უწოდებენ. თუ თესლი მიწის ზემოთ დასაფარებელი დარჩა, ამბობენ: თესლი სუ ჩაამო (დიდი გომარეთი) || ჩიტის წილ დარჩაო (ს. ვარდისუბანი).

გაზაფხულზევე, თესვის დამთავრების შემდეგ, სამხთოდ ციკანს კლავდნენ ელიაზე სეტყვისა და გვალვისაგან ყანის დაცვის მიზნით.

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია კუთხური მიწათმოქმედების ლექსიკის მდიდარ ფონდს შეადგენს (გოგატიშვილი, 2002). იგი მოიცავს დღემდე გამოუვლენელ საკუთრივ ქვემოქართულ სიტყვებსა და იდიომურ ერთეულებს, რაც კუთხური ლექსიკის საუნჯეა და განუზომელი მნიშვნელობა აქვს კილო-თქმათა მდიდარი ენობრივი საგანძურისა და ენის ისტორიის შესწავლისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენ მიერ ველად მოპოვებულ ისეთ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკა როგორცაა: **არალდი, აწურთხული, გოგორები, გაზეპილი, გათქლენილი, დუბი, დლიური, დედაუდელი, თალას გამოდება, თესლი პირის დამჭერი, გრძელმიწა, ერთხელი, ვიო, კავი, კუნცხი, ნამდილი, ნადარი, ნაჩქიფი, სამბადი, საქცევი, საწმინდარი, ტოლის დადება, ულამი, უმი, უბე, უდლის თათი, პეროტკა (← პერიოდკა (რუს.), ფამფალაკი, ფესტამალი, ტყეკაფა, ნაყელარი, ქალაფა, ღვედ-იარალი, რცხალი, ჭორტი, წიწილა, წარაფი, ყალთადი, შალთა, ღირღიტის ხარი, ხარაზანი, ხარგალა, წანაგვედი, პირალმა, ჰაჯათი** და სხვა.

ლიტერატურა

**ბაბუნაშვილი, 1950** — ე. ბაბუნაშვილი, პურეულის ტერმინები სოფ. ბიწმენდის მეტყველების მიხედვით, „თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, V, თბ., 1950.

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961** — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თსუ, 1961.

**გოგატიშვილი, 1981** — გ. გოგატიშვილი, სამეურნეო ყოფის ამსახველი ლექსიკა ქართული ენის ფშაურ დიალექტში (მემინდვრეობის, პურეულისა და მარცვლოვან-პარკოსან კულტურათა ლექსიკა). ისტორიის აქტუალური საკითხები, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I. 1981.

**გოგატიშვილი, 1988** — გ. გოგატიშვილი, დიალექტური ლექსიკის სემანტიკური სტრუქტურის ნაირგვარობა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1988.

**კაიშაური, 1967** — ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967.

**ორბელიანი, 1991-1993** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II, თბ., 1991-1993.

**სააკაძე, 2002** — ნ. სააკაძე, ქვემოქართლის ლექსიკის დარგობრივად შესწავლის მნიშვნელობისათვის, თბ., „ენათმეცნიერების საკითხები“, II, 2002.

**სარჯველაძე, 2001** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.

**ფენრიხი, სარჯველაძე, 2000** — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

**ქავთარაძე, 1985** — ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

**ქეგლ, 1960, 1990** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1960, 1990.

**ღლონტი, 1984** — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

**ჩუბინაშვილი, 1961** — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

**ჰაჯიევი, ნასიბოვი, 1997** — ვ. ჰაჯიევი, ნ. ნასიბოვი, აზერბაიჯანულ-ქართული და ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი, ბაქო, 1997.

**Agricultural Vocabulary in Low Kartlian**

## Summary

Agriculture and field husbandry are the main branches of economy in Low Kartli. However, the rich Low Kartlian vocabulary connected with these branches has not been linguistically studied up to now. The paper stresses the importance of investigating Low Kartlian, one of the accents of the Kartlian dialect — the basic source of Standard Georgian. The population in Low Kartli is mixed that is reflected in the lexical and semantic peculiarities of the accent. The paper analyses and classifies the vocabulary of agriculture collected in Low Kartli.

ინზა ბეზია

**ნიდაგის აღმნიშვნელი ლექსიკა მებრუნო**

ქართული სამიწათმოქმედო ტერმინ **ნიდაგის** შესატყვისი მებრუნოში არა გვაქვს. ამგვარივე ჟღერადობის, მაგრამ სხვა (საბას განმარტებით „მარდის“) მნიშვნელობის მქონე ლექსემას, რომელიც სპარსულ ნასესხობად მიიჩნევა (ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 349) მასთან არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ამგვარი სემანტიკური გადაწევა წარმოუდგენელია.

**მიწას** მეგრულად **დიხა** ჰქვია და მისი ფარდი ქართულში გვაქვს **თიხა**-ს სახით. საყანე მიწას მეგრელები **ოცვანე // ოცვანე არდგილს, ოცვანე ნოჭკერს** („საყანე ნაკვეთს“) ეძახიან. ტერმინები დანიშნულების სახელითა და ამ სახელისაგან შემდგარი სინტაგმებითაა წარმოდგენილი. **ოცვანე** ზედმიწევნით „საყანეს“ ნიშნავს.

ყანას მეგრულში გააჩნია კანონზომიერი შესატყვისი ცონა და მისგან მომდინარე **ცვანა**. ცონა ფორმა ჩვენ მიერ იქნა ჩაწერილი სოფ. სახარბედლოში (ბეზია, 2001, გვ. 34). **ცონა** დღემდის ლაზურის ხოფურ კილოშიცაა შემონახული. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მეგრულის სენაკური კილოს [ო] ზუგდიდურ-სამურზაყანულში [ვა] კომპლექსს გვაძლევს (ქორა-ქვარა, გორა-გვალა...), ცხადი გახდება **ცვანა** ფორმის წარმოშობის მიზეზი.

მდებარეობის მიხედვით მიწა ორგვარია: **რზენი** ვაკეს, ბარს, დაბლობს ნიშნავს (ყიფშიძე, 1914, გვ. 509). ეს სიტყვა ზოგან უსონორო **ზენი** ფორმითაც იხმარება (ჭარაია, 1997, გვ. 67). ეთნოგრაფ ჯ. რუხაძის მონაცემებით წყლისპირა ვაკე ადგილის სახელად მეგრულში გვაქვს შემდეგი სიტყვები: **მერე // მელე // ოლებე // რზენი // ტებ // ჭალ // დობერა** და **ოხო ჭური** (რუხაძე, 1976, 13). მაგრამ აქ ჩამოთვლილი ტერმინები სემანტიკურად და ეტიმოლოგიურად საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

**დობერა** ძველთაძველი ლექსიკური ერთეულია. ის სუბსტრატული დანალექის სახით გურულშია დადასტურებული. დობერა ნიდაგის სახელია, ხოლო **დობერი** „ვაკე ადგილი, სადაც ხეებია აშვე-

ბული“ (დლონტი, 1984, 209).

ეს სიტყვა ეთნოგრაფებთან და ლექსიკოგრაფებთან სხვადასხვა, მაგრამ მსგავსი სემანტიკით გვხვდება. პ. ჭარაიას განმარტებით **დობერა** არის „ვაკე, მაგრამ ცოტა მომადლო ადგილი“ (ჭარაია, 1997, გვ. 59). ლექსიკოგრაფი ამ სიტყვას უკავშირებს სულხან-საბას „სიტყვის კონა“-ში დაბალ ადგილად განმარტებულ სიტყვას „დუბე“ (საბა, 1991, გვ. 226).

გ. ჩიტაია დობერას განმარტავს, როგორც მთისწინა ზოლის ნიადაგს (ჩიტაია, 1952, გვ. 79-100). დ. ფიფიაც მიუთითებს, რომ **დობერა** ნიშნავს „ბარს“ (ფიფია, 1999, გვ. 17). ბ. კილანავასეული განმარტებით დობერას მალა ბალახიან ყანას ეტყვიან (კილანავა, 1998, გვ. 7). დობერა ადრე ნიადაგის სახეობას კი არა, ზოგადად ყანის აღმნიშვნელი რომ იყო, კარგად ჩანს ოიკონიმიდან **\*დიდ დობერა > დიდობერა**, ხოლო ის, რომ ბარს არ ნიშნავდა — ოიკონიმიდან **დობერაზენი**, რადგან ამ უკანასკნელში დაცულია ვაკის აღმნიშვნელი **რზენ || ზენი**. ნიშანდობლივია ისიც, რომ გ. ჯალაბაძის განმარტებით მეგრულში **დობერა** ნიშნავდა **მალლობს** (ჯალაბაძე, 1979, 32).

ქვიანი ადგილია **ქვალონი**, მას **ხოროშიც, კეჭეხიც, კაწარიც, დვანაც, კაჟონაც, კვეცხაც** ჰქვია (რუხაძე, 1964, 13).

**კაჟონა** კაჟნარს ნიშნავს მეგრულად, ხოლო **კენჭონა** — კენჭნარს. ტერმინები ნაწარმოებია **კაჟ-** და **კენჭ-** ფორმებიდან მეგრული კრებითობის აღმნიშვნელი **-ონ** მორფემით. ქვიანი ადგილის აღსანიშნავად მეგრულში დასტურდება კიდევ ერთი სიტყვა — **ხაბო** (ბებია, 2001, გვ. 12). ეს სიტყვა, მ. კვიციანი მიერ 1936 წელს 96 წლის სიკვდილი შენგელიასაგან ჩაწერილია განმარტებით, ქვა-ლორღს ნიშნავს (კვიციანი, 2001, გვ. 185).

ეს სიტყვა XIX საუკუნის მიწურულის დოკუმენტებშიც დასტურდება. მაგ. ერთ-ერთ დოკუმენტში მოხსენიებულია „სისო, ივა და კოსტა ბასელაიების დატოვებული ადგილი ხაბო სანახია“ (ზუგდ. მუზეუმ. დოკ. 3413).

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ტერმინი (**ხაბო**) დასტურდება იმე-რულ დიალექტში და „მდინარის ნაპირს“ ნიშნავს (დლონტი, 1984, გვ. 735).

მდინარისპირა ნოყიერ, მოლექილ ადგილს ერთ-ერთი წყაროს მიხედვით **ნოლა** ჰქვია (გეგეშიძე, 1987, გვ. 46), მეორეს მიხედვით კი

— **ნოდე** (რუხაძე, 1976, გვ. 13). პირველი ქართული ჩანს, მეორე, კი მისი კანონზომიერი მეგრული შესატყვისი. ეს ტერმინი დასტურდება ძველ ქართულში **ნოყას** სახით, სადაც „ლიას, საფლობს“ ნიშნავს (საბა, 1991, გვ. 597). გვხვდება ქართული ენის დასავლურ მიკროსისტემებში. გურულში „ხევს, დელეს, ჭაობს“ ნიშნავს, ხოლო იმერულში „დაბალ, სილიან, მსუქან ადგილს, სადაც კარგი მოსავალი იცის“ (დლონტი, 1984, გვ. 423). წყლისპირა ადგილის აღმნიშვნელია აგრეთვე **ოლებე ტებე / ტებე** და **ჭალე** (რუხაძე, 1976, 13).

**ნიადაგის** ერთ-ერთ სახეობას მეგრულში **დიხაჭუბერი** ჰქვია.

ი. ყიფშიძის განმარტებით დიხაჭუბერი ეწოდება „თეთრ მიწას, რომელსაც თავის დასაბანად ხმარობენ“ (ყიფშიძე, 1914, გვ. 227). ტერმინი კომპოზიტივითაა წარმოდგენილი: **დიხა** მეგრული მიწაა, **ჭუბერი** კი **ჭაბუ-ს** („წებო“) უნდა უკავშირდებოდეს.

მოსავლიანობით არცთუ გამოჩენილ მიწას თხინასაც უწოდებენ და დიხინესაც (რუხაძე, 1976, გვ. 14). ცუდმოსავლიან მიწას მეგრულში ჰქვია ფური, ფაქარი, ფატარი, ნარსილ / ნარცილ / მირციუ / ნოყუნე (რუხაძე, 1964, გვ. 14).

მალაღმთიან სოფელ ჩქვალერში ჩავიწერეთ ამ უკანასკნელი ტერმინის ვარიანტი ნოყონი, რომელიც განგვიმარტეს, როგორც ნაყანევი. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სენაკურ კილოში დაცული **ცონა** არის ქართული **ყანა** სიტყვის ზუსტი შესატყვისი. ამიტომ **ნოყონის** ის განმარტება, რომელიც ჩქვალერში ჩავიწერეთ, ზუსტი ჩანს.

უნაყოფო მიწის აღსანიშნავი **ჩქვალა** სიტყვა გვაქვს მეგრულში. ერთ-ერთმა ჩვენმა ინფორმატორმა ამ სიტყვას დაუკავშირა სოფლის სახელწოდება **ჩქვალერი** (ბებია, 2001, გვ. 22).

ანარკიაში (ანაკლიაში), დღვამში, ყულევში, ფიჩორში, განმუხურში, ერგეტაში, ოტობაიაში და რამდენიმე სოფელში **ლიბუ** (რბილი), **ცვალცალი** (ყველის მაგვარ) მიწის ნაკვეთებს არ ხნავდნენ, კავს არ აკარებდნენ (**ოგაფა უკნონჭაფუ** ზედმიწევნით „კავმიუკარებელს“ ნიშნავს). მასზე მოუხნავად ყრიდნენ თესლს და ამიტომაც უწოდებდნენ **უხონუე ცვანა-ს**, რაც „მოუხნავ ყანას“ ნიშნავს (ბებია, 2001, გვ. 19).

სწორედ ამგვარი თესვის პროცესი აქვს აღწერილი ჟან შარდენს, რომელმაც 1672 წელს იმოგზაურა ჩვენ ქვეყანაში. „სამეგრელოში ნიადაგები ისეთი სველია, — წერს იგი — რომ ხორბლისა და ქერის

თესვისას მიწას სრულიად არ ამუშავებენ, რათა იგი მეტისმეტად არ დარბილდეს. მარცვლეულს აბნევენ მიწის ზედაპირზე. ამ წესით დათესილი იგი მშვენიერად ამოდის (შარდენი, 1975, გვ. 111-112).

ლურჯ თიხნარს, უმეტესწილად წყლიანი ნიადაგის ქვედა ფენა წარმოადგენს (ზედა, ტალახიანი ფენა, მეგრ. **ტუორტყო**), **ლები** ჰქვია. სულხან-საბა ერთგან წერს: „არჯსპი სომხურია, ქართულად მიწალები ჰქვიათ შესაღებავი“. ი. ჯავახიშვილის აზრით, „მიწალები ძველი ქართული ტერმინია და ორი ნაწილისაგან მიწისა და ლები-სგან შედგება, რომელთაგან მეორე ლურჯსა ნიშნავდა (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 134).

ყამირი მიწის აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს მიმღეობური წარ-მოშობის **უგუტახე** („გაუტეხავი“) და **უხე**, გარდა ამ ორი ტერ-მინისა, მეგრულში ყამირის ფარდ კიდევ ერთ სიტყვას იმოწმებს ივ. ჯავახიშვილი, ესაა **კაბეტი** (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 138). ამგვარი მნიშვნელობით ეს სიტყვა დღეს მეგრულში არ დასტურდება, მაგრამ დაცულია ქართულის დასავლურ კილოებში (იმერულში, ლეჩხუმურ-ში, რაჭულში), რომლებსაც სუბსტრატული დანალექის სახით არაერთი ზანური სიტყვა შემოუნახავს.

**კაბეტი** მეგრულში „დიდს“ ნიშნავს. მას ყამირის მნიშვნელობა სემანტიკური გადაწევის გზით უნდა შეეძინა. თავდაპირველად ის დიდი ყამირის აღმნიშვნელი ტერმინის მსაზღვრელი უნდა ყოფილიყო, შემდეგ საზღვრულის ჩავარდნით დასრულდა მისი ტერმინოლო-გიზაციის პროცესი და ამ ფორმით იმერულსა და სხვა კილოებში დაილექა სუბსტრატის სახით.

ფშენად ფიქალ ქვას, რომელსაც ნიადაგის გასანოყიერებლად იყენებენ, **სანგუ** ჰქვია (კვირტია, 2001, გვ. 185). მიწის გასანაყოფიერებლად გამოიყენებოდა ფენებად შლადი, ლეგა ფერის ნიადაგი, მას **ტკელი // ტკილი** ჰქვია.

მოსავალ აღებულ ადგილს **ნაჩალუ // ნაჩალე** ჰქვია, რაც სიტყ-ვასიტყვით „ნაცელავს“ ნიშნავს (როგავა, 1960, გვ. 104). მოშიშვლე-ბულ მინდორს **ტიოზი / ტილოზის** ეძახიან.

საყანედ (**ოცვანეთ // ოცვანუთ**) სათესად (**ოთასალო**) ტყის ან ბუჩქნარ-ბარდნარის (**ძიგირიშ**) აკაფვას **ჰვარუა // ეჰვარუა // გოჰ-ვარუა** ერქვა.

მიწის საყანედ დასამუშავებლად საჭირო იყო მისი დამუშავება და განოყიერება. მიწის განოყიერება ხდებოდა სხვადასხვა საშუალებ-

ბით. გამოფიტულ მიწას **ხენტკეც** ჰქვია, **აძამი დიხაც** და უფონდიკე **დიხაც**. ასეთ მიწას **ლექინ დიხასაც** ეძახიან, **ქექე დიხასაც** („მსუბუქი მიწა“) და **არგატსაც**.

მიწის გამოფიტვის საწინააღმდეგო საშუალება იყო მისი ხელოვ-ნური განოყიერება. განუწყვეტლივ გამოყენება მიწას ფიტავს, ღლის (**შულიდუნს**), ამიტომ ამგვარ საყანეს ორ-სამ წელიწადს დაასვე-ნებდნენ (**ოსვანჯუნდეს**). დასვენებულ მიწას უხუნას უწოდებდნენ (ჯალაბაძე, 1979, გვ. 6). ის ისევ ნოყიერი ხდებოდა. ასეთი გზით მხოლოდ დიდ საყანე მიწებს უვლიდნენ. საბოსტნე მიწის განაყოფიერება ხდებოდა ნაკელით. ნაკელს მეგრულად **წვერე** ჰქვია. ბოსტანში გამოიყენებოდა და დღესაც იყენებენ აგრეთვე **ჟიფას**, წყალში გახსნილ ნაკელს.

მიწის განოყიერება იცოდნენ **ტკილითაც**. ტკილი ქვიშანარე, ადვილადშლად (ქვიშანარე) მიწას, ნესტიან ადგილს ჰქვია მეგრულად. ტკილით განოყიერებულ მიწის ნაკვეთს კი — **ტკილ-დგნარღვეფი** (ტკილნაყარი). მიწის გასანოყიერებლად გამოიყენე-ბოდა აგრეთვე ლეკი.

მიწის გასანოყიერებლად სიმინდებს შორის თესავდნენ ლების (ლობიოს) და მუხუდოს (სოიოს). რწყვა სამეგრელოში ნაკლებად, მაგრამ მაინც გამოიყენებოდა და მას **წყარუა** ჰქვია.

ნიადაგებისა და მათი საყანედ დამუშავებასთან დაკავშირებული ლექსიკის ნაირგვარობა მიწის ადგილმდებარეობით, მოსავლიანობის ხარისხითაა განსაზღვრული.

#### ლიტერატურა

**ანდრონიკაშვილი, 1966** — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.

**ბებია, 2001** — ი. ბებია, სავლე დღიურები, 2001.

**გეგეშიძე, 1987** — მ. გეგეშიძე, ჰიდრონომიული წარმოშობის ქართული ტოპონიმები, კრ. „ონომასტიკა“, თბ. 1987.

**კვირტია, 2001** — მ. კვირტია, კვიმატი, თბ., 2001.

**კილანავა, 1998** — ბ. კილანავა, 900 მეგრული სიტყვა. მასალები ლექსიკონებისათვის, 1998.

**რუხაძე, 1964** — ჯ. რუხაძე, სიმინდის კულტურა დასავლეთ საქართველოში, კრებული „ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და

მატერიალური კულტურა“, თბ., 1964.

**რუხაძე, 1976** — ჯ. რუხაძე, ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976.

**როგავა, 1960** — გ. როგავა, ბგერათმეცნიერებისათვის ქართველურ ენებში, იკე XII, თბ., 1960.

**საბა, 1991** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.

**ფიფია, 1999** — დ. ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები, თბ. 1999.

**ყიფშიძე, 1914** — È. Èèìøèàçà, Āðàììòðèèè ìèřðãèüññèřãř (èããðñèřãř) ýçùèà, 1914.

**შარდენი, 1975** — ჟან შარდენი მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, 1975.

**ჩიტაია, 1952** — Ā. ×èðàèÿ, çãïëřããëü÷ãñèèã ñèñðãìù è ìãðìòíúã ìðòãèÿ Āðñçèè. Āñðññù ÿðñãðòèè Èàãèèçà, Õã., 1952.

**ჭარაია, 1997** — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

**ჯავახიშვილი, 1986** — ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია წ. II (თხზულებანი ტ. V, თბ., 1986).

**ჯალაბაძე, 1979** — გ. ჯალაბაძე, მემინდვრობის კულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1979.

## INGA BEBIA

### The Megrelian Vocabulary of Agriculture

#### Summary

The paper focuses on the Megrelian vocabulary reflecting agriculture. The Megrelian lexical units are analysed within the framework of common Kartvelian forms. Firstly, the Megrelian microsystem is compared with the corresponding West Georgian microsystems. The data is analysed structurally and morphologically. The comparative study has made it possible to single out a group of borrowings from other dialects.

## გზაზე გოგათიშვილი

### სამეურნეო ყოფის ამსახველი ლექსიკა ქართული ენის ფზაურ დიალექტში

(შეზა და ცეცხლი)

**I. წინასწარი განმარტებანი.** ფშაური დიალექტის ლექსიკა ძალზე მრავალფეროვანია, რაც განსაკუთრებით ადგილობრივ მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობისა და ყოფის, სოციალურ ურთიერთობათა თუ ადამიანის ხასიათ-თვისებების და, აგრეთვე, საწესჩვეულებო რიტუალების ასახვის დროს იჩენს თავს.

ისტორიული დიალექტოლოგიისათვის აუცილებელია დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიის მიერ ამჟამად მოპოვებულ დიალექტურ ლექსიკურ მონაცემთა ქრონოლოგიური კორექტირებისა და სემანტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინება (ბოგატოვა, დერიაგინი, რომანოვა, 1982, გვ. 34), რაც ლექსიკური ღირებულების სრულყოფილი დადგენისა და დეტერმინაციის საშუალებას იძლევა. ამდენად, საშურია, რომ დროულად და სრულად იქნეს გამოვლენილი ქართული ენის ყველა დიალექტის ლექსიკური მონაცემები, რაც ამა თუ იმ დიალექტურ არეალში მცხოვრებთა ყოველდღიურ საქმიანობასა და ყოფასთან არის დაკავშირებული.

საერთოენობრივი ლექსიკური ფონდისათვის ფასეულია როგორც ძველი ქართული ენის ლექსიკური ფორმები, ასევე ახალი, განსხვავებული ლექსიკური ერთეულები, რაც კუთხური ლექსიკის საუნჯეს შეადგენს. სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კუთხური ლექსიკისა და საერთოენობრივი ლექსიკის მიმართება-სუბორდინაციის საკითხი. განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტური ლექსიკის ის ელემენტები, რაც ასახულია ამა თუ იმ კუთხის ხალხის სამეურნეო საქმიანობის, ყოფითი მოვლენების, სოციალური ურთიერთობისა თუ ადამიანის ხასიათ-თვისებების ამსახველ დიალექტურ სალექსიკონო მასალაში. საერთო ენობრივ ლექსიკაში დარგობრივი ლექსიკიდან შედის ის, რაც საერთო მოხმარებისა და ღირებულებისაა და, ამდენად, საინტე-

რესოა მთელი ენობრივი კოლექტივისათვის. რაც შეეხება ამ პრო-  
დუქტთა დასამზადებლად სამეურნეო საქმეში ჩაბმულ პირთა მეტყ-  
ველებას და მათ მიერ შემუშავებულ ტერმინებს, შრომის იარაღებისა  
და სასმელ-საჭმელთა სახელებს და სხვ., — მოსაქმეთა ვიწრო წრეს  
არ სცილდება. ბევრი მათგანი კი ენობრივი თვალსაზრისით ძალზე  
საინტერესოა: თავისი შემადგენლობით იქცევს ყურადღებას და,  
ამასთანავე, პირვანდელ სახეს ამჟღავნებს. ამიტომაც ფშაური ლექსი-  
კა ჩვენ დარგობრივად შევისწავლეთ და ჰიპონიმიურ მიმართებათა  
დადგენით შევეცადეთ, რაც შეიძლება სრულად აგვეწერა ფშავისათ-  
ვის დამახასიათებელი მეურნეობის ყველა დარგი. აღსანიშნავია ისიც,  
რომ მოსახლეთა სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული საქმიანობა  
საქართველოს მთიანეთში მეტ-ნაკლებად ჰგავს ერთმანეთს და, ამდენ-  
ად, მეურნეობის ძირითად დარგებთან დაკავშირებული ლექსიკის  
მიმართება მთის სხვა დიალექტების ამავე დარგების ლექსიკასთან  
დაგვეხმარება გავარკვიოთ, რა არის მათ შორის საერთო და რაა  
საკუთარი ჩვენთვის საინტერესო დიალექტისა.

რა თქმა უნდა, ლექსიკა ჩაკეტილი სისტემა არ არის: „იგი გა-  
ნუწყვეტილად იცვლება დროში, განუწყვეტილად იცვლება მისი კომპო-  
ნენტების ურთიერთდამოკიდებულება“ (ფოჩხუა, 1970, გვ. 234).  
ამიტომ ენობრივი საუნჯის — კილოური მეტყველების აუწყავი მარა-  
გის აბსოლუტური გამოვლენა-აღნუსხვა პრაქტიკულად მიუღწეველია  
სიტყვათა მნიშვნელობებისა და საერთოდ დიალექტური თუ საერ-  
თენობრივი ლექსიკური ფონდის მუდმივი ევოლუციის გამო. ამდენ-  
ად, **მდიდარი ენობრივი საუნჯე — დიალექტური ლექსიკა მუდ-  
მივი დაკვირვებისა და საფუძვლიანი კვლევა-ძიების საგანი არის  
და იქნება თავისი ევოლუციური ბუნების გამო.**

თვით დიალექტური ლექსიკის სრულად წარმოჩენისა და საფუძ-  
ვლიანი ანალიზის მიზნით მისი დარგობრივად შესწავლისა და სე-  
მანტიკური ბუნების მიხედვით გამოვლენის უპირატესობა სხვა მე-  
თოდებთან შედარებით უკვე დადგენილია (ჭინჭარაული, 1960, გვ.  
193). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მეურნეობის ამა თუ იმ  
დარგთან და ხალხის ყოფით მოვლენებთან დაკავშირებული რიტუა-  
ლების თანმიმდევრული შესწავლა და აღწერა. ასეთი აღწერის საშუ-  
ალებით გამოვლენილი მასალა უფრო მისაწვდომი და გასაგებია,  
ამავე დროს ეთნოგრაფიულადაც ფასეულია და, რაც მთავარია,  
სხვადასხვა დიალექტური წრიდან მომდინარე ლექსიკური მარაგის  
ურთიერთობაზე, მათ შორის იდენტურისა და განსხვავებულის ხა-  
რისხის შესახებ დამაჯერებელი მოსაზრებების გამოთქმის საფუძველს

გვაძლევს.

ფშაური დარგობრივი ლექსიკის ნიმუშებისადმი ყურადღება და  
გულმოდგინება არ დაგვიკლია წლების მანძილზე არაგვისა თუ ივრის  
ხეობის ფშავის ცალკეულ სოფლებში უბან-უბან, ხევ-ხევ თუ შარა-  
შარა წელიწადის სხვადასხვა დროს ნებისმიერ ამინდში ჩატარებული  
გამოწვლილვითი მუშაობის დროს, იქნებოდა ეს მეცხვარეთა ბინები,  
სამთოები, კარისპირტულები, საძოვრები, სათიბები, კალოები, ხატობე-  
ბი თუ სხვადასხვა საწესჩვეულებო რიტუალები.

**II. ლექსემათა რეგიონულ-სემანტიკური კლასიფიკაცია.** მოპო-  
ვებული მდიდარი დიალექტური დარგობრივი ლექსიკური მასალის  
ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ კუთხურ სიტყვათა მნი-  
შვნელობების ინტერპრეტაცია მოვახდინოთ სემანტიკური ბუნების  
მიხედვით არა მხოლოდ სემანტიკური ველის დონეზე, არამედ ამ  
ველში შემავალი საკუთრივ წევრების დონეზე დეტალური ანალიზის  
შედეგად დამატებითი მნიშვნელობების გამოვლენა-ფიქსაციით და  
კლასიფიკაციის საშუალებით იმდენად, რამდენადაც „სემანტიკური  
ველის ექსტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე ამ ველში შემავალი  
სიტყვებისა, მაგრამ ერთ სემანტიკურ ველში შემავალი სიტყვების  
ინტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე თვითონ სემანტიკური ველისა“  
(ნებიერიძე, 1990, გვ. 225). ყოველივე ეს კი ჰიპონიმიური მიმართე-  
ბის: ნაკლები ექსტენსიონალის მქონე დიალექტური ლექსემების გა-  
მოვლენას გულისხმობს მოცემული სემანტიკური ველის ფარგლებში.  
მაგალითად, შდრ.: 1. **თივა** — ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა, იგივე  
კლასი (სემანტიკური ველი) და მისი სუბორდინაციული მიმართებანი  
— კერძო მნიშვნელობის მქონე სიტყვები (წევრები, ერთეულები):  
**ნაწირი, ტვირთი, კირჩხა, სარი, ზვინი || საგორე || ჭავლი** (იხ.  
თივის ლექსიკა); 2. **ტუმი** — უქვო, ნოყიერი, კარგი მიწა — სემან-  
ტიკური ველი (იგივე კლასი) და მისი ჰიპონიმიური მიმართებანი  
(წევრები): **ნამსუქნი, მადლიანი, ნაზროხალი** (← **ნაძროხალი**),  
**ველნაქნარი, ნამპლიანი, დედიან მიწა, გულის მამული || გულის  
მიწა, შადლებული მამული** (იხ. მიწათმოქმედების ლექსიკა) და სხვ.  
შდრ. ასევე შეშისა და ცეცხლის ლექსიკიდან: 1. **ხე** — კლასი (სე-  
მანტიკური ველი) და მისი სუბორდინაციული მიმართებანი (წევრები,  
ერთეულები); **ბოჯოლა, ბოჯოჯლი || ბოჯოჯლა, გამოკოკრვილი, გა-  
მოჩირთული, დაჭრეხილი, ზენმელი, კორჩხლიანი, მდგმოიარე,  
ნაყვერი, ჭიჭგი, ჭლანჯლი; შეშა** — სემანტიკური ველი (კლასი) და  
მისი ჰიპონიმიური მიმართებანი: **მორი, მჭკნარი, ნათოსი, ნაკოლა-  
ლა, ნარიყი, ნაწვერალა, ნავეჩი, ნიგზური, სათაურა || სათაურა** ,

## საგარე შეშა, პლახი || ნაჩევი, ძელა, ყუნჭი, ჩირები...

შეშისა და ცეცხლის აღმნიშვნელ ფშაურ დარგობრივ ლექსიკაში შემონახულია მრავალი სიტყვა, რომელიც დღესაც დამახასიათებელია ადგილობრივი მეტყველებისათვის, სპეციალურ ლექსიკონებშიც არის შეტანილი და მართებულად განმარტებული. ასეთებია: **აჩინხორება** — აკოკოლაგება, ახორხლვა, ახურხულაგება, ერთერთზე შეყრა; **აჩინხორილი** — ერთმანეთში ჩახლართული და გაბარდული წვრილი ტოტები; **ბოჯოლა** || **ბოჩოლა** — პატარა ბუჩქი, ბუჩქის მსგავსად დატოტვილი ხე; **ბოჯოჯი** || **ბოჯოჯა** — ბორჯი, დატოტვილი, მრვალტოტიანი ხე; **ბუკუკა** — მუმლი, ქინქლი ან მასავით პატარა კოლო; **ბურჯღუმი** — ნაპერწკალთ გროვა; **დართვა** || **შართვა** — შეკეთება შეშისა, დამატება; **კირცხილა** — რცხილა; **ნაღვერდალი** — ნაკვერჩხალი; **ნარიყი** — მდინარის მიერ მოხერგილი შეშა; **ნიგზური** ცეცხლმოკიდებული შეშა, მუგუზალი; **ურძანა** — ჯაგისმავარი მცენარე; შდრ. ასევე: **ჩაწიება**, **ჩიხრიხი**, **ჩრაქვი**, **ჩხასტი**, **წინწელი** || **წინწკალი**.

მრავალი ლექსიკური ერთეული მნიშვნელობის მხრივ საერთოა სხვა დიალექტებთან. მაგალითად: **დართვა** (მთიულ.) — შეშის შეკეთება, დამატება. ასევე ფშაურშიც; **კატაფშატა** ქართლურსა და კახურში ქაცვის სახელია, ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშაურშიც; **პლახი** დახეთქილი ნალოა, დიდი ნაპობი შეშა. ამავე მნიშვნელობით დასტურდება კახურში, მოხეურსა და მთიულურში (შდრ. რუს.: **И́хъдъ**); **სამალდე** (კახ., ქართ., ფშ.) წვრილად დაგრეხილი თოკია; **ყანდი** (ქართლ., რაჭ., ფშ.) ზადი, სიდამპლეა ხისა; **ყაბყატო** || **ყაბყატო** ტყეში, კასრების შესაკრავი ხის ლატანი, სალტეა. ამავე მნიშვნელობით დასტურდება თუშურშიც; **ჩიხრიხი** თოკის საგრეხი ხელსაწყოს სახელია ფშაურსა და თუშურში...

მართალია, ლექსიკონებში შეტანილი სიტყვები სათანადოდაა დახასიათებული, მაგრამ არცთუ იშვიათად არ არის გათვალისწინებული დამატებითი, განსხვავებული ფშაური მნიშვნელობანი და არც სიტყვის ლექსიკური ღირებულება და სემანტიკური პარალელებია სრულყოფილად წარმოდგენილი:

**კორჩხლიანი** ალ. ჭინჭარაულის მიერ შედგენილ ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში და შემდგომ აქედან უკვე ალ. ლლონტის „სიტყვის კონაში“ განმარტებულია, როგორც „ბორჯღლედის, დახლართულ-ტოტებიანი“, გ. ხორნაულის მიერ გამოცემულ „ფშაურ ლექსიკონში“, კი, რომელიც ახლახან გამოიცა, ვკითხულობთ: „გამონაზარდებიანი დიდი კარტოფილი, მიწავაშლა და მისთ.“ ფშაური ლექსიკის დარგო-

ბრივად შესწავლის შედეგად ეს ლექსემა ჩვენ განსხვავებული მნიშვნელობებითაც დავადასტურეთ: **კორჩხლიანი** გამონაზარდებიანი ხის ძირითადი ღეროა, ან ტოტი. აგრეთვე „**კორჩხლიანი** ძლიერ გაღვივებული ნაკვერჩხალია“ (იხ. ქვემოთ), რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ამ ლექსემის სემანტიკური მოცულობის სრულად გამოვლენა.

**ნაგალი** სხვა დიალექტებთან ფორმით ერთნაირი, ხოლო მნიშვნელობით განსხვავებული ლექსიკური ერთეულია. ფშაურის გარდა იგი დასტურდება მოხეურში („ნატანჯი, ბევრი ჭირის მნახველი, გამობრძმედილი“ — ძიძიგური, 1948-1950; ქაჯაია, 1967); ქიზიყურში: „ჩალაბულა, ნალეწი ნამჯა, შამბი და მისთ“. — მენთემაშვილი, 1943); თიანურში: „გახურებული რკინის ფერფლი“ (ქველ); აგრეთვე ქვემოქართლურში: „ფქვილი, რომელსაც მინარეგები მიჰყვება“ (სააკაძე, 2002, გვ. 147); ამასთანავე **ნაგალი** შიგადიალექტური სემანტიკური ნიუანსების შემცველი ლექსემაა. ეს ლექსემა გამოყენებული აქვს ვაჟა-ფშაველას, ხოლო განმარტებული — ა. შანიძეს: „ნათელი, ე. ი. რომელიც გათელეს“. განსხვავებული მნიშვნელობით წარმოგვიდგინა იგი თ. რაზიკაშვილმა და შემდგომ ი. ჭყონიამ: „წყლისაგან გაცვეთილი კლდე, დაგლილი“ („ივერია“, №134, 1900); გ. ხორნაულის მიხედვით, **ნაგალია** „ზვავისაგან ჩამოთელილ-ჩამოლეწილი ტყე; ჩამონგრეული, ჩამოთხრილი ხეები და მორები“ (ხორნაული, 2000, გვ. 167). შემოაღნიშნული მნიშვნელობების გარდა იგი ივრისხეურ ფშაურში დადასტურებული „ნავლი“-ს და არაგვისხეური ფშაური „დაკვლი“-ს სინონიმია: **ნავლი** || **დაკვლი** ნაცარი, ფერფლია. **ნაგალი** კი არა მარტო გახურებული რკინის, არამედ ფქვილის ფერფლიცაა. **ნაგალი** ზედმეტად ნახმარ-გაცვეთილზეც ითქმის (იხ. ქვემოთ).

**ნათოსი** ვაჟა-ფშაველას მიხედვით, „წყლისაგან გამორიყული ხეები, ხის ნამტვრევებია“ (ჭინჭარაული, 1969, გვ. 211). თითქმის იმავე მნიშვნელობით აქვს ფიქსირებული ეს ლექსემა თ. რაზიკაშვილს („ივერია“, №134, 1900) და შემდგომ ი. ჭყონიას: „წყლისაგან გამორიყული ხე“. აღუწესავია ამ სიტყვის დამატებითი მნიშვნელობა. ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემების მიხედვით ეს სიტყვა პოლისემიურია: მდინარის მიერ მოხერგილი შეშა ან ხე-ტყე **ნარიყია**, ხოლო **ნათოსი** არის წყლისა და ზვავის მიერ ტყიდან გამოტანილი ნაგლეჯ-ნაგლეჯი და დამუშავებული შეშა. **ნათოსს** ძველ ტანსაცმელსაც უწოდებენ. „ჩამოხეტულ-ჩამოგლეჯილ ტანსაცმელზე იტყვიან, **ჩამონათოსებულაო**“ (ს. მუქო). ამრიგად, **ნათოსიც** პოლისემიური ლექსიკური ერთეულია ფშაურში.

**ნადერღალა** ხევსურულში პურის ნამუსრეგია (ჭინჭარაული, 1960, გვ. 215), ფშაური დამატებითი მნიშვნელობანი კი აღუნუსხავია. ფშაურში იგი პოლისემანტიკური ერთეულია: 1. ძალზე მსხვილად ნაფქვავი, **სადერღელში** || **სანახორხლეში** (წისქვილის ქვის პირის ადგილი) გადასული და იქ დაგლეჯილ-დაკუწული მარცვლის ნაკუწებია, იგივე **ნახორხალი** || **ნავორჯალი**. 2. ხმელი ხის წვრილი ნაკუწია.

**ქერქი, ღვერა.** **ქერქი** ფშაურში რამდენიმე მნიშვნელობისაა:

1. ცალკეული ხინკლის მოსახვევად გამზადებული, გათხლებული ცომის ნაჭერი. ფშაური დარგობრივი ლექსიკის მონაცემების მიხედვით: „ხინკალს აქვს **ნაოჭები, გული, ქერქი, ყელი, კუჭი**“. 2. ამ ლექსემის მეორე მნიშვნელობა აღუნუსხავია: ხის კანის გარეთა მხარე. „ღვერა ხის აყრილი კანია, მისი შიგნითა მხარე. კანს გარეთა მხარეს აქვს **ქერქი**. ამ აყრილ კანს გარე **ქერქს** აძრობენ, რასაც **ღალაფნვა** ეწოდება“. აღნიშნულის გარდა ასევე პოლისემიურია **ღვერა** (იხ. ქვემოთ; ასევე გოგატიშვილი, 1998, გვ. 51).

**ყუნჭი** ვაჟა-ფშაველას მიხედვით, კუნძი, მოჭრილი ხის ძირია, ანუ მიწის ზემოთ დარჩენილი მისი ნაწილი (ჭინჭარაული, გვ. 1969, 286). ფშაურში ზოგადად **ყუნჭი** დაფუტუროებული კუნძია, შეიძლება დამპალიც იყოს. აქვს განსხვავებული მნიშვნელობაც, რაც ლექსიკონებში აღუნუსხავია: **ყუნჭი** ხის გამხმარ ნაჭერსაც ეწოდება.

**ჭიჭგი** ჯერ კიდევ აღუნუსხავი ლექსიკური ერთეულია, დაბალ, უხეირო ხეს ეწოდება. **ჭიჭგი** უხეირო შეშაცაა.

შემისა და ცეცხლის აღმნიშვნელ ფშაურ დარგობრივ ლექსიკაში გვხვდება აგრეთვე პოლისემანტიკური ლექსიკური ერთეულები სემანტიკური პარალელების გავრცელების დიალექტური არეალის დადგენით:

**კაკაჩუნა** (არაგვისხ. ფშ.) — რკინის მოკაული საგანი, კერის საჩხრეკი; ივრის ხეობის ფშავში **კაკაჩუნა** კავია, რომლითაც მქსოველი „ფარდაგის ქსოვის დროს გარას ა სწევს და და სწევს“. უკანა ფშავში მას **გარაის საყვანელას** უწოდებენ.

**ნაწვერალი.** 1. ხის დამზადებისას ანაჭერ ფიჩხს **ნაწვერალი** ეწოდება. **ნაწვერალი** უკანა ფშავში ტყის გაკაფვის დროს დარჩენილი ხის ნაჭერ-ნაფოტებია. **ნაწვერალს** ხის წვრილი ტოტების შეშასაც უწოდებენ: „შეშა რო გაგვაფეთ, იმას ვეძახით **ნაწვერალსა**“ (ს. უძილაურთა). 2. ივრის ხეობის ფშავში **ნაწვერალი** მკის შემდეგ დარჩენილ ღეროებს ეწოდება (ნაწვერალი ← ნაწუელარი ← წუელი). შლრ.: „წუელი არს ყანის ძირი ვიდრე ცუჟლამდე“ (საბა); ასევე:

„**ნაწუნ ლარი** — ყანის ჩალა მონამკალი“ (საბა).

**ყავარი** არაგვის ხეობის ფშავში არის მკლავის სიმსხო გრძელი ხე (ლატანი), რომლითაც ღობავენ სათივეს და ძროხების ბაკებად იყენებენ ზაფხულში. **ყავარი** თხელი და ვიწრო ფიცრით გადახურვის სახეობაცაა ივრისხეურ ფშაურში (შლრ. საბა: **ყავარი** — თხელი და ვიწრო ფიცარი; ინგლი.: **ყავარი** — ლერწამი, თურქ.: kaval). ამავე ძირისაგან მიღებული ჩანს **გამყავრებული** — კარგად მოსული მსხვილღეროიანი ყანა ან ბალახი და სხვ.

შემისა და ცეცხლის აღმნიშვნელი ფშაური დარგობრივი ლექსიკის სემანტიკური ანალიზის საშუალებით ირკვევა, რომ იგი საკმაო რაოდენობით **შიეცავს ლექსიკურ სინონიმებს, სინონიმურად მონაცვლე ლექსიკურ ვარიანტებს**.

სინონიმთა რეალურობა ენაში ლექსიკოგრაფიული პრაქტიკით არის დადასტურებული. ცნობილია, რომ სინონიმთა ენობრივ ერთეულთა სემანტიკური მიმართების ტიპია და ლექსიკური მასალის საფუძველზეა წარმომდგარი. ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნავად ენას ხშირად მოეპოვება ორი ან რამდენიმე სიტყვა. ამდენად, სინონიმები ერთგვარი საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებია. სინონიმები ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა და „... მათი სიუხვე განაპირობებს ენის ლექსიკური შემადგენლობის მრავალფეროვნებას... მათი სწორი გამოყენება მეტყველებას უდიდეს გამომხატველობით ძალას ანიჭებს და შესაძლებლობას ქმნის ზუსტად და ნათლად გამოვხატოთ აზრისა და გრძნობის უმცირესი ნიუანსები“ (ბაბუნაშვილი, 1959, გვ. 20).

სინონიმთა ყველა ენაში არსებობს და ამდენად, იგი უნივერსალურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება. „თითოეულ ეპოქას სინონიმურ საშუალებათა განსაზღვრული სისტემა შეესაბამება“ (პოლევსკაია, 1967, გვ. 99). სინონიმისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა აქტუალური იყო და არის როგორც ლინგვისტური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ამდენად, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ლექსიკურ სინონიმთა განსაზღვრის ერთიანი მეთოდი. სინონიმური თეორიები ერთმანეთისაგან ძირითადად იმით განსხვავდებიან, ლექსიკურ ერთეულთა თუ რომელი ნიშანია აღებული სინონიმის დადგენის კრიტერიუმად (სილაგაძე, 1981, გვ. 23).

დღეისათვის, ურბანისტული პროცესებისა და ენობრივი ნივთიერების მომძლავრების პერიოდში, ნებისმიერი ენისათვის აქტუალურია ლექსიკურ სინონიმთა და სინონიმურად მონაცვლე ვარიანტების აღ-



წერა და კვლევა, სინონიმურ ლექსიკონთა შედგენა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიალექტურ ლექსიკურ სინონიმთა მიმართების დადგენის თვალსაზრისით საერთოენობრივი ლექსიკური ფონდის მონაცემებთან. **რეგიონულ-სემანტიკური კვლევის ამოცანების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სადღეისოდ ლექსიკური სინონიმია ფშაურში ძირითადად რეგიონულ დაყოფას დაქვემდებარებული და დაუქვემდებარებელი სინონიმური ვარიანტების არსებობით განისაზღვრება.**

შემისა და ცეცხლის აღმნიშვნელ ფშაურ ლექსიკაში ამ მხრივ აღსანიშნავია მონაცვლე სინონიმური ლექსიკური ვარიანტები, რომელთა ლოკალიზაცია ხერხდება რეგიონულ მონაცემთა გათვალისწინებით, გავრცელების განმსაზღვრელი ტერიტორიის — დიალექტური არეალის დადგენით:

**გაკაფვა || გასხვება.** ხეს ტოტებს რომ მოაცლიან, არაგვის ხეობის ფშავში იტყვიან, **გაკაფვო;** ივრის ხეობის ფშავში კი იციან, — **გავსხვებო.**

**დაკვლი || ნავლი.** ნავლი ივრისხეურ ფშაურში ნაცარი, ფერფლია, იგივე **დაკვლი** (არაგვისხეური ფშაური). ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე **ნაგალი**, რაც გახურებული რკინისა და ფქვილის ფერფლსაც აღნიშნავს. **დაკვლი**, საბას მიხედვით, არის „ნაბერწყალი“.

**დონყაზი || ორყაბაზი || ჭინჭიბავი.** დონყაზი არაგვის ხეობის ფშავში ორტოტა საღობი მარგილია, შიგ ლატნებს უდებენ. **დონყაზს** ივრის ხეობის ფშავლები **ორყაბაზს** უწოდებენ, დიდ დონყაზს **ჭინჭიბავი** ჰქვია. „შაკონვილ შემასაც **ჭინჭიბავს** ეძახიან (ს. ჯოშარა).

**კაკაჩუნა, ჩეკი || საჩხრეკი; გრძელ კაკაჩუნა || საჩხრეკელა; მაშა || არცისკანა.**

**კაკაჩუნა** და **ჩეკი** არაგვისხეურ ფშაურში რკინის მოკაული საგანი, ნაკვერჩხლის ასარევი, კერის საჩხრეკია; ივრის ხეობის ფშავში კაკაჩუნას **საჩხრეკი** ეწოდება. **გრძელ კაკაჩუნა** ფურნიდან ნახშირის გამოსაღებად, ივრის ხეობის ფშავში მას **საჩხრეკელას** უწოდებენ.

ცეცხლის საჩხრეკად გამოიყენება **მაშა-ც**, იგივე **არცისკანა**. არეალურ-სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ **არცისკანა** ლექსიკურ ნასესხობათა შრეს მიეკუთვნება. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ გამოწვლილვითი ძიების შედეგად ფშავში დადასტურებული იმავე მნიშვნელობის სხვა ლექსიკური ერთეულების (**კაკაჩუნა || ჩეკი || საჩხრეკი || საჩხრეკელა || მაშა**) პარალელურად მისთვის არამც თუ ძირითად, არამედ

გავრცელების ლატერალურ არეალად ფშავის ვერცერთ რეგიონს ვერ მივიჩნევთ. ამდენად, გამოდის, რომ სამტკიცებელი სავარაუდებლის მნიშვნელობასაც კი კარგავს; თუმცა, იმასაც აღვნიშნავთ, რომ ა. ჭინჭარაულს **არცისკანა** მიჩნეული აქვს ფშაურ ლექსიკურ ერთეულად და საილუსტრაციოდ დამოწმებული აქვს სათანადო ტექსტობრივი მასალა ვაჟა-ფშაველას თხზულებიდან: „თუ მალე აითრება „თარუა“; ხო პატოხანი, თუ არა და გასდგებიან კიდევ „ტურაშნი“ **არცისკანათი**, რკინის ცეცხლის საჩხრეკელით, რომელიც იმის ბატონს ქმარს იქვე გვერდით უძევს“ (ჭინჭარაული, 1969, გვ. 43). **არცისკანა** მოხეურში და ხევსურულშიც დასტურდება (ქაჭაია, 1967, გვ. 378; ჭინჭარაული, 1960, გვ. 260). მთიულურში მისი ფონეტიკური ვარიანტია **ასცისკანა** (კაიშაური, 1967, გვ. 183). ა. შანიძე „მთის კილოთა ლექსიკონში“ მის ხევსურულ სინონიმად **ბორწყალს** მიიჩნევს. ო. თედგევი კი მიუთითებს ამ ლექსემის ოსურ წარმომავლობაზე: **არცისკანა** ოს.: ‘rtysk ‘n „ცეცხლის საჩხრეკელი“ (art — ცეცხლი, ysk ‘n — საჩხრეკელი). ეს სიტყვა ძირეული ფშაური რომ არ არის, ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ, როგორც დამოწმებული საილუსტრაციო მასალიდან ირკვევა, თვით ვაჟა-ფშაველაც საჭიროდ თვლის მის სემანტიკურ დაზუსტებას და იქვე აუცილებელ განმარტებასაც იძლევა.

აღსანიშნავია, რომ ქველ-ში ეს ლექსიკური ერთეული მოხეურად არის მიჩნეული: „იგივეა, რაც მაშა“. ჩვენი ვარაუდით, ოსური წარმომავლობის **არცისკანა** ჯერ მოხეურში უნდა იყოს გავრცელებული, ხოლო შემდეგ ქართული ენის მთის სხვა კილოებში — კერძოდ, ხევსურულსა და მთიულურში, აქედან, დასაშვებია, ფშაურშიც.

**ნახჩევი, ნაჭეჩი || პლახი** შეშის ნაპობია. დახეთქილ ხეს (ნალოს) არაგვის ხეობის ფშავში **ნახჩევი || ნაჭეჩი** ჰქვია, ხოლო ივრის ხეობის ფშავში — **პლახი** (← შდრ. რუს.: Ĭěã/à).

**ჩანავლება || ჩაწიება.** ცეცხლის ჩაქრობას, ჩაქრობის პროცესს, არაგვის ხეობის ფშავში **ჩაწიება** ჰქვია. ივრის ხეობის ფშავში მას **ჩანავლება** ეწოდება. **ჩაწიებული** ჩამქრალი, ჩანაცრებული ცეცხლია. ივრის ხეობის სოფლებში ასეთ ცეცხლზე იტყვიან, **ჩანავლებულიაო**, ე. ი. ჩაფერფლილიაო.

დაბოლოს, საყურადღებოა დღემდე აღუნუსხავი სიტყვები, იდიომური გამოთქმები და მათი დღემდე გამოუვლენელი მნიშვნელობანი, რაც კუთხური ლექსიკის მდიდარ ფონდს შეადგენს და ფასულია კილო-თქმათა ენობრივი საგანძურისა და ენის ისტორიის შესწავლისათვის: **ანაცხრული, ბალნის მიმწოდებელი, ბუსკნარი, და-**

**დაგული, დალაფნვა, დართული, დაქრობა, დაყანდრება, დაწინაილება, დაქეხება, კერის შეხვევა, კუდუა, მდგმოიარე, მჭკნარი, ნაშური, ნაშურიანი, ნაღერდალა, ნახერხალა, სქელა, უნელი ცეცხლი, ფუა. ფუნჯარი, შაკეთება, შართული, შეშის მკეთონი, შხივი, შხივილი, ჩაკნელებული, ჩამონათოსებული, ჩანავლება, ჩაღუდღუდებული, ჩაწიებული, ცეცხლის დაგზება, ძაგირის საბელი, წკირი.**

### III. შეშა და ცეცხლი.

**შეშის მკეთონი** შეშის დამამზადებლებია. შეშის ტვირთს **სამკრეულა** ჰქვია: „სამკრეულა ისაა, რასაც კაცი მეერევა მჭარზე გადებით. მოაქვთ **ფიხის კონაცა**“ (ს. გომეწარი):

„მათურას იქით ბახიოა,  
დედუკავ, ვერა- ნახიოა?  
ითრიენეს **ფიხის კონაი**,  
იქ წასულისად ახიოა“.

„შეკონვილ შეშას **ჩინჯიბაცსაც** ეძახიან“ (ს. ჯოშარა). **ჩინჯიბაცი** დიდი, სქელი **დონყაზია**. **ჩახტი** დაწყობილ-დადგმული შეშის ან ფიხის გროვაა. **აჩინხორება** || **აჩინხორება** ერთმანეთზე დაწყობა, ახუხულავებაა ფიხისა, ტოტისა, შეშისა. ამგვარად მიქუჩებული **აჩინხორებული** იქნება. **ჩინხვარი** კოცონის დასანთებლად მოგროვილი ხმელი ტოტები, ბალახის ღეროებია და სხვ. **აჩონხილი** ერთმანეთში ჩახლართული და გაბარდული წვრილი ტოტებია. **ყონდი** განსაზღვრული ზომით დადგმულ-დაწყობილი, ან რაიმეზე გახმობა-გაშრობის მიზნით მიყუდებული შეშა (ქეშკაშვილი, 1969, გვ. 96).

ხე შეიძლება იყოს ჯანჯარა. „ჯანჯარა ხეები ბეჩავებია, ადვილად რო მაიტევენა“ (ს. ქალილო). **რცხილა** || **კირცხილა**, **ურძანაი** რბილი, ღრეკადი ხეებია. **საჟანი** შეშის საზომია. ტყის გადასახადს **ბოლის ფული** ეწოდება. ხეს რომ კვირტები წამოეზრდება, **გამოკორვილია**, ხოლო ფოთლები რომ გამოეშლება — **გამოჩირთული**. **ტყის გაჩირთვა** ტყის გაფოთლვაა. **ზეგმელი** ზეზუურად მდგარი ხმელი ხეა (ბაჩ., თ. რაზიკ.). **ჩაფეგვა** ხმელი ტოტის ლეწვა-მტვრევით ჩამოვარდნა, დაცემაა. კაცს რომ ფეხი ორმოში ჩაუვარდება, იმაზე იტყვიან. **შატუნი** ფოთლიანი ან წვრილტოტიანი ხის დაცემისას გამოცემული ხმა: „გაღმა ხე ქარმა მოტეხა, ძირს გაადინა **შატუნი**“ (ქეშკაშვილი, 1969, გვ. 97). **წკირი** ხის წვრილი ტოტია. წვრილ და ხმელ ტოტებს **წიწკრები** ჰქვია (მხ. რ.: **წიწკი**, **წიწკარი**). **წოწკი** ხმელი ფიხის წვრილი ტოტი, წკირია. **ჩხასტი** დაწყობილ-

დამზადებული შეშაა. შეშის აგროვებას უკანაფშავში **აკუჭკავებას** (მდრ. რუს.:  $\text{дн} \neq \text{д}$ ) ეძახიან. **აკუჭკავებული** აგროვებული შეშაა.

ხის დამზადებისას ანაჭერ ფიხს **ნაწვერალა** ეწოდება. „შეშა რო გავკადთ, იმას ვეძახით ნაწვერალსა“ (ს. უძილაურთა). უკანა ფშავში ხის წვრილი ტოტების შეშაც **ნაწვერალაა** (← ნაწულარი ← წული). ივრის ხეობის ფშავში **ნაწვერალი** მკის შემდეგ დარჩენილ ღეროებს ეწოდება. **წული**, საბას მიხედვით, „ყანის ძირია, ვიდრე ჯუჯლამდე“, ხოლო **ნაწუნ ლარი** — „ყანის ჩალა მონამკალი“.

**ნაყვერი** გახმობის მიზნით შემოკოდილი ხეა. აჩეხვამდე გახმობის მიზნით ხის ძირებს **ორხელათი** ან **ცულით** ქერქს შემოუკეჭნიან, **შემოყვერავენ** || **შემოკოდავენ**. დაბალი, უწეირო ხე **ჩიჯგია**. **ჩიჯგი** უხეირო შეშაცაა: „ცარიელა კაპია, არ ჩაჩეხება“ (ს. ჯომორა). ხეს ტოტებს რომ მოაცილიან, **გავკაფეო**, იტყვიან არაგვის ხეობის ფშავში; ივრის ხეობის ფშავში კი — **გავსხვიპეო**, იციან. შემოკოდვის შემდეგ ამგვარი გაჩეხილ-გაკაფული ადგილი **ნაყვერ-ნაჩეხია** (იხ. აგრეთვე მიწათმოქმედების ლექსიკა). ცულით ხის ალაგ-ალაგ ჩაპობა **დაკეჭნვაა**. **გაკაფვა** || **გასხვების** შემდეგ ხეს **მორებად** დახერხავენ. **ნალო** მორზე პატარა ხის ნაჭერია, რომელიც შემდეგ იჩეხება **პლახებად** || **ნახჩეხებად** (← ნაჩეხი || ნაჭეჩი). დახეთქილ ხეს (ნალოს) არაგვის ხეობის ფშავში **ნახჩევი** || **ნახჩი** ← **ნაჭეჩი** ჰქვია, ხოლო ივრის ხეობის ფშავში — **პლახი**. **ყავარი** არის მკლავის სიმსხო გრძელი ხე (ლატანი), რომლითაც ღობავენ სათივეს და ძროხების ბაკებად იყენებენ ზაფხულში: **ყავარი** თხელი და ვიწრო ფიცრით გადახურვის სახეობაცაა ივრისხეურ ფშავში (მდრ. საბა: **ყავარი** — თხელი და ვიწრო ფიცარი; ინგილ.: **ყავარლერწამი**; თურქ.: kaval). ამავე ძირისაგან არის ნაწარმოები **გამყავრებული**, რაც კარგა მოსული, მსხვილღეროიანი ყანის ან ბალახის აღსანიშნავად გამოიყენება.

**კორჩხლიანი** გაბორჯღვლილი, დახლართულტოტებიანი ხეა. აგრეთვე გამოწარმებულია ხის ღეროა. ძლიერ გაღვივებულ ნაკვერჩხალზეც იტყვიან. **ქლანჯდი** არის ხე, რომელიც არ იჩეხება. **დაჭრენილი** დაგრენილი, უსწორ-მასწორო ხეა, შეიძლება შემოხვეული ჰქონდეს ზოლივით, ქვაზედაც ითქმის. **დაჭრენილი** დახუჭუჭებულსაც ნიშნავს. **ბოჯოჯდი**, **ბოჯოჯლა** — ხშირტოტებიანი, დატოტვილი ხეა. ბუნებრივად მოკლე-მოკლე შეშებს, ხის ნაჭრებს **ნაკოდალა** ეწოდება. **ნარიკელა** მოკლე ჯოხია. **საგარე შეშა** ის შეშაა, რასაც უღელი ხარი აითრევს. **სატრე** სატარედ დამზადებული ხის ნაჭერია.

**მჭკნარი** ოდნავ ნეღლი შეშაა. **ნარიყი** მდინარის მიერ მოხერ-

გილი შეშა და ხე-ტყეა. წყლისა და ზვავის მიერ ტყიდან გამოტანილი ნაგლეჯ-ნაგლეჯი და დამუშავებული შეშა **ნათოსია**. **ნათოსს** ძველ ტანსაცმელსაც უწოდებენ. ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილ ტანსაცმელზე იტყვიან, **ჩამონათოსებულიაო**.

ხეს შეიძლება მუმლი, **ბუკუკა** გაუჩნდეს. **ბუკუკო** || **ბუკუკა** შეუძლო, სუსტ კაცსაც ეწოდება:

„— **ბუკუკაი** ხარ ჯაბანო,  
ზამთარ რო მოა, და სძრები!“

„— როდესაც ზამთარ მოალის  
მეც ფუტუროში შეაძვრები;  
როდესაც მოზაფხულდება,  
კისერზე წამოგაჯდები!“

„— ჯაბანისთვის შეუმღერნება ვიღაცა კაცსა“ (ს. თხილიანა).

**მდგმოიარეა** მოუჭრელი ხე. „ხე რო თავად დაიმტვრევა ან წაიქცევა, **ანაცხრულია**“. **ანაცხრული** ისეთი ფიცარიცაა, შრეებად რომ ასცივია ზედაპირი. მოჭრის შემდეგ რაც დარჩება, ის არის **ძირი**. **ჩრაქვი** არყის ხის ქერქის გარეკანია: „თეთრი არყის ხეს ააცლიან კანი, აასხიან დიდ ჯოხზე, გაახშიან ზედა და ეძახიან **ჩრაქვსა**. ვინც ძალიან მდიდარი იყო, ნავთი იმას ჰქონდის. ჩრაქვს უფრო კარგად ეკიდებოდა და მალე არა ქრებოდა“ (ს. შუაფხო). **ღვერა** კი ხის აყრილი კანია, მისი შიგნითა მხარე. კანს გარეთა მხარეს აქვს **ქერქი**. ამ აყრილ კანს გარე **ქერქს** აძრობენ, რასაც **დალაფნვა** ეწოდება. ერთი ხელით იღებენ ქერქაძრობილ კანებს, ნახევარი მეტრის სიგრძით დაკეცავენ და შუაზე შეკრავენ, ეს არის **გელი**. მას გუბეში ერთი-ორი კვირა დაალბობენ, შემდეგ ამოიღებენ და გააშრობენ. ამგვარი ხის კანი უკვე **მუშია**, რომლისგანაც თოკებს გრეხენ: წვრილ თოკებს, **სამალდეებს**, და მსხვილ თოკებს, **ძაგირის საბელს**, თხის ბალნისაგანაც გრეხდნენ, რისთვისაც იყენებდნენ **ჩინჩინს**, რომელსაც ორი კაცი ამუშავებდა: **დამბრუნე**, **დამბრუნებელი** და **ბალნის მიმწოდებელი**.

„ხეს ა ჰყრიან ქერქსა, სამი-ოთხი მეტრია, **მუშს** ვიტყვით, დაახვევენ, ჩა ჰყრიან ჭაობში ერთი კვირა და გრეხენ თოკსა. ეს არი **ღვერა**. ცაცხვს ეყრება კარგი“ (ს. ევჟენტი). **მუში** ცაცხვის ქერქია, შიგნითა კანი, თელისა — **ლაფანი** (თ. რაზიკ., „ივერია“, №133, 1900 წ.). **სამუშარა** ცაცხვის ტოტია მუშის გასახდელად (შანიძე, 1984, გვ. 367). **დაღვერილი** || **გაღვერილი** სიგრძეზე კანგაცლილი, ქერქგაცლილია ფშურად. **ღვერვა** || **გაღვერვა** კი ფცქენა, ბეწვის ან კანის აყრა, გაცლაა ერთ ზოლად (მღრ.: **ღვერვა**, **გაღვერვა** ფშ.,

ჯ., თუშ. ქერქისა ან ბალნის გართმევა, გაყვლევა, კანის გაძრობა, შანიძე, 1984, გვ. 425). **ყაბყატო** || **ყაბყატო** ტყეჩი, კასრების შესაკრავი ხის ლატანი, სალტეა (**ზალტი** რკინის სალტეა. გ.გ.); თ. რაზიკაშვილის მიხედვით, ცხრილის მოსაქსოვად დათლილი წვეკლებიცაა („ივერია“, №150, 1900).

**ყუნჭი** დაფუტურებული კუნძია, შეიძლება დამპალიც იყოს. **ყუნჭი** ხის გამხმარი ნაჭერსაც ეწოდება. **ღრუვი** ღრუ, ფულტუროა. **სქელა** კერამი შერთული დიდი კუნძია, ხოლო **ძელა** ცეცხლში შესაკეთებელი დიდი, სქელი შეშაა, ქვემოდან მიღებული, რომელზეც კეცებს აყუდებდნენ. **სათაურა** — ზემოდან მიღებული შეშაა. **ჩირენი** გამხმარი ხის (ფიჭვის) ფესვებია; დაანაფოტებდნენ, ხახუნით ცეცხლს აჩენდნენ და იწვოდა: „წაილიან წერაქვები, გარეჯას ვეძახით, იქ წავიდიან. იქ მთაზე ვითომ ჩირენებს მოვხრითო და იმას ხმარობდნენ ლამფის მაგივრად ღამე საქონლის შესახედავად“ (ს. შუაფხო).

**ნაშური** არის ნაპრალი, რომელიც შეიძლება დახერხილ ფიცარს ჰქონდეს. ასეთი ფიცარი **ნაშურიანი ფიცარია**: „ნაშური ფიცარს გამა დის, ნაჩხებოვით აქვ ნაპრალები“ (ს. ჯიჯეთი). **ყანდი** ზადი, სიღამპლეა ხისა. **დაყანდრება** || **დაყანთრება** ხის ლპობა, ფუჭებაა.

შეშა რომ კარგად იწვის, **გუზგუზებს**. **გუზგუზი** შეშის გიზგიზია. **ცეცხლის დაგზება** ცეცხლის დანთებაა. ცეცხლი როცა ქრება და ანთება უნდათ, იტყვიან: **გამოჩრიაკე**, **არ შეედვაო**. **დართვა** || **შართვა** შეშის შეკეთება, ცეცხლზე შეშის დამატებაა, (ასევეა მთიულურში. კაიშაური, 1967, გვ. 201); ყარტით გადახურულზეც იტყვიან (იხ. მშენებლობის ლექსიკა). **დართული** || **შართული** შეკეთებულია, დასაწვავად დამატებულია. შეშის მიწვევა-მიმარჯვებას **შაკეთნება** ჰქვია, „ხეს რო წააქარბ“: **დაქეხება** ძლიერი ცეცხლის დანთებაა. დიდი ცეცხლის დანთებას **აპრიალება**ც ჰქვია. ბავშვის ენაზე ცეცხლს **ფუა** ეწოდება. შეშას რომ ცეცხლი უცხად მოედება და ალი ავარდება, **აპრიალდაო**, იტყვიან. **უნელი ცეცხლი** გაუნელებელი ცეცხლია.

**ნიგ(გ)ზური** || **ნიგზური** ცეცხლმოკიდებული შეშაა, მუგუზალი. „შეშას რო ცეცხლ სწვავის, **ნიგზური** ის არი“ (ს. ელიაგზა). „ნაკიდებთა შეშათა ეწოდების მუგუზალი“ (საბა). **ნადვერდალი** ნაკვერჩხალია. **კორჩხლიანი** ძლიერ გაღვივებული ნაკვერჩხალია. **ლადარი** ცეცხლიანი ნაკვერჩხალია (მღრ., საბა: „ლადარა — წურილი ნაკვერცხალი“, ხოლო „ნაკვერცხალსა და ნაცარსა აღებულსა ეწოდების ლადარი“ (საბა, 1949, გვ. 829). **დადაგული** დამწვარია. ბევრი შეშა რომ დაიწვება და ბევრი ნაკვერჩხალი დარჩება, **ჩალუდლუ-**

**დებულიაო**, იტყვიან.

ნედლი შეშა **შხვიის**. **შხვილი** შიშხინია. **ჩაკნელებულია** შეშა, რომელიც ჩაქრობაზეა მისული, აღარც ანთია და აღარც ჩამქრალა. ცეცხლის ჩაქრობა ზოგადად **დაქრობაა**. ცეცხლის ჩაქრობას, ჩაქრობის პროცესს, **ჩაწიება** ჰქვია. ივრის ხეობის ფშავში მას **ჩანავლება** ეწოდება. **ჩაწიებული** ჩამქრალი, ჩანაცრებული ცეცხლია. ივრის ხეობის სოფლებში ასეთ ცეცხლზე იტყვიან, **ჩანავლებულიაო**, ე. ი. ჩაფერფლილიაო.

**კერის შეხვევა** კერაზე ნალვერდლისათვის ნაცრის დაყრაა, რომ ცეცხლმა დიდხანს გაძლოს, არ ჩაქრეს. **ნავლი** (ივრისხ. ფშ.) ნაცარი, ფერფლია, იგივე **დაკვლი** (არაგვისხ. ფშ.). ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე **ნაგალი**, რაც გახურებული რკინისა და ფქვილის ფერფლსაც აღნიშნავს. **ნაგალი** ზედმეტი ნახმარ-გაცვეთილზეც ითქმის. **ქერქეპელა** ხის თხელი კანი, თხელი ქერქი, ქერცლია, და არა: ფერფლი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული (ქეშიკაშვილი, 1969, გვ. 93; ქეგლ; ღლონტი, 1984, გვ. 566). კახურშიც იგი თხელ ქერქს ნიშნავს, ოღონდ თონის კედელზე შემხმარი პურისას (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956).

**ნადერღალა** წვრილი ნაკუწია ხმელი ხისა. ხევსურულში პურის ნამუსრევი, ნაფხვერია (ჭინჭარაული, 1960, გვ. 215). **ნახერხალა** ნახერხია. **ნამწვარევი** ნაცარ-ნამწვავია, ან ადგილია, სადაც ტყე დაიწვა.

ცეცხლის ანთებაზე ან რაიმეს განთებაზე იტყვიან, **გაკვესეო**. **აჯინჯლილება** || **აჩინჩხილება** გაღვივებაა. **ჩინჩხალი** || **ჩინხელა** ცინცხალი, მუგუზლის მიერ გაყრილი ნაპერწკალია (ჭინჭარაული, 1969, გვ. 312). ცეცხლის ნაპერწკალს აგრეთვე **წინწელი**, **წინწკლი** || **წინწკალი**, **წინწალი** ეწოდება. **წინწკალი**, საბას მიხედვით, „ნაბერწყალთ ნაწილია“, „ხოლო ცეცხლი რა ტალკვესისაგან იშვების, ეწოდების **წინწკალი**“ (საბა, 1949, გვ. 869). **წინწკალი** ფშავურში წყლის წვეთიცაა. **დაგაწინწლავო**, იტყვიან, როდესაც სილის გარტყმას დააპირებენ. **წინწლის ბურჯღუმე** ბევრი ნაპერწკალია ერთად. **ბურჯღუმე ისრისო**, იტყვიან ღუმლიდან ცეცხლ-ნაპერწკლის გამოვარდნაზე. ეს არის **ბურჯღუმე სრევა**. **ბურჯღუმეთა შლიდაო**, იმაზე იტყვიან, ნაკვერჩხალს რომ რაიმეს ჩასცემენ და აღ-ნაპერწკალნი ავარდება. „უკეთუ ცეცხლით მრავალი ნაპერწკალი გამოჰკრთა, ეწოდების **ბურჯღუმე**“ (საბა, 1949, გვ. 829), ხოლო „ზე აღნადენსა **წინწკალსა** — **ნაბერწყალი**“ (იქვე). ცეცხლის ჩაქრობა **დაქრობაა**. **ლომპორია** ლაქაშის კოცონია:

„ბატარამ აკო გატეხა, შიგ დაანთო **ლომპორია**, ჩაწვა ორ-სამ ვუთულაი<sup>1</sup>, ბიძაილას, როგორია? ქალ-ოქრო<sup>2</sup> გაჯავრებულა, — დარჩა ნაკლებ გოდორია!“

**კაკაჩუნა** || **ჩეკი** არაგვისხეურ ფშავურში რკინის მოკაული საგანი, ნაკვერჩხლის ასარევი, კერის საჩხრეკია. ცეცხლის ღუმელში **კაკაჩუნათი** || **ჩეკით** „გამაუჩხრევენ“. ივრის ხეობის ფშავში კაკაჩუნას **საჩხრეკი** ეწოდება. **გ(რ)ძელ** კაკაჩუნა ფურნიდან ნახშირის გამოსაღება, ივრის ხეობის ფშავში მას **საჩხრეკელას** ეძახიან. ცეცხლის საჩხრეკად გამოიყენება აგრეთვე **მაშა**, იგივე **არცისკანა** (იხ. წინ). ცეცხლთან ჯდომით შეიძლება ფეხები წითლად **დაიჩითოს**. ნაცეცხლარი ადგილია, სადაც ცეცხლი ენთო. **ფუნჯარი** მცირე ბოლია: „**ფუნჯარ** ა დის ლამფასა“ (ს. ლიშო). **დელატუა** ხის მატლია, თეთრი.

**ჯაგი** ბუჩქია. ბუჩქნარს **ბუსკნარსაც** ეძახიან. **ბოჯოლა** || **ბოჩოლა** პატარა ბუჩქი, ანუ ჯაგია; პატარა დატოტვილი მოზარდი ხეა. ფშავში გავრცელებული ხე-ბუჩქებია: **ამბურა** || **მეპურია** — ხე არის ერთგვარი, ცირცელივით ნაყოფით, ფშატის გემო აქვს; **ბალი**, **ბალამწვარა**; **ურბანი** || **ურბანა** — ჯაგისმაგვარი მცენარე; **დგნალი** — მთის ტირიფი; **ესკალა** — ასკილი; **თელა**, **თელამუშა**; **თვრიმლი** — ხე, რომლის ფოთლიც ნართს ყვითლად ღებავს; **თხილი**; **იფნი**; **კატაფშატა** — ქაცვი; **კემერჩხალი** — რცხილის სგამსია“ (ს. ავადი), იგივე ნეკერჩხალი, **კირცხილა**; **კუდუა** — ბუჩქისებრი მცენარე; **მაჟალო**; **მურყანი**; **მუნხა**; **მძანველი**; **ოფი** — ჭალის ხეა ერთგვარი, ალვისხისებური; **პანტა**; **რცხილა**; **შინდი** || **შვინდი**; **ცაცხვი**; **წიფელა** და სხვ.

ხმელი ხე წვიმების შემდეგ გამოისხამს ხოლმე ხის **ზოკოს**; **კალმანა ზოკო** გვიან შემოდგომაზე ან აღრე გაზაფხულზე გამოსხმული სოკოა.

ლიტერატურა

**ბაბუნაშვილი, 1959** — ე. ბაბუნაშვილი, სინონიმები ილია ჭავჭავაძის ენაში, თსუ შრომები, ტ. 71, თბ., 1959.

<sup>1</sup>**ვუთულა** || **ხუთულა** — მომკილი ყანის გამოშრობის მიზნით წინასწარ მიქურებული ძნათა გროვისაგან (**მელეურისაგან**) თავთავით შიგნით, წრიული შემოყოლებით აგებული ნაგებობა, რომელიც ძნათა ოღენობით **მელეურის** შესატყვისია.

<sup>2</sup>ქალის სახელია.

**ბოგატოვა, დერიაგინი, რომანოვა, 1982** — Áíãàðíãà Ā. À., Āãðÿãéí Ā. B., Ðíãàííãà Ā. B. Ñèããÿííéãÿ èíðíðè-ãíéãÿ èãéíèéíãðãðéÿ è ìõíãéãí ðããéííãéúííé òãðãèòãðèíðèèè ñéííãà ĀB, 1982, 13.

**გოგატიშვილი, 1998** — გ. გოგატიშვილი, თიბვის ლექსიკა ფეშურში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. IV, თბ., 1998.

**თედევი, 1988** — ო. თედევი, ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1988.

**კაიშაური, 1967** — ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967.

**მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956** — არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

**მენტეშაშვილი, 1943** — სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

**ნებიერიძე, 1990** — გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1999.

**პოლევსკაია, 1967** — Ìñéãñéãÿ Ì. Ó., Ìõíãéãíãà ñèíííéè-ãñéíãí ðÿãà, ããí ððãíéò è ãíçííãííðè ãíãããíãéÿ ãíéíãíòã, ñã. ñò.: Èãéíè-ãíéãÿ ñèíííéèÿ, Ì., 1967.

**საბა, 1949** — სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.

**სააკაძე, 2002** — ნ. სააკაძე, მემინდვრობისა და პურეულის ლექსიკა ქვემოქართლურში, ენათმეცნიერების საკითხები, №3, თბ., 2002.

**სილაგაძე, 1981** — ჯ. სილაგაძე, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის საკითხები, თბ., 1981.

**ფოჩხუა, 1970** — ბ. ფოჩხუა, სპეციალური ლექსიკა საერთო ენაში, იკე, ტ. XVIII, თბ., 1970.

**ქაჯაია, 1967** — ო. ქაჯაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის, „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, ტ. XI, ცხინვალი, 1967.

**ქეგლ** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964.

**ქეშიაშვილი, 1969** — ი. ქეშიაშვილი, თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, თბ., 1969.

**ლლონტი, 1984** — ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყ-

ვის კონა, თბ., 1984.

**შანიძე, 1984** — ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი 11 ტომად, ტ. I, თბ., 1984.

**ძიძიგური, 1948-1950** — შ. ძიძიგური, ა. ყაზბეგის ლექსიკონი, ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I-IV, თბ., 1948-1950.

**ჭინჭარაული, 1960** — ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

**ჭინჭარაული, 1969** — ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბ., 1969.

**ხორნაული, 2000** — გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.

GUBAZ GOGATISHVILI

### The Vocabulary Depicting Household life in the Pshavian Dialect of Georgian Summary

The problem of relation between the common core and dialect vocabularies (the way dialects are subordinated to Standard language) is essential for diachronic studies of Standard Georgian. In this view dialect lexemes depicting household life of the population in various parts of the country is particularly interesting.

The paper presents the results of the field work that was carried out in the Aragvi and Iori valleys and aimed at studying household vocabulary of Pshavs. Special emphasis was placed on the lexemes *cecxi* / *šeša* (fire/wood). The lexemes were analysed in depth and localized according to regional peculiarities.

## ჰეთეგან სარსეგანიძე

## კვლავ ტოპონიმ „აზავრეთის“ ეტიმოლოგიისათვის

ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს სოფელი **აზავრეთი**.

ტოპონიმი უძველეს ხანას მიეკუთვნება. აქ დასტურდება ადრეული ქრისტიანული ხანის, დაახლოებით IV-V საუკუნეების, არქიტექტურული ძეგლი.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს ტოპონიმ **აზავრეთს**. მის ნაშრომში „საქართველოს გეოგრაფია“ ჯავახეთის სოფელთა ჩამონათვალში ერთ-ერთ სოფლად დასახელებულია **აზავრეთი** და იქვე მოხსენებულია **აზავრეთის ხევი**: „ბარალეთს ხევით, ამ წყალს, კაჭიოს, მოერთვის **აზავრეთის - კევი**, გამომდინარე შარვაშეთის მთისა და მომდინარე სამხრეთად“ (ვახუშტი, 1892, გვ. 021). ვახუშტი ბატონიშვილი ზემოაღნიშნული სახელწოდების წარმომავლობაზე არაფერს გვეუბნება.

ტოპონიმ **აზავრეთის** ეტიმოლოგია დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. გამოთქმულია არაერთი მოსაზრება. მათ შორის XIX საუკუნის II ნახევრის მოღვაწის, ივანე როსტომაშვილის, განმარტება. იგი მიიჩნევს, რომ **აზავრეთი** მომდინარეობს **აზავერ-ისაგან. აზავერი** ნიშნავს: სასაპალნე, ტვირთმზიდი, საკიდარი ხარი. (ÑíííĪĒ, 1898, I ïðä.) მოსალოდნელია, ივანე როსტომაშვილმა გაიზიარა ადგილობრივი მოსახლეობის აზრი სახელწოდების წარმოშობის შესახებ, რომლის თანახმადაც სოფელი განთქმული ყოფილა გამორჩეული ჯიშის აზავრებით (ხარებით).

მართლაც, მაღალმთიანი და მცირემოსავლიანი ჯავახეთის მოსახლეობისათვის მესაქონლეობა იმთავითვე იქნებოდა ძირითადი საარსებო წყარო. მათ შორის აზავრების მოშენებაც. როგორც ივ. ჯავახიშვილი ხსნის, **აზავერი** იყო „ტვირთის საკიდარი (სასაპალნე) ხარი“. წერილობითი წყაროების მოწმობით, ადრინდელ შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ ყოფილა გამოყენებული საოჯახო მეურნეობაში, შორ გზაზე ბარჯის გადასაზიდად, აგრეთვე მშენებლობაში“.

**აზავერი** დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანში“, როგორც საუკეთესო ჯიშის, მუშა და ღონიერი საქონელი:

„წამოვიხვევ საჭურჭლენი, სახელმწიფო დავიავრე,

ვერ მოვეყავ აქლემითა, **აზავრები** ვააზავრე“ (რუსთაველი, 1974).

„ვეფხისტყაოსნის“ ამავე გამოცემაში ნ. ნათაძის მიერ **აზავერი** განმარტებულია როგორც საკიდარი ხარი, „აზავრები ვააზავრე“ კი — „საკიდარი ხარები გამოვიყენე“.

დიდი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის მიხედვითაც **აზავერი** არის „ჯარი საკიდარი“<sup>4</sup> სხვა ვარიანტით: „საკიდარი ხარი“. „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული **„აზავრები ვააზავრე“** საბას განმარტებული აქვს როგორც „აზავრები ვასაქმე“ (ორბელიანი, 1982, გვ. 41).

მსხვილფეხა საქონლის მნიშვნელობითაა გამოყენებული ლექსემა **აზავერი** „ბიბლიაში“: „მოართუმიდეს მათ აქლემებითა და ჯორებითა და ვირებითა და აზავრებითა საზრდელსა“ (ხელნაწერი, 1982).

„ბიბლიის“ სხვა რედაქციაში **აზავერი** შეცვლილია ხარით: „მოაქონდათ ვირებით, აქლემებით, ჯორებითა და ხარებით სურსათ-სანოვაგე“ (ბიბლია, 1989, გვ. 12).

აპელატივ **აზავერის** ანალოგიურ მნიშვნელობაზე მიუთითებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ორივე გამოცემა: **„აზავერი (Peophagus grunniens) (ძვ.); ხარი, რომელსაც ტვირთს გადაჰკიდებენ ხოლმე“** (ქეგლ., 1989, გვ. 18).

აქვე, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველ გამოცემაში მითითებულია, რომ ვასილ ბარნოვი ერთ-ერთ თავის თხზულებაში ტერმინ **აზავერს** ტვირთის მზიდავი საშუალების მნიშვნელობით იყენებს: „ურდოებს მოსდევდნენ თან... დატვირთული... **აზავრები“** (ქეგლ., 1950, გვ. 166).

ეს ფაქტი საგულისხმოა. ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ ვ. ბარნოვი დაიბადა და გაიზარდა ჯავახეთის მეზობლად მდებარე რეგიონში, თეთრიწყაროს რაიონში. ამდენად დიდი მწერლისათვის ჯავახური მეტყველება და ლექსიკა უცხო არ უნდა ყოფილიყო. მართლაც, მას კარგად სცოდნია აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობა.

ნ. ჩუბინაშვილი **აზავერს** განმარტავს როგორც „საკიდარი ხარი“ (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 133); ალ. ნეიმანს **აზავერი** მამალ ცხოველად, საკოდარ ხარად (ნეიმანი, 1978, გვ. 11) მიუჩნევია. როგორც

ჩანს, ლექსიკოლოგს საკიდარი გაუიგივებია საკოდართან, შედეგად ლექსემბმა განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, **აზავერი**, მართლაც, საკოდარი („დასაკოდავი“) ხარი ყოფილიყო, რადგან **აზავერები** მხოლოდ სამუშაოდ, ტვირთის საკიდრად და საზიდად გამოიყენებოდა. აღ. ნეიმანმა ამ განმარტებით კიდევ უფრო დააკონკრეტა **აზავერის** მნიშვნელობა და ფუნქცია.

ამრიგად, ყველა ლექსიკოლოგი **აზავერს** დაახლოებით ერთნაირი სემანტიკით ხსნის.

რაც შეეხება, ტოპონიმ **აზავერეთის** ეტიმოლოგიას სამეცნიერო ლიტერატურაში თვალსაზრისთა მრავალფეროვნებას არ ვხვდებით. ივანე როსტომაშვილის მოსაზრება და ხალხური ვერსია გაზიარებულია მკვლევართა ძირითადი ნაწილის მიერ. იგივე მოსაზრება გაიმეორეს გ. და ნ. გეტმანებმა, გრ. ზარდალიშვილმა და ი. მესხმა (გეტმანები, ზარდალიშვილი, მესხი, 1985, გვ. 15).

ამ თვალსაზრისის სარწმუნოებაზე მიუთითებს ზ. ჭუმბურიძე გამოკვლევაში „დედაენა ქართული“, მკვლევარი ტოპონიმის ახსნისას ეყრდნობა სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას და წერს: „**აზავერი** არის „ხარი საკიდარი“, ე. ი. საბარგო ხარი. ამ სიტყვას დართული აქვს გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი **-ეთ** სუფიქსი, რის გამოც **აზავერის** ფუძეში ბოლო მარცვალი შეკუმშულია: **აზავერ-ეთ-ი** → **აზავერ-ეთ-ი**. ასე დარქმევია სახელი სოფელს, რომელიც, ალბათ, ჯიშინი აზავერებით (ხარებით) იყო ცნობილი“ (ჭუმბურიძე, 1985, გვ. 420). იმავე აზრს იმეორებს ი. მაისურაძეც (მაისურაძე, 1986, გვ. 70).

ამ მოსაზრებას იზიარებს და ერთგვარად ადასტურებს ჯავახური დიალექტისა და ონომასტიკის მკვლევარი გრ. ბერიძე. იგი მიიჩნევს, რომ „მართებული უნდა იყოს მოსაზრება, რომ ასე დარქმევია სახელი სოფელს, რომელიც ალბათ ჯიშინი აზავერებით (ხარებით) იყო ცნობილი“ (ბერიძე, 1988, გვ. 152).

ამრიგად, სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით დამაჯერებელი არგუმენტებით დადასტურებული მრავალი ავტორიტეტული ლექსიკოლოგისა თუ მკვლევრის თვალსაზრისს გავეცანით ტოპონიმის ეტიმოლოგიის გარკვევისას. თითქმის ეჭვს აღარაფერი უნდა იწვევდეს. მაგრამ ამ მოსაზრებების საწინააღმდეგოდ უკანასკნელ ხანს საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა განსხვავებული თვალსაზრისიც.

გეოგრაფიულ სახელთა ენათმეცნიერული შესწავლისა და მათი

კლასიფიკაციის შედეგად დადგენილია: **-ეთ** სუფიქსი დაერთვის ეთნიკურ და ტომობრივ სახელებს და იწარმოება ტოპონიმები (კუთხის ან ქვეყნის სახელწოდებები): **სვან-ეთ-ი**, **თუშ-ეთ-ი**, **რუს-ეთ-ი**, **სპარს-ეთ-ი**, **არაბ-ეთ-ი** (შანიძე, 1980, გვ. 188-189)... გარდა ამისა, შესაძლებელია **-ეთ** სუფიქსით გვარსახელებისაგან იწარმოოს სოფლის სახელწოდებები: **სიმონ-ეთ-ი**, **დარჩი-ეთ-ი**, **ინწკირვ-ეთ-ი**, **გობრონ-ეთ-ი**.

ამ დებულებების გათვალისწინებით მკვლევარი გ. ბედოშვილი მიიჩნევს, რომ ტვირთშიდი ხარის სახელწოდებისაგან სოფლის სახელის წარმოების ვერსიას საკმაოდ სერიოზული დაბრკოლება ელბება. იგი განმარტავს: „**-ეთ** სუფიქსიანი ტოპონიმები, განსაკუთრებით კი ოიკონიმები, ცხოველთა აღმნიშვნელი ტერმინებისაგან (ზოონიმებისაგან), ჩვეულებრივ, არ წარმოიქმნებიან“ (ბედოშვილი, 2002, გვ. 28-29) და მიიჩნევს, რომ **გველ-ეთ-ი**, **კაკაბ-ეთ-ი**, **ყანჩავ-ეთ-ი**, **ორბ-ეთ-ი**, **ქორ-ეთ-ი** და მისთ. წარმომავლობით ანთროპონიმული სახელებია და ზოონიმებთან მათ საერთო არაფერი აქვთ. ამ ტოპონიმების ანალოგიურად **აზავერეთიც** ანთროპონიმულ ერთეულად მიაჩნია.

გ. ბედოშვილი მიუთითებს, რომ ქართულ დიალექტებში დასტურდება **აზავერი** (\\ აზავა) დიდი ტანისა და ძლიერი ფიზიკური აღნაგობის ადამიანის აღსანიშნავად: „შენი შვილი აზავერი კაცი“ (ზ\იმერ.) (ბიწაძე, 1970); **აზავა** კაცები იყვნენ მამა-ბიძანი, დევებივით ვაყკაცები“ (რაჭ.) (რეხვიაშვილი, 1987). ადამიანის თვისების აღსანიშნავი ტერმინი **აზავერი** \\ **აზავა** გადაიქცა პირის სახელად. **აზავერი** იგივეა, რაც **აზავრა** → **აზაურა**. აზაურა კაცის სახელად დასტურდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (ჯიქია, 1958, გვ. 363), რომელშიც წარმოდგენილია XV-XVI საუკუნეების დროინდელი სამცხე-საათაბაგოსა და ჯავახეთის დემოგრაფიულ-სოციალური ვითარება. პირის სახელისაგან მომდინარედ მიიჩნევს გვარს: **აზაურა** → **აზაურა(ს) შვილი**. სოფლის სახელი კი გაფორმდა ამ ანთროპონიმისაგან: **აზაურაშვილი** → **აზავერ-ეთ-ი**.

ეს მოსაზრება ბოლომდე სარწმუნოდ და მისაღებად არ გვეჩვენება. აზაურაშვილი საკმაოდ მცირერიცხოვანი გვარია — სულ 23 პირი (სილაგაძე, თოთაძე, 1997), ისიც მხოლოდ თბილისში დასტურდება. არც ერთ ისტორიულ წყაროში გვარი არ გვხვდება.

სავარაუდოა, **აზაურაშვილი** მომდინარეობდეს უფრო მრავალ-

ლრიცხოვანი გვარიდან **აზნაურაშვილი** (აზნაურაშვილი — 153, აზნაურაშვილი — 88 პირი) (სილაგაძე, თოთაძე, 1997), **-ნ** ფონემის ჩავარდნით. მართლაც, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დასტურდება გვარ-სახელი აზნაური: რამაზ აზნაურის ძე (ჯიქია, 1958, გვ. 225).

რაც შეეხება **-ეთ** სუფიქსს, იგი გეოგრაფიული სახელების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელია. ზემოაღნიშნული შემთხვევების გარდა, **-ეთ** სუფიქსი ხშირად უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს: **ტბ-ეთ-ი, ნიგოზ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, თელ-ეთ-ი, კლდ-ეთ-ი** და სხვ.

ასევეა ჯავახეთის რეგიონშიც; როგორც გრ. ბერიძე წერს, ჯავახეთში „ყველაზე მეტად **-ეთ** სუფიქსია გავრცელებული გეოგრაფიული სახელების მაწარმოებლად (ბერიძე, 1988). მას დასახელებული აქვს **-ეთ** მორფემით ნაწარმოები დაახლოებით 40 ტოპონიმი. მართალია, ამ გეოგრაფიული სახელებიდან ზოგი მათგანის ფუძის მნიშვნელობა ნათელი არ არის (**მურჯან-ეთ-ი, ოქოშ-ეთ-ი, კამი-ეთ-ი, მუზმარ-ეთ-ი, ბუზავ-ეთ-ი** (ბუზავეთი), **ბურნაშ-ეთ-ი, კულილ-ეთ-ი...**), მაგრამ უმრავლესობა საზოგადო სახელით გაფორმებული ტოპონიმია: **ტბ-ეთ-ი, სავან-ეთ-ი, სარკ-ეთ-ი, იფნი-ეთ-ი** და სხვ.

ასე რომ, არა მარტო ეთნიკურ-ტომობრივ და ანთროპონიმულ ფუძეებზე დართული **-ეთ** მაწარმოებელიანი სახელი ხდება ტოპონიმი, არამედ მეტონომიის გზით საზოგადო სახელზე დართული **-ეთ** სუფიქსიანი ერთეულიც. საბოლოოდ, **-ეთ** მორფემა მატოპონიმებელ ფუნქციას იმკვიდრებს. ამის გამო **-ეთ** ბოლოსართით შესაძლებელი გახდა ნებისმიერი ფუძიდან იწარმოოს ტოპონიმი. გამონაკლისი არც ცხოველების (მათ შორის ფრინველების, თევზების, მწერების) სახელებია. მათი გამოყენება ტოპონიმის ფუძედ არც თუ იშვიათი მოვლენაა.

ბ. ჯორბენაძე არ გამოიციხავს რომ ტოპონიმი შეიძლება იყოს „წარმოქმნილი ცხოველის სახელისაგან“ და წარმოადგენს ადგილის ერთგვარ „ზოოგეოგრაფიულ“ დახასიათებას (ჯორბენაძე, 1993).

საქართველოს ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ზოონიმებზე მატოპონიმებელი სუფიქსების დართვით წარმოქმნილი, მათ შორის **-ეთ** მორფემიანი სახელები: **თავგ-ეთ-ი, მშველ-ეთ-ი, ბუ-ეთ-ი, ბატ-ეთ-ი, კაკაბ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი...** შეუძლებელია ყველა ეს სახელი მხოლოდ ანთროპონიმული წარმოშობისა იყოს.

**შენიშვნა:** საქართველოში დადასტურებულია შემთხვევები, როცა

ცხოველთა სახელები (სპეციალური გაფორმების, რომელიმე მაწარმოებლის დართვის გარეშეც), გამოყენებულია ტოპონიმად. ასეთი გეოგრაფიული სახელები ცოტაა, მაგრამ მოკვლეული მასალის სემანტიკა საკმაოდ გამჭვირვალეა. **ხოჯი** (ხარი — სოფელი ცაგერის რაიონში), **ნიკორა** (მთა, იქვე), **მელიები** (ტოპონიმი ჭიათურის რაიონის სოფ. მანდაეთში), **ფოცხვერები** (რაჭაში), **მგლები** (უბნის სახელი იმერეთში).

ჯავახეთის ტერიტორიაზე, გარდა **აზავრეთისა**, დასტურდება საკმაოდ ცხოველთა სახელების გამოყენებითა და **-ეთ** მორფემის დართვით წარმოქმნილი ტოპონიმები: **ქორეთი** და **მოზვერეთი**.

გრ. ბერიძე ამ უკანასკნელის ვარიანტებსაც გვთავაზობს: „**მოზვერეთი** თუ **მოზვარეთი?**“ (ბერიძე, 1988) მოსალოდნელია **მოზვერეთი** (მდრ. მოზვერი) და იქვე **აზავრეთი!**

საბოლოოდ გასაზიარებლად მიგვაჩნია ივ. როსტომაშვილის მოსაზრება: **აზავრეთი** ის სოფელია, რომელიც ცნობილი ყოფილა ჯიშიანი ხარებით.

ლიტერატურა

**ბედოშვილი, 2002** — გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2002.

**ბერიძე, 1988** — გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.

**ბიბლია, 1989** — ბიბლია, ძველი აღთქმა, I ნეშტთა, თბ., 1989.

**გესტმანები, ზარდალიშვილი, მესხი, 1985** — გ. და ნ. გესტმანები, გრ. ზარდალიშვილი, ი. მესხი, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტები, თბ., 1985.

**ვახუშტი, 1892** — ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, I წიგნი, სამცხე, ტფ. 1892.

**მაისურაძე, 1986** — ი. მაისურაძე, მესხური ტოპონიმოლოგიური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1, თბ., 1986.

**ნეიმანი, 1978** — ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

**ორბელიანი, 1991** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქარ-



თული, I, თბ., 1991.

**რეხვიაშვილი 1987** —გალ. რეხვიაშვილი, რაჭული სალექსიკონო მასალა: დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1987.

**რუსთაველი, 1974** — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ნ. ნათაძის რედაქციით, თბ., 1974.

**სილაგაძე, თოთაძე, 1997** — ავთ. სილაგაძე, ანზ. თოთაძე, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1997.

**ÑĪĪĪĒ, 1898** — *Ñáíðîéè ìàðáðèèñîá äëÿ ïüèñàréÿ ìáñòññòðáé è ïèáîáí Èàâèèçà ÑĪĪĪĒ, âñ. 25, Õá., 1898.*

**ქეგლ., 1989** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1989.

**ქეგლ., 1950** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950.

**შანიძე, 1980** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბ., 1980.

**ჩუბინაშვილი, 1961** — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

**ძოწენიძე, 1974** — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

**კუმბურიძე, 1985** — ზ. კუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1985.

**ხელნაწერი, 1982** — მცხეთური ხელნაწერი, I წიგნი, I ნემტთა, თბ., 1982.

**ჯავახიშვილი, 1946** — ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალურ-კულტურული ისტორიისათვის, ტ. I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946.

**ჯიქია, 1958** — ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარი, ტ. II, თბ., 1958.

**ჯორბენაძე, 1993** — ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993.

KETEVAN SARSEVANIDZE

## The Etymology of the Toponym "Azavreti" Revisited

### Summary

The paper analyses the scholarly literature on the etymology of the toponym "Azavreti". Special emphasis is placed on the interpretation by Ivane Rostomashvili, a 19th century scholar. According to Iv. Rostomashvili, "Azavreti" originated from "azaveri:" meaning a breed of bull used for heavy loads. For years this approach was shared by other Georgian scholars.

However, G. Bedoshvili's view is different: he considers the name of the village to have originated from the anthroponym Azaurashvili → Azavr-et-i.

The paper supports Iv. Rostomashvili's viewpoint, according to which Azavreti is a village famous for its rare breed of bulls.

## ნიკო ოთინაშვილი

პატარა ლიახვის ხეობის მცხოვრებთა მეტყველების  
თავისებურებანი

პატარა ლიახვის ხეობა ისტორიულად ქსნის საერისთაოში შედიოდა და მთისა და ბარის სიმბიოზს წარმოადგენდა. ეთნიკურად იგი არ არის ერთგვაროვანი, რაც განაპირობა პოლიტიკურმა მოვლენებმა, განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნეში, როცა ირანისა და თურქეთის აგრესიის გამო ხეობაში მოსახლეობა თითქმის განადგურდა. ხეობაში სახლობენ როგორც ქსნის ხეობიდან, დვალეთიდან, ისე დასავლეთ საქართველოდან, განსაკუთრებით კი იმერეთიდან და რაჭიდან მოსული მოსახლეობა, რომლებიც ძირითადად ნასოფლარებზე სახლდებოდნენ, შემდგომ უფრო მთაში. ამასვე აკეთებდნენ ოსი მოახალშენეები.

ასეთი ისტორიული ვითარების გამო ენობრივ-დიალექტოლოგიური თავისებურებანი საგრძნობია და ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენები ჯერ კიდევ კარგად ჩანს. ასევე ითქმის მთიულურზეც.

ჩაწერილ საველე მასალებთან ერთად შრომაში წარმოდგენილია ისტორიული დოკუმენტებიც, ცნობები ამ ადგილების ძველ მოსახლეობაზე, რომელთა შთამომავლები ჯერ კიდევ არიან შემორჩენილნი.

ქსნის საერისთაოს ერთ-ერთი მატრიანე „ქრონიკა იკორთის უამნ-გულანისა“, რომელიც 1912 წელს ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ გამოსცა, ასახავს მხარის პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობას. იგი დიდად საყურადღებოა ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისითაც.

თხზულებაში გვხვდება ძველი ქართული გრაფემები, მაგალითად:

€ — ეი. არცევს ცაციაშვილს € კოდის არის.

— გნმ ნათლებელი სლისა

რ ც ძალ მედვა.

არცრა დაკლება მდომებია.

ჟ — ხარი. უამნის მსყიდველი და ჯიდსა. შემომიწირავს ჯდური

ჟ — ვინი. შენდობა ითხოვეთ ჩემთვს.

თხზულებაში ხშირია დაქარაგმება:

მცხრო, ჩწო, ქწე, ყწდ, ყწთა, ქწნ, გწა, ჩმწს და სხვა.

ძველის მეტყველებაში შეზავებულია ძველი და ახალი ქართულის ორთოგრაფიული ნორმები.

ერთი ათეული და ცოტა მეტი ხნის წინათ ჩაწერილი მასალების მიხედვით ფონეტიკურად გვხვდება ხმოვანთა კონტაქტური ასიმილაცია: აე > ეე დევხმარებოდა, დევხმარე ხოლმე, უწინა დევსაჯა თურმე. ის თავგობანი წეექცევიან თურმე, მარა მერე გეემაჯვა ხატობასა.

ოე > ეე წეელო თურმე მთაში, მეეტანა კატაკალიაში.

დისტანციური ასიმილაცია

წრეულს მთაში ავედ სათიბშია.

რედუქცია გავრცელებული სახეა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ხმოვანი ხან იკუმშება, ხან — არა.

— მგლის ბუნაგი ეე მაღლა რო სერებია, იქ არი;

— მგელის ლეკვები მე წამოვიყვანე;

— არაყის გამოსახდელი შეშა მინდოდა;

— არყის კლიენტი იყო იი მწყემსი;

ხმოვანთა გავრცელება ძირითადად დადასტურებულია რაჭულსა და იმერულში. პატარა ლიახვის ხეობაში, ისევე როგორც სხვა ხეობებში, რომლებიც ზემო ქართლში მდებარეობენ, განსახლებულია რაჭველი და იმერული მოსახლეობა. მაგალითად, სხენებულ ხეობაში ისინი ცხოვრობენ სოფლებში: საცხენეთში — კობალაძეები, ერედვში — ღამბაშიძეები, ბორცუაძე-ბორცვაძეები, ბელოთში — არჩუაძე-არჩვაძეები, წიქარიძეები და სხვა. მათ მეტყველებაში შეიმჩნევა ხმოვანთა გავრცელება, ძირითადად მეშველ ზმნებში, რაც ხშირი არაა. მაგალითად:

— ამ პატარა წისკვილს სამ ღარ(ი) ააქ;

— ასე უთხარი კარქათ ვაარ თქო (გვხვდება თქვაც)

— ცხვებ(ი) აქეთ წამაასხი ხოლმე;

მრავლობითის საწარმოებლად -ებ-ის პარალელურად -ნ და -თ სუფიქსები, ასევე -ან და -ანთ მრავლობითის ფორმები გამოიყენება.

მაგალითად:

— მთელი არჩუანთები იქ იყვნენ;

— ასკილაშვილებში ვიყავი, ლომისობა იყო;

— ტერაანთ უბანში იყო გასვენება;

— ეგ მამული ჯირკვალაანთებისაა.

გვხვდება ტერაანთები (ტერაშვილები), მაგრამ ტერაანთ უბანი.

ხადურები, მაგრამ ხადურიაანთ უბანი, ჯოჯიაანთები (ჯოჯიშვილი), მაგრამ ჯოჯიაანთ უბანი.

მეთვრამეტე საუკუნეში ქსნის ხეობის აღწერა მოხდა ორჯერ — 1774, 1781 წლებში. აღნიშნული სტატისტიკა ქსნური მეტყველები-სათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენებით აღინიშნება. **-ან**, **-აან** სუფიქსური წარმოება მაშინდელი ონომასტიკისათვის უკვე ნორმაა და გავრცელებულია. აღნიშნული სუფიქსები ოჯახის სახელ-თა ძირითადი მაწარმოებელია. გვარებს **ძე** და **შვილი** დაბოლოება ეკვეცებათ, როცა **-აან** სუფიქსით იწარმოება ამ გვარის წარმომადგე-ნელთა კრებითი სახელი. ეს სუფიქსები დაერთვის პიროვნულ სახ-ელებსაც და აღნიშნავს შტოგვარებსაც.

- სიტყვაწარმოება: — კოკა გავალიპლიპე — გავავსე;  
— ისე გაძღა ყური უნდა გაუჭრა;  
— არაყი გაივსო, სხვა თუ არ შეუდგი გადმოუა  
— ცხვრები ოლე-ოლე მყვანდა მზვარეში და  
მგელი გამოვარდა და სხვა.

ტოპონიმები და ჰიდრონიმები მრავალგვარი წარმოებისაა:  
სახელობითში შეთანხმებულია მსაზღვრელ-საზღვრული:

ახალი მიწები

მართული მსაზღვრელი და საზღვრული

გოჭასახო

წყაროების, ხევების, ტბების სახელთა მეორე კომპონენტად გვხვდება წყალი, წყარო, დელე, ტბა, თეთრი წყარო, დამპალი წყა-ლი, ვაშლვანის წყარო და სხვა.

ლიტერატურა

„ქსნის ერისთავის თორნიკეს შემოსავლის დავთარი“, „საისტო-რიო მოამბე“, II, თბ., 1912.

**ჭუმბურიძე, 1982** — ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1982.

**ჟღენტი**, — ს. ჟღენტი, „ქართული ენის ფონეტიკა“, თბ.,

**NIKO OTINASHVILI**

### **Peculiarities of the Kartlian Dialect in the Lesser Liakhvi Valley**

#### **Summary**

Historically, the Lesser Liakhvi Valley was part of Ksani Princedom. The population in the valley is ethnically diverse that was conditioned by the political events of the 18c. However, the accent spoken in the valley reveals all the peculiarities of the Kartlian dialect; at the same time the influence of the Mtiulian dialect is noticeable. In the historical documents the old Georgian graphemes **Ⴀ**, **Ⴁ**, **Ⴂ**, **Ⴃ** are attested. The phonetic and morphological processes typical of the Kartlian dialect are also evidenced.

ცირა ბარბაქაძე

**„ხმით ნატირლების“ ენობრივი სამყარო“**

„დიდი ლხინია ჭირთა თქმა“  
შოთა რუსთაველი

ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში“ ერთ ადგილას ვკითხულობთ: „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი და ტყეა ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთაგან ვიდრე გლახადმდე და იტყებდეს ყოველნი თავთა თვსთა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ დასხდიან მგოსანი გლოვისანი (ხაზგასმა ჩემია ც. ბ.) და შეკრბიან ყოველნი და აწსენებდიან სიმწენესა და სიქუელესა და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა და იტყოდინან ესრეთ: „ვა ჩუენდა, რამეთუ მოგვიძინა სუემან ბოროტმან და მეფე ჩუენი, რომლისაგან წსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა იგი კაცთა მგრძნებელთაგან და აწ მივეცენით ჩუენ წარტყუენვად ნათესავთა უცხოთა“ (კანდელაკი, 1968, გვ. 53).

ლეონტი მროველმა დამტირებლებს „მგოსანი გლოვისანი“ უწოდა და ვფიქრობთ, ამით კარგად ახსნა დატირების ტექსტთა პოეტური, შემოქმედებითი ხასიათი. დიდი ჭირი, ტკივილი არყევს მთლიანად ადამიანის ცნობიერებას, ამიტომ სიკვდილით თავზარდაცემული მოტირალი ბუნებრივად მიენდობა ენას, მოხსნილია ყოველგვარი გარემაკონტროლებელი ფაქტორი, ადამიანი მოთქმის დროს არ ფიქრობს რა თქვას და როგორ, ან რა შეიძლება თქვას და რა — არა. ის ერთგვარად „შთაგონებულია“ და ისე მოთქვამს. იმდენად ძლიერია ჭირის „გამოთქმის“ სურვილი, რომ თითქოს შესაფერისი სიტყვებიც თავად იძებნება. ამიტომ არის, რომ მოტირალს ჰგონია, ხმით ტირილს „სიკვდილობა ასწავლიდა“. ხევსურეთში ითვლება, რომ ხმით მოტირალს „მკვდარნი ატირებენ“. გამოთქმული ჭირი უკვე გაზიარებულია, გაზიარებას კი შვება მოაქვს სულისთვის. ამის დასტურია შოთა რუსთაველის სიტყვებიც: „დიდი ლხინია ჭირთა თქმა“.

„ხმით ნატირლები“ ურითმო ლექსებია. იქმნება იგი ტირილის

პროცესში, იქმნება იმპროვიზაციულად და შემდეგ აღარ მეორდება. თითოეული მოტირალი ყოველ ახალ სიტუაციაში ახალ ტექსტს ქმნის, ახალი სიტყვებით მოთქვამს. რამდენადაც ადამიანები განსხვავდებიან ინდივიდუალობითა და ცხოვრებით, იმდენად ეს ტექსტები განსხვავებულია, ღრმად ინდივიდუალურია. მეორდება მხოლოდ ზოგადი ფრაზები. ზოგჯერ ხმით ნატირალში გვხვდება ისეთი ერთნაირი ფორმების გამეორება, რომელიც ძირითადად ზოგადი ხალხური რწმენის გამოხატველია — „გზას შორს იტყვიანა იმ სულეთისასა“ და სხვა (ხმით ნატირლები, 2002, 6).

ხმით ტირილი დამოწმებულია ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალით, რომლის განზოგადებით სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია ხმით მოტირალის სახე. ის, არსებითად, საჯაროდ მეტყველია. მისი მეტყველება ორატორული ხასიათისაა — ახლავს შემოქმედებითი საწყისი და მსმენელთა უშუალო რეაქცია. ხმით ტირილი საერთო დუმილის პირობებში მიმდინარეობს. ზოგჯერ მოტირალის დასრულებულ აზრს მოსდევს მსმენელთა დაქვითინება — „წატირება“. მოტირალი იგონებს მიცვალებულის წარსულს, ასურათებს მის ღირსეულ საქმეებს, ხოლო მსმენელნი გმინვით ადასტურებენ ნათქვამს და დუმილით გზას უხსნიან სათქმელს (კანდელაკი, 1968, გვ. 210).

ხმით ტირილის გარდა არსებობდა მიცვალებულთა დატირების სხვა წესიც: მოთქმით ტირილი, ზარით ტირილი, ძახილით ტირილი. ამ წესებს შორის განსხვავება ნიუანსური ხასიათისაა. მსგავსების მთავარი ნიშანი — სიტყვით გოდებაა, შესრულების მანერაც საერთოა — ამ მანერის საერთო სახელწოდება არის გვრინი. საბას განმარტებით, გვრინი „საგლოელი ჳმიანობაა“, რომელიც ერთგვარ დამღერებაში გამოიხატება.

„ხმით ნატირლების“ ენობრივ სამყაროში თუ გადავინაცვლებთ, ამ მეტყველებით განპირობებულ უამრავ საინტერესო ენობრივ მოვლენას შევამჩნევთ. უპირველეს ყოვლისა, დაგვიპყრობს ის მძლავრი ემოცია, ტკივილი, რომელიც თითოეული ლექსიკური, გრამატიკული თუ სემანტიკური მოვლენის თანმხლებია. ამგვარი მეტყველების მიზანი — მხოლოდ ჭირთა გამოთქმაა. ეს გამოთქმა ძალზე ბუნებრივი და უშუალოა, რადგან გამორიცხულია შვილმკვდარი დედის, გამწარებული ჭირისუფლის რაიმე სხვა, ფარული აზრი ან მოტივი, რომლებიც მჭევრმეტყველების სხვა დარგებს მეტ-ნაკლებად ახასიათებს.

მოტირალისთვის სააქაო და საიქიო ცხოვრება ტირილის

დროს უპირისპირდება ერთმანეთს. თუ ცოცხალთათვის სააქაო ცხოვრება, ეს ქვეყანა ერთადერთი რეალობაა, სიკვდილით გამოწვეული მწუხარება აღადიანს იმ ცხოვრების — საიქიოს სიახლოვესაც განაცდევინებს. მოტირალის აზროვნება ძირითადად კონტრასტებზე იგება და შესაფერისი ენობრივი გამოხატულებაც მოუპოვება. სააქაო-საიქიოს ახალი სინონიმები უჩნდება „ხმით ნატირლების“ ტექსტებში. სააქაოს, ამქვეყნის სინონიმებია: **ს ა მ ზ ე ო , მ ზ ის ქ ვ ე ყ ა ნ ა :**

„თუკი გვაჩუქე ე ქალაი,  
რად არ დიდი დღე დაუწესე,  
რაად მასწყვიტე **სამზეოსა?!“**

\* \* \*

„უღირსნი დარჩნენ **სამზეოსა“;**

\* \* \*

„ვინამ გავიწყებსაც, შვილო, ამ **მზის ქვეყანასაც...“;**

\* \* \*

„ძმაო, მამგონე გექნებოდა,  
მამგონე, ძმაო, **სამზეოსა“;**

\* \* \*

„ძმაო, **სამზეოს** გათაულო,  
ძმაო, **სამზეოს** დალეულო“;

\* \* \*

„გამამაცხადე **სამზეოაო**,  
შენ ამამძრახე **სამზეურთაო“.**

საიქიოს, იმ ქვეყნის სინონიმებია: **სულეთი, შავეთი:**

„**სულეთის** ღმერთო, მადლიანო,  
მამე ნებაი საუბრისიო“.

\* \* \*

„გზას შორს იტყვინავ იმ **სულეთისასაც“;**

\* \* \*

„ვაი, შვილსა ობოლსა, მზესა და **სულეთსა“;**

„**შავეთის** კარი გამილოდე,  
უკვენ არავინ დამაბრუნოს!“

\* \* \*

„ნეტავი გაუმარჯვა ღმერთსა,  
**შავეთსამც** მისცა, **შავეთს**, კარი“;

\* \* \*

„**შავეთში** დაგაქორწინებენ...“

და ა. შ.

„**ცეცხლი**“ „ხმით ნატირლებში“ არა მხოლოდ აქტუალიზებული ლექსემაა, არამედ მოტირალის შინაგანი განცდის ყველაზე უკეთ გამოხატველი სიტყვა. ჭირისუფალს: „**ცეცხლი ედება“**; „**ცეცხლში იწვის“**; „**ცეცხლში დააბიჯებს“**; „**ცეცხლი აქვს გულზე მოდებული“**; „**დამწვარ-დადაგული დადის“**;

„**ცეცხლი** მაქვს გულზე მოდებული,  
ტუსის სულ ასდის ჩემს ცრემლსაცა,  
დავდივარ დამწვარ-დადაგული...“;

\* \* \*

„**ცეცხლშიით ცეცხლში** დავაბიჯებ,  
მიშველე, ჩემო გიგათ ქალო“;

\* \* \*

„დაიცა, **ცეცხლო**, ნუ მედები,  
ვერ დაგიწვივარ და ვერც დამწოვ“;

„ხმით ნატირლების“ ტექსტებისთვის ნიშანდობლივია, რომ მოტირალი ზუსტად გამოთქვამს დიდ ტკივილს და ცრემლმდინარი ისე „მეტაფორულად“ მოთქვამს, აქტუალიზდება კიდევ ერთი ლექსემა: „**ცრემლი**“:

„დავბერდი, **ცრემლიც** დამიბერდა“;

\* \* \*

აბა, გა ხედნეთ ჩემ ნავალსა,  
**ცრემლით** არიან დასეტყვილნი,  
აბა, დაჰკვლიეთ გზა-გზის პირთა,  
**ცრემლით** არიან დარეცხილნი!“

\* \* \*

„ღმერთმა დასწყიოს **ცრემლი** ჩემი“;

\* \* \*

„ტუსის სულ ასდის ჩემს **ცრემლსაცა“;**

\* \* \*

„ძალიან ბევრი გიტირნავის,  
ვარსკვლავნი **ცრემლად** დაგიღვარავის!“

\* \* \*

„სარჩულად ტირილ დაუდევით,  
ლილად **ცრემლები** დაუკერეთ,  
სამარეს პირი გაუკერეთ  
ჩემის **ცრემლების** ძაფებითა“;

\* \* \*

„სამარვე, პირი დაიბანე  
მწუხარე დედის **ცრემლებითა**“;

\* \* \*

„წვიმათოდენი **ცრემლი** უნდა,  
ფოთოლთოდენი მოტირალი!“

\* \* \*

„თქვენი ჭირიმეთ, მოტირალნო,  
ვაჟკაცს **ცრემლ** არა დაამადლოთ!“

„**ცრემლს**“ ამდენი მეტაფორა და ეპითეტი ალბათ არცერთ სხვა მეტყველებაში არ დაეძებნება, რამდენიც სამგლოვიარო ტექსტებში: **დაბერებული ცრემლი, ცრემლით დასეტყვილი, ცრემლით დარეცხილი, დაწყველილი ცრემლი, დამწვარი ცრემლი, ცრემლად დაღვრილი ვარსკვლავები, ცრემლის ღილები, ცრემლის ძაფები, ცრემლებით პირდაბანილი, წვიმათოდენი ცრემლი** და ა. შ.

გულზე ცეცხლმოკიდებული მოტირალი სულს ცრემლებით ითქვამს. „ცეცხლისა“ და „ცრემლისა“ აქტუალიზება სწორედ ამ გარემოებითაა შეპირობებული.

### სიკვდილი — მისამართი პირი

ხმით ნატირალი ტექსტები ფორმით მიმართვაა. ჭირისუფალი მიმართავს მიცვალებულს, ოჯახის წევრებს, ანობლებს, ღმერთსა და ... **სიკვდილს**:

„**სიკვდილო**, ქრთამსაც აიტანდიო,  
თუ აიტანდი, მოგცემ ქრთამსაო...

თუ გამაუშობ ბაჭყურასაო“;

\* \* \*

„**სიკვდილო**, ნურც შენ მოგწონ თავი,  
სირცხვილზე მეტი არც შენა ხარ...“

\* \* \*

„**სიკვდილო**, თუკი ადვილი ხარ,  
ერთხელ შენ თავად რად არ მოჰკვდი,  
თოვლივით მზეზე რად არ დასდნი?!“

\* \* \*

„**სიკვდილო**, შვილი გაგიზარდე,  
მე სხვა დედებს კი არა ვგეგარ“;

\* \* \*

„ვაჰმე, **სიკვდილო**, რა ყოფილხარ,  
ხანჯრებით ჩამიკაფე გული!“

\* \* \*

„**სიკვდილო**, მეხიმც დაგეყრება,  
შენც კარგ გინდარის, შე წყეულო,  
რარიგ ახალგაზრდებს წაიყვან,  
ზედ არ შეხედნებ ჩემფერასა“.

მოტირალი მიმართავს სიკვდილს, ესაუბრება მას და ამ საუბარში ახასიათებს მის დამანგრეველ ძალას, უჭირს მას დანებდეს დიდ უბედურებას, მაგრამ „ვაი, რო სიკვდილს არა ეზმის, უჩინმაჩინით მოარულსა...“ და როცა გამოსავალს ვერ ხედავს, ნატრობს:

„მენამც მაქცია სიკვდილადა,  
სიკვდილი — აღამიანადა“.

**თავსდატეხილი უბედურება სიკვდილთან მოდავეს ხდის მოტირალს, აქტუალიზდება მიმართვა, შესაბამისად მაღალი სინშირისაა წოდებითი ბრუნვის ფორმათა გამოყენება.**

### „მზე“ — სიცოცხლის სიმბოლო

მოტირალი ხშირად შესტირის **მზეს**, როგორც სიცოცხლეს, მისთვის ხომ ეს ქვეყანა — **სამზეოა, მზის ქვეყანაა**.

„**მზეს** ვერ შევხენებ უშენოდაო,  
**მზეს** უშენობით დაჩრდილულსაო“;

„**მზეო**, დადეგ და ჩამოხენეო,  
მოვა ყმაწვილი უმზეურთაო“;

\* \* \*

„ეხლა კი მწუხარების **მზე** ვარ,  
გორს იქით გადაფარებული“;

\* \* \*

„ცოცხალთ რა გვიჭირს, **მზეს** ვხედავთ,  
დალამდება და გათენდება,  
ბრალია, ვისაც დაუღამდა,  
ვისთვისაც აღარ გათენდება!“

\* \* \*

„დღეო, რაირა გამზიანებს,  
**მზეო**, რაირა გეცინება?“

\* \* \*

„მოიდა **მზე** და მოგყევ მენცა“;

\* \* \*

„ცაზე დაობლდნენ **მზე** — მთვარენი,  
დედამიწაზე დაშრა წყალი“;

\* \* \*

„დაიცა, **მზეო**, არ დაბრძანდე,  
ლამით მე ვერას გავარიგებ“;

\* \* \*

**მზეს** ველოდებითავ ღრუბლით მომოალსავ...“

\* \* \*

„გათენდ, ალათო, გათენდ,  
მთის წვერთ **მზე** მოიდავ...“;

სიკვდილს სიცოცხლე, „მზე“ უპირისპირდება, შავეთს — სამზეო, დღეს — ღამე... ადამიანი კვდება, სიცოცხლე გრძელდება: ისევ თენდება და მზე ამოდის, თუმცა მოტირალი ამბობს „მწუხარების მზე“ ვარო.

**ლექსემების — „მზისა“ და სიკვდილის“ აქტუალიზება „ხმით ნატირლების“ ტექსტებში ალბათ ყველაზე უკეთ ხსნის ჭირისუფლის კონტრასტებზე აგებულ აზროვნებას, გამოწვეულს დიდი უბედურებით.**

**„ვერ“ და ნებავ“ აქტუალიზებული ნაწილაკები, როგორც ში-ღურებისა და აუსრულებელი სურვილების კონცეპტები**

დარღვეული ადამიანური ყოფა, მოტირალი სიკვდილის პირისპირ — უძლური, დაბნეული, შეძრწუნებული, ვერშემძლე და ტექსტებში აქტუალიზებული „ვერ“ ნაწილაკი:

„დედო, **ვერ გავსძლებ** უშენოდაო“;

„დედანო, რა გქნა, **ვერ ვიტყვებო**“;

„**ვერ ვჩქერობ** დასატირებლადაო“;

„ძობამ, **ვერ გავსძლებ** უშენოდაო“;

„შენ **ვერ გიგონებ** სამარესაო“;

„მზეს **ვერ შავხენებ** უშენოდაო“;

„შენ ცოლს **ვერ ვიჭერ** შინ წასულსაო“;

„დედას **ვერ ვიჭერ** გულმტკივანსაო“;

„მე კი ვმალე და **ვერ დავმალე**“; და ა. შ.

ჭირისუფალი დარწმუნებულია, დაღუპულს ვერ გააცოცხლებს, მაგრამ მაინც გაკრთება ნატვრა... **„ნეტავ“** — იტყვის მოტირალი, თითქოს წყალწადებული ხავსს ეჭიდებოდეს, თითქოს მაინც არსე-

ბობდეს რალაც იმედი. ამ რწმენის ანარეკლია ტექსტებში **ნეტავ** — ნატვრითი ნაწილაკის აქტუალიზება. ერთგვარად **„ნეტავი“** „ვერ“ ნაწილაკის წონასწორობად გვევლინება. თითქოს მოტირალი „სულს ითქვამს“ ნატვრით. ვინ იცის, იქნებ... ნეტავ:

**„ნეტავი**, ღმერთსამც, გაუმარჯვა...  
ჩემი თამარი გამიცოცხლა“;

\* \* \*

**„ნეტავი**, ძმაო, ერეკლეო,  
ერთა ქალაიმც დაგჩომიყო“;

\* \* \*

**„ნეტავი**, ჩემი წასვლისასა  
სახლსამც მაჰშლია დერიფანი“;

\* \* \*

**„ნეტავი**, ჩემი წასვლისასა  
სახლსამც მაჰშლია დერიფანი“;

\* \* \*

**„ნეტავი**, ჩემი წასვლისასა  
სახლსამც მაჰშლია დერიფანი“;

\* \* \*

**„ნეტავი** მათუნა უფრო მეტი,  
როგორცა მტკივა, შვილო, გული!“

\* \* \*

**„ნეტავი** ფეხზე დაგაყენა,  
ე ცხენ კობთაიმც შეგიკმაზა“;

\* \* \*

**„ნეტავი** ფეხზე დაგაყენა,  
ე ცხენ კობთაიმც შეგიკმაზა“;

\* \* \*

**„ნეტავი** ფეხზე დაგაყენა,  
ე ცხენ კობთაიმც შეგიკმაზა“;

\* \* \*

**„ნეტავი** ფეხზე დაგაყენა,  
ე ცხენ კობთაიმც შეგიკმაზა“;

\* \* \*

**„ნეტავი**, გაუმარჯვა ღმერთსა,  
შავეთსამც მისცა, შავეთს, კარი“. და ა. შ.

**„აძრახება“**

„აძრახება“ ზმნა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ალ აპ არ აკება, ახ მი ანება. მაგალითად, გაყა-ფშავლა ამბობს: „ცხენი რა ნახა ნაოფლი...“, აძრახდა ნაწყენის ხმითა“. „შენს საფლაგზე ჭოტი **აძრახდეს**“ (ბაჩანა), აძრახება — ცუდის სათქმელად გაქეზებაც არის.

**აძრახება** ზმნა განსაკუთრებულ ელფერს იძენს „ხმით ნატირლების“ ტექსტებში, რადგან აძრახება უბრალოდ ალაპარაკება კი არ არის, არამედ ისეთი ალ აპ არ აკება, რომელსაც თან ახლავს საშინელის განცდა. აძრახებიდან არის „ნაძრახი ადგილი“, რომელიც დაწყევლილ ადგილს ნიშნავს, ამ სინტაგმაშიც ინარჩუნებს იგი საშინელის (ამ შემთხვევაში დაწყევლილის) ელფერს. „ნუ დამ-

ძრახავ“ — ნიშნავს: ცუდს ნუ იტყვი.

ნატირლების ტექსტებში **აძრახება** ზმნა ამგვარად დასტურდება:

„სულეთის ღმერთო, მადლიანო,  
შენ **ამაძრახე** სამზეურთაო“;  
\* \* \*

თოფო, ნეტავი **აგაძრახაო**,  
ენამც ჩავიდგა პატრონისიო“;  
\* \* \*

„მე ამის საფერს როგორ ვიტყვი,  
**აძრახლომაც** კი მეხათრება!“  
\* \* \*

„ნეტარ მეც კი თუ **აგძრახდებით**,  
ჯალაფნო ჩემნო, უცნაურნო“; და ა. შ.

**„აძრახება“** მოცემულ კონტექსტებში ნიშნავს ტირილით ალაპარაკებას, რომელსაც ახლავს საშინელის ელფერი.

### შორისდებულები

„ხმით ნატირლების“ ტექსტებითვის დამახასიათებელია შორისდებულთა — ვაი, ვაჰმე, ... ხშირი გამოყენება, მიქვითინება. ასევე შორისდებულებით გამოიხატება, ზოგჯერ რიტმულად მეორდება, ხოლო ზოგჯერ — დამოუკიდებლად გამოიყენება ტექსტში:

„**ვაიმე**, შვილო, კაი შვილო,  
კარგ მაინც არა ჰყოფილიყავ“;  
\* \* \*

„**ვაჰმე**, რა მკვდარი! ცოცხალი ხარ,  
ტკბილადა გძინავს დაღალულსა“;  
\* \* \*

„**ვა მე** ზალო, **ვა მე**, რაითამ დაგთმოთავ,  
**ვა მე** ზალო, **ვა მე**, რა კარგა იყავივ...“  
\* \* \*

„**ვა** შვილსა ობოლსა, მზესა და სულეთსა“;

რამდენადაც შორისდებულები ადამიანთა განცდების უშუალო გამომხატველებია, ბუნებრივია, დიდი ტკივილის ენა — უშუალოა და შესაბამისად, ნატირალთა ტექსტები მდიდარია შორისდებულთა მოხმარებით.

### ლოცვისა და წყევლის ფორმულები

„შენი ჭირიმიე, სიკვდილო,  
სიცოცხლე ფასობს შენითა“.

ვაჟა-ფაშველა

ლოცვა-დალოცვისა და წყევლის ერთდროული არსებობა ნატირალთა ტექსტებში იმის დასტურია, რომ მოტირალის აზროვნება კონტრასტებზეა დამყარებული, ფსიქიკა ყოველთვის ითხოვს წონასწორობას, სწორედ ამ წონასწორობის გამოხატულებაა ლოცვა-წყევლა.

### წყევლა

„გორო, დანელდი, შე წყეულო,  
როგორ პირი გაქვს დაღებული“;  
\* \* \*

„სიკვდილო, მეხიმც დაგეყრება,  
შენც კარგ გინდარის, შე წყეულო“;  
\* \* \*

„რადარამ ფეწ მოგტყდათავ გზის გამოღებადავ,  
რადამ მოხვედითავ ჩემად დაღუბვადავ“;  
\* \* \*

„ვეღარწას გაზძღებვი, ცეცხლმოკიდებულოვ“;  
\* \* \*

მიწა შენს დასა, ძმაო“;  
\* \* \*

„ისე აშენდეს მტერ-ღუმმანი,  
როგორც ჩვენ სიკვდილმ აგვაშენა!“  
\* \* \*

„დაგწყიოს წმინდამ გიორგიმა,  
სახლო, ხიზანათ ნასახლარო“; და ა. შ.

### ლოცვა

„მშვიდობით, წადი, ეხლა კია  
ჯვარი დასწერე შენს მათესა“;  
\* \* \*

„ნეტავი, ღმერთსამც გაუმარჯვა,  
შავეთსაც მისცა, შავეთს, კარი“;



\* \* \*

„შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე,  
აგრემც შენ სულ-ხორცს ვენაცვლები“;

\* \* \*

„მიწანიმც დაილოცებიან, —  
შიშველნი დაგიმალნა ჯორცნი“;

\* \* \*

„მშვიდობით იყავ ახლა კია,  
სამარის კარი აგიყოვდეს“;

\* \* \*

„წადი იარე მშვიდობითა,  
სავალნი გზანიმც აგიყოვდებიანი“;

\* \* \*

„მშვიდობით იყავი,  
ღმერთმ ჯვარი დაგწეროსავ“; და ა. შ.

„ხმით ნატირლების“ ენობრივი სამყარო ისეთივე მძაფრი და ემოციურია, როგორც მათი გამომთქმელის ბუნება მოთქმის დროს. ენას მინებებულის აზრი ხატოვანი და უშუალოა. აქტუალიზებული ენობრივი ერთეულები გლოვის ტექსტთა აქცენტს ავლენს. ენობრივი სამყარო შემოქმედებითი ბუნებით აღადგენს რეალობას, როდესაც იქმნებოდა აღნიშნული ტექსტები. კონტრასტებზე აგებული აზროვნება კონტრასტული ენობრივი ერთეულების აქტუალიზაციას განაპირობებს. მხოლოდ სიკვდილის არსებობა აძლევს სიცოცხლეს ფასს. „შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითაო“, — იტყვის ვაჟა და ხალხურ სიბრძნეს კიდევ ერთხელ დაადასტურებს.

ლიტერატურა

**კანდელაკი, 1968** — ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება; თბ., 1968.

**ქართლის ცხოვრება, 1955** — ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.

ტექსტი

ხმით ნატირლები, თბ., 2002, შეადგინა ნანული აზიკურმა.

TSIRA BARBAKADZE

## Linguistic Peculiarities of Mourning Lamentations

### Summary

The language of mourning lamentations is emotionally charged as it reflects the emotional state of the mourner. The thought expressed via language is sincere, it is figurative and contrasting. The contrasting units serve to accentuate the mourning text. The opposites saakao (this world — the land of the living) — saikio (that world — the land of the dead) are substituted by the synonymous pair — samzeo // suleti (the land of the sun / the land of spirits).

The key lexemes are \_ cecxli (fire), cremli (tear), sikvdili (death), mze (the sun); the particles ver (meaning unable), netav (I wish) express helplessness and unfulfilled desires. Being the language of pain — lamentations are abundant in interjections, and curse, blessing, and parting formulas.

მაჰ ჰირია

### მეხუთე ლატერალური თანხმოვნის ისტორიისათვის ხუნძურში

ლატერალური თანხმოვნები, როგორც ცნობილია, ყველა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენაში გვაქვს. ერთადერთ გამონაკლისს ამ ქვეჯგუფის ენა-კილოებში შეადგენს ხუნძური ენის ჭარული კილო, რომელსაც ამჟამად არც ერთი ლატერალი არ გააჩნია. დადესტნის სხვა ენებიდან ასეთი თანხმოვნები გარჩეულია მხოლოდ არჩიბულსა და ხინალულურში. დანარჩენი იბერიულ-კავკასიური ენებიდან მხოლოდ — ბაცბურში, ადიღეურში, ყაბარდოულსა და უბიხურშია ასეთი თანხმოვნები.

ამავე დროს ლატერალურ თანხმოვანთა მხრივ — ამ თანხმოვნების მქონე — ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა შორის თვალსაჩინო განსხვავებაც დასტურდება. ამ ენებში ლატერალურ თანხმოვანთა რაოდენობა თანაბარი არ არის. განსხვავება, ამ მხრივ, არაიშვიათად შეიძლება გვეჩვენოს ერთი და იმავე ენის კილო-თქმებს შორისაც კი.

ხუნძური ენის ჩრდილოურ (ხუნძახურ) დიალექტში გვაქვს ოთხი ლატერალური თანხმოვანი; ესენია:

1. **ლ'** — არამაგარი ფშვინვიერი სპირანტი, მაგ.: **ლ'აბგო** „სამი“...
2. **ლ'ჲ** — მაგარი ფშვინვიერი სპირანტი, მაგ.: **ლ'ინ** „წყალი“...
3. **ლ'** — მაგარი ფშვინვიერი აფრიკატი, მაგ.: **ანლ'გო** „ექვსი“...
4. **ტა** — მაგარი აბრუპტივი აფრიკატი, მაგ.: **ანტაგო** „შვილი“... (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962, გვ. 47).

ოთხივე ლატერალური თანხმოვანი ჩრდილო-ხუნძურში (ხუნძახურში) პირველად სრულად აღნუსხა პ. უსლარმა. უფრო ადრე ა. შიფნერს დადასტურებული ჰქონდა მხოლოდ ორი ლატერალური თანხმოვანი: ერთი ფშვინვიერი და ერთიც აბრუპტივი (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962, გვ. 48).

ლატერალთა სისტემა ყველაზე სრულად წარმოდგენილია დადესტნურ ენებში. ლატერალები თავდაპირველი მოსმენისას აღიქმებიან როგორც ორი ბგერისგან შედგენილი კომპლექსები (პლ, ხლ, თლ, ტლ), როგორც ამაზე მიუთითებს პ. უსლარი ხუნძურის მაგა-

ლითზე (უსლარი, 1889, გვ. 13).

გარდა ზემოაღნიშნული ოთხი ლატერალური თანხმოვნისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი ლატერალური თანხმოვანიც, რომელიც დადესტნურ ენებში გვიან დადასტურდა; ესაა:

**ტ'** — არამაგარი აბრუპტივი აფრიკატი. ეს ლატერალური თანხმოვანი ხუნძახურ დიალექტში არა გვაქვს, მაგრამ მოეპოვება სამხრულ-ხუნძურის ზოგ თქმას.

პირველად იგი ანდიური ენის მუნიბისა და ქვანხიდათლის მეტყველებაში გამოავლინა ილ. ცერცვაძემ 1946 წ. საზაფხულო მივლინების დროს. ამის თაობაზე მოხსენდა თსუ-ს კავკასიურ ენათა კათედრას (1946 წ., X), ხოლო შემდეგ (1947 წ., VI) — ამავე კათედრის საჯარო სხდომას სათაურით „ერთი დღემდის უცნობი ლატერალური თანხმოვანი“ (ცერცვაძე, 1965, გვ. 46). ილ. ცერცვაძის მიერ ლატერალის გამოვლენას „აღმოჩენა“ უწოდა ხუნძმა ენათმეცნიერმა შ. მიქაილოვმა (მიქაილოვი, 1958, 94).

**ტ'** ანდიურის თქმებშია დადასტურებული:

მუნიბის მეტყველ.: **რეტა** „ხელი“, **ტ'ომი** „სახურავი“...

ქვანხიდათლის მეტყველ.: **რეტა** „ხელი, **ტ'ონ** „სახურავი“...

აულ ქვანხიდათლის თქმაში **ტ'**-ს ადგილას **კ**-ს ფაქულტატური ხმარებაც შეიმჩნევა. აქ შეიძლება მოგვაგონდეს **ტ'**-ს რეფლექსად **კ** ხუნძური ენის ჭარულ კილოში (ცერცვაძე, 1965 გვ. 46).

როგორც ვნახეთ ხუნძურ ენაში სულ ხუთი ლატერალური თანხმოვანი: ორი სპირანტი (**ლ'**, **ლ'ჲ**) და სამი აფრიკატი (**ლ'**, **ტ'**, **ტა**).

თუმცა თითოეული მათგანი რეალურ დადასტურებას პოულობს თვით ხუნძურის ამა თუ იმ დიალექტში, მაგრამ ხუთივეს ერთად ამჟამად არც ერთი დიალექტი არ განარჩევს.

ამ ხუთიდან ხუნძახურში (ჩრდილო-ხუნძურში) გვაკლია მხოლოდ ერთი ლატერალი (**ტ'**), ჰიდურშიც — ერთი (მაგრამ არა ის, რაც ხუნძახურში, არამედ სულ სხვა: **ლ'**), ანწუხურში — ორი (**ლ'** და **ტ'**), ანდალალურსა და ყარახულში — სამი (**ლ'**, **ტ'**, **ლ'**), ჭარულში — ყველა, არა გვაქვს არც ერთი ლატერალური თანხმოვანი.

იმ დიალექტებში, რომლებშიც გვაკლია ესა თუ ის ლატერალური თანხმოვანი, ლატერალი შეცვლილია სათანადო რეფლექსით. სახელდობრ:

1. **ლ'** — არამაგარი ლატერალური სპირანტი შეცვლილია სათანადო რეფლექსით ანწუხურში. **ლ'→თ**. მაგ.: ანწუხ. **თაბგუ** „მღრ. ხუნძახ. **ლ'აბგო** „სამი“

**ლ'** ლატერალის **თ** რეფლექსით შეცვლას ანწუხურში აღნიშნავ-

და ჯერ კიდევ პ. უსლარი (უსლარი, 1889, გვ. 14).

თ რეფლექსი უნდა ასახავდეს ლ'-ს ფშვინვიერობას (ლატერალობის მომენტი მოხსნილია).

ქართული ასოებით შესრულებულ უძველეს ხუნძურ წარწერაში, XIV საუკუნისა, გვხვდება: წობ თეგი (ნაცვლად წობ ლ'ეგი-სა) „წყალობა დაედოს“, „შეწყნარებულ იქნეს!“ მაგრამ აქ საქმე შეიძლება გვქონდეს არა ლ'→თ ფონეტიკურ პროცესთან, არამედ ლ' ლატერალის თავისებურ დაწერილობასთან: რაკი ამ ლატერალის შესაბამისი ნიშანი ქართულ ანბანში არ მოიპოვებოდა, მისი დაწერილობისთვის გამოყენებულ იქნა თ (ჩიქობავა, 1940, გვ. 322).

2. ლ'→ჰ || ლჰ || ლ — ანდალალურსა და ყარახულში.

რეფლექსთა ვარიაციები შეპირობებულია პოზიციურად: 1. ჰ — სიტყვის თავშია, 2. ლჰ — სიტყვის შიგნით და ზოგ თქმაში სიტყვის ბოლოშიც, 3. ლ — სიტყვის ბოლოში (და — ლ'ი სუფიქსში ლ'-ს ადგილას); მაგ.:

- |                    |      |         |        |
|--------------------|------|---------|--------|
| 1. ჰაბგო — „სამი“  | შდრ. | ხუნძახ. | ლ'აბგო |
| ჰიმერ — „ბავშვი“   |      | „       | ლ'იმერ |
| 2. ბოლჰონ — „ლორი“ |      | „       | ბოლ'ონ |
| ნალჰი — „ვალი“     |      | „       | ნალ'ი  |

3. მალ (მანას-აულ., არკ.), მალჰ (ჰობ) „ფრჩხილი“ ხუნძახ.

მალ' (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962, გვ. 60).

ძირითადი რეფლექსი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამოსავალ ლატერალს, რთული ლჰ რეფლექსი უნდა იყოს. ეს რთული რეფლექსი ლატერალის შემადგენელ ელემენტებად დაშლის შედეგი ჩანს: მასში ცალკე ფონემებად ჩამოყალიბებულია ის ელემენტები, რაც ამოსავალ ლ' ლატერალში შერწყმული უნდა გვქონდეს: ლ ასახავს ლ'-ს ლატერალობას, ჰ — ლ'-ს ფშვინვიერობას; განვითარების შემდგომი საფეხურია რთული ლჰ რეფლექსის გამარტივება: ერთი მხრივ, ლჰ →ჰ და, მეორე მხრივ, ლჰ →ლ (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962, გვ. 61).

ჰიდურსა, ყარახულსა და ანდალალურში ლ' არა გვაქვს, მას აქ ყველგან ცვლის ლ'ჰ; მაგ.: როლ'ჰ „ხორბალი“ შდრ. ხუნძახ. როლ' ნილ'ჰ „ჩვენ“ (ინკლუზ.) „ ნილ'

ამ შემთხვევაში ერთი ტიპის ლატერალს (აფრიკატს) ცვლის მეორე ტიპის ლატერალი (სპირანტი).

ტ' ლატერალური თანხმოვანი, როგორც ვნახეთ, არა გვაქვს ხუნძახურში (და სამწერლო ხუნძურში) და არც სამხრულ კილო-თქმათა უმრავლესობაში (ანწუხურში, ყარახულში, ანდალალურში...). დაუ-

ცავს იგი ჰიდურსა და სამხრ.-ხუნძურის ზოგ სხვა თქმას.

შ. მიქაილოვმა ჰიდურში შეამჩნია ტ' და აღნიშნა ონი-თი, რომელიც აქ ცვლის ტ'-ს (ბეტერ „თავი“ — ბეტ'ერ). 1948 წ. მაგრამ უფრო ადრე ეს ბგერა ჰიდურში შემჩნეული ჰქონდა არნ. ჩიქობავას. ილ. ცერცვაძე აღნიშნავს, რომ ჩიქობავას, 1939 წ. ჩაწერილ ჰიდურ ტექსტებში, ის ყველგან სპეციალური ნიშნით აქვს აღნიშნული — ტც: ბეტცერ „თავი“, ტცად „ზედ“... ოღონდ არც ერთსა და არც მეორეს იგი ცალკე ფონემად არ გამოუყვია, ეს მოხდა შემდგომ ილ. ცერცვაძის მიერ, რომელმაც თავდაპირველად 1948 წელს ამის შესახებ წაიკითხა მოხსენება კავკასიურ ენათა კათედრაზე. ის ცოტა მოგვიანებით დაიბეჭდა. ამიტომაც:

1. ტ' → ტ — ხუნძახურსა და ანწუხურში. მაგ.:

ტად „ზედ“, „ზემოთ“ შდრ. ჰიდ. ტ'ად (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962, გვ. 62).

დელატერალიზაციის პროცესი ყველაზე მეტად ხუნძურის დიალექტებიდან ჩანს, მეხუთე ლატერალს (ტ') მოსვლია. თვით ტ' მხოლოდ ჰიდურშია ფიქსირებული. შემთხვევითი არაა, რომ არნ. ჩიქობავას მიერ ჩაწერილ ჰიდურ ტექსტებში ეს ლატერალი სპეციალური განმასხვავებელი ნიშნითაა: „ტცად „ზედ“, ბეტცერ „თავი“ და სხვ. (ცერცვაძე, 1965, გვ. 49).

ამ ბგერის თავისებური გამოთქმა შემჩნეულია (სათანადო ბგერა ორი ნიშნითაა გადმოცემული), მაგრამ ცალკე ფონემად იგი გვიან აღიქვს. ე. წ. მეხუთე ლატერალის (ტ') ფონემურობაზე, მაგ., ახვანურში, საგანგებოდ აღნიშნავენ: ტ'ამი || ტ'ამე „სახურავი“, შდრ. ტ'ამე „მრუდე“ (მაჰომედბეკოვა, 1955, გვ. 296).

თუ ანწუხურის ამ ტ' (← ტ') რეფლექსს შევუდარებთ იმავე ანწუხურის თ (← ლ') რეფლექსს, განსხვავება გვექნება მკვეთრობა-ფშვინვიერობის მიხედვით: მკვეთრი (აბრუპტივი) ლატერალის (ტ') რეფლექსად მკვეთრი (ტ) თანხმოვანი გვაქვს, ფშვინვიერი ლატერალის (ლ') რეფლექსად — ფშვინვიერი (თ) თანხმოვანი.

ასეთი შეფარდება რეფლექსებისა ამოსავალ ლატერალთან გვაგარაუდებინებს, რომ ხუნძახურ დიალექტშიც, რომელშიც გვაკლია ტ' აბრუპტივი ლატერალი, მაგრამ კარგადაა გარჩეული ლ' ფშვინვიერი ლატერალი, უკანასკნელის უქონლობის შემთხვევაში მისი კანონზომიერი რეფლექსი იქნებოდა თ ფშვინვიერი რეფლექსი (როგორც ანწუხურში), რაკი ტ' ხუნძახურშიც ტ რეფლექსით არის შეცვლილი (შდრ. ანწუხურში თ: ტ=ლ' : ტ').

2. ტ' → ც || ლც || ლ — ანდალალურსა და ყარახულში.



## როსტომ ფარულაძე

დეკლარაციის და მასთან დაკავშირებული  
გრამატიკული კლასის ნიშანთა საკითხი ჩეხურში

როგორც ბევრ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, ისე ჩეხურში ზმნათა ერთი ნაწილი იცვლება გრამატიკული კლასების (სხვანაირად: ექსპონენტების, მარკერების) მიხედვით. გრამატიკული კლასების მიხედვით ზმნის ცვლა, მაგალითად, ქართული ენისათვის ამჟამად დამახასიათებელი არ არის, მაგრამ ისტორიულად გრამატიკული კლასის ნიშანი ქართული ენის ზმნისთვისაც ნიშანდობლივი ყოფილა: დგას, თქუა ზმნებში **დ-**, როგორც ფუძეს შეხორცებული გრამატიკული კლასის ნიშანი პრეფიქსის სახით, გამოყოფ. თოფურამ (თოფურია, 2002, გვ. 429-433). თანამედროვე ქართულში კი ზმნა, პირველ რიგში, პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლება.

გრამატიკული კლასის კატეგორია ჩეხურ ზმნაში გამოხატულია პრეფიქსების სახით. კლასის კატეგორია სპეციალური კლასის ნიშნების საშუალებით გამოხატავს იმ სახელის კლასს, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას. ასეთი სახელი, რომელიც სინტაქსურ კავშირშია ზმნასთან, წარმოადგენს რეალურ სუბიექტს ნომინატიური კონსტრუქციის ზმნებთან, ან კიდევ რეალურ (პირდაპირ) ობიექტს — ერგატიული, დატიური, ლოკატიური კონსტრუქციის ზმნებთან, ე. ი. ყველა იმ ზმნასთან, რომელიც არ არის ნომინატიური კონსტრუქციისა.

ზმნა, რომელიც არ იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით, უკლასნიშნო ზმნაა. უკლასნიშნო ზმნები გრამატიკული კლასისადმი ნეიტრალური არიან. სახელთა გრამატიკული კლასის გარკვევა ასეთი ზმნების საშუალებით შეუძლებელია.

კლასნიშნიან მარტივ ზმნათა რაოდენობა ჩეხურ ენაში ერთ ასეულს არ აღემატება. კლასნიშნიან და უკლასნიშნო მარტივ ზმნათა საერთო რაოდენობა კი დაახლოებით ოთხასი ერთეულია. რა თქმა უნდა, ზმნათა ამ ჯგუფში არ იგულისხმება ნასესხები და შედგენილი (ან: რთული) ზმნები. შედგენილ ზმნებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი ან მეტი კლასნიშნიანი ან უკლასნიშნო ზმნა. ამიტომ

ასეთ ზმნებში ჩვეულებრივია ორი (ან მეტი) გრამატიკული კლასის ნიშანი.

კლასნიშნიანი სიტყვები, ზმნების გარდა, ჩეხურში შეიძლება იყოს: ზედსართავ სახელთა და ზმნისართთა ნაწილი, ზოგი რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ნაწილაკი. რა თქმა უნდა, კლას-ნიშნიანია ცვალებადი კლასის ნიშნის მქონე ზმნათაგან ნაწარმოები სიტყვებიც.

კლასის ნიშნების მიხედვით არსებით სახელებში გამოიყოფა „ვინ“ კატეგორიის სახელები „რა“ კატეგორიის სახელებისაგან. „ვინ“ კატეგორია აერთიანებს ადამიანის აღმნიშვნელ სახელებს. მაშასადამე, სახელთა ამ კლასში შედის გონიერთა კლასის სახელები, რომლებიც „ვინ?“ კითხვას უპასუხებენ. „რა“ კატეგორია აერთიანებს ყველა დანარჩენ არსებით სახელს, მათ შორის აბსტრაქტულ სახელებსაც, ე. ი. ყველაფერს, რომელიც უპასუხებს „რა?“ კითხვას. ეს სახელები არაგონიერთა კლასს განეკუთვნება. მაშასადამე, ნივთის კატეგორიის სახელებს წარმოადგენს. სახელთა „ვინ“ და „რა“ კატეგორიებად დაყოფის მხრივ ჩეხურსა და ქართულში განსხვავება არ არის.

როგორც ცნობილია, ჩეხური ენისათვის ნიშანდობლივია გრამატიკულ კლასთა ოთხკლასიანი (**გ-**, **-**, **ბ-**, **დ-**) სისტემა მხ. რიცხვში. „ვინ“ კატეგორიის სახელები აღნიშნული სისტემის პირველ ორ კლასშია განაწილებული.

მხ. რიცხვში I გრამატიკული კლასის ნიშანია **გ-**. I კლასი მამაკაცთა კლასია. ამავე კლასში შედის აგრეთვე: **დქ ლა** „ღმერთი“ და **წუ** „ღვთაება“.

მხ. რიცხვში II გრამატიკული კლასის ნიშანია **-**. იგი აერთიანებს ქალთა კლასს. აღსანიშნავია, რომ **-** კლასში გაერთიანებულია აგრეთვე ნივთის კატეგორიის (არაგონიერთა კლასის) სახელთა ერთი ნაწილიც.

ადამიანის, პიროვნების აღმნიშვნელ ორივე კლასს მრ. რიცხვის I-სა და II პირში **დ-**, ხოლო III პირში **ბ-** ნიშანი მოუღობია.

მაშასადამე, ჩეხურში „ვინ“ კატეგორიის სახელთა გრამატიკული კლას-ნიშნები სქემატურად შემდეგ სახეს მიიღებენ:

მხ. რ. მრ. რ.

I კლასი: გ- I და II პირი: დ-

II კლასი: - III პირი: ბ-

სპეციალურ ლიტერატურაში მრ. რიცხვის I და II პირთა ნიშანი

დ- მხედველობაში მიღებული არ არის (დემერიევი, 1963; თიმაევი, 1983; მაგომედოვი, 1985). კლასის ნიშნად მრ. რიცხვში ადამიანის კატეგორიის სახელებისათვის მიჩნეულია მხოლოდ ფორმანტი **ბ**-მასასადამე, გონიერთა კლასის სახელებში სულ სამი კლას-ნიშანი გვაქვს: **გ**- და - (მხ. რიცხვში), **ბ**- (მრ. რიცხვში).

რამდენადაც ვიცით, მსჯელობის საგნად არ ქცეულა კლასის ნიშანთა პირების მიხედვით დაყოფის მიზეზი მრ. რიცხვში. ჩვენი ვარაუდით, ასეთი დაპირისპირების საფუძველი I და II პირთა განსაზღვრულობაში და III პირის განუსაზღვრელობაში უნდა იყოს საძიებელი. პირთა მიხედვით ასეთი დაპირისპირება უცნობია ჩეჩნური ენის მთის დიალექტებისათვის, სადაც სამივე პირში კლასის ნიშნად **ბ**- ფორმანტი გვაქვს.

ცალკეა გამოსაყოფი ის სახელები, რომლებიც გონიერთა კლასს, ანუ ადამიანის კატეგორიას განეკუთვნებიან, მაგრამ არც მხოლობითში მოუღივებ **გ**- და - ნიშნები და არც მრავლობითში უჩანთ კლასის ნიშანი **ბ**-.

როგორც ცნობილია, გრამატიკულ კლასთა ოთხკლასიანი სისტემის IV კლასის ნიშანი **დ**- ნივთის კატეგორიის სახელთა ერთ ნაწილს გამოხატავს.

ადამიანის კატეგორიის ზოგი სახელიც სწორედ **დ**- კლას-ნიშნითაა.

საფიქრებელია, რომ სახელთა ეს ჯგუფი, მართალია, ადამიანის აღმნიშვნელი სახელებია, მაგრამ ნივთის კატეგორიის სახელებთან არის გათანაბრებული, სხვანაირად ისინი ნივთის კატეგორიისათვის განკუთვნილ კლასში არ მოექცეოდნენ. ამ პროცესის შედეგად **დ**-ექსპონენტმა შეითავსა **გ**- და - ნიშანთა ფუნქცია. მასასადამე, ამ შემთხვევაში გრამატიკულ კლას-ნიშანთა ფუნქციონალური შენაცვლება მოხდა.

ადამიანის, პერსონის კატეგორიის სახელთა ნივთის კატეგორიის სახელებთან გათანაბრება მათი დეპერსონალიზაციით უნდა ხდებოდეს.

დეპერსონალიზებული სახელები, რომლებიც გრამატიკ. ექსპონენტ **დ**-ს მოითხოვენ, ჩეჩნურში შემდეგია:

„ბ ერ „ბავშვი“, ნუსქალ „პატარძალი“, ბჟო „ობოლი“, აჰაფა „კახა“, ყუტა (ბ' იჟ დიალ. ვარიანტი) „უკანონო შვილი“. ამ სახელთაგან ზოგი ნასესხებია, მაგრამ კლას-ნიშანთა გარკვე-

ვისათვის სესხებას მნიშვნელობა არა აქვს.

არნ. ჩიქობავა წერს: „ადამიანთა წრეში „ბავშვი“ არ შედის..., „ბავშვი“ ნივთთა სამყაროს განეკუთვნება..., საფიქრებელია, ეს იმიტომ ხდება, რომ „ბავშვი“ ასაკრულ პიროვნებად არ მიიჩნევა: „ადამიანის“ გრამატიკ. კატეგორია პიროვნებას გულისხმობს, რომელსაც ასაკრულის უფლება აქვს და მოვალეობაც აწევს“ (ჩიქობავა, 1979, გვ. 89). იქვე მითითებულია, რომ „ბავშვი“ სხვა ენებშიც საშუალო სქესს განეკუთვნება (მაგ., რუსულში, გერმანულში).

როგორც ჩანს, ანალოგიური ვითარება ყოფილა ქართულ ენაშიც. ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ბავშვი“ სახელში **ბა** სეგმენტი გრამატიკ. კლასის ნიშანია ქართულში. იგი გამოყოფილი აქვს ი. ჯავახიშვილს (ჯავახიშვილი, 1992, გვ. 214). ამავე სახელში **შვ** ძირი მომდინარეობს **შევ** ფორმისაგან. როგორც მ. სუხიშვილმა გაარკვია, ამ ზმნასთან (და კიდევ: დაბადება, შექმნა, ყოლა ზმნებთან) დაისმის „რა?“ ნაცვალსახელი, რომელიც ნივთის კლასის სახელებთან იხმარება ქართულში (სუხიშვილი, 1986, გვ. 44-49).

„ბავშვი“ ასაკის გამო თუ არის ნივთის კატეგორიის სახელებში მოქცეული, ამავს ვერ ვიტყვით ამ ჯგუფში შემავალ დანარჩენ სახელებზე, ასაკს აქ მნიშვნელობა არა აქვს.

ნივთის კატეგორიის სახელებთან, განზოგადების შედეგად, **დ**-კლასში მოხვედრილი ჩანს: ადამ „ადამიანი“, ხალ „ხალხი“. ორივე სიტყვა ჩეჩნურში ნასესხებია.

ჩეჩნური სალიტერატურო ენა **გ**- და - კლასების მიხედვით განარჩევს სახელებს ციგან (გ-) და ციგანქა (-) „ციგანი“ (ეროვნების აღსანიშნავი ეთნონიმი). ორივე ეს სახელი სქესის მიხედვით გარჩეულია მსესხებელ ენაში — რუსულში, საიდანაც ჩეჩნურმა, ფორმისა და მნიშვნელობის შეუცვლელად, შეითვისა ისინი.

ჩეჩნური ენის ქისტურმა დიალექტმა აღნიშნული სახელები, ჩანს, ქართული ენიდან ისესხა. ქართულ ენაში გრამატიკ. სქესი გარჩეული არ არის. ქისტურმა ამ სახელებს გრამატიკ. კლასის ნიშანი **დ**- მიუსადაგა, ე. ი. მათი დეპერსონალიზაცია მოახდინა. ამავე პროცესთან გვაქვს საქმე ქართულიდან ქისტურში ნასესხებ ჯიბგირ „ჯიბგირი“ სახელთანაც. ქისტურში ისიც **დ**- კლასს განეკუთვნება.

ამ ფონზე უცნაური არ უნდა იყოს ფოლკლორისა თუ მითოსის წარმომადგენელი ზოგი პერსონაჟის **დ**- კლასში მოხვედრა. ისინიც,

ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკეთა თვალსაზრისით, დეპერსონალიზებული არსებები არიან. ასეთია, მაგალითად: შელ'ა „დემონი, სატანა“, შა ტა „ემმაკი, შაიტანი“, ლილბაზ (ილბაზ დილვარ), „ემმაკი“, ლამ „ჯადოქარი“, ყინ „ავი სული“, მალნქა „ანგელოზი“.

ამ რიგის სახელთა ნაწილი ზოგს მამრობითი ან მდედრობითი, ზოგს კი უსქესო პიროვნებებად წარმოუდგენია. ასეა თუ ისე, ორივე შემთხვევაში ისინი მხ. რიცხვის დ-გრამატ. კლასში (IV კლასში) ერთიანდებიან.

ზემოთ ითქვა, რომ ადამიანის კატეგორიის სახელებს მრ. რიცხვში გრამატ. კლასის ნიშნად ბ-მოუდით.

საანალიზო სახელთაგან არც ერთს მრ. რიცხვში ბ-ნიშანი არა აქვს: ისინი მრავლობითში დ-ნიშანს მოითხოვენ ისევე, როგორც ნივთის კატეგორიის დ-დ (ორივე რიცხვის მიხედვით) კლასის სახელები.

ადამიანის კატეგორიის სახელებთან ერთი გრამატ. კლასის ნიშნის მეორეთი შეცვლა ჩვეულებრივია დაცინვის, დაკნინების, ზიზლის გამომხატვის შემთხვევაშიც.

ამ დროს I კლასის ნიშანი გ-, ჩვეულებრივ, --თი იცვლება, ხოლო II კლასის ნიშან -ს ბ-ენაცვლება. კლასის ნიშანთა კომბინაციები, შეიძლება, აღნიშნულისაგან განსხვავებულიც იყოს, მაგრამ დაცინვის, დაკნინების ელფერი ამით არ იცვლება.

მასასადამე, ჩეჩნურ ენაში ადამიანის კატეგორიის მცირერიცხოვანი სახელები განზოგადებული ან დეპერსონალიზებულია. ამიტომ მოულოდნელი არ არის ნივთის კატეგორიის სახელებთან მათი გათანაბრება

ლიტერატურა

**დეშერიევი, 1963** — D. Ä. Ääpãðëää, Nãããíñðãëúñ-ëñòíðë÷ãñëäý ãðãíñðëëã ñãñëëð ýçúñëí, Äðíçíñé, 1963.

**თიშევი, 1983** — Ä. Ä. Öëããã, Êãðããíðëý ãðãíñðë÷ãñëëð ëëãññíã ñ ñãñëëð ýçúñëãð, Ðíñðíã, 1983.

**თოფურია, 2002** — ვ. თოფურია, შრომები. II, თბ., 2002.

**მაგომედოვი, 1985** — Ä. Ä. Ìãíñããíã, Ê ñíðíñ ó ñëíàíëëã ðãçãëðëý ñëñðãíñ ãðãíñðë÷ãñëëð ëëãññíã ñ ÷ã÷ãñëñ ýçúñëã, იკეწ. XII, თბ., 1985.

**სუხიშვილი, 1986** — მ. სუხიშვილი, გარდამავალი ზმნები ქართულში, თბ., 1986.

**ჩიქობავა, 1979** — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.

**ჯავახიშვილი, 1992** — ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, თბ., 1992.

ROSTOM PAREULIDZE

### The Problem of Depersonalization in Chechen and Grammatical Class Markers Connected with it

#### Summary

I. In Chechen the names included in the Category of human beings, individuals have two grammatical class markers: 1. v — for the male class, 2. j — for the female class. In the plural both of them are substituted by the formant — b.

II. However, some of the names belonging to the category of human beings (viz. bur "orphan"), nuskal ("bride") qahapa ("prostitute") take the marker d—d (i.e. the marker for the category of things). The author interprets the phenomenon as depersonalization.

## როსტომ ფარულაძე

## ზმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი ნახურ ენებში

## I. ატან, 'ად'ან

წოვა-თუშური ატან „გაჩუმება“ მარტივი გარდაუვალი ზმნაა: ბადერ ატი „ბავშვი გაჩუმდა“; ატი! „გაჩუმდი!“ (ქადაგიძე, 1984) მასში გამოიყოფა ატი- ფუძე და -ან სუფიქსი, რომელიც ნაზალური ხმოვანია. -ან სუფიქსი შედგება ე. წ. მათემატიკური ხმოვნისა და ინფინიტივის მაწარმოებელი -ნ სუფიქსისაგან — თანხმოვანი -ნ ბოლოკიდურ პოზიციაში დასუსტდა და წინა ხმოვანი გაანაზალა. ხმოვნის ნაზალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა ჩინური ენისთვისაც, ხოლო ინგუშური ენისა და ჩინური ენის ზოგ დიალექტში ნაზალური ხმოვნები მოშლილია.

წოვა-თუშურის ატან-ან ფორმას ჩინურში შეესატყვისება 'ად'ან „გაჩუმება, დაწყნარება, დაშოშინება“. სემანტიკური განსხვავება ამ ზმნებს შორის წოვა-თუშურსა და ჩინურში არ არის. ინგუშურში იგი არ დასტურდება, მისი შესატყვისი ინგუშურში -ვალა ჩანს, რომელშიც ვ- ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანია. ჩინურში 'ად'ან გარდაუვალია ისევე, როგორც ატან წოვა-თუშურში.

'ად'ან ზმნა ჩინურში რთული აგებულებისა ჩანს. მასში გამოიყოფა -ან სემანტიკური, რომელიც დამოუკიდებელი სიტყვაა და „ჯდომას“ ნიშნავს. ამ სიტყვის პირველი სემანტიკური 'ად- ამჟამად ცალკე არ იხმარება. იგი, როგორც ჩანს, 'ადა ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს. თავის მხრივ 'ადა ამოსავალი ჩანს 'ად და „მშვიდად“ ფორმისათვის — თანხმოვნის გაორმაგებით მიღებული. მნიშვნელობის გასაძლიერებლად თანხმოვნის გაორმაგება ჩინური ენისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, შდრ., მაგალითად: თოხურა „ადრე“ — თოხურა „ძალიან ადრე, ძველად“; ნავაჰი „იშვითად“ — ნავაჰი „ძალზე იშვითად“ და ა. შ. ჩინურში სიტყვის ფუძისეული გაორმაგების სხვა შემთხვევებიც დასტურდება (ალიროვა, 1964, გვ. 90-107).

მაშასადამე 'ად და ჩინურში მეორეული ჩანს, ამოსავალი 'ად- და, რომლისგანაც მიღებულია 'ად-.

ჩინური 'ად- და წოვა-თუშური ატი- ერთი და იგივე ოდენობები ჩანს. მჟღერი ფარინგალური სპირანტი ' ; რომელიც საკვლევი სიტყვის ორივე სემანტიკის ანლაუტში დასტურდება ჩინურში, წოვა-თუშურში დაკარგული ჩანს. აღნიშნული თანხმოვანი წოვა-თუშურში არ ფიგურირებს სხვა შემთხვევებშიც, მაგალითად: წოვური: ახ-დ-ან „მოტყუება“ და ჩინური: 'ეხ-დ-ა ; წოვური: ატი „მშვილი“ და ჩინური: 'ად ... გვხვდება პირიქითაც, 'ბგერა წოვა-თუშურშია და იგი ჩინურში არ ჩანს. ამიტომ ატი- ფუძეში თავიდან 'ს დაკარგვა პირობითად უნდა ჩაითვალოს.

ატან-ან წოვა-თუშურში მერეული ჩანს, იგი ისტორიულად 'ატან-ან ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს. 'ან ზმნაში თავიდან თანხმოვნის ჩავარდნა წოვურში უდავო ჩანს. ამ პროცესის შედეგად ატან ფორმა სტრუქტურულად დაემსგავსა მარტივ ზმნებს.

ჩინურში 'ან მომენტობრივი (ერთგზისი) ასპექტის ფორმაა, 'ენ-ს კი დიურატიული ასპექტის მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარეობს, რომ 'ად'ენ დიურატიული ასპექტის ფორმაა.

ატან- და 'ად- სემანტიკებში ტ : დ თანხმოვანთა შესატყვისობაც გვაქვს. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ სხვა მაგალითებსაც:

წოვა-თუშური: დატან „გაქცევა“, თეტან „ჭრა“, იტან „რბენა“, ტათებ „ვერცხლი...“

ჩინური: დადან, თენან, იდან, დეთი...

'ად- სემანტიკის (ოღონდ ფუძისეული ხმოვნის გრძელი ვარიანტი) შეიცავს ჩინურში 'ად-ტო „გაშეშება“ ზმნაც. 'ად- და 'ად- სემანტიკებს შორის განსხვავებას, ალბათ, ამ სიტყვათა მომდევნო მარცვლი განაპირობებს (-ტო დიფთონგი გრძელია).

'ად-ტო გარდამავალი ზმნაა. -ტო სუფიქსს აწმყოში ენაცვლება და „ქმნა, კეთება“ ზმნის აწმყოს ფორმა დო, შდრ.: 'ად-დო „შეშება“. და ცვალებადი კლასის ნიშნის მქონე ზმნაა, კლასის ნიშანი აწმყოს ფორმაშიც აისახება.

გარაუდობენ, რომ -ტო ფორმანტი და მეშველი ზმნისაგან უნდა მომდინარეობდეს (არსახანოვი, 1965, გვ. 111). ანალოგიური წარმოებისაა: ლაჭყურ „დამალვა“ (აწმყო: ლაჭყა-დ-ო „მალავს“), ლენ-ტო „ტარება“ (აწმყო: ლენ-დ-ო „ტარებს“) და ა. შ. -ტო სუფიქსი გარდაუვალ ზმნათაგან აწარმოებს გარდამავლებს, იგი გარ-



დამავლობის მაწარმოებელია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ განსხვავება ჩეჩნურ 'ად' ან 'ა' და წოვა-თუშურ ატან ფორმებს მეორეულია. ატან ახალი წარმონაქმნია. მაშასადამე, ფონეტიკური ცვლილების შედეგად წოვა-თუშურში ორფუძიანი ზმნის სტრუქტურა შეიცვალა, იგი გამარტივდა.

ლიტერატურა

**ალიროვეი, 1961** — È. Ð. Àèèðíáá, Āàìèèðíááíúá ññèèñíúá á ÷á÷áíñèñ ÿçúèá. Èçááñòèÿ ×ÉÍÈÈÈÈÈ, ò. V. Āðíçíúé, 1964.

**არსახანოვი, 1965** — È. À. Àðñàðáñá, Õèíðàèáðà ñð÷èéí ñòò. Āðíçíúé, 1965.

**ქადაგიძე, 1984** — დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 1984.

ROSTOM PAREULIDZE

### A Comparative Study of Chechen Verb Stems

I. aṭan 'ad'an

#### Summary

The Chechen 'ad'an is a two-stem verb, consisting of 'ad ('ada) – meaning calmly and 'an meaning "to sit". Hence 'ad'an – to be motionless, to calm down, become silent".

The Tsova-Tush aṭan (to become silent) seems to be a single-stem verb. Presumably it originated from the form 'ad 'an.

ნანა მახაზარანი

### ხეთა აფხაზური სახელწოდებების სტრუქტურა

ენის ლექსიკის შესწავლის სემასიოლოგიური ასპექტისათვის არსებითია სიტყვის მნიშვნელობის დახასიათება, სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის აღწერა სინქრონულ დონეზე.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართებაში საინტერესოა აღმნიშვნელის სემანტიკური აგებულება, მისი ლექსიკური სინტაგმატიკა, ენობრივი მეტაფორა.

ენობრივ კოლექტივებს ერთიმეორისაგან განსხვავებს აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის სხვადასხვაგვარი მიდგომა.

სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად აისახება ობიექტური სინამდვილე: სივრცე, ბუნების მოვლენები, მცენარეთა თუ ცხოველთა სამყარო... სახელდების მომენტშიც შესაბამისად სხვადასხვა ენაში წინა პლანზე წამოიწევეს აღსანიშნის სრულიად სხვადასხვა თვისებანი. მაგ.: ქართ. ხართუთა — თუთა დახასიათებულია სიდიდის მიხედვით; „ხარი“ ამ სიტყვაში „დიდს“ უნდა აღნიშნავდეს. შდრ.: ხარაბუზა — „დიდი ბუზი“... აფხაზურად იგივე ხილს ჰქვია **ამუიე ქიაწია** „თუთა შავი“...

ლექსიკა განხილული უნდა იყოს ენობრივი კოლექტივის ყოფისა და საქმიანობის გათვალისწინებით, რადგან ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს იმ თვისებურებებს, რომელიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სოლიდური ნაწილი მცენარეთა აღმნიშვნელ სახელებს მოიცავს. საინტერესოა ხეთა სახელწოდებების აგებულება.

აღნიშნულ სახელებში სტრუქტურული თვალსაზრისით გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები:

1. ხეთა სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძით, სიტყვათმაწარმოებელ აფიქსთა გარეშე: **ანაცა** „რცხილა“, **აგვრკია** „მიწავაშლა“, **აჰარამ** „ჭერამი“, **აჰადარ** // **აჰანდარ** „ჰადარი“, **აშეცარ** „ლერწამი“, **აცილაა** „ძმერხლი“, **აშეგმჰა** „წყავი“, **არა** „კაკალი“, **აჟა** „იფანი“, **აპალმა** „პალმა“, **ამჟა** „ფიჭვი“, **აკიპარის**

„კვიპაროსი, სარო“, **ალაკაცია** „აკაცია“, **აკალამ** „ლერწამი, ბამბუკი“, **აეგალიბტ** „ეგალიბტი“, **ადაფ** „დაფნა“, **აბჰია** „ქლიავი“, **აბია** „ბია, კომში“, **აისგრ** „ისლი“, **აცა** „ალუბალი“, **ათია** „ცაცხვი“, **აფსად** „ნაძვი“, **აოლივა** „ზეთის ხილის ხე“, **ამეწმეჯ** „ბროწეული“, **ანა** „წაბლი“, **აში** „წიფელი“, **აბანან** „ბანანი“, **ალშ** „ალვის ხე“, **აძახია** „ვაზი“, **აქიფსა** „მსხალი“, **აქტც** „აკაცია“, **ალ** „მურყანი, თხმელა“, **ალუმან** „ლიმონი“, **ამჰა** „ნეკერჩხალი“, **ალუჩა** „ალუჩა“, **აჯ** „მუხა“, **ამანდარინა** „მანდარინი“, **ალაჰა** „ლეღვი“.

აღნიშნულ სახელწოდებათა გარკვეული ნაწილი აფხაზურში ნასესხებია. ნასესხობებზე მსჯელობა ამჯერად ჩვენი სტატიით გათვალისწინებული არ არის.

2. ფუძეს ერთვის აწლა „ხე“, **აბაციწლა**<sup>2</sup> „ზღმარტლის ხე“, **ათიაწლა** „ცაცხვის ხე“, აღიმონწლა „ლიმონის ხე“, **ამჰიაწლა** „თუთა, ბულოს ხე“, **აწაწლა** „არყის ხე“, **აწიაწლა** „ვაშლის ხე“, **აფსაწლა** „სოჭი“, **აჰაწლა** „მსხლის ხე“, **ატამაწლა** „ატმის ხე“, **აბიაწლა** „ბიის, კომშის ხე“...

აფხაზური ენის ლექსიკონებში (ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი (აფხაზურ ენაზე) ხეთა სახელწოდებების ნაწილი მოწოდებულია **აწლა** „ხე“ სიტყვის გარეშე. ნაწილს კი **აწლა** „ხე“ სიტყვა ერთვის. ხეთა სახელწოდებების იმ ნაწილს, რომელსაც ეს სიტყვა ლექსიკონში არა აქვს დართული, სამეტყველო ენაში შეიძლება დაერთოს **აწლა** „ხე“, შეიძლება — არა, როგორც ეს ქართულშია, მაგ., მუხა, მუხის ხე...

ის სახელწოდებანი, რომელთაც ლექსიკონების მიხედვით **აწლა** „ხე“ დაერთვის, ამ სიტყვის გარეშე აფხაზურში იშვიათად გვხვდება. მაგ.: **აფსაწლა** „სოჭი“ იხმარება **აწლა** „ხე“ სიტყვის გარეშე.

შეინიშნება, რომ **აწლა** „ხე“ სიტყვას დაირთავს უპირატესად ნაყოფის მომცემი მცენარეები: **აბაციწლა** „ზღმარტლის ხე“, **ამჰიაწლა** „თუთის ხე“, **აღიმონწლა** „ლიმონის ხე“, **აწიაწლა** „ვაშლის ხე“,

<sup>1</sup> სიტყვასიტყვით „ზედ დაყრილი მსხალი“, მსხმოიარე მსხალს უნდა ნიშნავდეს: **აქიფსარა** „ზედ დაყრა“ აღნიშნულ შემთხვევაში მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს...

<sup>2</sup> აქ საქმე გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულთან, სიტყვასიტყვით: „ზღმარტლის ხე“, რამდენადაც აფხაზურს ბრუნვები არ გააჩნია, ერთმნეთს ერწყმის მსაზღვრელის ღა და საზღვრულის მორფოლოგიურად გაუფორმებელი ფუძეები. ტაბანთურში აღნიშნული ტიპის სინტაგმაში შესაძლოა **-ტი** სუფიქსით გაფორმებული მსაზღვრელი შეგვხვდეს.

**აჰაწლა** „მსხლის ხე“, **ატამაწლა** „ატმის ხე“, **აბიაწლა** „ბიის, კომშის ხე“...

შესაძლოა აწლა „ხე“ სიტყვის დართვა-დაურთველობა ენამ გამოიყენა იმისათვის, რომ ერთიმეორისაგან გაერჩია ხე და ნაყოფი, ანუ აღნიშნულ მოვლენას მიანიჭა განმასხვავებელი ფუნქცია.

ერთადერთი სახელწოდება დადასტურდა ისეთი, რომელშიც **აწლა** „ხის“ აღმნიშვნელ ზოგად სიტყვას ემატება **შე** ელემენტი: **აწლაშე** „ჰადარი“, „ალვა“. აღნიშნული **შე** ელემენტი **აშაკიაკია** „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ნაშთი შეიძლება იყოს (ამ ფაქტზე მიგვითითა თეიმურაზ გვანცელაძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას).

ხეთა ველური ჯიშების აღსანიშნავად სიტყვის ფუძეს წინ ერთვის **აბნა** „ტყე“, **აწგ** „ჩიტი“, **ამში** „დათვი“ სიტყვები, რომლებიც გამოდიან მსაზღვრელის როლში: **აბნარასა** „გარეული, ტყის თხილი“, **აბნაწია** // **აბგწია** „მაქალო, ტყის ვაშლი“, **აწგსძახია** „გარეული, ჩიტის ვაზი“, **აწგგსლაჰი** „გარეული, ჩიტის ლეღვი“, **ამშილაჰა** „გარეული, დათვის ლეღვი“.

მსგავსი წარმოება გვხვდება ქართულშიც. მაგ., ჩიტლელვა. სხვა ენებშიც შეიმჩნევა სახელდებისას ველურობის აღსანიშნავად გარეულ ცხოველთა, თუ ფრინველთა სახელწოდებების (ან მათი ნაშთების) დართვა მცენარის აღმნიშვნელ ფუძეზე.

ზოგჯერ ფუძეს ერთვის სიწვრილის, სინორჩის შემცველ ცნებათა ფუძის ნაშთები **-სხა**, **-ჰჰა** / **ჰჰგ** : აჰასხა „გარეული წვრილი მსხალი“, **აჰაასხა** „გარეული, წვრილი ალუჩა“, **აჰაჰჰა** „გარეული მსხალი, წვრილი მსხალი“, **არჰგგ** „ნორჩი კაკლის ხე“, **ალჰგგ** „ნოღა, ნორჩი მურყნის ხე“...

შესაძლოა ფუძეს ერთვოდეს რომელიმე ფერის ან გემოს აღმნიშვნელი ზედსართავი სახელის ძირი: აჰაშა „თეთრი მსხალი“, **აცაშა** „ბალაშვარა“, სიტყვასიტყვით „მარცვალ მწარე“, **ამჰიეიქიაწია** „ხართუთა, თუთა შავი“...

ხეთა სიმრავლის გამოსახატავად გამოიყენება კრებითობის -რა სუფიქსი: **ახლარცრა** „შინდის კორომი“, **ამჰიარა** „თუთის კორომი“, **ალაჰარა** „ლელვის კორომი“, **აქიეცრა** „აკაციის კორომი“, **ანარა** „წაბლნარი“, **აფსლგშარა** „ტირიფნარი“.

აღნიშნული სუფიქსი ფუნქციით ქართ. **-ნარი** ბოლოსართის ეკვივალენტურია. ქართ. **-ნარი** სუფიქსი ნ. მარს ორმაგი მრავლობითის

აღმნიშვნელად მიაჩნია.

ზოგჯერ მცენარის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის **-რთაქტრა** სუფიქსები **ათრა** „ბაღის“, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად: **ამანდარინართა** „სამანდარინე, მანდარინის ბაღი“, **არასათრა** „თხილის ბაღი“.

ხემა მრავლობითობის აღსანიშნავად **-რა** სუფიქსის გვერდით შესაძლოა შეგვხვდეს ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის აღმნიშვნელი **-ქია** სუფიქსიც: **ალჭოვს** || **ალჭოარა** || **ალჭოარაქია** „ნოლა, ახალი მურყნის, თხმელის კორომი“.

ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ, დაჩრდილულია წინამავალი **-რა** სუფიქსის ფუნქცია და ფუძე ხელმეორედ არის გაფორმებული ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის სხვა სუფიქსით.

სიხშირის მიხედვით ხემა აღმნიშვნელ სახელწოდებებში პირველ ადგილზე ოდენფუძიანი წარმოებაა, მეორე ადგილზეა ფუძე + **აწლა** „ხე“ (წარმოება), მესამეზე ველური ჯიშების აღმნიშვნელი სახელწოდებებია. ბოლო ადგილი ზედსართავ სახელდართულ ფუძეებს უკავია.

ლიტერატურა

**აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი**, 1986 — Атсуа бзышәа аҟәар, ტ. I, სოხუმი, 1986.

**აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი**, 1987 — Атсуа бзышәа аҟәар, ტ. II, სოხუმი, 1987.

**აფხაზური ენის გრამატიკა**, 1988 — Грамматика Абхазского языка, სოხუმი, 1988.

**აფხაზურ-ქართული ლექსიკონი**, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

**ბოტანიკური ლექსიკონი**, 1961 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

**გვანცელაძე**, 1997 — თ. გვანცელაძე, ქართული ზმნები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულეზანი, კრებული „გიორგი როგავას“, თბ., 1997.

**მარი**, 1915 — Í. Ìàðð, Ñðàððè-àññèà ìàçààìèý äàðààüüà è ðàñðàìèè, Ìàððìàðàä, 1915.

**ფოჩხუა**, 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

**ფოჩხუა**, 1987 — ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987.

NANA MACHAVARIANI

## The Structure of the Abkhazian Names for Trees

### Summary

The bulk of the common core vocabulary in Abkhazian consists of plant names. The paper deals with the morphological structure of the names for trees. As a result of the analysis five structural models have been singled out:

1. One-stem model (the most productive) aca (cherry tree) აჭო (oak-tree)
2. The stem takes the element açla ("tree") alimonçla (lemon tree), amžiaçla (mulberry)
3. To denote wild species of trees the linguistic units — abua ("wood") açes ("bird") amši ("bear") are added to stems: abnaraca (wild, wood hazelnut), açeszaxia ("wild, bird's vine") amšitah ("wild, bear's fig tree")
4. The stem takes the remnants of the stem — ssa / çça / çzs meaning thin, young: ahasa ("small, wild pear")
5. The stem may also take the root of a colour or a smell adjective: aha šsa ("white pear"), amž'eikoacoa — "black mulberry").

A number of trees is mainly expressed by means of the oldest plural suffix

-ra which corresponds to the Georgian collective suffix nar.

To denote a "garden" or an enclosed place, the stem takes the suffix -rta/trā amandinrta — „a mandarine garden" arasatra "a hazelnut grove".

## ლილი ბოჭასაძე

ინგლისური ენის ქართულ შემსწავლელთა ტიპობრივი  
შეცდომების შესახებ

ქრისტეფორ რენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ინგლისური ცუდად სალაპარაკოდ უადვილესი ენაა, კარგად სალაპარაკოდ კი — უადრესად ძნელი. ჩვენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები, ყველა დონეს ვხმარობთ, რომ ჩვენმა სტუდენტებმა კარგი ინგლისურით ილაპარაკონ და წერონ.

ტიპობრივი შეცდომების ანალიზი ერთ-ერთი საშუალებაა, რომ ინგლისური ენის ქართველმა შემსწავლელმა კარგი ზეპირი და წერილი უნარ-ჩვევები შეიძინოს. ჩვენი აზრით, შეცდომათა ერთი ნაწილი გარჩეული უნდა იყოს სტუდენტებთან ერთად, მეორე ნაწილი კი — მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს და ისე გააბნოს შესაფერის საგარჯიშოებში, რომ წინასწარ იყოს თავიდან აცილებული ამა თუ იმ ფორმის შეცდომით ხმარება.

შეცდომები შეიძლება სხვადასხვა ფაქტორებით იყოს გამოწვეული და განპირობებული. მათ შეიძლება თავი იჩინონ ენის სხვადასხვა სფეროში: ერთი მხრივ, ლექსიკასა და გრამატიკაში, ხოლო მეორე მხრივ, სოციალურ ნორმებში.

როგორც ცნობილია, შეცდომათა დიდი ნაწილი მშობლიური ენის ინტერფერენციითა გამოწვეული. მე წილად მხვდა ბედნიერება, ამ მოვლენაზე დაკვირება 35 წლის მანძილზე მეწარმოებიანა. მასალა, რომელსაც მე ვაკვირდებოდი, იყო, ერთი მხრივ, ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა მიერ ზეპირი თუ წერილი მეთყველებისას დაშვებული შეცდომები, ხოლო მეორე მხრივ, ქართველი ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი წერილები. ამ ქართველი ემიგრანტებისათვის ინგლისური უკვე პრიმარული ენა გახდა. როგორც ცნობილია, მშობლიურ და პრიმარულ ენას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მშობლიურ ენას ინდივიდი დედის კალთაში ეუფლება. ადამიანს ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მშობლიური ენა შეიძლება ჰქონდეს.

საგულისხმოა, რომ ცნება **დედა ენა** სრულად ემთხვევა ინგლისურ ცნებას **mother-tongue**. ორივე ენაში ეს ცნება დედას უკავშირდება. რუსულში კი — ეს ცნება ნათესაობას უკავშირდება და გულისხმობს ენას, რომელსაც ნათესავები ხმარობენ.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც 15-ზე მეტი ენობრივი კოლექტივი ლაპარაკობს თავის მშობლიურ ენაზე. საბედნიეროდ, მათი პრიმარული ენა ქართულია, ზოგჯერ კი — რუსული, რომლის გამოყენების სფერო ამ უკანასკნელ წლებში თანდათან მცირდება.

ხშირად ხდება, რომ ცხოვრების პირობების შეცვლის, უმთავრესად, საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლის შედეგად, ინდივიდის მშობლიური ენა კარგავს კომუნიკაციის ფუნქციას და ამ ფუნქციას იძენს სხვა ენა, რომელიც თანდათანობით მოლაპარაკის პრიმარულ ენად იქცევა. როგორც ჩემი მონაცემებით დადგინდა, პრიმარული ენის დაუფლების მეშვიდე და მერვე წელს ინდივიდის მშობლიური ენის ელემენტები თავს იჩენს მის პრიმარულ ენაში და პირიქით. მე შესაძლებლობა მქონდა ამ მოვლენას დაკვირვებოდი ინდივიდთა ორი ჯგუფის მავალითზე ორ პერიოდში: მე-20 საუკუნის 60-იან და 90-იან წლებში. ეს ინდივიდები არაფრით არ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი გარდა იმისა, რომ მათი მშობლიური ენა ქართული იყო, პრიმარული კი — ინგლისური. ორივე შემთხვევაში შეცდომებმა მათ ნაწერებში თავი იჩინა ემიგრაციის მეშვიდე წლის შემდგომ.

ამ მოკლე შესავლის შემდგომ, ყურადღებას გავამახვილებ შეცდომებზე სხვადასხვა სფეროში. შეცდომებს დავყოფ ორ მთავარ ჯგუფად: 1) წმინდა ენობრივი

2) სოციალური

ჯერ განვიხილავ ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა შეცდომებს სიტყვებისა და შესიტყვებების დონეზე. ცნობილია, რომ ერთი და იმავე სემანტიკის მქონე სიტყვები ორ ენაში სრულად არ ემთხვევა ერთმანეთს და ხასიათდება განსხვავებული დისტრიბუციითა და შესიტყვებადობით. ზმნები **Do** და **Make** ამის კარგი მაგალითია და ქართველი სტუდენტები ხშირად უშვებენ შეცდომებს ამ ორი ზმნის გამოყენებისას.

ქართულში სიტყვები **hands, arms** და **legs, feet** ერთი სიტყვით **ხელი** და **ფეხი** გადმოიცემა, რის გამოც ეს სიტყვები მრავალი შეცდომის წყაროა. ქართველს ბავშვი ხელში უჭირავს, ინგლისელს კი „მკლავებში“ (**in his arms**).

სიტყვები „swim“ და „sail“ ქართულად გადმოიცემა ერთი სიტყვით **ცურვა**. ამდენად, ინგლისურის ქართველი შემსწავლელი ხშირად ამბობს: „The clouds were swimming in the sky“, რისი ზუსტი ქართული შესატყვისია: „ღრუბლები ცაში ბანაობდნენ“. სიტყვები „place“ და „room“ ქართულად ერთი სიტყვით **ადგილი** გადმოიცემა, რის შედეგადაც შემსწავლელი ასეთ არასწორ წინადადებას აგებს: „There is not enough place for my books here“.

ინგლისური ენის ქართველი მასწავლებლისთვის ნამდვილი წამებაა მცდარი ფორმა „and because“, რაც სრულად ემთხვევა ქართულ სწორ გამოთქმას **და ამიტომ** ან **და იმიტომ**. ქართველი ხმარობს ამ შესიტყვებას წინადადების ბოლოს, როგორც ერთგვარ დასკვნით გამოთქმას, რომელსაც წინ უძღვის ერთგვარი მიზეზი ან გასამართლებელი საბუთი. მაგალითად: „Why is John lagging behind I wonder? \_ He has missed many lectures and because“ („ნეტავ რატომ ჩამორჩა ჯონი სწავლაში? — ბევრი ლექცია გაცდინა და იმიტომ“).

ინგლისურის ქართველი შემსწავლელი ხშირად უშვებს შეცდომას **what to do** ქართული **რა ვქნა**-ს ანალოგიით. სწორი ინგლისური ფორმა — **what can I do?**

ინგლისურისთვის ბუნებრივია შესიტყვება **to fall ill**, ინგლისურის ქართველი შემსწავლელი კი ხშირად უშვებს შეცდომას და ამბობს, **to become ill** ქართული **ავად გახდა**-ს გავლენით.

არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული შესიტყვებანი ინდივიდის მშობლიური ენისა სრულად ემთხვევა შესაბამის შესიტყვებას მის მეორე ენაში. ამ შემთხვევაში მოლაპარაკეს ავტომატურად გადააქვს ეს შესიტყვება უცხოურ ენაში. ამის კარგი მაგალითია შესიტყვება **ვიწრო წრეში**, რომლის რუსული შესატყვისია **â óçûñ ãðñáó**. ამ ორი ენის გავლენით ხშირია ინგლისურში შესიტყვების **in a narrow circle** ხმარება ქართველი შემსწავლელის მიერ, რაც ინგლისელისთვის არაბუნებრივია და გაუგებარი.

ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა ტიპობრივი შეცდომაა **to congretulate with to congratulate on**-ის ნაცვლად, რაც რუსული ენის გავლენით ხდება და მეტად ხშირია.

ცხადია, რომ შეცდომათა რაოდენობა ჩამოთვლილზე გაცილებით უფრო მეტია, მაგრამ ვფიქრობ, აღნიშნული შემთხვევებიც კარგად ასახავს ლექსიკურ შეუსაბამობებს.

მორფოლოგიის სფეროში შეცდომები ხშირია: ა) არსებითი სახელის მრავლობით რიცხვში ხმარებისას. მაგ., **two boy, one of the book**,

**wish you successes** ქართული გამოქმების — **ორი ბიჭი-ს, ერთ-ერთი წიგნი-ს, წარმატებებს გისურვებთ** გავლენით. განსაკუთრებით აღნიშნის ღირსია სიტყვა **ლარი**, რომელსაც ინგლისური ფუნქცია და დოლარის გავლენით (**two pounds, three dollars**) ხშირად მრავლობით რიცხვში ხმარობენ, რაც არასწორია. უნდა იყოს **two lari, three lari, ten lari** და ა. შ;

ბ) პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების სქესთან დაკავშირებით (**his husband, her wife**) და ჩვენებითი ნაცვალსახელთა რიცხვის ხმარებისა (**this windows, that stars**, ეს ფანჯრები-ს, ის ვარსკვლავები-ს გავლენით); გ) ზმნის სფეროში, რომელიც მისი მრავალრიცხოვანი გრამატიკული კატეგორიების გამო შეცდომათა უხვი წყაროა. შეცდომები ხშირია როგორც ზმნის დროითი ფორმების, ისევე ფლექსიათა და დამხმარე ზმნების ხმარებისას (**Do he speaks? Did he came?** და სხვა).

ქართველი ერთი და იმავე ზმნის ერთი და იმავე ფორმით გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც ის ახლა ასრულებს, საერთოდ ასრულებს თუ დიდიდან ასრულებს; ინგლისური კი — თითოეულ ამ შემთხვევას სხვადასხვა დროითი ფორმით გადმოსცემს. ასე რომ, მარტივი აწმყო (**Present Simple**), აწმყო განგრძობითის (**Present continuous**) და აწმყო სრულის (**Present perfect**) ხმარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მეტად საინტერესო რამ ხდება ნამყო სრული დროითი ფორმის ხმარებაში. როგორც კი ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელი ამ დროით ფორმას დაეუფლება, იგი იწყებს მარტივი ნამყო ფორმათა ჩანაცვლებას ამ დროითი ფორმით. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ იგივე ხდება ესპანურ ენაშიც. ამ ფაქტის ერთ-ერთ ასხნად შეიძლება ის გამოდგეს, რომ უცხოური ენის შემსწავლელს რთული ფორმის ხმარება უფრო ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია. ძნელი სათქმელია, სწორია თუ არა ამ შეცდომის ასეთი ასხნა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — მასწავლებლებს ამ შეცდომის აღმოსაფხვრელად დიდი ძალისხმევა ესაჭიროებათ.

ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთათვის დიდ სირთულეს ქმნის ვნებითი გვარისა და უპირო ფორმების ხმარება, მაგრამ ამ საკითხებს აქ არ შევეხები.

სინტაქსის სფეროში შეცდომათა წყაროა ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში, ზმნიზედის ადგილი და პირობითი წინადადებების ხმარება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უარყოფითი წინადადებები:

ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელი ხშირად ამბობს, დიახ, არ არის (**Yes, it isn't** ნაცვლად სწორი ფორმისა **No, it isn't**). შენიშვნას — „**The meaning of 'beautiful' doesn't cover the meaning of 'pretty'**“ ქართველი შემსწავლელი პასუხობს **Yes, it doesn't, No, it doesn't**-ის ნაცვლად. უარყოფასთან დაკავშირებული შეცდომებიც საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ ამ მოკლე სტატიაში ყველა მათგანს ვერ შევხებით.

ზოგჯერ შეცდომა ტრადიციით დამკვიდრდება ხოლმე. წლების მანძილზე ქართველი შემსწავლელები წელიწადის ყველა დროის მიმართ ხმარობდნენ ფორმას **set in winter will set in**-ის ანალოგიით, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური **spring will arrive, summer / autumn will come** ქართულს ზუსტად შეესატყვისება. როგორც ჩანს, ეს შეცდომა ერთ-ერთ ინგლისურ სახელმძღვანელოში ამ შესიტყვების არასწორი ხმარებითაა გამოწვეული. აღნიშნულ სახელმძღვანელოში, რომელსაც სტუდენტები რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ხმარობდნენ, შესიტყვება **set in** წელიწადის ყველა დროის მიმართ იყო ნახმარი.

უდავოა, რომ სახელმძღვანელო უცხოური ენის შემსწავლელთათვის, ისევე როგორც ნებისმიერი სახელმძღვანელო მეტად ზუსტი უნდა იყოს. ასატანია, როდესაც შეცდომას უცხოური ენის ან რაიმე საგნის შემსწავლელი უშვებს, მაგრამ სახელმძღვანელოში შეცდომათა დაშვება ყოვლად შეუწყნარებელია. შეცდომებიანი სახელმძღვანელოს ერთ-ერთ სამწუხარო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ლონდონში ამ რამდენიმე წლის წინ გამოცემული ქართული ენის სახელმძღვანელო, რომლის მიზანია ინგლისელებისათვის ქართული ენის სწავლება<sup>1</sup>. წიგნში დაშვებული **154** შეცდომა შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს: ა) ყოველდღიური ლექსიკის არასწორი ხმარება, მაგ., სიტყვა **bedroom** (საწოლი ოთახი) გადმოცემულია სიტყვით **საძილე**; ბ) სინონიმური ჯგუფიდან არასწორი სიტყვის შერჩევა. მაგ., **სავალალო ამბავი სამწუხარო ამბავი**-ს ნაცვლად; გ) შესიტყვებების სფეროში. მაგ., **სული წაუვიდა გული-წაუვიდა**-ს ნაცვლად; დ) მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე; ე) არაბუნებრივი გამოთქმები ანუ წინადადებები, რომლებსაც ქართველი არასოდეს იხმარს. ამ წიგნში დაშვებულ შეცდომათა შესახებ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია გარკვეული შთაბეჭდილების

<sup>1</sup>სახელმძღვანელოს ავტორსა და სათაურს განზრახ არ ვასახელებ.

შესაქმნელად.

შეცდომები ხშირია სოციალურ სფეროშიც, რადგან განსხვავებულ ენობრივ კოლექტივებს განსხვავებული სოციალური ნორმები აქვთ. ინდივიდის ან კოლექტივის სოციალურ სფეროში დაშვებული შეცდომები ხშირ შემთხვევაში, უფრო სერიოზულიც შეიძლება იყო, ვიდრე ზემომოყვანილი და მათი მსგავსი ენობრივი შეცდომები. გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები გაცილებით უფრო ადვილი შესამჩნევია, ვიდრე სოციალურ სფეროში დაშვებული შეცდომები. სოციალურ ნორმათა რღვევა, როგორც ცნობილია, ხშირად „ყოფით შოკს“ იწვევს. შეცდომები სოციალურ სფეროში, ჩემი აზრით, შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ა) მარტივი, უგნებელი შეცდომები, ანუ ისეთი შეცდომები, რომლებმაც შეიძლება ღიმილი მოგვგვაროს, ან გაკვირვება გამოიწვიოს. მაგ., უცხოელი მეგობრისთვის ნაცვლად რეპლიკისა „welcome back“ შეკითხვის დასმა: „**Have you already arrived?**“ ქართული „**უკვე ჩამოხვედი**“-ს ანალოგიით; ბ) ზიანის მომტანი შეცდომები, ანუ შეცდომები, რომლებიც ინდივიდს შეურაცხყოფას აყენებენ და „ყოფით შოკს“ იწვევენ. ამის ერთ-ერთ მაგალითად შემდეგი გამოდგება: ბევრ ქართველ დიასახლისს სიამოვნებას ჰგვრის სტუმრის მიღება და მისთვის საჭმლის მომზადება. ბუნებრივია, სტუმრისთვის ასეთი ფატიკური შეკითხვის დასმა „მოგწონთ ნამცხვარი?“ რასაც ინგლისელმა შეიძლება უპასუხოს — „**They're just like from the shop**“, რადგან ვერ აცნობიერებს, რომ მალაზიის ნამცხვარი სახლში გაკეთებულზე გაცილებით უარესია და ამდენად შეურაცხმყოფელია მასპინძლისთვის.

კაცის მიერ კაცის, ან ქალის მიერ ქალის კოცნა ქუჩაში „ყოფით შოკს“ იწვევს ინგლისელში, სანამ ის რეალურ სიტუაციაში გაერკვევა. საგულისხმოა, რომ ასეთი საქციელისთვის ლონდონში თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული. გ) სავალალო შეცდომები. ამის კარგი მაგალითია ცნობილი ეპიზოდი ქვისტების შესახებ: ევროპელი მეზღვაურები მიცურდნენ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის გამაგრებულ ნაპირთან. საგულშაოს ჯარისკაცებმა შეამჩნიეს რა უცხო გემი ზღვის აკრძალულ ნაწილში, მიახლოება მოსთხოვეს. მათ, რისთვისაც გამოიყენეს მათთვის ბუნებრივი მოახლოების აღმნიშვნელი ქვისტი. მეზღვაურებმა, რომელთათვისაც ეს ქვისტი უკან გაბრუნებას ნიშნავდა, ბუნებრივია, უკან დახვევად აღიქვეს იგი და ასეც

მოიქცნენ, რასაც შედეგად მოყვა დიდად დაქვებულ გულშაგების მიერ უდანაშაულო მეზღვაურებისთვის ცეცხლის გახსნა და ტრაგიკული ეფექტი.

ყესტების ხმარებაში მნიშვნელოვანი მსგავსება-განსხვავებებია, მაგრამ მათი განხილვა ცალკე კვლევის საგანია.

ამგვარად, ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა შეცდომები, ისევე როგორც შეცდომები საერთოდ, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: შეცდომები ენის სფეროში და შეცდომები სოციალურ სფეროში. ენობრივ შეცდომათა ძირითადი წყაროა მშობლიური ენის ინტერფერენცია. ენობრივი შეცდომები თავს იჩენს ლექსიკისა და გრამატიკის სფეროში, სოციალური შეცდომები კი ვლინდება შესასწავლი ენის კოლექტივის სოციალური ნორმების რღვევაში. სოციალურ სფეროში დაშვებული შეცდომები უფრო ძნელად შესამჩნევია და მეტად სერიოზული, ვიდრე ენობრივი.

LILY GOKSADZE

### On Typical Errors of Georgian Learners of English

#### Summary

Mistakes of Georgian learners of English as well as mistakes in general can be divided into two main groups: mistakes in the sphere of language and those in social sphere. The main source of errors in the field of language can be the mother-tongue interference. Mistakes in the field of language can be revealed on the level of vocabulary and grammar, while social mistakes reveal in violating the social norms of the community. Mistakes in the social sphere are not easily detectable and are more crucial than those made in the sphere of language.

#### სარჩევი

ნ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე — შინაგანი ფორმა, როგორც ემოციურობის მოდუსისა და ექსპრესიულობის გამოხატვის ეფექტური საშუალება.....	3
მ. დ ა რ ა ს ე ლ ი ა — მეტაფორის კოგნიტიური თეორიის თანამედროვე მდგომარეობა .....	15
ნ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი — სომატურ ფრაზეოლოგიზმთა დიფერენციაციის საკითხი .....	20
მ. რ უ ს ი ე შ ვ ი ლ ი — ანდაზის ერთი სახეობის შესახებ .....	29
ც. ბ ა რ ბ ა ქ ა ძ ე — რიტორიკის, სტილისტიკისა და პრაგმატიკის ურთიერთმიმართებისათვის .....	32
მ. ზ ა ნ გ ა ლ ა ძ ე — მეტატექსტთა ურთიერთდაკავშირების საშუალებანი .....	37
მ. ქ უ რ დ ი ა ნ ი — ქართველურ ენათა ისტორიული ენობრივი კონტაქტები და საერთოქართველური ენის დიფერენციაციის ქრონოლოგიური საზღვრების პრობლემა. I.....	44
მ. კ ო ბ ა ლ ა ძ ე — ბრუნვის ნიშნების სადერივაციო დანიშნულებისათვის .....	52
ნ. გ ე ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი — სახელთა მრავლობითი რიცხვის გამოხატვა საშუალო ქართულის სამართლის ძეგლთა ენის მიხედვით..	67
ვ. ს ო მ ხ ი შ ვ ი ლ ი — ზმნისწინის ფუნქციისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართულში .....	72
გ. შ ა ბ ა შ ვ ი ლ ი — პერფექტის კატეგორიისათვის ქართულ ენაში .....	80
ლ. ნ ო ზ ა ძ ე — მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და ქეგლ-ი .....	84
თ. მ ა მ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი — სასუბიექტო მიმღეობის პარალელურ მ — ელ // მა — ელ და მ- // მ — ელ აფიქსიან ფორმათა შესახებ ქართულში.....	99
დ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი — ჩართულის ზოგიერთი ჯგუფი არჩილ ჯორჯაძის წერილების მიხედვით.....	108

ლ. ქაროსანიძე — ქართულ გრამატიკულ ტერმინთა ისტორიისათვის.....	115
ქ. სარსევანიძე — ონომასტიკის შესწავლის პერიოდები.....	120
ე. ბერიშვილი — ფრაზეოლოგიზმის კომპონენტის ჩავარდნა და სიტყვის მნიშვნელობის ცვლა.....	127
გ. გვანცელაძე — ადამიანისა და ცხოველის სემანტიკურ ველთა მიმართება ქართული ენის მონაცემთა მიხედვით.....	130
ნ. ოთინაშვილი — შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელების წარმოება ქსნის საერისთაოში.....	138
ო. მიქიაშვილი — რუსიციზმები ქართველ რომანტიკოსთა ენაში.....	141
მ. მელიქიძე — „ფენ“ ფუძის ერთ-ერთი მნიშვნელობისათვის.	150
კ. კაკიტაძე — მკრეხ(ვ)ელის მნიშვნელობის ცვლილებისათვის ქართულში.....	155
ნ. ახვლედიანი — აჭარის ერთი ჰიდრონიმის შესახებ.....	158
ა. ასრათოვ—ომარაშვილი — ისევ ზაქათალას შესახებ.....	161
ნ. სააკაძე — მიწათმოქმედების ლექსიკა ქვემოქართლურში.....	164
ი. ბებია — ნიდაგის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულში.....	179
გ. გოგატიშვილი — სამეურნეო ყოფის ამსახველი ლექსიკა ქართული ენის ფშაურ დიალექტში.....	185
ქ. სარსევანიძე — კვლავ ტოპონიმ „აზავრეთის“ ეტიმოლოგიისათვის.....	202
ნ. ოთინაშვილი — პატარა ლიხვის ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი.....	210
ც. ბარბაქაძე — „ხმით ნატირლების“ ენობრივი სამყარო“.....	214
ე. ქირია — მეხუთე ლატერალური თანხმოვნის ისტორიისათვის ხუნძურში.....	226
რ. ფარეულიძე — დებერსონალიზაცია და მასთან დაკავშირებული გრამატიკული კლასის ნიშანთა საკითხი ჩეჩნურში.....	232
რ. ფარეულიძე — ზმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი ნახურ ენებში.....	238
ნ. მაჭავარიანი — ხეთა აფხაზური სახელწოდებების სტრუქტურა.....	241
ლ. გოქსაძე — ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა ტიპობრივი შეცდომების შესახებ.....	246

## Contents

N. Surguladze — The Inner Form as an Effective Means of Conveying Emotive Mode and Expressiveness in French and Georgian .....	14
M. Daraselia — Theoretical Aspects of Studying Metaphors .....	19
N. Peikrishvili — The Problem of Differentiating Somatic Idioms.....	28
M. Rusieshvili — Towards One Interesting Type of the Proverb .....	31
T. Barbakadze — On the Relationship between Rhetoric, Stylistics and Pragmatics .....	36
M. Zangaladze — Metatextual Linkers .....	43
M. Kurdiani — Historical Linguistic Contacts of the Kartvelian Languages and the Problem of Chronological Differentiation of Proto-Kartvelian .....	51
M. Kobaladze — Derivational Functions of Case Markers .....	66
N. Geldiashvili — Expression of the Plural in Nouns in the Language of Middle Georgian Legal Documents.....	71
V. Somkishvili — Functions of Preverbs in the Kartlian Dialect of the Liakhvi and Ksani Valleys.....	79
G. Shabashvili — On the Category of Perfect in Georgian .....	83
L. Nozadze — Some Aspects of Masdar Formation and the Monolingual Dictionary of the Georgian Language.....	98
T. Mamardashvili — On the Parallel Forms of the Subjective Participle in Georgian.....	107
D. Akhvlediani — On Some Classes of Parentheticals in A. Jorjadze's Essays.....	114
L. Karosanidze — Towards the History of Georgian Grammar Terms .....	119
K. Sarsevianidze — Periods in the History of Onomastic Studies .....	125



E. Berishvili — The Elision of Idiom Components and the Change of Word meaning .....	129
G. Gvantseladze — The Relationship between the Semantic Fields of Human Beings and Animals in Georgian.....	137
N. Otinashvili — Formation of Names Showing the Line of Descent in Ksani Princedom .....	140
O. Mikiashvili — Russianisms in the Language of Georgian Romanticists .....	149
M. Melikidze — On One meaning of the Stem "Pen" .....	154
C. Kakitadze — On the Change in Meaning of the Lexeme <b>mkrex(v)el</b> .....	157
N. Akhvlediani — On One Acharan Hydronym .....	160
A. Asratov-Omarashvili — The Toponym "Zakatala" Revisited.....	162
N. Saakadze — Agricultural Vocabulary in Low Kartlian .....	178
I. Bebia — The Megrelian Vocabulary of Agriculture.....	184
G. Gogatishvili — The Vocabulary Depicting Household life in the Psbavian Dialect of Georgian .....	201
K. Sarsevanidze — The Etymology of the Toponym "Azavreti" Revisited.....	209
N. Otinashvili — Peculiarities of the Kartlian Dialect in the Lesser Liakhvi Valley.....	213
T. Barbakadze — Linguistic Peculiarities of Mourning Lamentations	225
E. Kiria — On the History of the Fifth Lateral in Avar.....	231
R. Pareulidze — The Problem of Depersonalization in Chechen and Grammatical Class Markers Connected with it.....	237
R. Pareulidze — A Comparative Study of Chechen Verb Stems I. <b>aṭan 'ad'an</b> .....	240
N. Machavariani — The Structure of the Abkhazian Names for Trees .....	245
L. Goksadze — On Typical Errors of Georgian Learners of English .....	252

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.04.2003  
ფორმატი A5 (60X80<sup>1/16</sup>);  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16  
შეკვეთა №17 ტირაჟი 150

ფასი სახელშეკრულებო